

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი



ფილოლოგიური
მაცნე
V

თბილისი
2019

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ფილოლოგიური მაცნე V.

გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი 2019. გვ. 220.

რედაქტორი	რამაზ ხალვაში
ტომის რედაქტორი	მაია ბარამიძე
სარედაქციო საბჭო:	მამია ფალავა, თინა შიოშვილი, შორენა მახაჭაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ელგუჯა მაკარაძე, თემურ ავალიანი, მაია კიკვაძე, გურამ ბახტაძე, ინგა შამილიშვილი, ნათელა ფარტენაძე, ნანა ცეცხლაძე, ნანა ტრაპაიძე

ISSN 2587-4799

შინაარსი

მამია ფალავა

მასალები „ცემის“ სემანტიკური
ველისათვის ქართველურ ენებში ----- 5

მაია ბარამიძე

იონე სინელის „სამოთხის კიბის“ („კლემაქსის“)
პეტრე გელათელისეული თარგმანის
ლექსიკის ზოგიერთი საკითხი----- 75

ნათია მახარაძე

პუბლიცისტური ტექსტის სათაურთა სტრუქტურა
თანამედროვე პერიოდის ქართულენოვან პრესაში----- 86

ნათელა ფარტენაძე

ზმნის პირისა და რიცხვის ნიშანთა გამოხატვის
თავისებურებანი მარადიდულ კლარჯულში----- 95

თემურ ავალიანი, ეკატერინე ბარამიძე

ზოგიერთი მოსაზრება შტოგვარის
პრობლემის შესახებ (ზემო აჭარის მაგალითზე)----- 105

ნინო წიკლაური

მოდალობის შესწავლა-თანამედროვე ეპოქის
სოციოლინგვისტური დირექტივა----- 121

რამაზ ხალვაში

ხიხაძირის ეკლესიის სამშენებლო წარწერა----- 132

მზია ლაზიშვილი
მეტაფორა და სიმბოლო დავით გურამიშვილის
პოემაში „ნიგნი ესე მხიარული ზაფხული“ -----136

მზია ლაზიშვილი
ერთი გროტესკული სახე გურამიშვილის „დავითიანისა“ ---144

მალხაზ ჩოხარაძე
„...ტირილი იყო გამოღმა და ტიროდნენ გაღმაც“ -----151

შორენა მახაჭაძე
კონცეპტი „საქართველო“ ჯონ სტაინბეკის
„რუსულ დღიურში“ -----163

თინა შიოშვილი, მაია ჯაფარიძე
ქართველ მუჰაჯირთა ანდაზები -----172

ფატი აბაშიძე
გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო პოეზიის
ხალხური სანყისები -----180

ლელა კუკულაძე
ავტობიოგრაფიული პასაჟები გურამ
რჩეულიშვილის მოთხრობებში -----189

მარია ბერიძე
„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანები-----200

მაია ჯაფარიძე
„ეთერიანის“ აჭარული ვარიანტები
ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მასალა)-----205

**მასალები „ცემის“ სემანტიკური ველისათვის
ქართველურ ენებში**

*„ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა“
შ. რუსთაველი*

მდიდარი და მრავალფეროვანია ქართველურ ენათა ლექსიკა. მასში შეიძლება გამოიყოს მრავალი სემანტიკური ველი, მათ შორის თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩევა „ცემის“ სემანტიკის შემცველი ლექსიკური ერთეულები. „ცემის“ ლექსიკაში ნათლად ჩანს „მცემელის“ განწყობა, მისი ქმედება სიტუაციიდან გამომდინარე. სწორედ ეს სხვადასხვა სიტუაცია ქმნის ლექსიკურ მრავალფეროვნებას. განსაკუთრებით მდიდარია ასეთი ლექსიკით ქართული კილოები, თუმცა არც სალიტერატურო ენა უჩივის „ცემის“ სიღარიბეს.

ლინგვისტური თვალსაზრისით საინტერესოდ გვეჩვენება „ცემის“ სემანტიკის შემცველი სიტყვების წარმომავლობა, ზოგჯერ სტრუქტურაც. ერთი შეხედვით, ასეთი სიტყვები კაცს სინონიმები ეგონება, მაგრამ ყოველთვის ასე არაა. სამაგალითოდ მოვიყვანთ ნიმუშებს კ. ჯორჯანელის „ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონიდან“, სადაც „ცემის“ 70-მდე „სინონიმია“ შეტანილი: „**არტყამს, ურტყამს, უპარტყუნებს, უბარტყუნებს, უთათქუნებს, უტყაპუნებს, უზაპუნებს, უჟაპუნებს, უთხლაშუნებს, უტყლაშუნებს, შოლტავს, ამათრახებს, ტყეპს, ჟეჟავს, ბეჟავს, ზეპავს, ბეგვავს, ბრიგავს, ზუბ(ვ)ნის, ჯოხავს, გალახავს, გატყეპს, მიტყეპს, მიცხებს, მიტორავს, მიბეგვავს, მიბრეგს, დაბრეგვავს, დაბეჟავს, დაჟეჟავს, მიჟეჟავს, მიბეჟავს, მითეთქვავს, დათეთქვავს, გათეთქვავს, დაზელს, დაალილავებს, დაამჟავებს, გაასილაქებს, გაჯოხავს, მოჯოხავს, გაამათრახებს, გაშოლტავს, დაშოლტავს, მიბერტყავს, მი-**

ჩეჩქავს, დამუშტავს, ცემით გახეთქავს, ააჭრელებს, გააჭრელებს, გვერდებს აუჭრელებს, გვერდებს აუხურებს, გვერდებს აუნვაავს, გვერდებს დაუხელს, დაზურგავს, დაძეძგავს, ლავა-შივით გააბრტყელებს, ძვალსა და რბილს ერთმანეთში აურევს, დედის რძეს არწყევინებს, თავ-პირს დაუმტვრევს, ცხვირ-პირს დაუნაყავს, ცხვირ-პირს მოუნაყავს, ცხვირ-პირს ჩაუნაყავს, ცხვირ-პირს ჩაუჩეჩქავს, ნიორწყლად აქცევს, ნიორწყლად გახდის, კარგებისას უთავაზებს, აზიარებს“ (ჯორჯანელი, 2003).

მოყვანილი მასალა ყურადღებას იქცევს მრავალი თვალსაზრისით. უპირველესად რჩება შთაბეჭდილება, რომ ლექსიკოგრაფი ხელოვნურად ამრავლებს სინონიმურ ერთეულებს - ლექსიკონში ერთი და იგივე სიტყვის სხვადასხვა ზმნისწინით თუ უზმნისწინოდ წარმოდგენით: **ტყეპს, გატყეპს, მიტყეპს; ჯოხავს, გაჯოხავს, მიჯოხავს; ჟეჟავს, დაჟეჟავს, მიჟეჟავს, ბეჟავს, დაბეჟავს, მიბეჟავს...** თუ ზმნისწინის დართვით ახალი სინონიმური ერთეული მიიღება, მაშინ მოყვანილი მასალის რიცხოვნობის გაზრდა კიდევ შეიძლება, ასე მაგალითად: **ტყეპს, გატყეპს, მიტყეპს** ფორმებს შეიძლება დაემატოს: **მოტყეპს, დატყეპს, ჩატყეპს; ჟეჟავს, დაჟეჟავს, მიჟეჟავს - მოჟეჟავს, ჩაჟეჟავს, გაჟეჟავს...** ყველა ზმნისწინით ნაწარმოები შესაძლო ფორმა რომ გაეთვალისწინებინა ავტორს, კიდევ უფრო „გაამრავლებდა“ „ცემის“ სემანტიკის შემცველ სინონიმურ წყვილებს, ლექსიკონს კი ბევრს ვერაფერს შესძენდა. ვფიქრობთ, ზმნისწინიანი ფორმის ცალკე შეტანას მაშინ აქვს აზრი, თუ განსხვავებულ მნიშვნელობას გამოხატავს. აქ შეიძლება ვინმემ შემოგვედავოს, ზმნისწინი სიტყვას მნიშვნელობასაც ხომ უცვლის გარკვეული თვალსაზრისით (აქ მხედველობაში არ გვაქვს ზმნისწინის სიტყვასაწარმოებელი ფუნქცია). უცვლის, მაგრამ არა იმდენად, რომ ცალკე ლექსიკურ ერთეულად გამოვყოთ.

სათქმელს გადავუხვიეთ, ვფიქრობთ, დროა, დავუბრუნდეთ მთავარს.

„ცემის“ ლექსიკაში ჩანს ქართველი კაცის ფსიქიკა, მისი სიტუაციური ქმედება. გააჩნია, ვის თუ რას სცემს და რა სიტუაციაში, ლექსიკასაც შესაბამისს გამოიყენებს.

„ცემის“ სემანტიკის შემცველ სიტყვებს ვაგროვებდი სხვადასხვა დროს, ვკრებდი ლექსიკონებიდან თუ დიალექტური მასალებიდან, ვაგროვებდი ველზე თუ ვინერდი მხატვრული თუ სხვა ტექსტებიდან. დაგვიგროვდა საკმაო მასალა, რომლის გარკვეულ კლასიფიკაციასა და ჩვენეულ ანალიზს ქვემოთ შემოგთავაზებთ.

* * *

ძველ ქართულში **ცემ'** ფუძე გვაქვს **თავყანისცემა'**ში (>თავყანისცემა), რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „თავის ყანაზე (მინაზე) ცემას“. განსხვავებული მნიშვნელობით **თავყანისცემა** იხმარება ახალ ქართულშიც. ილ. აბულაძე განმარტავს: „ცემა - „დაცემა“, „ხეთქნება“, „განწონა“, „რტყემა“, „კვრა“, „დასობა“, „დაკოდვა“, „მიცემა“, „კვეთება“ (აბულაძე, 1973). მოყვანილი ფორმებიდან ყველა გამოხატავს **ცემა'**ს (გარდა **მიცემა**, „ვილაცამ ვილაცას რაღაც **მისცა**“), მაგრამ კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: სამაგალითოდ შეიძლება ავიღოთ „**დაცემა**“, რომელსაც მრავალი სემა ეძებნება ძველ ქართულშივე: „ცემა“, „მოხრვა“, ძლევა“, „მოკლვა“, „დარქენა“, „გუემა“, „გახრწნა“, „დაგდება“, „დავარდნა“, „დაქცევა“, „დამწობა“, „დარღვევა“, „დახუევა“: „მუნქუესვე **დასცა** მას ანგელოზმან უფლისამან“ ა, „მეყსეულად **სცა** მას ანგელოზმან უფლისამან“ გ (საქ. მოც. 12,23. ვიმონებთ: აბულაძე, 1973-ის მიხედვით). როგორც ვხედავთ, „სცა“ და „დასცა“ სხვადასხვა რედაქციაში სინონიმური მნიშვნელობით იხარება. მოგვიანებით ხდება მათი მნიშვნელობების დაკონკრეტება-გამიჯვნა.

„ცემა“ „კბენის“ მნიშვნელობითაც იხმარება ასეთ კონტექსტში: „ოდეს კაცი ფრთხილად არს, ერთისა ხვრელისაგან გველი ორჯერ ვერა **უცემსო**“ (ვისრ. 488). შევნიშნავთ, რომ აქ ზედმინევენითაა გადმოცემული გველის მოქმედება, იგი ხომ ცე-

მით კბენს.

წარ' ზმნისწინით (წარცემა) ცემა' „ფეხის წაკვრას“ აღნიშნავს: „რა არა **წარჰსცე** (წარსცე CE) ქვასა ფევი შენი“ (ლ. 4,11). აქ კარგად იკვეთება **წარ'** ზმნისწინის ფუნქცია, აღნიშნოს ოდნაობითობა, მცირედ შეხება. შდრ. **ფეხის წაკვრა** და **ფეხის დაკვრა**. იგივე მნიშვნელობა მას შენარჩუნებული აქვს ახალ ქართულშიც. შდრ. „ფეხი წამოიკრა და წაიქცა“; „ფეხი წაკრა და გააღვიძა...“

სცა=ცემა: და არგნითა **სცეს** მეფესა (ჟამთაღმწ. 255.). საინტერესოდ გვეჩვენება „ფერჯით საცემელი“ = „ჩასანიხლავი“: „იყო შენ **ფერჯით საცემელ** მტერთა შენთა (O. ზირ. 42,11). „ფერჯის ცემა“ – გათელვა, დათრგუნვა, გინა განნიხვნა“ განმარტავს საბა (ორბელიანი 1949). „ფეხის ცემის“ აღსანიშნავად „ცემის“ პარალელურად უხმარიათ „მოცხომაც“, სრულიად სხვა ფუძე: „ნუვინ **ფერჯნ-მიცემნ** მე ქურივსა“ O, „ნუ ვინ ფერჯსა-მიცემნ მე ქურივსა“ I, „ნუ ვინ **მომცხებინ** მე ქურივსა“ (px ბარ. 4,12). „მოცხება“ „ფეხით ცემის“ მნიშვნელობით ცემის საინტერესო სემანტიკაა.

მოცხება' ახალ ქართულშიც იხმარება, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით.

ძველი ქართულის **ცემ'** ფუძის ძირეული მასალაა **ც'**, -ემ თემატური ნიშანი ჩანს.

საცემად, გარდა **ფეხისა** და **არგნისა**, უხმარიათ „**წათი**“ „კეტის“, „ჯოხის“ მნიშვნელობით: უბრძანა **წათითა** ცემაჲ (ანდ.-ანატ. 26,8); მოვკლა ვეშაპი იგი თვნიერ მახვლისა და **წათისა** O (დან. 13,25)...

წათით აღჭურვილს „**წათოსანი**“ ერქვა. ხოლო **წათით ცემას** კი – **წათაქება**.

წათაქება წამორტყმის მნიშვნელობით იხმარება ახალ ქართულშიც.

ი. აბულაძეს „**კრვა**“ ასე აქვს განმარტებული: შეკვრა, დაკვრა (აბულაძე, 1973): „სენაკი ესე სამჭედლოდ არს, ერთსა უროსა ჰკრევდი“ (მ. ცხ. 101,5). ჩვენთვის ამჯერად საყურადღებოა

მეორე მნიშვნელობა, **დაკვრა** (უროს გრდემლზე). ვინც **დაკრავს**, ის „**დამკვრელია**“, ხოლო ვინც ცემს – „**მცემელი**“: „მიუბყრას **მცემელსა** ღანვ თვისი O (გოდ. იერემ. 3, 30).

ძველ საქართველოში „რქით მცემელს“ „მრქენალი“ ერქვა: „უკეთუ **მრქენალი** იყოს კუროდ O (გამოსლ. 21,29). **მრქენალი ურქენს** ზმნის მიმდებარა. **რქენა** კიდევ არის რქით შებმა, რჩოლა, ცემა: უკეთუ **ურქინოს** კურომან მამაკაცსა ... ქვთა განიტვინოს კუროდ იგი (გამოსლ. 21,28).

საინტერესო სინტაგმებია „რქით შებმა“, „რქით ცემა“.

„რჩოლა“ (|| მარჩოლარი) დღესაც იხმარება სამხრულ კილოებში: ბალანა მუარიდე, მოზვერი **მარჩოლარია** (ორთაბ.); ნუ გეშინიათ, ჯარი **მარჩოლარი** არაა (შავშ.).

რქენა ცემაა, ოღონდ „რქით ცემა“, რაც მხოლოდ რქოსან პირუტყვს ახასიათებს.

„ცემის“ მნიშვნელობით გვხვდება „გუემაც“, რომელიც ასევე ნიშნავს „ტანჯვას“, „წყლვას“ (შდრ. დანყლულება – მ.ფ.), „დაცემას“, „შოლტით ცემას“:

„მაშინ **გუეუმნე** ისინი მწარედ“ (საქ. მოც. 78,12); „ცემამან გუელისამან ყვის წყლულებაჲ, ხოლო **გუემამან** ენისამან შემუსრის ძუალები“ (O ზირ. 28,21).

ქართველის წარმოდგენით, „ენის გუემა“ უფრო ძლიერია, ვიდრე „გუელის ცემა“...

„გუემის“ ამოსავალი ფორმა ჩანს „გუმერა“, „გმერა“, „გუმერმა“ (რ'ს ჩავარდნით გუემა): „**უგმირა** მკერდსა მისსა“ (O. II მეფ. 3,27). იგივე სიტყვას აქვს „ჭენების“ მნიშვნელობა: „უკუეთუ მტერობით **უგუმიროს** (უჭენოს px) მას“ G რიცხ. 35,20 (ვიმონებთ: აბულაძე, 1973'ის მიხედვით). **უგუმირა** და **უჭენა** სინონიმებად გაიგება, რაც თითქოს მოულოდნელია. აქ ალბათ გასათვალისწინებელია, რომ „**ჭენება**“ ცემით, გუემითაა შესაძლებელი (?!).

„გუემა“ შეიძლება სხვადასხვა იარაღით:

„გუემა კუერთხითა“ – გაროზგვაა.

„გუემა“ შეიძლება **ჯურთითა||ჯვრთითა** (აბულაძე, 1973).

„ჭურთა“ კიდევ იგივეა, რაც „სილა“: „(ნუ მიაგებ) ჭურთასა ჭურთასა ნილ“ (მ. ცხ. 4r). შდრ. ჭურთი||ჭვრთი||ჭვრდი ფონეტიკური სახესხვაობაა ერთი და იგივე ლექსემისა. ამოსავალი ფორმა ჩანს ჭურთი. მის გვერდით უნდა ყოფილიყო „გუემი არგნითა“. ვინც იგუემებოდა, იგი გუემულია, ვინც გვემს – მგვემელი.

„გუემის“ სინონიმი ჩანს „ტანჯვა“, ასე უხმარიათ იგი ოთხთავის რედაქციებში: „რომელნიმე ტანჯნეს“ DE, „რომელნიმე გუემნეს“ C (მრ. 12,5).

„ტანჯვა“ ასევე არის „სასჯელი“, „დასჯა“:

„გსწავლიდა თქუენ ტანჯვითა“ O (III მეფ. 12,11); ნუ მტანჯავ მე (მრ. 5,7).

ჩანს, დასჯა ხდებოდა ტანჯვით, ცემით, გუემით.

გვხვდება „მოტანჯვა“ „გვემის“, „ცემის“ მნიშვნელობით: „მოსტანჯო სული შენი აქა და არა მიხვდე სატანჯველად საუკუნოდ“ (მ.სნ.131,28).

ზ. სარჯველაძე (იხ. სარჯველაძე, 1995) ადასტურებს „მგუემებლობას“ ცემის სემანტიკით და იმონებს: „განაგდებს ჯელითა თვსითა მგუემლობასა ეპისკოპოსთასა“ (დიდი სჯ. 174, 31-32).

ვინც „ცემს“ მგურემელია (>მგუემელი), „მცემელია“:

„სოფლისაგან ერთისა გამოვიდნენ ორნი დანყებანი განმზადებად ჯელი მგურემელი...“ (ეზეკ.21,4).

ვინც იცემა „ნაგუემია“, გუემის შედეგია – „წყლულება“, თუმცა ნაგუემი და წყლულება სინონიმებადაც უხმარიათ:

„არა არს...არცა ნაგუემ“ (I. ეს. 1,6); დაბანა იგინი წყლულებისაგან (საქ. მოც. 16,33).

ძველი ქართული ენის ძეგლებს დაუცავს არაერთი პარალელური ფორმა „ცემის“ სემანტიკით. ხშირად ძნელი წარმოსადგენია, რომ ცალკე აღებული ესა თუ ის ლექსიკური ერთეული აღნიშნული მნიშვნელობის მატარებელია:

წურთა – გუემა: წუართონ იგი G; გუემონ იგი M II შჯ. 22,18;

წყლვა – გუემა: იწყლა ვითარცა თივაჲ გ, იგუემა ვითარცა თივაჲ ა, ფს.101,5. შდრ. წყლული, დანწყლულება.

განსწავლა, გასწავლა, „სწავლა“ – დასჯა, ცემა, გვემა:

„გაგსწავლენ შენ განმდგომილებამან შენმან“ (იერემ. 2,19); განსწავლო ეგე და განუტეო [დავსჯი, ვცემ ამას და გაგუშვებ] (ლ.23,16); არარაჲ ბრალი სიკუდილისაჲ ვპოვე ამისთანა, ვსწავლო და განუტეო ეგე (ლ. 23,22).

მჭუედნელი, მცემელი, მგვემელი:

რომლისა შემასმენელნი და მგობარნი და მჭუედნელი არა არიან წმიდა (გელ. ბიბლ. 139r;27-28. კომენტ. ვიმონებთ: სარჯველაძე, 1995'ის მიხედვით).

ხელნაც ცემის სემანტიკას შეიცავს, როგორც სწავლა: ხელნაც წვრთნა, ოლონდ უფრო ცხოველზე (ცხენი, ხარი, მწევა-რი...) ითქმის, ზოგჯერ – ადამიანზეც.

სწავლა: მოძღურება, დარიგება, დაზავება, ცემა, გვემა (აბულაძე 1973): „პური და სწავლაჲ და საქმე-მონასა“ (O, ზირ. 30,25).

შემაგრება „ცემა“:

„შემაგრა იგი მუცელსა მისსა“ G. სცა მუცელსა ეგლომისსა“ (M. მსჯ. 3,21).

ქენჯნა, ქეჯნა – ცემა, რტყმა:

მქენჯნიდეს, ვითარცა მონასა უძღურსა“ (A 484, 312v; ჰქენჯნიან ობოლთა (O, მალ. 3,5. ვიმონებთ, აბულაძე, 1973'ის მიხედვით).

საარება: ტანჯვა, გვემა, ცემა:

„გულიხმა-ყავნ დამტკიცებაჲ ამის საარებისაგან მწსნელისა ჩუენისაჲ“ (საკ. ნიგ. II, 16,21); საარებაჲ გელის შენ (ბაბ. 45,28. ვიმონებთ: აბულაძე, 1973-ის მიხედვით).

საარებას აქვს სხვა მნიშვნელობებიც. საარება ცემის სემანტიკით შედარებით იშვიათია.

დაჭუერთნა – ცემა (მჯილით თუ სილით): „დაჭუერთნიდეს თავსა დავრდომილთასა“ (O, გამოს. 2,7)... იგივეა, რაც ჭუერთნა. ჭურთა არის სილა: „ნუ მიგებ ჭურთასა ჭურთასა ნილ“ (მ.ცხ. 40r. ვიმონებთ: აბულაძე, 1973-ის მიხედვით). დიალექტებში გვხვდება გამოთქმა „ხურდა დაუბრუნა“, ნიშნავს სამაგიერო გადაუხადა, ხელი შეუბრუნა.

ხომ არ უნდა იყოს დიალექტური **ხურდა** (ხურდა დაუბრუნა) ფონეტიკურად სახეცვლილი **ჭურთა**? ვფიქრობთ, შესაძლებელია.

რეკა – ცემა ჭურთითა, კაკუნი:

ინყეს ... ნერწყუვად **ჰრეკედ** მას და ეტყვედ **ც**. ინყეს ... **ნერწყუვად** ... ჭურთითა ცემად მისა და ეტყვედ (**DE** მრ. 14,65).

ზ. სარჯველაძეს „**ქურჯი**“ განმარტებული აქვს როგორც „მუშტი“: ჭურთით ცემა არს: „**მჯილი** მიმოქცევიტა თითთაჲთა ძლიერად მტკივნებისა შემძლებელი, რომელსა სოფლიონი **ქურჯ** უნოდინ“ (**Ler**.15,21r, აშიაზე. ვიმონმებთ: სარჯველაძე, 1995-ის მიხედვით).

ჩანს, **ქურჯი** დიალექტიზმია სამწერლობო ენაში, **მუშტის** სინონიმი.

გარდა **მუშტისა** (ქურჯისა) და **სილისა**, იცემებოდა **არგნითაც** (ჯოხი, კვერთხი). არგნით ცემა **გაარგვნაა**, ხოლო არგნით ნაცემი – **გაარგვნილი** (იხ. სარჯველაძე, 2001:26).

გაარგვნის პარალელურად გვხვდება **გაროზგვა** და **გაროზგვილი**, არ ჩანს **გაკვერთხვა** და **გაკვერთხილი**. შესაძლოა იმიტომაც, რომ კვერთხმა (შდრ. სამეფო კვერთხი) სხვა დატვირთვა შეიძინა.

„ცემის“ სემანტიკით ასევე გვხვდება:

წიხნა – წიხლის ცემა:

წწიხნიდა იგი დეზსა (ს. გაბ. დაჯდ. 134,4. ვიმონმებთ ილ. აბულაძე, 1973). შდრ. ახ. ქართული: **ჩაწიხლვა**, **დაწიხლვა**, **წიხლვა**.

განშოლტვა – გაშოლტვა:

უკანაჲსკნელ მორჩილმან ნებისა მათისამან **განშოლტა** უფალი, ესე იგი არს გუემა დათხზულითა ღუედებითა (**Ler** 2225v, 19-23b. ვიმონმებთ: სარჯველაძე, 1995).

მიყრა – განრთხმა, გაზიდვა, განვდა, ჩარტყმა:

მჭედარმან მიჰყარა მახვლი თუსი, რაჲთამცა მოკლა (სნდ. 7,23).

მიჰყარა = ჩაარტყა, ჩასცა.

ყურიმალვა – სილის განვნა:

მონაჲ **ყურიმალვს** მეუფესა (**A** 52, 133v,13. ვიმონმებთ: სარჯველაძე, 1995). შდრ. **იყურიმლვის** (იქვე, 133v,7).

ნაკრავი – დასარტყამი:

ნაკრავითა მონყულულთათუს მათვე მოსეთა დავიცავთ ჩუენცა განჩინებასა (დიდი სჯ. 481,5).

შეენიშნავთ, რომ ძველ ქართულში არ ჩანს **რტყმა**, გვხვდება **კრვა**.

რეხუება-ჲ ბრახუნი (სარჯველაძე, 1995):

მიმოსლვასა მათსა მყუდროდ იქმოდინ თვნიერ **რეხუებისა** ფერწთაისა (პეტრინონი, 8,1).

შდრ. ახ. ქართულის **რახუნი** (სხეულის სხეულზე შეჯახება).

ცემის სემანტიკა ჩანს **ჯახება** შიცი:

მის შვილს ინახავს და მე'და **მაჯახების** (=დამარტყმევის) დანა (კლარჯ.).

დანაყვა – ცემა, დაჩეჩქვა:

დაუნაყეს ქვითა პირი მისი (რიფს. 173,30); **დამნაყდეს** მე ურთიერთას გუემითა (**H**-341,47).

ხეთქნება – დაკვრა, დარტყმა:

მიხეთქენ მე, და არა ინება კაცმან მან **ხეთქნებად** მისა (**O**. III მფ. 2035); აღილო ასტამი და **უხეთქნა** მას თავსა (შუშ. VI, 15).

შდრ. ახალი ქართულის **ხეთქა** – დაარტყა.

„**გახეთქვის**“ მნიშვნელობით დასტურდება „**მოპება**“, ნიშნავს „**გახევას**“:

მოიპეს სამოსლები მათი **გ**, **განხეთქეს** სამოსელი თუსი (**pb**, რიცხ. 14,6).

ბერტყა-ჲ - **ბერტყვა**:

შეიქმნა სამოსელთა **ბერტყისაგან** ვითარცა ჳმაჲ ქუხილისაჲ (დან. 265,28).

ბერტყვა, **დაბერტყვა** ცემის სემანტიკის შემცველია. შდრ. კაკლის **დაბერტყვა/ჩამობერტყვა** (ხალით). გადატანით ხელით ცემასაც ნიშნავს ახალ ქართულში. შდრ. **მიბერტყა/მიპერტყა**.

დაჩეჩქვა – დამსხვრევა (**დაჩეჩქვა** ცემის შედეგია, ამიტომ-

ცაა ახალ ქართულში ცემასაც რომ აღნიშნავს): მოვიდა ნვმა სეტყუასა თანა ვიდრემდის ყოველი ნაყოფი ვენაჯისაჲ წარწყმიდა, ფურცელი **დაჩქუა** (Ler. = 151v, 10-12. ვიმონმებთ: სარჯველაძე, 1995-ის მიხედვით).

დაჩქუა სემის მატარებელია **შედრესა**:

ერთსა შინა დღესა ბაიასა დაანყობდა მამაჲ იოანე და მწყურვალსა მას მახვლსა ქუასა **შეადრესდა**, რაჲთა არა დაჩხუებდეს ჴელთა საქმრისა ჟამსა (ნოველ. II, 87, 20-22. ვიმონმებთ: სარჯველაძე, 1995-ის მიხედვით).

დება სხვა მნიშვნელობებთან ერთად („ქუან“//„ქონება“, ყოფნა, განდება, დავრდომა, დადება, გდება) აღნიშნავს „**ცემასაც**“ (იხ. აბულაძე, 1973). შდრ. ახ. ქართულის **მოდება** – გარტყმა: იმფერი **მოდვა** ღრანჯში... (ორთ.).

მოცვა – **მორტყმა**:

მოცვით მომიცვეს მე (235v. ვიმონმებთ: აბულაძე, 1973-ის მიხედვით).

განწონა – გარჭობა, გამსჭვალვა, **ცემა**, შეწონა:

ისარნი შეწნი **განმწონნეს** მე; ისარნი შეწნი **მეცწეს** მე (ფს. 37,3).

ქვის დაკრება – ქვების ცემა, ჩაქოლვა:

კთლისა საქმისათჳს ქვასა არა **დაგკრებთ** (**დაგრებთ D**, **დაკრებთ C**) შენ (ი. 10,33. ვიმონმებთ: იმნაიშვილი, 1986).

დაქვავება – დაქოლვა:

ქვითა **დაქვაენით** იგინი G, ქვით **დაქოლენით** იგინი (pb., ლევიტ. 20,17).

განტვინვა – „დაქოლვა, ჩაქოლვა:

განტვნა იგი ყოველმან ისრაელმან M, **დაქოლა** იგი ქვებითა ყოველმან ისრაელმან G (ისუ ნ. 7,25). შდრ. აჭარული „ტვინი გააყრევეია“.

დაქოლვა, „განტვინვა“, „ქვის დაკრება“, „დაქვავება“, „დაკრება-ჩაქოლვა“ – რამდენადაც ყველა აღნიშნული მოქმედება ქვის ცემითაა გამოწვეული, **დაქვავებასა** და **დაქოლვაშიც** (<დაქვალვა) ჩანს **ცემის** სემანტიკა.

აღტყუელვა – ტაშის შემოკვრა (აბულაძე, 1973):

აღიტყუელენით ჴელნი თქუენნი (ფს. 46,2).

ტაში სხვა არაფერია, თუ არა ხელის ხელზე ცემა.

დალენვა – განლენა, მოოჯრება, დაფშვნა, შემუშვრა, დამსხვრევა: **დალენილი** – შემუშვრილი: წმიდანი იგი, **დალენულნი** წათითა, აღმოუტევებდეს სულსა B (ვიმონმებთ: აბულაძე, 1973-ის მიხედვით).

წათი ჯოხია, **კეტი** (აბულაძე, 1973). **განლენვა, მოოჯრება, დაფშვნა, შემუშვრა, დამსხვრევა** – წათით ცემის შედეგია.

საცემი იარაღი ბევრია, მათ შორისაა „**კუერთხი**“ (ჯოხი), მისი სინონიმია **შოლტი**:

ბძანა **კუერთხითა** გუემად მისი; ქმნა **შოლტი** საბელთაგან (ი. 2,15); იესუს **შოლტითა** ჰსცა (მ. 27,26; მრ.15,15).

საცემ იარაღად ჩანს **დასაკუეთებელი** (დასაცემი), რაც უნდა **აკუეთონ**:

უკუეთუ ესევითარისა ამის სჯულისა დამტკიცებაჲ ბძანონ, ვითარცა ძალისა რაჲსამე **დასაკუეთებლისა** მათისაჲ (დიდი სჯ. 335,14-15).

იარაღით ცემის შედეგია **დაზელა, დასრესა**:

ვითარცა თიჯაჲ უბნისაჲ **დავზილნე** იგინი (O II, მფ. 22,43)...

დათრგუნვა – ფეხით შედგომა, გათელვა:

ვიდრემდე **დაჰსთრგუნვიდეს** ურთიერთას (ლ. 12,1).

წარხეთქა – წარტყმა, წაკვრა, წაჭრა:

არა იციან, სადა **წარხეთქიან** ფერჯი (O იგ. სოლ. 4,19)...

„ფეხის **წარხეთქვა**“ იგივე „ფეხის **წატეხვა**“, „ფეხის **წამოკრა**“ ცოცხალ მეტყველებაში რომ დასტურდება.

ყურიმლის ცემა – სილის განვნა:

მსახურთა მათ მოიყვანეს **ყურიმლის** ცემად იგი (მრ. 14,65).

ცემის სემანტიკის შემცველი ლექსიკა სხვაც ბევრი დაიძებნება ძველ ქართულში. მოყვანილი მასალიდანაც ჩანს, მრავალფეროვანია იგი. „ცემა“ შეიძლება ადამიანისა, ცხოველისა, ფიზიკური სხეულებისა; **ცემა** შეიძლება იარაღით, მუშტით, ფეხით...

* * *

საშუალო ქართულის ძეგლებში **ცემის** აღმნიშვნელი ლექსიკის ნაწილი ძველი ქართულიდან გადმოდის, ნაწილიც ცოცხალი მეტყველებიდან ჩანს შესული სამწერლობო ენაში.

ყურადღებას იქცევს „ცემის“ საშუალებების სულხან-საბასეული დახასიათება:

მუჭი – ენოდების რა მაგრად ხელთა თითნი შეკუმშო. თუ უკეთუ კაცსა ცერით კერძო სცე, ენოდების **მუშტი**.

ნეკის მწარე დაჰკრა, ენოდების **მჯილთა**. თუ ცერი თითებს ქვეშ დაიპყრო და ეგრე სცე, ენოდების **ბლიკვი**;

უკეთუ თითებითა გოჯის კერძო ჰკრა, ენოდების **ქიშტი**, რომელ არს **ქურჯვა**;

უკეთუ იდაყვთა უკულმა უკუჰკრა, **მუჯღუგუნი** ენოდების (ორბელიანი, 1949).

ახლა, როდესაც უკვე ვიცით, რაა **მუშტი**, **ბლიკვი**, **ქიშტი** თუ **მუჯღუგუნი**, მოვიტანოთ საშუალო ქართულის ძეგლებში დაცული **ცემის** ლექსიკა.

„ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება **თაყვანისცემა** (<თაყვანისცემა) იმავე მნიშვნელობით, რაც ძველ ქართულში ჰქონდა, ოღონდ ფონეტიკურად სახეცვლილი:

უკუდგეს და **თაყვანი-სცეს**, მეფემან და მისთა სპათა (478,1); ინდოთ მეფე **თაყვანსა-სცემს** (1559,3); **თაყვანი-სცა** მეფესა (684,1)...

თაყვანისცემა (<თაყვანისცემა) პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნად პატივისცემისა თავის (შუბლის) მიწაზე (ყანაზე) **დაკვრას** გულისხმობდა. შემდეგ იცვალა თაყვანისცემის მნიშვნელობა, აბსტრაქტულ სახელად იქცა და გრძნობის გამოხატვის სიმბოლოდ იქცა.

ცემა: **სცემდა** და **იცემებოდა**, სრვიდა და ისროლებოდა (ქ.ცხ.II, 9, 11-12); **სცა** მას ლახუარი ჯუანშერ სპასპეტმა (ქ. ცხ. I, 174,6); თუ ყმამ ბატონს გაჯავრებით ... ჴელით **სცემოს**, ჴელი მოეკვეთოს (სამართ. 261); თუ ყმამ ამისთანას საქმისათვის... ჯოხი **სცეს**...ბატონმა შეუნდოს (სამართ. 261); რა ერთსა **გცე-**

მდენ ათასნი (435,4)...

ხეთქება - ჩარტყმა, დარტყმა:

და აღუშფოთდა მთავარი იგი იოანეს და **უხეთქნა** ლანგსა მისსა და განასხნა მუშაკნი ეკლესიისანი (მაკარი მესხი, 301); **უხეთქნა** (ვახტანგ) ჴმალი მწარსა ბაყათარისასა (ქ.ცხ.I, 155,12)...

„უამთააღმწერელი“ წერს: მემნას სპარსმან ... აფთითა ძლიერ **დაუხეთქა** უმზარადოსა თავსა, განუპო... (უამთაღმწ., 153); ...პირველ სათხეს **უხეთქნა** მუზარადსა, განუპო და ჩამოაგდო (ქ.ცხ. II, 398:4-5)...

თავში ცემა – პირდ. თავში ხელების რტყმა. გად. მწუხარება, დარდი, ნალვლობა:

ან დამეხსენ სიკვდილამდის ვიტირო და **თავში ვიცე** (ვტყ. 873,4); ქართველების ჩვეულებად ჰქონდათ, **თავში ეცათ** ხოლმე ხელები (სახოკია, 1938:286).

საშუალ ქართულში **თავში ცემას** აღნიშნავს **ტყებაც**:

ჴმანი ვაებისა და **ტყებისანი** (ქ.ცხ.II,24,10).

ასევე დასტურდება მიმღეობური ფორმა **მტყებელი**:

მტყებელთა თავისათა (იქვე, 63,8).

მტყებელია ვინც **იტყებს** (=თავში იცემს).

ხვევა – დარტყმა:

ხოლო მან ერთითა მითა **ხვევითა** წარკვეთა წმიდაჲ თავი მისი (ლუკა იერუს. 224). **ხვევა** – აქ ხმლის თუ ცულის დარტყმა-ზეა საუბარი.

ცოცხალ მეტყველებაში გვხვდება **ხევა** დარტყმის მნიშვნელობით (**ხია** ყბაში მუშტი). ხომ არაა **ხევა<ხვევა** საგან?

კრა – დაარტყა:

და ვითარ ხუთასი შოლტი **ჰკრეს** და საპყრობილედვე შეაყენეს (ნიკ. დვალის წამ. 327); კულად **ჰკრა** (ბაყათარ) სხუა ისარი ცხენსა ვახტანგისასა (ქ.ცხ. I, 155,10).

კვრა||კრა შეიძლება სხვადასხვა იარაღისა თუ ადამიანისა და ცხოველის სხეულის ნაწილისა:

ქუსლი: ქუსლი **ვკარ** და დავუნცია (614,4);

შუბი: კაცს შუბი ვკარ (446,3);

კეტი: კეტი ჰკრა, ძელი მოსტება (1042,4);

სკამი: სკამნი...ჰკრა კედელს შეაღენა (760,1);

ბუკი: ბუკსა ჰკრეს (ვტყ.46,3);

ბუკი - საყვირია დიდი, განმარტავს საბა).

ლახვარი: ვითამც რამე ჰკრეს ლახვარი (845,1);

შეშა: შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხრმალი (1046,4);

ტოტი: თვით ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს (909,2);

მათრახი: ჰკრა მათრახი მისსა ცხენსა (643,1)...

ზოგჯერ არ ჩანს საკვრელი საგანი, თუმცა მომდევნო სტრიქონებში ზუსტდება: რუსთაველი ამბობს ტარიელის შესახებ: ჰკრა ერთმანერთსა დახოცნა თავსა ხელაღუპრობელად... (ვტყ. 672,3).

„ვეფხისტყაოსნის“ მდიდარი ლექსიკა გამონაკლისს არც ცემასთან დაკავშირებით უშვებს.

გვემა – ცემა:

იგვემა ფრიად მრავალსახედ წყლულებითა და საპყრობილესა შეიყენა (ნიკ. დვალის წამ. 327); **გუემნა** იგინი სათლითა და სისხლისათა (ქ.ცხ.II, 237,11).

გურემა (>გვემა) განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება, ნიშნავს **დარტყმა**, **ჩხვლეტა**:

ინყეს ორთავე **გურემად** ობოლთა (ქ.ცხ.სიმფ. I, 34,7); ინყეს ორივე **გურემად** ოროლითა (ქ.ცხ. I, 347).

ძგერება: აძგერეს ძელი (ვტყ. 1042,2).

განგლა – დანაყვა: **განგალა** მეხმან სრულიად (ქ.ცხ. II, 301,3); **დანაყვა ცემითაა** შესაძლებელი (**გალ/გლ** ფუძის შესახებ იხ. ცქიტიშვილი, 2002:247-271).

დაცემა: დასცა იგი ქუეყანასა ზედა (ქ.ცხ. სიმფ. I,62); დანა **დაიცა**, მოცაკვდა... (ვტყ.582,4).

დაკრა, დაკრულობა:

თუ ჯოხი **დაჰკრას**, ნახევარი ქერის მარცვლის სისხლი გადაუხადოს (სამართ. 265); თუ დიად დიდი **დაკრულობა** ჰქონდეს... პასუხი გააცემინონ (იქვე).

მიმთხევა – დარტყმა:

მიქაელ **მიამთხვა** პირსა მეფისასა ფანდაკითა (ქ.ცხ. I, 196,1). საშუალ ქართულში **ცემის** და **კვლის** სემანტიკით ნახმარია **ყათლავი, ყათლანი** (ქ.მნ. VI,873).

ყათლავი, ყათლანი საყურადღებო ლექსიკური ერთეულებია, საძიებელია მათი წარმომავლობა.

ტყება – ცემა, გოდება:

მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი და **ტყება** ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულთაგან ვიდრე გლახამდე. და **იტყებდეს** ყოველნი თავსა თვსთა... (ქ.ცხ, 53,8-9).

„ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება „**დაკრება ქვისა**“ „ჩაქოლვის“ მნიშვნელობით:

რათამცა ქვა **დაკრიბეს** მას [რომ ჩაქოლათ] (ქ.ცხ, I, 102,17).

იგივე მნიშვნელობით იხმარება იგი ძველ ქართულშიც¹.

დაქოლვა გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“:

დამქოლე შავისა ქვისა ყორითა (1290,4).

ცემის მნიშვნელობისაა:

ჯახება: ფიცხლად ზედა **შევეჯახე** (614,3);

ჩხერება (აბჯართა ცემა):

გუშაგთა ისმის აბჯრისა **ჩხერება** (1398,1); გახდა აბჯრისა **ჩხარია** (91,1).

ძალის ხმა – ფიგურალური გამოთქმაა, დაკვრას ნიშნავს (ქ.მნ. III, 189).

გალაჯვა – ცემა:

და რომელიმე მუნებური ვაჭარი და ესე ყუარყვარეს ვაჭარი

1 „ქვის დაკრება“ „ჩაქოლვის“ მნიშვნელობით საშუალი ქართულის ძეგლებში ხშირად არ დასტურდება, შეიძლება არცაა იგი მისი კუთვნილება და ძველის მნიშვნელობაა დაცული. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრების“ რედაქციებში შეინიშნება ძველი ქართულის ფენა, რაც ხდება საფუძველი ვარაუდისა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი თხზულებების ავტორები სარგებლობდნენ ძველი ტექსტებით, რომ ხშირად ვერ აღწევდნენ თავს ძველი ქართულის ნორმას... ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ „ქართლის ცხოვრების“ ენა საყურადღებოა, საჭიროა მისი გამონვლილვით შესწავლა, რაც ნათელს მოჰფენს მრავალ საკითხს, ჯერ კიდევ ბურუსით მოცულს.

ნაიკიდნენ და სძლო კრეშელმან ვაჭარმან და კიდევ **გალაჯა** და აბრეშუმიც ნაართვა (ქ.ცხ, II, 346, 11-12).

დაადო – დაარტყა, ჩასცა:

(მულიდი)... შევიდა კარავსა მისსა, მძინარესა **დასდვა** დანა გულსა მისსა და მოკლა იგი (ყამთაალმნ., 179).

მგვემელი – მცემელი:

ხოლო რინდნი ... ზედა მიეტევნეს **მგვემელნი** ძლიერად, ვიდრემდე ერთიცა თვალი მარჯვენე ხედვისაგან უხედველ ყვეს (ყამთაალმნ. 136).

საშუალ ქართულში **ცემის, დარტყმის** სემანტიკით ასევე იხმარება:

ჯღეხა, რომელსაც საბა ასე განმარტავს: „ცხენის მიქუსლ-მოქუსლვა“ (ორბელიანი, 1949). შესაძლებელია, **ჯღეხა** თავდაპირველად ცხენის **ნიხლის კვრას, ჩანჩხვლას** ნიშნავდა, შემდეგ მიიღო ზოგადად **დარტყმის** მნიშვნელობა.

ზარბათი – დარტყმა (ყამთაალმნ., 167). შესაძლოა, **ზარბათი** კომპოზიტია, რომლის პირველი ნაწილი, „ზარ“ უკავშირდება „შიშს“ (შრდ. თავზარი), მეორე – **ბათ[ქ]** დარტყმის ხმა (**ზარ-ბათქი**>**ზარბათი**. შდრ. **ბათქი, ბათქა-ბუთქი**).

ზათქი: ისმის **ზათქი** და **ზარია** (ვტყ. 1410,3).

ზათქი ცემის ხმაა, „დიდი ჳმის გასვლა“ – განმარტავს საბა (ორბელიანი, 1949).

მიამკვდარა – (ქ.მნ. VIII,675) – ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანა, **მიასიკვდილა**.

დაგლა – დანაყვა:

მთან და კლდენი სახედ მტუერისა **დაიგალნეს** (=მთები და კლდეები მტვრად იქცნენ) (ქ.ცხ.I, 323,9).

დანაყვა, დაგლა ცემის სემანტიკის შემცველია. შდრ. **დამუსვრა** - დაღევა, დამსხვრევა (ჩუბინაშვილი, 1961).

ცემის ლექსიკა კარგადაა აღწერილი საბას „სიტყვის კონაში“ (ვსარგებლობთ: ორბელიანი, 1949):

ცემა – არგნით გუემა, ცემა. საბასთვის **ცემა** მხოლოდ არგნით გუემაა. ლექსიკონში აღწერილია ცემის სემანტიკის შემ-

ცველი სხვა ლექსიკური ერთეულებიც:

წკიპურტი – თითის კვრა;

წკეპა – ჳელით ცემა;

დეზი – ცხენი გაქულა დეზითა (ვტყ. 214,1);

დეზი – ცხენის საჩხვლეტელი (ორბელიანი, 1949);

წკაპი-წკუპი – წულილად ცემის ჳმა;

ლაჯუა – გალაჯუა, მილაჯვა, მოლაჯვა. ჩანს, საბასთვის **გალა-ხვა** ზოგადად ცემაა და არა ცემის რაიმე სახე.

გაქუსლვა – ქუსლით ცემა;

ქელვა – ბალახთ გალახვა;

ქასუნი – ჳელით დაცემა;

ბეგვა – ჯოხის ცემით მარცულის გამორჩევა;

ტაში – ნების ნებზე ცემა;

ჯგვერება – ჯგვერის ტაკება. **ჯგვერი** – ხის სადგისი, გინა ჯოხის წუერი.

ნიხნა – ნიხლვა. ნიხლი – ფერჯის კვრა; **ენნიხა** – ფერჯით დაჭყლიტა.

ქურჯვა – მჯილის (sic) წაკვრა.

ბისტი – როკვაჲ არს ფერჯის ცემითა.

ტლინკი – ნიხლი, არს ცალის ფეხის კვრა, გინა დაცემა. აქვს მეორე მნიშვნელობაც: „ცხენთაგან ორის უკანა ფეჯის გაქნევა“.

ნაყვა – მეტად დაგლა;

რტყმა – დარტყმა, შერტყმა; **დარტყმა** – დიდი რამ დააზილოს;

დანარცხება – კაცის მიწაზე დახეთქება;

რეგუა – დიდად დასეტყვა. **დარეგუა** – 1. ძნელად და ავად დასეტყვა; 2. სარეგუავით (შდრ. დიალექტური **რაგვი**) თავგისა და ესე ვითარის გაჭეჭყვა. ორივე შემთხვევაში ჩანს ცემის სემანტიკა.

ჟეჟა – ჳორცთ დაჯეჭვა.

გმირვა – ლახვრის კვრა. შდრ. მტერთა თქვენთა გულსა ვჳგმირო (ვტყ.143,2);

დათრგუნვა – ფერვით დასრესა; დათრგუნული – დასრესილი.

ზერგნა – ფეწით ზელვა; ნ. ჩუბინაშვილი დაუმატებს: ტკეპნა, ზრქნა, ქელვა ფეხით ან საზეპელით (იხ. ჩუბინაშვილი, 1961);

ლენვა – ყანის დაბეგვა; დალენა – დაამტვრია; **დამუსრა** – დაამტვრია (შდრ. კლიტეთა **დავლენ**, გავახვამ (ვტყ. 1401,3);

ქოთება – ხეთქება შდრ. **დაქოთა**;

ნაბერტყი – ბერტყით განაცვივნის; **ბერტყა** – გაყრევივნება;

დაკვეთება – დახეთქება;

ტყაპანი – ბრტყლად დაცემის ხმა. შდრ. **მოტყაპუნება** (ხელისა შიშველ ტანზე);

შუშხუნი – ჯოხის გატყორცის ჳმა. შდრ. **შხუილი**.

ძგერება – ძლიერად ორთ შეჭლა;

ჯმუჯნა – ... გალაჭვა დაცემით;

ჯაჭა-ჯუჭი – მრავალჯერ დიდი ტკეცების ჳმა. ჯაჭნი – დიდი ტკეცების ჳმა. შდრ. აჯახა.

ჯექა – აბჯრის ცემის ჳმა;

საყურადღებოა კიდევ ერთი რამ: ვიდრე დაკრავდნენ დამუქრებოდნენ, რასაც „**ღირება** – დასაკრავად დაღირება“ ეწოდებოდა. ვაჟასთანაც გვხვდება: „შავი ზღვის შავი ვეშაპი საკლავად **დაგვეღირება**“. ჩანს, მიუღებელი იყო დაუღირებლად დაკვრა.

ცემა, გუემა სხვადასხვა „იარაღით“ ხდებოდა:

ლახტი: მათისა ლახტის ცემითა... (ვტყ. 655,2).

საგუემელი – გუემის საქნელი;

ქაჩაბური – სამწყემსო დიდი ჯოხი (კომბალი? - მ.ფ.);

ნკეპლი – ნვრილი ჯოხი, მედრეკი (ჯოხი, რომელიც იდრიკება).

კუერთხი – საგუემელი ჯოხი: „ნახე, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა“ (ვტყ.1196,4).

შეენიშნავთ: ძველად სცემდნენ მათრახითაც. მათრახით მცემელს „მემათრავ“ ერქვა. ვახტანგ მეექვსის „სამართალში“ წერია: თითო **მემათრავე** ჩაატანონ, რომე თითოს ფარისა და

მათრავის მეტი იმათ არა იქონიონ რა (სამართ. 179).

მჯილი – „წელთ თითნი მომუჭვილი“;

ოფნი – „მჯილი, მუჭი“. შდრ. „ორგნით ჩანს ლები მჯილისა“ (ვტყ. 498,2).

ქიშტი – ბლიკვი.

მუშტი – „თითმომუჭვილი ცერის კერძოთ“.

ბლიკვი – ქურქვა. დ. ჩუბინაშვილთან **ბლიკვი** განმარტებულია როგორც **ქისტი, ბლიკუნა, ქურჯუნა, ჯგულემა, тольлькаты**. **ქურჯვა** საბასთანაც არის ცალკე ერთეულად გატანილი და ასეა განმარტებული: „მჯილის ნაკვრა“. ამდენად, ბლიკვით **ჩაბლიკვას** დ. ჩუბინაშვილთან დაემატა სამი ლექსემა: **ბლიკუნა, ქურჯუნა, ჯგულემა**.

„ცემის“ კვალი რჩებოდა „ნაცემზე“:

მახვილით ნაცემს – **ნაკრავი** ეწოდებოდა; მახვილცემულს – **ნაკრაული**.

სულხან-საბას ლექსიკონში ცემის სემანტიკის შემცველი მრავალი ერთეული ცოცხალი მეტყველების კუთვნილება ჩანს.

ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში (ჩუბინაშვილი, 1961) აღმოჩნდა ზოგიერთი სიტყვა, საბასთან რომ არ გვხვდება:

დახლა (დავახლი) – დახეთქება, ძლიერად დაცემა. **დახლამ** ახალ ქართულში სხვა მნიშვნელობა, უფრო სწორედ სემანტიკური ნიუანსი შეიძინა: თოფი (ტყვია) **დაახალა...**

დარეგვა – მალლიდამ ჩამონოლილისა, ანუ ჩამოქცეული-საგან დალენა და შემუსრვა, რააცა ქუეშე დახუდების, ვითარ სიტყსაგან, დაქცეულის კედლისაგან და მისთანათა. იხ. **რეგვა**.

შეენიშნავთ: აჭარულში **მორეგვა** მოხარული (მოხარული) მხლის (ფხლის) ჩოგნით (ლაფერათ) ჩაცეხვაა საფანელთან (მარაგთან) ერთად, გად. კაცის ძლიერ გალახვა.

გარდაკურა (გარდავკარ) – ჯოხის შემოკურა ზურგზედ, **приударить палькою**//გარდავკრავ, შეშართვა, შემოჭირება, გარდაბმა. მეორე მნიშვნელობა ცემასთან არაა კავშირში, პირველი – კი. თუმცა შეიძლება „ნკეპლის გადაჭირება“.

დაცეხვა (დავსცეხუ) – დაღერლა, დაძენკა. დაძენკა (და-

ვსძენჯ) – დაცეხვა, დაბეგვა, დანაყვა (||დავსძენჯ) დაგლა, მოქლემა, ტკენა რისამე მოჭირებით. ჩვენის მხრივ დავუმატებთ, **დაცეხვა** არის საცეხველში ლომის/ბრინჯის დამუშავება, „გალენვა“. დაცეხვა სპეციალურად გამოთლილი ხით ცემაა...

ბასტანი მაღლიდამ ჩამოვარდნილის რბილის დაცემის ხმა, глухой стук.

დაბეჟვა (დავბეჟავ) ცემით დარბილება, მაგ. მკვახეთა ხილთა და მისთანათა.

კორტნა – უზრდელი ხუმრობა და ცემა ურთიერთისა ან ბლლარძენი (ერთ-ერთი მნიშვნელობაა). საბასთან **კორტნა** განმარტებულია როგორც „ხეთ მცირედ დაკოდა“. ცემის სემანტიკა ჩანს ნ. ჩუბინაშვილის განმარტებაში.

სანკები – წკეპლა საცემი რისამე... საბასთან **სანკები** სხვა მნიშვნელობითაა: „ერქვანთ მესამე ულლის ჯარნი“.

ბერტყა, ბლერტა (ვბერტყ, ვბლერტ) ქნევა საფენტა ანუ ტანისამოსთა, გინა ჯოხის ცემა მტერის გასაცევენელად.

ყურიმლის ცემა – სილის შემოკურა.

ცემის მნიშვნელობით „ვეფხისტყაოსანში“ იხმარება **გლეჯა**: თავსა იცემდეს, **იგლეჯდეს** (ვტყ. 1447,3).

გლიჯა დარტყმის მნიშვნელობით იხმარება დიალექტებშიც: „**გლიჯა**, ყბა ჩამუულო“.

ცემის შედეგი არის **დალურჯება, ღანვის გახეთქვა**... რა დავარ გაძლა ცემითა, მისითა **დალურჯებითა** (ვტყ. 580,1); პირსა იცა, **გაიხეთქა** ღანვი (ვტყ. 659,1)...

საშუალი ქართულის ძეგლების გამონვლილვით შესწავლა, ვფიქრობთ, გამოავლენს დამატებით მასალას ცემის სემანტიკური ველისათვის.

* * *

ქართულში გვხვდება ცემის სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა ნაწილი შეტანილია თ. სახოკიას ლექსიკონში – „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“,

ნაწილიც გაბნეულია სხვადასხვა სახის ლიტერატურაში თუ ცოცხალ მეტყველებაში და ძიებას საჭიროებს.

მოვიყვანთ თ. სახოკიასეულ მასალებს:

ანწუხზე აგება – უზომო ტანჯვა, წამება, გვემა. **ანწუხი** გახურებული მოგრძო რკინაა (24);

აჭრელება – ძალზე ცემა, დალებება ხორცისა სხეულზე ისე, რომ ჭრელად ჩნდეს ნაცემი და უცემი ადგილი (37);

ბდღვინის ადენა – მორევნა, დაჩაგვრა, ყველაფრის წართმევა (49). **ბრდღვინის ადენა** ცემის, ზოგადად მორევნის შედეგია.

გაბერტყვა – ცემა, გალახვა: „მაიცა ერთი, დავიმკლავო!... **გავბერტყო** თუ არა (65);

გათელვა – დაჩაგვრა, მორევა, დაზარალება, შეწუხება, შევიწროება (69);

გასახვრა – გალახვა, გვემა, ცემა, განყრომა, გაჯავრება, შეურაცხყოფა (79);

გაჩენის დღის წყევლა – ტანჯვა, წვალემა, გლოვა (84).

გაჩენის დღის წყველის ერთ-ერთი მიზეზი ცემაცაა.

განკეპლვა – შერცხვენა, ლაფის დასხმა თავზე (86), იგივეა, რაც **გაჯოხვა** (88).

გველივით აჭრელება – მეტისმეტად ცემა, დალურჯება ტანისა ცემისაგან... (90);

გვერდების დაზელა – დარტყმა, ცემა, გალახვა, დაჟეჟვა (92);

დაზურგვა – მაგრად ცემა, ძალზე ცემა: წადით ახლა, ის გლეხი მამგვარეთ, ძალიან **დავზურგო** (ანტ.) (128).

„დაზურგვა“ პირდაპირი მნიშვნელობით ზურგის აჭრელებაა, ზურგზე ცემა.

დალილავება – ცემა, დაჟეჟვა, გალახვა ზომაზე მეტად (130);

დასისხლება – მეტისმეტად ცემა, საშინლად ცემა (139);

დაჯახება – ერთიმეორის საწინააღმდეგოდ ამხედრება, გადაკიდება, მტრობა, შუღლი (147);

დედის ხსენს გარწყვეინებ – ისე გცემო, რაც გიჭამია, მუცელში არაფერი შეგრჩეს (153);

ზურგზე ბოლის ადენა, ზურგზე ბოლის აყენება – ჯობნა, მორევნა, დამარცხება (213);

ზურგზე ტყავის აძრობა – საშინლად, უწყალოდ ცემა, გვემა, ტანჯვა, წამება (213);

ზურგი ხომ არ აგექავა? – ცემა ხომ არ გინდა? (214);

თავზე ჯოხის გადამტრევა – ძალზე ცემა, შეურაცყოფა, სირცხვილის ჭმევა, დაბრეყება, აგდება (226);

თითის დანება – ცემის, ტკენის, ფიზიკური სიმწარის განცდევინების განზრახვა (272);

კაბდოს გადავლება – დაფშვნა, გასწორება, გაცამტვერება, გაოხრება, არაფრის შენარჩუნება, დალუპვა, მიწასთან გასწორება (300);

კბილებში ოფლი ადინა – ცუდი დღე დააყენა, საქმე გაუჭირა, დააზიანა, სცემა, უმტრო (321);

მოჩექმვა – ცემა, გალახვა, შეურაცხყოფა (425);

მუშტი – ძალა, ღონე, საცემარი იარაღი, მუქარა (432);

ოთხში ამოღება – დიდი გაჭირვების მიყენება, ტანჯვა, წამება, მოკვლა (473).

„ოთხში ამოიღო“ იტყვიან, ცა ვინმე ვინმეს ძლიერ სცემს; და იტყვის გამარჯვებულის მხარე.

ორი შოლტი ტყავი ააძრო – ძალზე სცემა (476);

პანღურის, პანჩურის ამოკვრა – დიდი შეურაცხყოფა, ხელის აღება, გალანძღვა, უარის თქმა (485). იგივე მნიშვნელობისაა პანღურის წვენვა (485), პანღურის ჭირება (485), პანჩურის ჭირება (486);

პრისტაული – მაგარი, დაუზოგავი სილა, უწყალოდ ცემა (504). სიგანე სიგრძედ უქცია//რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიბრტყე მისცა (571), ძლიერ ცემა.

სიკვდილზე მიყვანა – სიკვდილთან მიახლოება (ვისიმე) (572): „მაგრამ ქოსა არ მოეშვა, იმდენი სცა, სიკვდილზე მიიყვანა“ (ორბელიანი, 1949).

სილა აჭამა – შეურაცხყო, გალანძღა, შეარცხვინა, დაამცირა... (475).

შენიშნავთ: აჭარულში **სილლე** (სილა) **აჭამა** „სილის გარტყმას“ ნიშნავს.

სიქა გააცალა – საშინლად გვემა, მძიმე ტვირთისგან წელში განყვიტა, გაჭირვებისაგან ადამიანის სახე დაუკარგა (585);

სულთა ამოხდენა – უზომოდ ტანჯვა, მოკვლა, მოსპობა, წამება (593), უღმერთოდ ცემა (638).

შენი ფეხი დამკარ თავში – შენ მიერ ვიყო დამარცხებული, მორეული, ნაცემი (751).

საინტერესო ფრაზეოლოგიზმია, რომაც ჩემს სოფელში, ორთაბათუმში გაგონილი ერთი ამბავი გამახსენა (რეალური ამბის მოქმედ პირებს შეგნებულად ვცვლი): არცთუ ისე ძველად ჩაქველი და ყოროლისთაველი (ორთაბათუმის თემში ზემო სოფელია) სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულან. სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, „თოფიც გავარდა“... ორივე მხრიდან. ჩადგნენ შუაკაცები, დაარიგეს მომდურავები: „ჩემს ახლოს გავლილი არ ვნახო“, „თვალით არ დემენახვოს, მე არ მოვძებნი“ – მოითხოვა ყოროლისთაველმა. დარიგდნენ. გამოხდა ხანი. ჩაქველი პატიოსნად ასრულებდა პირობას (მტრობას თავისი წესები აქვს, მოწინააღმდეგე უნდა დააფასო, არავინ გაპატიებს პირის გატეხას). ერთხელაც, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, გასული საუკუნის 50-იან წლებში, როცა მტირალაზე სამანქანე გზა გააჭყვდათ და იქ აწყობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტს, მშენებლობაზე კოლმეურნეებიც მუშაობდნენ მორიგეობით. ჩაქველის რიგიც მოვიდა, გაიწვიეს გზაზე სამუშაოდ. ყოროლისთავეში უნდა გაეველო, რაც პირობით ეკრძალებოდა. ჩაქველმა შეუთვალა მეტოქეს: ნება დამრთე, გავიარო შენს სოფელში და გზაზე სამუშაოდ გავიდეო (მტირალას გზა ყოროლისთავის გავლით კეთდებოდა). ესამოვნა ყოროლისთაველს მოწინააღმდეგის პირის არგატეხა და ისიც, რომ ამდენი ხანი პატიოსნად ასრულებდა პირობას და შეუთვალა: გაიარე, „გინდა თავზე ფეხი დამადგი, არაფერს გერჩიო“... მტრობაც ამით გაათავეს.

შეჭამანდს მოფუხარშავ, ირონიულად: ვცემ, გავლახავ, დავემუქრები (761);

ჩხუბის გაშლა – წაჩხუბება, ჩხუბის ატეხა (791);

ცხვირიდან ძმარი ადინა – საშინლად სცემა, თითქო ცხვირიდან სისხლი ედინებინოს (820);

ცხრა შოლტი ტყავი აძვრა – მთელი ტყავი მოშორდა ტანს, მეტად დაიტანჯა, ძალზე დაისაჯა. „ერთი ისეთი დაარტყა, ცხრა შოლტი ტყავი ასძვრაო“ (828);

წვენევა – გაჭირვების ნახვა, წვალეების განცდა, ცემა-ტყეპა, მოხვედრა ხელისა (862);

წიხლის კვრა, წიხლქვეშ გაგდება – ცემა (871);

ჭიტლაცის ამოკვრა (893);

ჯორის ტლინკებივით მიყრა – ხშირად, ზედიზედ დარტყმა, სხაპასხუპით ლაპარაკი (955);

ჯოხი – საცემი იარაღი. უფროსობის, სხვისი დასამორჩილებელი ნიშანი (955);

ჯოხის აკიდება – ჯოხის მოხვედრება, ცემა (955).

ფრაზეოლოგიურ ერთეულში კონკრეტული ფაქტია განზოგადებული და გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი; შედეგად მისი თავდაპირველი მნიშვნელობა ხშირად დავიწყებულია.

თ. სახოკიასეულ ფრაზეოლოგიზმებს შეიძლება დავუმატოთ:

დამჟავება – მაგრად ცემა, მიბეგვა;

ზიარება – ცემა, გალახვა;

ზურგზე ხაშრის გადამტრევა: „მოთიკო, მოდი, არ უნდა გცემო, ხაშარი'და გადაგამტრიო ზურგზე, ნუ გეშინია!“ (ორთ.);

ცხვირის ამონაყვა//მონაყვა – ცემა;

გათელვა – ცემა;

ლუკმად არ მეყოფა – გავლახავ, ვცემ გაუჭირვებლად...

მოჩეჩქვა//დაჩეჩქვა – ცემა, მიტყეპა;

დედის ხსენს არ შევარჩენ – ძლიერ ვცემ;

ლავაშივით გაბრტყელება – ძლიერი ცემა;

დავშლი პანჩიკოის გარმონივით – ვცემ, მივასიკვდილებ (ორთ.)...

საცემრად გაწევა მუქარაა, რომელსაც გამონწვევაც ახლავს საპირნონედ:

თითსაც ვერ დამაკარებ – ვერ მცემ;

ფეხებსაც ვერ მომჭამ – ვერ მცემ, ვერაფერს დამაკლებ...

ცემის სემანტიკას სხვა ფრაზეოლოგიური ერთეულებიც შეიცავს, მაგრამ მოყვანილიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ უყურებდა ქართველი კაცი ცემას, ფიზიკურ ზემოქმედებას.

* * *

ცემის სემანტიკა მრავალფეროვანია ქართული ენის დიალექტებში. წარმოვადგენთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ცემასთან დაკავშირებულ ლექსიკას ქართული კილოებიდან, რომელიც მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც აღნიშნული სემანტიკით იხმარება ცოცხალ მეტყველებაში.

სკმა – ცემა, გალახვა:

აჭარული: გაბუცდი, თვარა იმდონ **გისკვამ**, იმდონ, რომ ღვანთქებ იგიყენებ ზრუქში (ნიჟარაძე, 1971:231); შენ ვინ გეკითხება, თავის შვილს **უსკვამს** თუ მიეფერება (იქვე)...

შავშური: ჯოხინა **მუუსკვა**... (ბაზგ.);

იმერული: **დაასკვამს** – დააბერტყებს, დაანყვეტებს, დაანარცხებს (ქავთარაძე, 1963:129); **ვუსკვამ**, მარა ამდენი **სკმევაც** არ შეიძლება (იქვე, 149)...

„ტრიტავს“ – სცემს, მიარტყამს:

იმერული: რო **სტრიტა** ცხვირ-პირში, სულ ვაი-დედა აძახა (ქავთარაძე, 1963:149).

გასილაქება – სილის (თუ სილაქის) გარტყმა შდრ. აჭარული **სილლე შემოკრა**...

იმერული: **გაასილაქებს** ერთი მაგრათ და ასწავლის ჭკუას (ღლონტი, 1984:136).

მოუთრევს წელს, ჭაჭებს. იმერული, გადატ. ძალიან დაარტყამს, ფერდებს ჩაუქცევს (ქავთარაძე, 1963:142).

წყვედვა – მაგრად გარტყმა (სილის).

აჭარული: ხომ არ გინდა, **გწყვიდო** ყურიძირში (ნიჟარაძე, 1971:421); **სწყვიდა** ყაძახმა ყურისძირში... (ქობ.);

ჟეჟვა, ჟენჟღვა – ცემა, გარტყმა:

იმერული: რო **გჟენჟღავ** აქიდან! (ქავთარაძე, 1963:146);

ჟვერებს – გაარტყამს, გაანწავს, სილას გაუშლის:

აჭარული: რას ატეხილხარ, ხომ არ გინდა **გჟვერო** ყურისძირში (ნიჟარაძე 1971:301); „ჟვერი“ შ. **ნიჟარაძესთან** განმარტებულა, როგორც ჭოკი, ხალა, ხაჭა (იქვე). **ჟვერით ცემას** აჭარაში **ჟღვართუნსაც** ეძახიან, რაც ნიშნავს: ჯოხით ცემს, ცემით ზურგს უჭრელებს, ნკეპლავს (ნიჟარაძე, 1971:136). შდრ. იმერულში **ღვედით ცემას** „გადაღვედებას“ ეძახიან (ლლონტი, 1984:111).

აჭარაში „სილას“ **სილღეს** ან **შამარს** ეძახიან, **სილის განვნას** კი – **სილღეს შემოკრას** ან **დაშამარებას**: ერთი წამონევა წამეფნია ჩემზე, მარა ბოლოს რომ **გუუშალე შამარი**, ორ საჰათ ადგილზე იზღრიალა (ნიჟარაძე, 1971:279).

ასეთი საუბარი მოვისმინე ჩემს სოფელში: ასაკში შესული მამაკაცი მოგვითხრობდა თავისი ახალგაზრდობის ამბებს: პავილიონში (სოფლად ხილის მიმღები პუნქტი საბჭოთა ეპოქაში) ვიყავი, უბნის რწმუნებული მოვიდა, ამიხირდა, მოვუთმინე, მეტი მუუვდა, **შამოვკარ შამარი**, წაშპა ქუდი, იზღრიალა, იზღრიალა... ისე არა, კარაღავ (დაიმონმა მისი თაობის მამაკაცი).

– რაცხა წამეტარი უბზღრიალია! – უპასუხა გაკვირვებულმა მეზობელმა (ორთ.).

იმერულში დასტურდება **ჩამდღვევა** (ჩაუმდღვევს, ჩაემდღვევა, ჩამდღვეული) – ცემით გვერდების ჩაცვენა, დავარდნით გულ-მუცლის ჩაცვენა: იმდონი უსკვა, რო სულ **ჩაუმდღღია** გვერდები (ქავთარაძე, 1963:155).

ჩამდღვევა ცემის შედეგია.

ტყლიჟვა – სილის გარტყმა: მომეცი ჩემი ქუდი, თუ არა **ქტყლიჟავ** (ქავთარაძე 1963:149).

წელის მოთრევა, გადატ. ძალიან დარტყმით წელში გატეხა

(ქავთარაძე, 1963:157);

უბლაყუნებს – ურტყამს, სცემს, რაც ძალი და ღონე აქვს: მოჯამაგირობაში დილიდან სალამობამდი თოხს **უბლაყუნებდა** სხვის ვენახში (ქავთარაძე, 1963:150). შდრ. აჭარული **ბაყუნი (უბაყუნებს** თოხს, გადატ. **ცემს** შეუბრალებლად).

როფვა (როფავს) - მაგრად და ხმაურით დარტყმა: დეინყე-თქვა, გეუბნები, თვარა მისანას **გროფავ** მაგ თავში რომე... (ქავთარაძე, 1963:146). შდრ. გურული: იცოდე **გიგროფავ** თავს...

ქიზიყური: გაზვევა – გატყევა, მაგრად ცემა, **გაზეპილი** – გატყეპილი (ლლონტი, 1984:115)...

საინტერესო ჩანს **გალაპუნება**, რაც ნიშნავს „სილის შემოკვრა შეურაცმყოფელად“ (ლლონტი, 1984:120). ამ განმარტებაში ერთი გაუგებრობაა, სილის შემოკვრა, თავისთავად შეურაცხყოფაა და განმარტებაში გამოტანა არაა საჭირო; სხვაგვარად, **გალაპუნება** შეურაცხყოფის გარეშე არ არსებობს.

გატოშვა – ცემა, სილის განწვნა (ლლონტი, 1984:137). **გატოშვა** დასტურდება ხევსურულში, შესაძლოა – სხვა კილოებშიც, მაგრამ არ ჩანს იგი დასავლურ კილოებში...

ყურადღებას იქცევს ცემის აღმნიშვნელი ასეთი ლექსიკა აჭარულიდან:

უბრაგუნებს: ცემს, მიბეგვავს, უთაქებს, ზურგს უჭრელებს: „მასე გამეტებით რომ **უბრაგუნებ**, უპატრონო ხომ არ გგონია მაღ ბალანა?“ (ნიჟარაძე, 1971:333);

უბაზუნებს – ცემს, ბეგვავს, ზურგს უჭრელებს, როზგავს: „დილიდან სალამომდე რომ **უბაზუნებ**, მასე ბალანა გეიზდება?“ (ნიჟარაძე, 1971:333);

ფუფქება – ჩარტყმა, ჩაკვრა (თავში), თაქება: „მიეპარა უკნიდან და **ფუფქა** თავში“ (ნიჟარაძე, 1971:349);

მიბრეგვავს – მიბეგვავს, მიჟეჟავს, დაბეგვავს, მიტყეპავს: ძალღმა უთხრა მელსაო, /**მიგბრეგვავ** ზურგ ზსაო (ნიჟარაძე, 1971:260);

მიაბგლევიებს – თავს მიაბგლევიებს, თავს მიახვლევიებს, მიატყმევიებს... (ნიჟარაძე 1971:254). შდრ. **თავი გლაჲ შენი**

(ფრაზეოლოგიზმი).

მოფექშვა – 1. მოფშენა, დაფშენა, დაფხენა, დანაყვა. 2. გა-
დატ. მიბეგვა (ნიჟარაძე, 1971:268). ორივე მნიშვნელობა ცე-
მასთანაა კავშირში, სხვაგვარად ორივე მოქმედება ცემით
სრულდება. გვხვდება ასევე სახელზმნა – **მოფექშვილი** – ნაცე-
მი (იქვე);

მოფხვა – ცემა, მიბეგვა, მიბეჟვა ... „ბოლოს ველარ მეი-
თმენს, მეიმწყრევს ფეხქვეშ და კარგა **მოფხვავს** (ნიჟარაძე,
1971:269); ისეთ **დაფხვა** დათვმა ჩვენი მურადაა, რომ სიკდი-
ლის პირზე მიაგდო (ნიჟარაძე, 1971:269);

რეხვა – მირტყმა, დაკვრა: მეიტანა და პირდაპირ პოლზე **რე-
ხვა** გააყრევია (ნიჟარაძე 1971: 303). შდრ. მიეპარა უკნიდან და
რეხვა თავში ქვა... (ორთ.);

რეკა – ჯოხის ცემით ან ხის დარხვეით ნაყოფის ძირს ჩამო-
ცვენა, ბერტყვა; კაკლის **რეკა** – კაკლის ბერტყვა (ნიჟარაძე,
1971:3303).

შეგნიშნავთ, რომ **რეკა** გადატანით გარტყმასაც ნიშნავს:
ახლა წედი თვარა... **გრეკე** (ორთ.);

ჟღვერთა – დაახეთქა, დაანარცხა, ზღართანი გაადენინა; მა-
გრად გაარტყა, გაუშალა, გაანნა (ნიჟარაძე, 1971:302); გვხვდე-
ბა ასევე **ჟღვართდამიცა** – გარტყმის, გალანუნების მნიშვნე-
ლობით.

უზაპუნებს – მაგრად ცემს, ზურგს უჭრელებს, ლაზათიანად
სცხებს, უტყლაშუნებს (ნიჟარაძე, 1971:334): გეძარს გამეძარს
უზაპუნებს, ქირდათ იღებს...

წუშულაკუნებს – წაუტკაცუნებს: „მიეპარება უკნიდან და
პოპლიკა თავზე **წუშულაკუნებს**“ (ნიჟარაძე, 1971:420). **წაპლა-
კუნება**, ქვემოაჭარულში მაინც, წკიპურტის ან ბლიკვის მსუ-
ბუქად წარტყმას ნიშნავს.

მინისქვილება – გად. მიბეგვა, მიბეჟვა: „რის პატივება, პირი-
ქით, ერთი კარგა **მინისქვილა** კიდეც“ (ნიჟარაძე, 1971:254);

მისკმა – მირტყმა, მიხლა, მიხეთქება (ლლონტი, 1984:364):
„სულ თავი **ასკმევია** კედელზე მამამისმა სალამოს“;

ძაგუნი – დარტყმის ყრუ ხმა, ბრაგუნი (ლლონტი, 1964:683).

ჭიჭყვა – შემოკვრა: „მე თუ **მჭიჭყავ**, მეც **გჭიჭყავ**, ბა“ (ჯაჯა-
ნიძე). აჭარულში **ჭიჭყვა** „შემოკვრის“ მნიშვნელობით უცხოა.
ჭიჭყვა სხვა სემის მატარებელია, **ჭყლეტას** ნიშნავს: „რამდენი
გაკვეთილი გქონდა? ოთხი! ქართული, არითმეტიკა, ფიზიკულ-
ტურა და ... იგი, **ჭიჭყვის** გაკვეთილი, პლასტიკის **გვაჭიჭყია**
მასწავლებელმა“;

ბაზა-ბუზი – ცემა, ბეგვა, ბეჟა, ჟეჟვა, ცემა-ტყეპა. იხმარება
ბაზუნიც (ნიჟარაძე, 1971:120)...

გაბტყელება – ძალიან მაგრად ცემა: „გაეთრიე აქედან... თვა-
რა ერთს ისე **გაგაბტყელებ** რომ...“ (ნიჟარაძე, 1971:116);

მიბუჯალება – გად. ცემა: „ხელის შემოკრა მასე არ უნდაო,
ახლა იქით შუბრუნდა და ჰიდამდი კარქა არ **მიბუჯადა** ერ
ხუნტყეში, ისე აღარ მოშორდა“ (ნიჟარაძე, 1971:254).

ბუჯალი – კუთხე, მიბუჯალება – კუთხეში მიგდება.

აჭარაში ცემენ უპირველესად ხელით: **შამარი, სილა||სილ-
ლე, მუშტი||ჯილი, ბლიკვი...** ზოგჯერ საცემად „**იარაღსაც**“ იყე-
ნებენ, კერძოდ:

ზოფა – ჯოხი, წკეპლი: „ცოტა ჭკვას დუუხმე, თუარა, უყუ-
რებ ამ **ზოფას**?“ (ნიჟარაძე, 1971:201). აჭარაში გაიგონებ ასევე
ზოფა ჭამა, ზოფა აჭამა (=ჯოხი, წკეპლი (წყლეპი) აჭამა), გად.
ცემა, გალახა. „გუშინ რომ იჩინგნა, იმიზა ჭამა წუხელ **ზოფა**,
შვალამემდე სლუკუნებდა“.

გარგანი (<არგანი) – ჯოხი: გუდუუჭირა ბაბამ ზრუგში **გა-
რგანი...**“ (ორთ.);

საზორავი – საცემი, გასალახავი, გად. საფშენელი (სიმინდი,
ლობიო): „კარქა რომ გახმება **საზორავი** ლობიაა, მემრე ტაკვე-
ცით გამოვფშნით, გამოვზორავთ (ნიჟარაძე, 1971:307). „გამო-
ზორვა“ „ცემა“ საზორავი ჯოხით.

ლავაში გად. სილა: „შენ მიდღემჩი ჩიფთელი რატომ ხარო, და
ტკლიცა ლავაში (ნიჟარაძე, 1971: 235): „ისეგავ **ლავაშზე**‘და
გევდეს საქმე“ (ქობ.); გაანთო ყურისძირში **ლავაში**, ნააქცია
კაცი (ფუტყარაძე, 1993:491).

სილლე – სილა: „გეისვა **სილლე**, ვინ ვის გაასწერებდა...“ (ორთ.).

ტოკვეცი, ტაკვეცი, ტარაკვეცი – ოდნავ მოლუნული მსხვილთავა კეტი (ნიჟარაძე, 1971: 346); „ტოკვეცი“ ლობიოს ან სიმინდს დაფშენიდან, ზოგჯერ მოწინააღმდეგესაც უთავაზებდნენ...შდრ. „**ტაკვეცი** – კომბლის მსგავსი კეტი, რომლის ცემით ფშენიან ტაროდან სიმინდს“ (ფუტყარაძე, 1993:573). ტაკვეცი ადამიანების გასალახადაც უხმარიათ: გუუსმია მეგერ ალა-ბიძას **ტაკვეცი**... ვინ ვის გაასწერებდა, ერთი გენახა'და, რაფერ გარბოდენ?! (აგარა);

ჟეჟვა – თელვა, სრესა, დარტყმა: იმფერი **ჟეჟვა**, მიდღემჩი არ დეჟინყევს (ორთ.).

მუუჟღვართუნა – ჯოხით ან ქამრით ცემა: „იმფრა **მუუჟღვართუნა** კანჭებში, რომე ბალვი ძალლივით აყვირა“ (ფუტყარაძე, 1993:518)...

დააბგლევიებს – თავს დააბგლევიებს, თავს დაახლევიებს, თავს მიახეთქებინებს: „ჰიდამდი თავს არ **დააბგლევიებს**, მარობამდი ვერ მეყოლიებს მის ჭკვაზე“ (ნიჟარაძე, 1971:152);

გუუშაჭებს, გად. გაანწავს, გაარტყამს: „დარტყმა ისე არ უნდა-მეთქინ და ახლა მე შუუბრუნდი და ისთე **გუუშაჭე**, შენი მოწონებული“ (ნიჟარაძე, 1971:151);

დაზორვა – ცემა, გალახვა: „უნცროსი ყველაზე უმფრო ჩინგანა იყო, ჰიდამდე დედამისი კარქა არ **დაზორავდა** მას, მარობამდე არ გაბუცდებოდა“ (ნიჟარაძე, 1971:157);

დასკმა – დარტყმა, დაკვრა, დახლა: „მიერე **დასკმაზე** აღარც ამდგარა ფეხზე, ისთე ჩეიკეცა“ (ნიჟარაძე, 1971:167);

დღღეზა (||დღღიზა) მოწყვეტით, მძიმეთ სწრაფად დავარდა, დაანარცხა, დაახეთქა, რაიმე დააგდო (ნიჟარაძე, 1971:186); **დღღიზა** დარტყმასაც ნიშნავს (შდრ. გლიჯა): იმფერი **დღღიზა**... ყბა ჩამუულო (ორთ.).

მარილივით გახდის: დანაყავს, დაბეჟავს, დაბეგვავს. გად. ძალიან ცემს, ცხვირ-პირს დაუჩეჩქვავს, დაბეჟავს, ნიორწყალივით გახდის (ნიჟარაძე, 1971:242);

დათეთქვა//მოთეთქვა – მაგრად ცემა: „ოსმანამ ზებურაჲ იმფერი **დათეთქვა**, სახში ძლივს ნევდა ნაცემი“ (ორთ.); მაგას კარქა **მოთეთქვავე**, მოვათერბიელეფ (იქვე).

მოდება – შემოკვრა, სილის გარტყმა, მუშტის ცემა: „იმფერი **მუადვა** ყბაში...“

დალეღვილი – ნეცემი, დალილავებული: „ბალანა **დალეღვილი** ამოვდა სახში, ვინ ურტყა ნეტაჲ?“ (ყორ.);

ზოფაში მოკლა, გად. ძლიერ ცემა: იმხელა ინათიანია, **მოკვალ ზოფაში**, მაინც ვერ ვათქმე, ვინ გუუჩინა ტყეს პაჟარი (ყორ.);

დაჩეჩქვა – ძლიერ ცემა: ჯერ **დაჩეჩქვა**, მერე თოვბე ათქმე-ვია, მეტს აღარ ვიზამო“ (ყორ.);

შამარის შემოდება – სილის განწა: დირექტორმა გაკუჭტა, რატომ არ იცით გაკვეთილიო, ბიჭებს თითო **შამარი შემოგვღვა** (ორთ.);

„შამარი“ ნასესხები ჩანს თურქულიდან (şamar), იგივეა, რაც „სილა“.

გალანუნება – სილის განწა.

მოსრაგნა – გად. ფეხით გათელვა, ცემა ფეხით/ფეხის: ბაღნები მუუხტენ, ყველაჲ **მოსრაგნეს** მათ ეზოში... (ყორ.);

განათება – სილის გარტყმა (სახეში):

ვერაფერი მუასწარით, ისე უცფათ გუუნათა (იქვე);

აჭარულში გვხვდება ცემის აღმნიშვნელი სიტყვათშეხამებანი, რომლის მეორე ნაწილი არის **მიცა//მიცემს**. ჩვენ ვთხოვეთ რამდენიმეს გაეხსენებინათ სოფელში გაგონილი ასეთი გამოთქმები. მოვიყვანთ ერთ-ერთის სახელდახელოდ ნათქვამს: **ბათქდამიცა, ბაზდამიცა, ბანგდამიცა, ბრაგდამიცა, ბრახდამიცა, გვანდამიცა, გლაჯდამიცა, დრაგდამიცა //დრანგდამიცა, დრახდამიცა, დღლაზდამიცა, ზაპდამიცა, თქაშდამიცა, თხრაშდამიცა, ლანდამიცა, პაკდამიცა** (მოტლეპილ თავზე ნკიპურტი), **ჟრაჭდამიცა, ჟღვართდამიცა, რახდამიცა, რაკდამიცა, ტაკდამიცა** (ფანჯრის მინაზე ქვა), **ფათხდამიცა, ფაქშდამიცა** (თავზე გოროხი//გორმეხი), **ფრანდამიცა, შლაჭ-**

დამიცა (გადაუშლაჭუნა ნკეპლი), **ძნაყდამიცა**, **წყვადდამიცა** (სილლე), **ჭაჭყდამიცა** (ცხვირში ჯილი), **ხათქდამიცა**, **ხრანგ-დამიცა** (ჯოხი და გააჩეჩა ნიგოზი), **ჯახდამიცა...** (ზურაბ შა-შიკაძე, მაჭახელი).

ოცდაათამდე ერთეული გაიხსენა მთქმელმა სახელდახე-ლოდ. თუ მოინდომებდა, თავს ძალას დაატანდა, კიდევ შეიძლე-ბოდა რაოდენობის ზრდა. ჩამოთვლილი კომპოზიციები უმეტე-სად ხმაბაბაძვითი სიტყვებია: **რახ**, **ჟღვართ**, **პაკ**, **ბათქ**, **ბაზ...**

„ცემენ“ მუჭაჯირებიც. და ცემენ ისე, როგორც საუკუნის წინათ – აჭარაში, ბათუმ-ქობულეთში თუ მაჭახელსა და კლარ-ჯეთში მათი წინაპრები:

მორეგვავს – ჩაჩეჩქვავს, ჩაზელს, ჩალესავს: „ჩემი ნენეა ლობიას, ფხალსა შესუნელებამდე **მორეგვავს** (ფუტკარაძე, 1993:511). ფხალს, ლობიოს ახლაც **მორეგვავენ** ხოლმე აჭარა-ში ლაფერაით. გად. გალახავენ.

ბლიკვი – ხელით დარტყმა, მუშტი: „რომ დაადვა ბალვსა **ბლიკვი** ყურისძირში, გააგორვა გაღმა“ (ფუტკარაძე, 1993:400). უფრო ზუსტად, აჭარულში „ბლიკვს“ უნოდებენ მუშტში წამო-წეულ შუა თითს; თავში ჩაკრავენ ხოლმე გამბრაზებულს: „იმ-ფერი **ჩაბლიკვა** მასწავლებელმა, ბალვმა თვალიდან ნაპერწკ-ლები დაყარა“. ოდნავ განსხვავებულია საბას განსაზღვრება: „ბლიკვი – ცერა თითების ქვეშ დაპყრა და ეგრე სცემა“ (ორბე-ლიანი, 1949; შდრ. ჩუბინაშვილი ბლიკვი – ქისტი).

თხრაშდამიცა – დაარტყა, ცემა: „**თხრაშდამიცა** ბალვსა საყ-დომზე, ერთი გინდა თუ ორი“ (ფუტკარაძე, 1993:472).

მუჭაჯირების შთამომავლებმა დღესაც იცინან:

ჟღარტი ვულ. მუშტი; **ჟღვართუნი** – ჯოხით ან ქამრით ცემა; **ჟღვერტა** - „ერთი იმფერი **ჟღვერტა** ყური ძირში, რომე აანუნუნა (ფუტკარაძე, 1993:422).

დაამქაშებს – დაფეჟავს, ცემს: „ახლა ნეზექეთას **დავამქა-შებ**“ (ფუტკარაძე, 1993:422).

შეწინშნავთ: მშვენიერი სიტყვაა **დამქაშება** – ცემის მნიშ-ვნელობით, მაგრამ საინტერესოა, რომელი დიალექტის კუთვ-

ნილებაა იგი. ქ-ნი შუშანას ჩანანერებში მითითებულია ინეგო-ლი (ინ.), რაც გვაძლევს უფლებას დავუშვათ, რომ აღნიშნული სიტყვა ან კლარჯულია (ქ-ნ შუშანას მიხედვით – ლივანური), ან აჭარული, უფრო კლარჯული ჩანს.

ზაპდამიცა – გამეტებით დაარტყა: „იმხელაზე **ზაპდამი-ცა** ბალვსა, წინწკლები დააყრევია თუალებიდან“ (ფუტკარაძე, 1993:433);

დაფეხვა, ვულგ. ცემა: „ამელამ ქალი არ **დაფეხვოს**, მეშინია“ (ფუტკარაძე, 1993:429); შდრ. აჭ. **დაფეხვა**, **დაფექშვა**, **მოფექშ-ვა** (ცემა): გელახენ, მაგრათ **დეფეხვენ**, ჭკვა ვერ ისწავლენ (ორთ.); დათვმა **დაფექშვა** მაგის ბაბაჲ ყანაში... (ორთ.); **მოფექშ-ვა** ზავალი, ლეკერტები ადენია ცხვირიდან (ორთ.)...

მოჯლაგნის – ფეხებით გათელავს, შეუბრალებლად მოექცე-ვა, დაამცირებს: „აჯელზე შევა და ჭალას **მოჯლაგნის**“; „ქალ რამეს კითხავს თუ, **მოჯლაგნილი** არ ყავს ზავალი?!“ (ფუტკა-რაძე, 1993:514)...

სილლე (sille) სილა: „გაანთო **სილლე** ყურისძირში იმფრა, რუმ ყურმა წუნუნი დეინყო“ (ფუტკარაძე, 1993:565);

ჯინქვი – ნიდაყვის კვრა, ბიძგი; **ჯინქვა-ჯინქვით** - ნიდაყვის კვრით, ჯიკაობით, ხელის კვრით (ფუტკარაძე, 1973:685).

„ნიდაყვის კვრა“, „ჯიკაობაც“ ცემის სახეობაა.

ხრესს – ფშვნის, სრესს, თელავს (ფუტკარაძე, 1993:658). გად. ცემს, ძლიერ ცემს. „ჭკვაზე მოვდეს მაგი, თვარა შევხდები სადმე და **დავხრეს** გემოზე“ (ორთ.).

წყვიტა – ვულგ. გაარტყა, სილა გაანნა: „იმხელაზე **წყვიტა** ყურისძირში, რომ გააგორვა ძირში“ (ფუტკარაძე, 1993:658); შდრ. **სწყვიტა** ახმედ ბუძიემ ყურისძირში ყაზახს... (ქობ.)...

წუუტაქსუნებს – ვულგ. **წაარტყამს** თავში (ფუტკარაძე, 1993:658);

წუუბლაკუნებს – ვულგ. წაარტყამს თავში (იქვე);

უბრაგუნებს – ურტყამს, ურახუნებს, ცემს: „ხანდახან **უბრა-გუნებს** ბალვებსა“ (ფუტკარაძე 1993:632);

უბაქსუნებს – მაგრად სცემს, ურტყამს, ბეგვავს: „სულაც არ

ეცოდება ბაღვები, უბაქსუნებს და არი, ანალული გეგონება“ (ფუტკარაძე, 577);

დაასკვამს – რაიმეზე დაარტყამს, დასცემს: „მუხლი დაასკვა მეგემ ქვაზე“ (ფუტკარაძე, 1993:423)...

მუჭაჯირები ცემდნენ ხელით (სილლე, შამარი...), ტაკვე-ციოთ, ფეხით... ცემდნენ ჩივთალ//ჩივთელ (cifteli) ჩხუბისთავებს.

ცემენ შავშეთშიც შავშელები ერთმანეთს თუ სხვას, ცემენ და ცემით საქმობენ.

დაქოლავს – ცემს, ქვებს დააყრის, ქვებს ესვრის: „აგზე დათვმა დაქოლა იხტიარი სადილ უკან“ (ფუტკარაძე, 1993:429). შდრ. ჩაქოლვა (<ჩაქვალვა).

ჟვერავს – ბალახს თელავს, ფოთლებს აცლის ტოტებს, დაუნდობლად ექცევა გარემოს: „ბალვი ჩასულა და ჟვერავს ბოსტან“ (ფუტკარაძე, 1993:545). გად. ცემს.

ჟვერვა ცემის სემანტიკით გვხვდება აჭარულშიც.

ჩაასკვამს – ჩასცემს, ჩასცემს: „დაქსელილ ძაფში ჩაასკვამს ქირქითსა“ (ფუტკარაძე, 1993:634);

მუუბაზუნებს – ჯოხით ცემს: „შქერებ დაგლეჯდა და მოგვიბაზუნებდა“ (ფუტკარაძე, 1993:518);

თექლიქი (teqlik), ჟარგ. ჩანჩხლვა, ფეხის ჩარტყმა (ფუტკარაძე, 1993:467);

მიჯინქვა – ნიდაყვი გაკრა, უბიძგა, ანიშნა: „ბალვი მიჯინქვა იქით-აქეთ, გააფხიზლა“ (ფუტკარაძე, 1993:508);

ზარფა (არ. zarf-დარტყმა, ცემა) – ძლიერად დარტყმით: „წყალი ზარფა მიცეს“ (ფუტკარაძე, 1995:457);

დაზორავს (სპ. zor) დანაყავს, ტაროს მარცვალს გააცლის (ფუტკარაძე, 1993:425). შდრ. აჭ. საზორავი.

ცემის აღმნიშვნელი საინტერესო ფორმები ჩაუნერია მურად შაჰინს (ძნელაძეს), მაჭახლელ მუჭაჯირთა შთამომავალს, მაჭახლელებისაგან უნიეში:

უბაზუნებს – ცემს, ურტყამს: „გეჰარ-გამეჰრს მიბაზუნებს“;

ჩენგეზე არტყმა: „ამარტყი ჩენგეზე, დამანახვიეო“;

დაჟღვერა: „ხოშკაკალმა სიმინდის ფურცლები დაჟღვერა ქლათ“;

აქ დაჟღვერა (//დაჟღვერვა) ცემის შედეგია.

დარტყმა: „რა ბეთათ დაარტყა ბალანას“;

დაფშნა: „მამაშენ უთხარ, სიმინდი დაფშნას“. შდრ. დაფშნა - ცემა;

დანაყა: „ნიორი დანაყე და მომე“. შდრ. დანაყე – ცემე: „მიდი და მაგრად დანაყე“.

დუტაკუნა (sic): „გარგანი ძირ დუტაკუნა“; „რომ არ დუტაკუნოს რაჰათ ვერ იქს“.

ტაკუნი – ცემის ხმაა.

კლარჯული:

დაფექშვავს – დაამტვრევს, დანაყავს: „პური კაკალ დიბეგში დაფექშვავთ“ (ფუტკარაძე, 1993:429).

ტაოური:

გაზლიპვა – ცემა;

გატყეპვა – ცემა...

გურული:

ჭყვერთება – მაგრად დარტყმა ჯოხის ან მათრახისა: სჭვირთა სახრე, გადაუჭირა, გადაჰკრა სახრე (ლლონტი, 1984:733). შდრ. აჭ. ჟღვერთება.

ჭახუნი – რტყმევა, ცემა (ლლონტი, 1984); ჭიქების ერთმნეთზე მირტყმევა (ბერიძე). ორივე მნიშვნელობა ცემასთანაა კავშირში.

წყვიდინი – გამეტებით ცემა მოქნეული საგნით (ლლონტი, 1984:714). შდრ. აჭ. წყვიდა//წყვიტა//სწყვიტა.

წანენწერა – ხელის ოდნავ ხლება; ხელი არ წამანენწო – ხელი არ მახლო (ლლონტი, 1984:699); შდრ. აჭ. ხელი არ ახლო//ხელი არ დააკარო//ხელი არ წააკარო...

წებრება – გარტყმა (მსუბუქად) (ლლონტი, 1984:699);

ცხუნება – ცემა, რტყმევა; უცხუნა – დასცხო, ურტყა შოლტი ან მათრახი (ლლონტი, 1984:682). იგივეა, რაც **შხუნება**.

შლიპინი – ცემა, რტყმევა შოლტისა და მისთანათა (ლლონტი, 1984: 635).

შექინჩვა – გალახვა, ცემა. **შექინჩული** – გალახული, ნაცემი (ლლონტი, 1984:629).

ტკუცვა – გარტყმა, ცემა (ლლონტი, 1984:513). იგივეა, რაც ტეკვა.

ტკლეცა – სილის განვნა (ლლონტი, 1984:513). შდრ. ქობ. სტკლიცა...

რეკა – გაარტყა: **გრეკებ** ყბაში და მიხდები.

ჟვერება – გალახვა, დაჟვერვა, ცემა; **ჟვერა** – დაარტყა (ლლონტი, 1984:446); ზვერვა – ჟვერვა.

ჟღვართუნი – მოქნეული წნელის რამეზე გამეტებით ცემა (ლლონტი, 1984:449). შდრ. აჭ. ჟღვართუნი.

ჟეჟვა – ბეჟვა (ლლონტი, 1984:446). შდრ. აჭ. ბეჟვა.

ჟაჟუნი – ცემა; თავში უჟაჟუნა – თავში ცემა (ლლონტი, 1984:445);

წჯიქეება – ნიდაყვის კვრა (ლლონტი, 1984:424). შდრ. აჭ. წჯიქეება.

დათქლეშა – მაგრად დარტყმა, დახეთქა: „**დუუთქლიშე ... თავები**“ (იმნაიშვილი, 2006:327);

ტიკნა – ჩანისკარტება, კბენა (იმნაიშვილი, 2006:346);

დაროფვა – დახეთქა, ხმაურით ცემა მაგრად: „სარებით **დუ-უროფეს** თავი“ (იმნაიშვილი, 2006:328);

ნიორწყლად აქცევს – ძალიან სცემს, დაბეჟავს, ცხვირ-პირს დაუჩეჩქავს, გაანადგურებს (ლლონტი, 1984:422);

თხრეშა – თხლეშა, მაგრად დარტყმა: **სთხრიშა**, დაარტყა, სთხლიშა (ლლონტი, 1984:256);

ზუნზღვა – მაგრად დარტყმა (ლლონტი, 1984:236);

დაჟვერვა – ჟვეროთი ცემა, გალახვა: „გამაბრაზა და **ვჟვერე** ყურისძირში“ (ლლონტი, 1984:183). დაჟვერვა თადაპირველად ჟვეროთი ცემას ნიშნავდა, მაგრამ შემდეგ ზოგადად ცემის სემანტიკა შეიძინა, ამის დასტურია, თუნდაც ალ. ლლონტია მიერ მოტანილი საილუსტრაციო მასალა. ბუნებრივია, ყურისძირში

ჟვეროთი არ ცემენ...

ბეთქვა – ცემა, ბეგვა, რტყმევა, მიტყეპვა (ლლონტი, 1984:67); შდრ. აჭ. **დაბეთქვა//მობეთქვა**.

ბაზუნი – მძიმე ნივთის (მაგ. ხის დიდი უროს) ცემა. **უბაზუნებს** – დიდ უროს ურტყამს, ცემს (ლლონტი, 1984:55);

დაბელვა – ცემა, მიბეგვა (ლლონტი, 1984:167);

დღეზა – დარტყმა, დაკვრა (ლლონტი, 1984:216). შდრ. აჭ. **დღლიზა**.

ზორვა, დაზორვა, მოზორვა – ცემა; რტყმა უფრო ზურგზე (შარაშ.);

ზაპუნი – ცემა რამე რბილ საგანზე, უზაპუნებს – ცემს, ურტყამს (ლლონტი, 1984:229);

ფათქანი – ფათქუნი, სროლა, ხმაური; ფათქა-ფუთქი, ცემა-ტყეპა, რტყმევა (ლლონტი, 1984:534); შდრ. ბათქანი, ბათქა-ბუთქი.

ბაჟუნი – დაუზოგავად ცემა, გალახვა: მობეჟვა, ცემა, გალახვა (ლლონტი, 1984:58).

ბარემ აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი ლექსიკური ერთეული სხვადასხვა კილოში მეორდება, რაც არცაა გასაკვირი, ვიმეორებთ ჩვენც, იმიტომაც, რომ სურათი მეტ-ნაკლებად სრული გამოვიდეს.

იმერული:

ბეყვა – ღონივრად რტყმევა, ძალზე გალახვა (ლლონტი, 1984:71);

გამობეგვა – კეტის რტყმევით, ბეგვით, პარკოვან მცენარეთა პარკიდან მარცვლეულის გამოფშვნა (ძონენიძე, 1973:79). შდრ. გამობეგვამს (იქვე);

გამოგულული – კეტის რტყმევით მარცვალგამოცლილი (ძონენიძე, 1973:80); აქ გამოგულვა ცემის შედეგია;

გასახრამს – სახრით სცემს, გაროზგავს: „ბებიაშენი რო ვიყო, ბევრჯერ **გაგსახრამ**“ (ძონენიძე, 1973:89);

დააჯამჯავეფს – მაგრად სცემს, დაამჟავებს: „ჭკუით იყავი,

თვარა დაგაჯამჯავეფ“ (ძონენიძე, 1973:112);

დელიფავს – დაარტყამს: „**ვდლიფე** დიდი ქვა“ (ძონენიძე, 1973:140);

დანაკარი – დანაკრავი; დაკვრა – დარტყმა, დაცემა: „დანა რომ დაკრა ყელში შვილს,/მას ლიპი ქვა დუხუხვედრა,/მაშინდელი **დანაკარი**,/ეხლაც ყელზე დაგვაჩნდება“ (ქსპ, II, 258);

ზუნზღავს – გამეტებით დაჰკრავს, სთხლემს: „ხელი ვერ შუ-უბრუნა, **ზუნზღლა** კეტი“ (ძონენიძე, 1973:157);

მოდუყენის – მაგრად სცემს: „ერთი კაათ **მოდუყენს** და ცხენიც წაართვეს“ (ძონენიძე, 1973:265);

ჟევეპავს – სცემს, ჟეჟავს: „**დაჟევეპა** ქალი და კაცი“ (ძონენიძე, 1973:306);

რეხვავს – დაარტყამს: „გიუშალა თოხი, **რეხვა** თავში და მოკლა“ (ძონენიძე, 1973:311);

ტრიტამს – სცემს, ურტყამს: „**ტრიტა** თავში და ნააქცია“ (ძონენიძე, 1973:369); შდრ. **ტრისამს** – თელავს (იქვე). **ტ:ს** მონაცვლეობით.

უსკვამს – სცემს, ურტყამს: „ერთმანეთს **უსკვამენ** და მეშინია“ (ძონენიძე, 1973:377);

უტკუნეფს – მოარტყამს, სტკეცს: „ამ მათრახს **გიტკუნეფს** მაგრათო“ (იქვე);

შებრიგნის – მაგრად სცემს, მიბეგვავს (ძონენიძე, 1973:434);

ჩოუბილიკებს – ჩაარტყამს: „ავდექი და **ჩოუბილიკე**, ერთმანეთს რო კორტნიდენ (ძონენიძე, 1973:456). შდრ. **წოუბილიკებს** – წაარტყამს (იქვე, 486). „**ჩოუბილიკებს**“ იგივეა, რაც „ჩაბლიკვავს“.

წოულავანდეფს – წაუთაქებს, წაუყავაზებს (ძონენიძე, 1973:486);

ჯგვლიმავს – მუჯლუგუნს სცემს, ბნკენს: „ეს ქალი **მჯგვლიმავს**, წევიდოთო“ (ძონენიძე, 1973:527).

აჭარულში **ჯგვლემს/ჯგვლიმავს** ნიშნავს ანუხებს: „ფარას რომ ნახავს, **ჯგვლემს**, რომ არ დახარჯოს არ იზამს, ვერ მისვენებს“ (აგარა);

ცემამდე იმერეთში ემუქრებოდნენ, რასაც **ტორებას** ეძახდნენ (ლლონტი, 1984:314), შემდეგ ცემდნენ **მუშტით, როძგით** (როზგი) (ძონენიძე, 1973:314), ზოგჯერ სხვა იარაღითაც.

ჭორკვა (ჭორგვა) – დარტყმა, მსუბუქად ჩაკაკუნება (შარ.,467);

ჭეჭკვა – დარტყმა: „რა ვიცი, კაცო, როდის **მჭეჭკავს** ნაჯახს თავში“ (შარ, 466);

წაკუნი – მსუბუქი დარტყმა (შარ.460);

ჩიხვა – მოწყვეტით, მკვეთრად დარტყმა ნაჯახისა (შარ.454);

ჩიჩახური/მოჩინჩახურება – თავში ან ბეჭებში მსუბუქი ჩარტყმა (შარ.453);

ჩინთვა – უეცრად დარტყმა: ჭკუით იყავი თვარა, რო **ქჩინთავ** მა თავში, ცხრა ყირას გაქნოვიეფ“ (შარ.430);

ფრანუნი – დიდი ხმის გამომცემი ცემა ჩაქურჩისა და სხვა (შარ. 430);

ფუთქვა – უეცრად და მოწყვეტით დარტყმა (შარ.431);

როფვა – ჩარტყმა, ჩაცხება (უფრო მძიმე საგნის დარტყმა): „გეინიე თუ არა, **გროფავ** თავში“ (ძონენიძე, 1973: 413). შდრ. გურ. დაროფვა.

რაჯგუნი – ჯახუნი: „**ურაჯგუნებს** ქარი კარებს, დოუგდე მა კარები, ბიჭო“ (შარ. 412);

სტიკვა – უცებ, მოულოდნელად და მსუბუქად თავში წამორტყმა: „რო გააჭირეფს ბალანე საქმეს, **სტიკვე** თავში...“ (-შარ.428). შდრ. **ტიკვა** – ფეხის ჩაკვრა რამეში. ხელის გარტყმასაც ნიშნავს (ბერ., 53);

უფლარწუნებს – ურტყამს ძლიერად, მაგრამ არასწორად (შარ.427). შდრ. **უფრანწუნებს**;

მოჩერქვა – ცემა, გალახვა: „ამას **მოჩერქვავე** ერთს“ (შარ.398);

ჟაჟა-ჟუჟი – ცემა; **ჟაჟუნი** – ცემა-ტყეპა, დარტყმა (შარ.411);

მოდგინვა 1. გვერდში ცემა: „**მოდგინავ** გვერდეფს ერთი და ჩამომჩები იმას...“ (შარ. 392);

მოდუზა – მაგრად, ჯოხით ცემა: „ვინცხვრე გული კი, ისე მო-

ვღუზე (თხა), რომე ფეხზე ველარ იდგა“ (ნ. შარ.392);

მოზებვა – ძლიერი ცემა (ცხოველისა): „თხაი მოვზებე უბე-დურათ“ (შარ. 392);

დაჭახალევა – დარტყმა: „**დამიჭახალე** კვერცხი“ (შარ. 362);

თეთქვა – უცებ და მწარედ დარტყმა: „**თეთქვა** ახლა მაგას და გააჩერე“ (ნ.შარ.371). შდრ. აჭ. **მოთეთქვა/დათეთქვა**, გურ. **თუთქვა** (ყლენტი, 1936:209).

ზაზუნი – ცემა, დარტყმა, გალახვა: „ურტყენ... რეიზა **უზა-ზუნეფ** ნელზე-მეთქინ“ (შარ.362);

ზლაცუნი – სუსტი და არაზუსტი დარტყმა: „რო **უზლაცუნებ** ამდონი ხანია, ძირში მიაჭერი ეგი ბოლი, ძირში“ (შარ.320); შდრ. აჭ. **ზლაცუნი** – უაზრო ქცევა (საუბარი, სიარული).

ჟვარუნი – ჟვერვა, რტყმევა... შდრ. აჭ. **ჟვარუნი/ჟვერვა**, ჭან. ო-ჟვარუ (ბერ.47);

ჟვერვა კი ასეა განმარტებული: „ძალზე დაქანცვა, დაღალვა: „ამ მგზავრობამ ნამეტანი **დამჟვერა**“; რტყმევასაც ნიშნავს (ბერ.). შდრ. **მგზავრობამ გამლახა**...“

გაჟლოლვა – მძიმეთ გალახვა: „ისე **გაჟლოლეს**, სულ „ვაჲ დე-დაჲს“ იძახოდა“ (ბერ.47);

ტოლიკი – მირტყმა-მორტყმა, ჯგვლემა (ბერ.53);

ტყლეჟა – ღონივრად გარტყმა (ბერ. 55);

ტყლიპზე გახევა – მეტად ძალზე გალახვა (ბერ. 55). შდრ. აჭ. **სიპაზე** (ტყლიპზე) **გახეთქვა** (ძლიერ გალახვა).

დრუზვა – მოსკინტლვა, განავლით დასვრა. ღონივრად რტყმევასაც ნიშნავს (ბერ. 24);

ზუნდრვა, ჯუნდრვა – ღონივრად რისამე დარტყმა (ბერ. 27)...

წართვა – ცემა, დარტყმა (წერ.);

ძნევა – მაგრად ცემა, გალახვა. **დაძნეილი** – მაგრად ნაცემი; **დაძნევევა** – მთელი სიმძიმით დაცემა (ქავთარაძე 1963);

ჩხეკვა – ჩარტყმა (წერეთელი);

ჩაფარება – გად. გარტყმა: „თავი დამანებე, თვარა ისეთს **ჩა-გაფარეფ**, ბათუმს დაგანახვეფ“ (ბერ.);

ჩამგლევა – ცემით გვერდების ჩაცვენა, დავარდნით გულ-მუცლის ჩაქცევა (ქავთარაძე, 1963);

ტყლიპზე გასიება, გად. ძალზე გალახვა: „გეიდევი თოხი ფხარზე და ყანაში წადი, თვარა სულ **ტყლიპზე გაგასიეფ**, იმდენს გირტყამ“ (ბერ.).

„ტყლიპზე გასიება“, მოყვანილი კონტექსტიდან, ცემა არაა, ცემის შედეგია.

ტყლეჟა – ღონივრად რტყმევა: „ძალიან იჯგიმებოდა, მარა რჯულზე **გატყლიჟეს**“ (ბერ.);

ტახუნი – რტყმევა, რახუნი; თავში ჩარტყმა, ან თავის რამეზე მირტყმა; **ჩატახუნება** – ჩარტყმა ისე, რომ ხმა გავიდეს (ლლონტი, 1984:509);

ტატუნი, მოტატუნება – ხელის ნაზად მოცაცუნება, ცაცუნე (ლლონტი, 1984:508);

სკმევა – რტყმევა, ცემა, გალახვა (ქავთარაძე, 1963). შდრ. აჭ. სკმევა: „თავი ასკმევი კედელზე“; „**ესკმევა** ღობე-ყორეს“. ეს უკანასკნელი ნიშნავს – ღობე-ყორეს ედება.

რეხვა – მორტყმა, დაკვრა (ლლონტი, 1984:446);

მაჭახლევა – ცემა, დარტყმა. მაგ. ნიგვზის (კაკლის) **დამაჭახლევა**; აღდგომის კვერცხის **დამაჭახლევა** (ლლონტი, 1984:352); შდრ. **აჭახუნებს** (ჭახ ხმაბაძვითი ძირი ჩანს).

კეკვა – ცემა, დარტყმა (ლლონტი, 1984:279);

დგვეფა – ისეთი გარტყმა, რომ მისი ხმა გავიდეს (ლლონტი, 1984:202); **დგაფ/დგვეფ** – ხმაბაძვითი სიტყვა ჩანს.

ბუჩვა – ღონივრად შემოკვრა: „იმისთანას **გბუჩო**, რომ შემხედო ვერ მიცნო“ (ლლონტი, 1984:97);

დგენა, მოდგენა – გალახვა: „ერთი რჯულზე **მოვდგინოთ** და რაც დაგვემართება, დაგვემართოს“ (ლლონტი, 1984:202);

ზელვა – გად. ძალზე გალახვა, ცემა, დაძვალრბილება: „ისე **დაზილეს**, რომ არ დაავინყდება არასოდეს“ (ბერ.);

ზეზვა – მაგრად ცემა ქვისა, ბელტისა, ჯირკისა და სხვა რისამე, რომელიც არა სჭრის (ბერ.);

მიძნევა – მიბეგვა (ლლონტი, 1984:366);

ცხუნება – ცემა, რტყმევა... (ლლონტი, 1984:682)...

იმერეთშიც სცემდნენ სხვადასხვა იარაღით, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში. განსხვავებული და საინტერესო ტერმინი ჩანს **მუშტუკუნი** – მუშტი, მუჯლუგუნი: „**მუშტუკუნი** ვისაც გივარგა, უბაყუნეთ ერთმანეთს (ბერ., 43)...

შეიძლება სხვაც იყოს, რომელსაც მომავალი კვლევა გამოავლენს.

რაჭული:

რაჭველი ჯერ „გათოფავდა“ (გაუნყრებოდა), შემდეგ „უთაქებდა“ (ბერ.28); „ნთხევას“ (ლანძღვა-გინება) მოჰყვება ცემა, რომელიც მრავალფეროვანი ლექსიკით გამოიხატება:

ბაყუნი – ლონივრად ცემა: „იმას იმდენს ვუბაყუნებ, გავათხელეფ რავარც შოთი“ (ბერ.16). შდრ. აჭარულში **ბაყუნს** თოხის ცემასაც ეძახიან: „იმდენი ვუბაყუნე თოხი... ხეირი ვერ ვნახე“ (ორთ.).

ბეყვა და-, მო- ზმნისწინებით – ლონივრად რტყმევა, ძალზე გალახვა, დაბეყვა, დაძნეყვა (ბერ.16);

ბინიკი – რტყმევა, მუჯლუგუნი (ბერ. 17);

ბურჩა – ლონივრად შემორტყმევა: „იმისთანას გბურჩავ, რომ შემხედო, ვერ მიცნოთ“ (ბერ.19);

დგენა, მოდგენა – გალახვა (ბერ. 22);

დგვეფა – ისეთი გარტყმევა, რომ ბოხი ხმა გავიდეს (ბერ. 22);

დაძვამბილება – ძალზე გალახვა (ბერ. 73). შდრ. იმფერი გალახა, ძვალი და ბილი გუუერთიანა“ (ყორ.);

ნესის აგება, მეტაფ. გალახვა: „თუ ჩაგიგდე ხელში, მე ვიცი, რავარც უნდა გალახვა, აგიგებ ნესს“ (ბერ. 75);

ხლენა – ხლენა, გლეჯა, დარტყმევა, ხმაურით დავარდნა, ბრაგვანი (ბერ. 82);

ჯლიქვი – ბლიკვი, მუჯლუგუნი (ბერ. 87);

ქართლური:

მიბუსკვნა – ცემა (ლლონტი, 1984:362);

გაგრეხა – სახრის გადაწვნა, სახრის ან წნელის დარტყმა

ლონივრად: „აი ისეთი სახრე გავაგრხე წვივებში, რომ ცხრანა-ირად დაიკვლანჭა“ (ლლონტი, 1984:106);

მიმასკვლავება – ცემით სიკვდილის პირამდე მიყვანა (ლლონტი, 1984:364). შდრ. **მისიკტილება** (გურ. აჭ.);

მოჭოხვა – მოთვინიერება, მორჩულება (სალარ.); შდრ. **მოჯოხვა//გაჯოხვა** (ჯ:ჭ);

ჟაპა-ჟუპი – მათრახის, შოლტის ცემა. მათრახის ცემის ხმა (ლლონტი, 1984:445). შდრ. **ზაპა-ზუპი**;

ჩაბასტუნება – თავში ჩარტყმა. თ. baston - ჯოხი. **ჩაბასტუნება** – ჯოხის ჩარტყმა თავში (ლლონტი, 1984:639);

ჩაფერთხება – ჩარტყმა, თათით თავში ცემა. „ერთი კარქა ჩააფერთხეს თავშია“ (ლლონტი, 1984:647); შდრ. აჭ. ფერთხა, ფათხდამიცა;

ისხლეთავს – მოირტყამს, მოიხვედრებს (ქართლ. 233);

მიბაბჭებს – ბეჭებში ჩასცხებს: „მიბაბჭება იმად ქვიან, რო ქვა იქნება თუ რაც იქნება, აილეფ და შიგ ბეჭეფში თხლაშად გაადენ“ (ქართლ. 280);

მიბრასტებს – მიარტყამს, სთხლემს (ქართლ. 280);

მიყუებს – მაგრად სცემს: „ისე მიყუა ციურად, რათ ნახვედი ჩემ უკითხავათაო, რო რა!“ (ქართლ. 282);

მიბლიკვნა – მიბეგვა, ცემა (ბავშვისა) (ქართლ. 283);

მიბუსკნის, მიბუსტნის – მიბეგვავს, მითეთქვას; მიბუსტვნა: „მიბუბტვნა არი, კაცი რო მიადგება კაცსა, ან თუ ბაღლსა და დცემს მაგრა ძალდალონეზე მუბტებითა (ქართლ. 283);

ჟღვლეპავს – გაარტყამს, გაანწავს (ქართლ. 356);

უნიავებს – მოუქნევს, მოარტყამს: „ერთი უნიავე თოხი იქითა ტოტსა, როგორ დაახუილა, ეეე, ბიჭებო!“ (ქართლ. 397);

უფუკებს, უფუფქებს – ატაკებს, ჩაცემს (დანას, ხანჯალს)... (ქართლ. 399);

შხუპლავს – წკეპლით სცემს: „ერთი შხუპლეო, მაგრათაო“ (ქართლ. 459). **შხუპლა** – წკეპლა (იქვე); ქართლში გრძელ წკეპლას **შხოლსაც** ეძახიან, აქედან უნდა იყოს **შხუილი, მოშხუილება** (ცემა);

ჩაათათარახებს, ჩაათუთახებს – მაგრად ჩაარტყამს, ჩასცხებს (თავში) (ქართლ.);

ჩაბლიკვნა – მიბეგვა, ცემა; ჩაბლიკვნა – მაგრად ცემა, თავში ცემა ხელით ბავშვისა (ქართლ. 461). შდრ. აჭ. **ბლიკვი**.

ჩაბუსკნის, ჩაბუსტნის – მუშტებით სცემს, ჩაბეგვავს (ქართლ. 462);

ჩათიკნის – ჩათეთქვავს, მიბეგვავს: „ხელით რომ სცემს ბავშვსა, ჩათიკნე და მივაგდეო“ (ქართლ. 463);

ჩაუბასილებს – ჩასცხებს, ჩაარტყამს (თავში), იტყვიან ხუმრობით (ქართლ. 471);

ჩაუკაკუჩებს – ჯოხს ჩასცხებს: „თავში რო ჩაარტყამს ჯოხითა, ჩაუკაკუჩაო, იტყვიან“ (ქართლ. 471);

ჩაუფაცუნებს – ოდნავ ჩაარტყამს ხელს (თავში) (ქართლ. 472);

წაუსაქმებს – წაარტყამს, წასცხებს (თავში): „თავში რო წაწაარტყამს სუბუქათა, ის არი წასაქმება“ (ქართლ. 495);

წაჯგვლემა – მუჯღუგუნის კვრა, უხეშად ჩაჩქმეტა (ქართლ. 496); შდრ. აჭ. **ჯგლემა**.

ანკეპავს – წკეპლის ცემით გაჩეჩავს, გააფუებს (მატყლს) (ქართლ. 49);

გაზურგავს – სცემს: „ერთი ისე უნდა გავზურგო ესა, რო ვეღარ ადგეს“ (ქართ. 92);

გაპენტავს – სცემს, გაჯოხავს: „გინდა ბავშვებსა, გინდა ღორებსა, რასაც სცემენ ჯოხითა, ყველაზე იტყვიან, კარქა გაპენტესო“ (ქართლ. 119);

გაუჭაქუნებს – გაარტყამს, გაანწავს (სილას): „მოვალ და მითანას გაგიჭაქუნებ, რო მამაშენის ქორწილი მოგაგონო“ (ქართლ. 123);

გააყურმალებს – მაგრად სცემს (ძირითადად თავ-ყბაში): „ერთი-ორი მიუნთო, დააყურმალა კარქა და დაანება თავი“ (ქართლ. 150);

დააჭაჭებს – მაგრად სცემს: „მოვიდეს ეს ქათამი, როგო დააჭაჭო“ (ქართლ. 152);

დაბეგვავს – მაგრად სცემს, დაბეგვავს (ქართლ 154);

დაიჟღლება _ნ. დაიჟეჟება (რაიმე რბილი), დაჟღლა-დაბეჟვა (ქართლ. 165);

დაეჟარება – დაებეგვება, დაეჟეჟება: „ხელი ან ფეხი რო დაებეგვება, არ გამოვა სისხლი და გაშავდება, დეეჟარაო“ (ქართლ. 158);

დაჟვერავს – 1. ძალიან სცემს, გაჯოხავს: „ერთი კარქა უნდა დაჟვერო“; დასაჟვერი: „ამ კეტითა ხარ დასაჟვერი“; 2. ჯოხით დაბერტყავს, გააყრევიანებს ხილს“ (ქართლ. 176);

ჟეჟვა – „რო სცემ ადამიანსა მაგრა ჯოხითა, გინდა ხელითა, ჟვერა ის არი“ (ქართლ. 356). შდრ. დაჟვერვა: „ბალნებმა დაჟვერეს ბალი...“ (ორთაბ.); გად. ძლიერ ცემა.

დახლაბურთას ათამაშებს – სცემს: „დახლაბურთა უნდა გათამაშო, ეტყვი ბავშვსა, რო საცემრათ გინდა“ (ქართლ. 193);

თაქებს მიიღებს – უთაქებენ. ჯოხით ცემაზე არ ითქმის, სილას რომ გაარტყამენ, იმაზე იტყვიან, კაი თაქები მიიღოო“ (ქართლ. 220)...

მესხური:

აბრაგანი – პანლური (მესხ.9);

ადრეკს – ჰკრავს, ამოჰკრავს, გადაჰკრავს: „ხარს სახრე ადრიკა“; „ძროხამ წიხლი ადრიკა“ (მესხ. 10);

ძაგუნი – დარტყმის ყრუ ხმა, ბრაგუნი (ლლონტი, 1884:683);

ჩაჯიყვა – მჯიღებით ცემა, ჩაჯიღვა (ი. მაის.). შდრ. აჭ. ჯიღი, ჩამჯიღვა;

აფეთებს – შემოჰკრავს (ხელს...): „ისეთი გაფეთო, რო მამიშენი ქორწილი მოგაგონო“ (მესხ.);

გაანებს – გაარტყამს: „ისეთი გაანო, თვალთ დაუბნელა“ (მესხ.);

გადაგრებს – გაარტყამს, გადაუჭერს (სახრეს): „წინათი რო ბიჭები იხუბებდნენ ან მუშტი-კრივი, ანუ სახრეს გაადააგრებამდენ ერთი-მეორეს, ახლა კია, დანაზე უჭირამთ თვალი“ (მესხ.);

დარეგავას – დალენავს, ჩათეთქვავს (სეტყვა) (მესხ.69).
ერთმანეთს აფარებს – ერთდროულად სცემს ბევრს: „აგრე არ უნდაო, დაერია გოდერძი ბიჭეფსა და სუ ერთმანეთს აფარა“ (მესხ. 81);
მიასაქრებს – მიარტყამს (მესხ. 107);
ნეკნებს გაუსწორებს – მაგრად მიბეგვავს (მესხ.120);
მჯგვლემავი – ვინც სცემს, ბლიკვნის ვისმე: ვინცა სცემს, ჯგვლემამს, ის არი **მჯგვლემავი**“ (მესხ.117);
უბასტუნებს – ურტყამს: „როგო ულონოთ **უბასტუნეფს**, რა უნდა გამოჭედოს მაგანა (მესხ. 139);
საზეპელა – მინის დასატკეპნი ხელსაწყო (მესხ. 128). შდრ.
ზეპავს, უზაპუნებს, დაზეპა – ცემის მნიშვნელობით.
უთუთქებს – გაართყამს, გადაჰკრავს (მესხ.139-140);
უჟაჟუნებს – სცემს, ურტყამს (მესხ. 140). შდრ. ჟაჟი მისცა, ჟაჟები მიიღო.
შხოლავს – გრძელი კეტით, ხალით აყრევიწებს, ბერტყავს ხეხილს (მესხ. 156-157);
ჩარეხავს – დალენავს, დაამტყვრევს წვიმა, სეტყვა ხეხილს (მესხ. 158);
ჩაუკვინიხებს – თავში ჩაართყამს: „რო არ ჩაუკვინიხო ბლარსა, ისე ვერ ეტყვი სათქმელსა?“ (მესხ.158);
ჩაუნიავებს – ჩაართყამს, ჩასცხებს (ხელს, კეტს) (მესხ.158).
წაუმუჯლუგუნებს – მუჯლუგუნს წაჰკრავს (მესხ. 165);
ჯეჯგვავს – გაართყამს, გასცხებს: „თაური **სჯეჯგა** და ძირს გააგორა“ (მესხ. 177);
დამჟავება – გად. ცემა (ქ.დ.636);
დაბეგვა – გამხმარი და მზეზე გაფიცხებული ლობიოს პარკებისაგან ჯოხის (კეტის) ცემით მარცვლის გაყრევიწება (ქ.დ. 635);
ჯახის გადენა – გად. გართყმა, სილის განვნა: „ერთი კაი **ჯახა გაადინა** ლოყაში“ (ლლონტი, 1984:718);
ალაყურა – სილის განვნა (ლლონტი, 1984: 718). შდრ. ალი-ყური.
გალახვა – ცემა (ქ.დ. 635);

ტუნტური – მუშტის ქნევა მუქარით (ლლონტი, 1984:518);
გაგლა, გაგალვა – დანაყვა, დაცეხვა (ლლონტი, 1984:105-106);
ჩომბახი – კეტი, კომბალი (ლლონტი, 1984:662);

კახური:

დღღურძვა – მაგრა დართყმა: „ვღღღურძი, მაგრად დავართყამდი ხოლმე“ (ქ.დ. 605);
დაშვლება – წკეპლით ან სახრით ცემა (ლლონტი, 1984:194);
ზევება – ცემა-ტყევა (მენტ.);
გატყარუნება – გატყლაშუნება; შოლტის მოქნევით ხმის გამოღება, სილის განვნით ხმის გამოღება (ლლონტი, 1984:138);
მიგლა თავისა – „რაზედმე თავის **მიგლევინება**, თავის მინაყვა“ (ლლონტი, 1984:362). შდრ. აჭ. თავი გლაი შენი.
ქუსქუსი – დაღერებასავით, საცემად განევა, ან გაჯავრება. ადამიანი ადამიანს ან ცხოველი ცხოველს რომ წამოუხტება ხოლმე და ცემას დაუპირებს ან მალ-მალ უჯავრდება (ლლონტი, 1984:580);
შრიდიალი – ცემის მუქარით დაშინებასავით (ს. მენტ.);
ჩაჩუცქება – წიხლის ჩართყმა მჯდომარე ადამიანისათვის (ლლონტი, 1984: 650);
ძაკრავება – ხლა, კვრა, ტაკება (ლლონტი, 1984:683);
ჯეჯგა – ცემა, ბეგვა (მენტ.). შდრ. ჯიჯგვი.
წკაპწკაპი – წყლის წვეთების დაცემის ხმა, წვეთვა (მენტ.);
ტურტური – დაღერება, მოქნევა ჯოხის ან სხვა რამისა (ლლონტი, 1984:518);
დააყარეს – დაუშინეს: „დააყარეს ნაჯახები, კოკაე ყელი დააჭრესა“ (ქსპ II, 1973:307)...

ჯავახური:

უთავაზებს – გად. დაართყამს: „მეთევზეს რამდენიმე უთავაზა“ (მარტიროსოვი, 1984:245);
ქიმუნჯს ჰკრავს – იდაყვს ან მუშტს ჰკრავს (მარტიროსოვი, 1984:247);

ბრუსტნა – ცემა-ტყეპა (ბერიძე, 1981:22);
ჯეჯგვა – ცემა, ბეგვა, მაგრად დარბილება ნიშნების დატყობინებით (ბერიძე, 1981:181);
ჩახობა – ჩარტყმა (ბერიძე, 1981: 153);
შვლეპა – სახრით ცემა. შდრ. ს. მენთ. ნ. ჩუბ. **შლეჭა**, ალ. ლლ. **შვლეჭა** (ბერიძე, 1981:148);
ფეფხვა – ცემით დაზიანება (დაფეხვა, დაფეხვილი) (ბერიძე, 1981:129);
ტურტური – დაღერება, მოქნევა ჯოხისა ან სხვა რამისა საცემად (ბერიძე, 1981:122);
საჯაგავი – ცემის მუდმივი ობიექტი (ბერიძე, 1981:116);
ნატყეპი – მაგრად ნაცემი, ნაბეგვი (ბერიძე, 1981:68);
მისაკლავება – ძალიან ცემა, ცემით სიკვდილის პირამდე მიყვანა (ბერიძე, 1981:86);
მიგლა – რამეზე თავის მიხლევიანება, მინაყვა (ბერიძე, 1981:85);
მიბრუსტნა – მაგრად ცემა: „ერთი კარგათ მიბრუსტნეს, ყველი რო მოიპარა“ (ბერიძე, 1981:85);
ზეპა – ცემა-ტყეპა (ბერიძე, 1981:56). **გაზეპა//გაზეპა** – მაგრად ცემა (იქვე, 25). შდრ. ზოფა, გაზოფვა.
დამჟავება – მაგრად ცემა (ბერიძე, 1981:39);
გუდად გამოღება – გად. ძლიერი ცემა: „ისე ცემა, ისე რო სულ გუდად გამოიღო“ (გრ. ბერიძე, 1981:34); **გლა** – რტყმა, ჩეჩქვა, თელვა (ბერიძე, 1981:33);
გალანუნება – სილის გარტყმა (ბერიძე, 1981:27)...
ინგილოური
გაბნედა – მაგრად ცემა (ლამბ. 70);
გაბოგაი, დაბოგაი, გაბუგაი – გაბეგვა, მაგრად ცემა (ლამბ. 70). შდრ. **დაბეგვა, დაბრეგვა**.
ჯაფნი (აჯაფუნეფს, აჯაფუნევი, ნაჯაფუნ) – ძლიერ მირტყმა: **აჯფუნას** ქუვას ქელლაი (როსტ. 245); **ჯაფ** – ხმელი, ადვილად მტვრევადი ხის გატეხისას გამოცემული ბოხი ხმა (როსტ. 245). შდრ. **ხაფი** – ძლიერი, მკვახე ხმა (ვტყ. ნათაძე, 1986: 451).

ჩაჩულაი (ჩულავს, ჩაჩულა, ჩაუჩული, ჩანაჩული) მუშტის ან სხვა რამის ძლიერი ჩარტყმა: „ერ ამ ჩაჩულა ბუზან ყმანულზე“ (როსტ. 221); იგივეა **ჩახევაი** – ჩარტყმა (იქვე). შდრ. ლამბ. 542.
ჩაჩრხაი (ჩარხავს, ჩაჩარხა, ჩოუჩარხი, ჩანაჩარხ, ჩაჩარხულ) – ძლიერი ცემა: „მამამ შულითავ მოჰკამა, ჩაჩარხა“ (როსტ. 221);
ჩატკოფაი – დიდი ძალით ჩარტყმა: „ერ ნიხლ ჩატკუფა“ (როსტ.220);
ჩაკრაი (იკრავს, ჩაიკრა, ჩოუკრავ, ჩანაკარ) – წალდისა და სხვა ბასრპირიანი იარაღის უცებ ჩაკვრა: „ფეფში წალდ ჩოუკრავს ყმანულს“ (როსტ. 216);
ჩაკობაი (ჰკობავს, ჰკონხავს, ჩაკობა, ჩაჰკობა, ჩაჰკობნა, ჩაკონხა, ჩოუკობი, ჩოუკონხი, ჩანაკობ, ჩაკობულ) – 1. ჩანისკარტება: „მამალმა ჭუჭულს ჩაჰკობა“ (როსტ. 216);
შომოკრაი – შემოკვრა სილისა, სახრისა: „პირში შემოკრა“ (როსტ.212); იგივე: **შემოკრაი** (როსტ. 214);
ჟგლომი – მუჯლუგუნის ნაკვრა (როსტ. 158);
მოჟღლომაი (ჟღლომავს, მოჟღლომა, მოსჟღლომი, მონაჟღლომი, მოჟღლომ, მოჟღლომულ – ხელებით და ფეხებით ქელვა, სრესა, მობეჟვა, მოჩეჩქვა (როსტ. 139);
მიჟღლაი (აჟღლის, მოაჟღლა, მოუჟღლი, მონაჟღალ) – დიდ ძალით ჩარტყმა და მოკვლა, ტყვიით მოხვედრება: „ტყუო მი-აჟღლო, მოჰკლო“ (როსტ. 134);
ლახტ – შავად დამჩნეული ნაცემი, ნაბეგვი ნიშანი კანზე. ძალიან ნაცემის, ნაბეგვის აღსანიშნავად ამბობენ „ლურუ ლახტს“ (როსტ.121);
ლაფაშ აჭამა, გად. სილა გაანნა, სილა ისე გაარტყა სახეში, როგორც თონის კედელზე ლაფაშს შემოუქნევენ და ჩააკრავენ ხოლმე (როსტ. 119). შდრ. აჭ. **ლაფაში**.
დაჯავლევაი (აჯავლევს, დაჯავლა, დოუჯავლევი, დანაჯავლევი) – დარტყმის გამო გამონვეული ყმუილი ძალისა (როსტ. 81);
დანკეპაი – (ჰნკეპავს, დანკიპა, დოუნკეპი, დანანკეპ, დანკეპულ) – წკეპლით ან სხვა რამით ცემა: „ჟინჭრით დანკიპა დე-დამ“ (ნროსტ. 79);

დაჩუღულ – მაგრად, მძიმედ დარტყმული (ადგილი) (როსტ. 77-78);

დაჩუღა (ცულავს, დაჩუღა...) მძიმედ დარტყმა: ბეჭევში ერ რამ **დაჩუღა** ბუზან, აქავ ჩააკეცა“ (როსტ.77). იგივეა, რაც **ჩა-ჩუღა**.

დატობა (პტობავს, დატობა//დატუპა, დოუტობი, დანატობ, დატობულ) – ცემა, ტყეპა: „ყმანულ **დატობა**“ (როსტ.73);

დასადრა (სადრავს, დასადრა, დოუსადრი, დანასადრ, და-სადრულ): მთელი ძალ-ლონით ჩარტყმა: „კისრი ღილში **დასად-რა**“ (როსტ. 219). იგივეა, რაც **ჩასადრა** (იქვე);

დაჟღლა (ჟღლის, დაჟღლა, დოუჟღლი, დანაჟღალ, დაჟღ-ლილ) 1. უმნიფარი ხილის დაბეჟვა... 2. ცემა, დაბეჟვა: „კად გორა **დოუჟღლი**, თოლევ გაჰსიევოდა“ (როსტ. 71). შევნიშნავთ, რომ ორივე მნიშვნელობა „ცემის“ სემანტიკის შემცველია.

დაჟეკა (ჟეკავს, დაჟეკა, დოუჟეკი, დანაჟეკ, ნაჟეკ) – ძლიე-რი ცემა: ნუ **ჟეკავ** ყმანულს“ (როსტ. 71; შდრ. ლამბ. 149);

დანაკარ – დამკვრელი; ვინც არტყამს; ჩარტყმული ადგილი: „საწრე **დანაკარ** ადგილ ტკივის“ (როსტ. 69);

დამხალევა (ამხალევს, დაამხალა, დოუმხალევი, დანამხ-ლევი) – დაბეგვა, ცემა, რის შედეგად დაჩნდება ლურჯი ხალები: „**დაგამხალევ**, დაგადევ“ (როსტ. 69);

დაკლორსა (იკლორსოვის, დაკლორსა, დაკლორსულ) – გა-წვრთნა საცემად (როსტ. 68);

დაზელა (ზელავს, დაზილა, დოუზელი, დანაზელ, დაზე-ლულ) – რკინისეული ჭურჭლის მორტყმით ან დანოლით შეზ-ნეჟა, შეღუნვა, გაფუჭება (როსტ. 66);

დადოვა (ადოვს, დაჰდო, დოუდოვი, დანადოვ) – დიდი ძა-ლით ჩარტყმა: „ზაღლ ჟოხ **დაადო**“ (როსტ.65); შდრ. აჭ. **დაადო**, **დადება**, **მოდება**...

გახევა (ახევს, გაახივა, გოუხევი, განახევ) – ჯოხის მაგრად ჩარტყმა (როსტ. 53);

გატკოფა (ტკოფავს, გატკოფა, გოუტკოფი, განატკოფ) – ძლი-ერად გარტყმა: „ერ რამ **გარტკოფა**, აქავ ნაიქცივა“ (როსტ. 49);

გასხორტა (სხორტავს, გასხორტა, გოუსხორტი, განასხო-რტ, გასხორტულ) – გაროზგვა, ჯოხით ცემა (როსტ. 49);

გაბუზნა (ბუზნავს, გაბუზნა, გოუბუზნი, განაბუზნი) – მუ-შტებით ცემა: „**გაბუზნა**, გოში“ (როსტ. 43; შდრ. ლამბ. 70);

ჩაჩინჩხალა გადატ. გამეტებით ჩარტყმა, დარტყმა, თხლე-შა (ლამბ. 542);

შ(ო)მოკრა – შემოკვრა, გარტყმა, განვნა (ლამბ. 523);

მიფრენა – გამეტებით დარტყმა, თხლეშა (ლამბ. 304). შდრ. აჭ. **ფრენა/ფრინა**;

ტრანყუნ, დატრანყუნევა, დატრანხუნევა – რაიმე მაგარი სხეულის სხვა მაგარ სხეულზე ცემა და ცემისას გამოცემული ხმა, ბრახუნი, რახუნი... (ლამბ. 427);

დასხორტა, გასხორტა – ცემა, რტყმევა რამეზე მთელი ძა-ლ-ლონით (ლამბ. 155);

დაჟეჟლა, დაჟეჟა, გად. მაგრად ცემა (ლამბ. 149). იგივეა რაც **დაჟღლა**;

დაკრა – დაკვრა, დარტყმა, ცემა (ლამბ. 139);

გატყობა, დატყობა – გატყეპა, მაგრად ცემა (ლამბ. 91);

გადრეცა, დადრეცა, შედრეცა – მთელი ძალ-ლონით და-რტყმა, დაკვრა, დრუზვა (რ. ლამბ. 77);

ბლერტვა, გაბლერტვა გად. მაგრად ცემა (ლამბ. 70);

ტყეპა – ცემა, ტყეპვა. **დამტყეპა** – მცემა (ჯანაშ.);

საინგილოში ცემდნენ მუშტით, ტომაცით (კეტი, კომბალი, ჩომბახი ... იხ. ლლონტი, 1984:514). კაცი საჩხუბრად რომ ატყდე-ბოდა, ეტყოდნენ: „შენ გეფხანევ – ჩხუბი გინდაო. ნუ მეყოლევ (//ნუ მეტეხევ), შენ გეფხანევ (ნუ ამტყდომიხარ საჩხუბრად, შენ ჩხუბი გინდა) (ლამბ. 320). მიუხედავად ამისა, ჩხუბი მაინც ხდებოდა.

ფშაური:
გარიკნვა (მატყლისა) ჯოხის (რიკნის) ცემით გარეცხა მა-ტყლისა მდინარეში (ქ.დ. 590);
ტორი – საცემი რამე მუშტი; **მოტორვა** – მიტყეპა (შანიძე, I, 407);

ზურტუხი – საცემრად დაღირება, ცემის დაპირება (შანიძე, I, 325);

დალახტვა – დაგლახტოს ლახტი დაგკას (წყევლაა) (შანიძე, I, 310);

დება – მორტყმა; მწარში ვიდევე - მხარში მოვარტყი (ლლონტი, 1984:203);

გადალიხული – გადათელილი, გალახული (ლლონტი, 1984:108);

მომუშტავე – მუშტით მცემელი (შანიძე, I, 411; ლლონტი, 1984:375);

ნაკლავ-ნუკლავი – ნაცემი, ცემისაგან სიკვდილის პირზე მისული (ივ. ქეშიკ.);

ტონტორიკი – დარტყმით დამემუქრება, მოღერება (ვაჟა-ფშაველას მც. ლექს.);

შხებლა – შოლტი. შდრ. **შხეფელა** (გურ.), **შხვერთელა** (გურ.), **ჟღვერთი**, **შხვერთი**, **შხოლი** (ქართლ.), **წკებლი/წკებლა** (||სხეპლა), **შოლტი**, **ჯოხი**, **სახრე**. **შხოლვა** (ლეჩხ.) - **მტვრევა**, **ლენვა** (იხ. ლლონტი, 1984:638-639);

ცაკვა – დარტყმა, ცემა: „ვინ **ჰცაკვავს**, ვინ ემუქრება“ (ქეშ.);

ქოთი – ჩხუბი, აურზაური; **ქოთია** – ჩხუბის ამტეხი, ხმაური (ლლონტი, 1984:574). შდრ. **დაქოთვა** – ცემა, **ქოთქოთი** – ხმაური, ჩოჩქოლი.

გლა – ჩეჩქვა, ხეთქება, რტყმევა (ლლონტი, 1984:154);

მორტყმა: „ნინ-ნინ მოარტყა ბელადსა,/ ცეცხლი გაჰხვია თავზედა;/ მეორე სარქალს **მიარტყა**,/ვისაც ქალნ ებნენ ჯღანზედა“ (ქს III, 1974:249);

დანჩქვა – ცემით (შანიძე, I, 313). იგივეა, რაც მოხეური დაფეთქვა.

ხევსურული :

ტორი – დიდი ჯოხი (შანიძე, I, 407);

სატკეპნა, **სატკეპნელი** – ბანის დასატკეპნი კეტი, საზეპელი (შანიძე, I, 394-395). შდრ. თუშური **ტაბოცი**.

გამწვაება – სილის გარტყმა (შანიძე, I,300);

ტყლაშანი – დარტყმის ხმა; **ტყრაშნი** (შანიძე, I, 408);

მიგანება, **მივაგანე** – მივარტყი, იგივეა, რაც **დაგანება** (შანიძე, I,361);

გატოშვა – ცემა ხელით, სილის ჭმევა (შანიძე, I,301);

მიჯდომა – მივარდნა, ცემა, მიხტომა: „ეშმა **მიაჯდა** ეშმასა...“ (ქ.დ.555);

მცეს – მცემეს (ქ.დ.555);

ტკეცა – ცემა; **უტკეცს** – უცემს; **ტკიც** – ცემა; **ტკეცა** – გარტყმა, ცემა (შანიძე, I, 407). შდრ. აჭ. სტკიცა, სტკელიცა (შამაღრი, სილა).

ტოში – ტაში; **გატოშვა** – ცემა ხელით, სილის ჭმევა (შანიძე, I,407). ტაშიც ხომ ცემაა ერთგვარი, ხელის ხელზე ცემა...

დაუცნათ – დავსცეთ, დავჯკრათ: „ხთიშვილთ კოპალა მაუკლათ, თავში **დაუცნათ** ქვანია“ (ქს II,225);

ჰკრა – დაარტყა, სცა: „შუბლსა **ჰკრა**, თვალი გახეთქა,/ ცეცხლი აუჩნდა ენასა“ (ქს II,225); „წვერით **ხკრა** ბიჭიჭაურსა, ფართი-ფართ გეგედებია“ (იქვე, 227). შდრ. აჭ. „რომ აღარ გაჩერდა **დაჰკარი** ყბაში...“

დასცა – დაარტყა: „წვერ-წალმა **დაჰკრა** ხანჯარი, ფართი-ფართ გააგედებია“ (ქს II,228);

მიცა – მიცემა, დაარტყა: „ქაჯთა მჭედელმა ჰელ-კვერი, ცხენს **მიცა** ბეჭებზედაო“ (ქს I,116)...

მოხეური

ბაგი-ბუგი – ცემა ტყეპა (შანიძე, I,285);

მონკეპა – სახრით ცემა (შანიძე, I,365);

ლაჯ 1. დალაჯვა – ფეხით შედგომა, ფეხის დადგმა (შანიძე, I,349). შდრ. თუშ. **გალაჯვა** – გათელვა (იქვე);

თხლაშანი: **თხლაშათ** გაგადენ. შდრ. ხევს. **ტყრაშნი** გაგადინ, თუშ. ფშ. **ტყლაშანი** – გარტყმევის ხმა (შანიძე, I,332);

დანკეპლვა – შოლტით ცემა (შანიძე, I,134). იგივე ფორმას ა. შანიძე აფიქსირებს გუდამაყრულში, თუშურში, ფშაურსა და ხევსურულში.

დაფეთქვა – დათეთქვა, დაფეთქვა (შანიძე, I,313);
დაგანება – დარტყმა: დავაგინე – მოვარტყი, მივაგინე – მივარტყი (ა. შანიძე, I,308);
დაბეთქება – მინაზე დანარცხება, დახეთქება (ქავთარაძე, 1985:212);
დაგლა (დააგლის, დაეგლება, დაგლილი) – დაბერტყება, დანარცხება, დახეთქება (ქავთარაძე, 1985:214). შდრ. **გაგლა** - დანაყვა, დაცეხვა (ლლონტი, 1984:106).;
დამდგულიევა – ცემა-ტყევა, ბათქუნი, დამტვრევა, დაქცევა, დანგრევა (ქავთარაძე, 1985:220);
დანატრება – დანარცხება, დახეთქება მინაზე: „დაფახდუ, ბალო, თორო აგიყვან და დედამინას **დაგანატრებ**“ (ქავთარაძე, 1985:221);
დაღერება – დამუქრება, დარტყმის დაპირება (ქავთარაძე, 1985:225);
დაძენკავს – დაბეგვავს, დაჭეჭყავს, დანაყავს: „სახინკლე ჯორცი **დაძენკა**“ (ქავთარაძე, 1985:227);
დედის ნანოვ ხსენს დააღურევენებს, გად. დედის რძეს არ შეარჩენს მუცელში, მაგრად სცემს (ქავთარაძე, 1985:229);
მათრაჯობ – მათრაჯის ცემით ან დაშინებით (ქავთარაძე, 1985:267);
ზღდრუზავს – დრუზავს, ღონივრად მიარტყამს (ქავთარაძე, 1985:238);
მდგულიევა – ცემა-ტყევა, მტვრევა, მსხვრევა (ქავთარაძე, 1985:276);
მიაგლის – მიაჯახებს, მიახეთქებს: „... თავი კულას (=სვეტი, ბოძი) **მივაგალე**“ (ქავთარაძე, 1985:279). შდრ. აჭ. **აგლევი** თავი კედელზე (=ახეთქებინა თავი კედლებზე).
მიბეთქავს – მიტყეპს, სცემს, გალახავს (ქავთარაძე, 1985:284);
მომამნიფებს – ვულგ. გად. სცემს, მიბეჭავს (ქავთარაძე, 1985:279);

მოქისლავს – მიბრტყავს, მიბეგვავს (ქავთარაძე, 1985:284);
მიბეშტვა – დაც. მიბეგვა, მიტყევა: „მივბეშტე კარგა და მე-მრე გაჩემდა“ (ქავთარაძე, 1985:279);
ტყაშანი, ტყეშა – 1. მინაზე დაცემის ხმა: „მაიქნია და, როგოძნა, ისრი მაადინა **ტყაშანი**“; 2. ტკაცანი (ქავთარაძე, 1985:330). შდრ. **ტყლეშა, თხლეშა სახეში**.
წკაპ-წკუპი – საუბ. ცემა-ტყევა: „დედამ შვილს ლამაზი (ლაზათიანი) **წკაპწკუპი** აუყენა“ (ქავთარაძე, 1985:380);
წაქასუნება – წარტყმა, წაკვრა (ქაჯაია)...

თუშური:
ბლეგვა – მაგრად ცემა, მიბერტყვა (უთურგაიძე, 1960). შდრ. აჭ. **ბრეგვა/მიბრეგვა**.
ბუზუანი – მუშტი (შანიძე, I,294);
გაგლა – გათელვა (უთურგაიძე, 1960);
გადატანება, გადატანა – მივარდნა, ცემა: „ჯერ მე **გადავატანებოდა**, მემრ თქვენაც მომეშველნიდითა“ (ქ.დ.577). შდრ. აჭ. **გადატანება შენი/მისი** (მნიშვნელობა მთლად ნათელი არაა. შესაძლოა, თუშურის მიახლოებით მნიშვნელობას გამოხატავდეს);
დაუაგანა – მოახვედრა, მოარტყა (შანიძე, I,308);
გამწვაება – სილის განვნა (შანიძე, I, 300);
ღება – მირტყმა. მჯარში **ვიდევი** – მხარში მოვარტყი (ლლონტი, 1984:203). შდრ. აჭ. მოვადევ, მოვდე, დავადე... დარტყმის, გარტყმის მნიშვნელობით.
მიტანება – მივარდნა, ცემა (უთურგაიძე, 1960);
ჟეკვა – ჩეჩქვა, ჯეკვა, ცემა, ტყევა (ლლონტი, 1984:445);
რიკნა – მოკლე ჯოხი, რიკი; მატყლის დასაბეგვი პატარა ჯოხი (ლლონტი, 1984:453). შდრ. **გარიკენა, გარიკინებული** (=გახევეებული/გაჯოხებული);
სატყეპელი – საცემი, საბეგვი ხელსაწყო: „დაუშინეს თავში რკინის **სატყეპელი**“ (ქსპ, II,163); შდრ. **გა-ტყეპ-ა** – **სა-ტყეპ-ე-ლ-ი**;

ტკეცილობა – ჩხუბი (ლლონტი, 1984:512); **შემოტყველება** – სილის განვნა (უთურგაიძე, 1960);

ჩაბაყუნება – ჩარტყმა (ლლონტი, 1984:639);

ცემა – „ყანკიაგ, ყანკიაურო, ხმლით ცემას გიპირობენა“ (ქსპ, III, 237);

ხვდომა – ცემა, ტაკება: „ხვდომი სცემია, დასტაკებია“ (ქდ587)...

თიანური

შამახკრა – შემოკრა, სცემა: „ჭურჭელი გადაიყუდნა, დაცა-ლა, დახკრა კერასა, /შამახკრა ჭიბიხოელმა, უთხრა: გიტირებ ყველასა“ (ქსპ, II, 223)... შდრ. აჭ. შემოკრა შამარი/სილლე...

გუდამაყრული:

ბრაგი-ბრუგი – დაგა-დუგი (შანიძე, I, 285)...

ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტიდან მოვიყვანეთ „ცემის“ სემანტიკის შემცველი ლექსიკა. მოყვანილი მასალა მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც ცოცხალ მეტყველებაში იხმარება აღნიშნული მნიშვნელობით. გამომდინარე თქმულიდან, ვიმედოვნებთ, რომ მომავალი ძიება ახალ მასალებს გამოავლენს. მნიშვნელოვანია, მასალა შეგროვდეს ახალგაზრდებშიც, რომელთაც უკეთ იციან „ქუჩის ენა“. ჩვენ მოზარდებისაგან ჩავინერეთ რამდენიმე საინტერესო სიტყვა: **მოთქეშა** (შდრ. თქეშა, თქაშდამიცა), **მობელა** (იხმარება სხვა მნიშვნელობითაც), **მოჩანთა** (დაჩანთა, მიჩანთა), **ახათქუნა** (შდრ. თავი ახათქუნებინა), **ტკაცუნა** (გაუტკაცუნა სილა, შამარი)...

* * *

„ცემის“ ლექსიკას შეძლებისდაკვალად ვაკვირდებოდით სვანურსა და კოლხურში, დაგვიგროვდა საინტერესო მასალა, რომლის შეჯერება ქართულ მასალასთან მოგვცემს ზოგიერთი დასკვნის საშუალებას. მოვიყვანთ სვანურ და კოლხურ „ცემის“ ლექსიკას.

სვანური:

ლიჯური, ლიჯურიე – ხელის კვრა, გვერდზე განწევა (თოფურია...);

ლიძგერელ – რქენა, ჭიდილი (ხარებისა); **ლიძგერ** – დაჯახება; ლიძგრი, ლიძგარი – ძგერება, ტაკება, ჩარტყმა, დაჯახება, ჩხვლეტა (თოფურია...). ამოსავალია **ძგერ** ძირი.

ლიჩაჩხელ – ცემა, დარტყმა (თოფურია...);

ლიცეხუე – გაცეხვა, გაფშვნა (თოფურია...). ძირეული მასალაა **ცეხ** (ცეხვა)...

ლიშკფი – დახეთქება, დარტყმა (თოფურია...);

ლიშკუემფე – ჯოხით მსუბუქად ცემა (თოფურია...);

ლიშყბი, ლიშყბინე, ლიშყბუნე – დაჯახება, მირტყმა (თოფურია...);

კუედალ, კუად, კედალ – წნელი, შოლტი, წკეპლი, სახრე (თოფურია...);

ხ-აძგრი ... გაუყრის, აძგერებს, ჩხვლეტს (თოფურია...);

ხ-აჯან – სუნის ცემა (თოფურია...);

აბენგუე ... ბეგვავს (თოფურია...). შდრ. **ბეგვავს** (ხორცს), გად. ცემს. აჭ. **ბრეგვავს**...

ასსგნე ბზ., ასსგნე ლშბ.... ბერტყავს (ხილს) (თოფურია...);

არსგუე – სცემს (თოფურია...). ამავე სიტყვას აქვს სხვა მნიშვნელობებიც.

ატყცანი ბზ., ატყცანი ბქ., ატყცანი... სცემს, ურტყამს (თოფურია...). შდრ. ქართ. **რტყმა**.

ბურთქუნი, ბგრთქნი – ბაკუნობს, ბრახუნობს (თოფურია...);

ბრიგ, ბრიგუ – ბრაგვანი, ბრეგვა, ტყაპანი (თოფურია...);

ბგრთქენ – ბრაგუნი, ბაკუნი, ბატქუნი, ბათქა-ბუთქი (თოფურია...);

ლიყერ, იყერ – ცემა, დარტყმა (თოფურია...);

ჭიხ – ჭახანი, ჭექს, სილის განვნა (თოფურია...);

ყლიფ ბზ. – ტყლაშანი, ტკაცანი. **ტყლიფიშ** ლიღნე – სილის განვნა (თოფურია...);

რიხ – რახუნი, ბრაგვანი, ზათქი, ზლართანი (თოფურია...);

ხორდი – დასცხებს, დაუშენს, ურტყამს (თოფურია...);
ლეყფანე – 1. დასაბეგვი; 2. მოსაკოდავი (თოფურია...);
ლეყერ – საცემი (თოფურია...);
პალური, პალურ – პანლური (თოფურია...);
ხ-ატყცი – სცემს, არტყამს, აახვედრებს (თოფურია...);
აჟჟენე – ბეჯავს, ჟეჯავს, ბეგავს, ჩეჩქევას (თოფურია...);
აბგუნე – ბეგავს, ცეცხვავს... (თოფურია...);
ნაყირუ, ნაყირ – დანარტყამი, დარტყმა, ნარტყამი (თოფურია...);
ალახაუი – სცემს, არტყამს ლნტ. (თოფურია...). შდრ. ლახავს;
ხ-არხი – ახლის ახეთქებს (ერთმანეთს) (თოფურია...);
აფთხენე – ბერტყავს (თოფურია...). შდრ. ფერთხავს/ფეთხავს (დაფერთხა/ დაფეთხა);
აშკუემფე – გაჯონავს (თოფურია...);
იშყბი, იშყუბი – ირტყამს (თავში) (თოფურია...);
აშკფენალი – არახუნებს, აკაკუნებს (თოფურია...);
აცეხუე – ცეხვავს (თოფურია...);
იძგარელ, იძგარიელ – იცემება, იძგერება (თოფურია...).
 შდრ. ძგერება.
ხ-ორხენე – ახლის, არახუნებს, ახეთქებს (თოფურია...);
ლიტყცი, ლიტყაცი, ხატყცი ... – ცემა, დარტყმა (თოფურია...);
ყალა – დამტვრევა, ნამსხვრევებად ქცევა, დანაყვა (თოფურია...);
ჯუგუმა, ჯუგმა – მუშტი (თოფურია...). შდრ. აჭ. ჯილი.
ლიყფენე – ბეჟვა (ნიჟ.);
ბრაგ-ბრიგე – ბრაგა-ბრუგი (ნიჟ.);
ჩულიფთხენე – გაბერტყა (ნიჟ.);
ჩულიბგუნე – დაბეგვა (ნიჟ.);
ჩულილტენე – დაბეჟვა (ნიჟ.);
ლიყერ, ნაყერვ – დაკვრა, ცემა (ნიჟ.);
ჩულიგერჟე – დალუჯება (ნიჟ.);
ჟილიყერ – დარტყმა (ნიჟ.);
ლიძგერ – კვეთება (ნიჟ.) შდრ. ძგერება.

ლიყერ, ნაყერ – ცემა, რტყმა (ნიჟ.);
ლილხავი – ცემა, გალახვა (ნიჟ.);
მგყერ – მგვემელი, ვინც გვემს (ნიჟ.);
ლიბგუნე – მიბეგვა, ლუბგუნე – მიბეგვილი (ნიჟ.);
ჯილ – მჯილი (ნიჟ.);
ლიეხ – ტაკება, ცემა (ნიჟ.);
ლიჭშხე – ქელვა (ნიჟ.);
შველტ – შოლტი (ნიჟ.);
ლიძგერინე – ძგერება (ნიჟ.);
ლიბუნძგვალ – ძიძგილაობა (ნიჟ.). შდრ. ბუნძგლა, ბურძღლა.
ლიჭინკიელ – ნიხლვა (ნიჟ.). შდრ. ჭლიკვა (ჭლიკი).
ლიბჭვე – ხეთქა (ნიჟ.);
ლიძგერ – ჯახება (ნიჟ.);
ლიჯგლგვი – ჯგვლემა, ცემა (ნიჟ.)...
 სვანურად ვინც არტყამს „მგყერ“-ია, ხოლო მომრტყმელი – „მგრყინე“, „მეტყცანი“, „მგტყცანი“, „მეტყაცი“... – მომრტყმელი, მცემელი, გამლახავი.

მეგრული:
ალაქურჩუა – ჩაჩეჩქვა (სკივრში) (ქობალია);
აკონკილი – ერთიანად ნაცემი (ქობალია);
აკოტურკილი – კომბლით ნაცემი (ქობალია);
აკოროზგილი – ერთმანეთს მიროზგილი (ქობალია);
აკოროზგუა – მიროზგვა (ქობალია);
აკოთქვაშილი – ყველა ერთად გალახული, ნაცემი (ქობალია);
აკოთქვაშუა – ყველას ერთად გალახვა (ქობალია);
აკოზორთილი – ერთმანეთს მილახული, ყველა ერთად ნაცემი (ქობალია);
აკოზორთუა – ერთმანეთს მილახვა, ყველას ერთად ცემა (ქობალია);
აკოზურძგუნუა – მილენვ-მოლენვა, მინგრევ-მონგრევა, მორბევა (ქობალია);

ათოფურჩხოლუა – დალენვა, დაფშენა (ქობალია). შდრ. და-
ფურჩხვა.

აბრაგანი – ბურთის, ჩოგნის მაღლა აკვრა, ბიძგი (ქობალია);

აკოლახირი – ერთიანად ნაცემი (ქობალია).

აკოლახუა – ერთიანად ცემა (ქობალია). შდრ. გალახული.

ბათქუა (ბეთქუა_ – მაგრად ცემა, დაბრეგვა. **ბათქუნს** –
ცემს; **დორათქუნს** – „სცემს“, **დობათქუ** – ცემა, **დუბათქუ** – და-
უბეგვავს, **ნობათქუ** – ნაცემია, **მაბათქალი** „მცემელი, ბათქილი
– ნაცემი (ელიავა, 1997:27). შდრ. ბეთქა.

ბახ – ბახაფა – бить, ударять; **ვიბახუანქ** – бью себя, **ვუბახუ-
ანქ** – бью его (ი. ყიფშიძე, 1995:406);

ბაზ – ბაზუა ударять сильно... ვუბაზუანქ, ვუბაზეე, მიბაზუ,
ვუბაზუუქ, გაბაზუუქ, თინა მიბაზუუ, გაბაზუუ, აბაზუუ... (ყიფ-
შიძე, 1995:199);

ბეგვუა – დაბეგვა; ბეგუნს „ბეგვავს“, „დაბეგვავს“ (ელიავა,
1997:30);

ბენჭუა – მაგრად ცემა; ბენჭუნს – ცემს, დობენჭუნს – გალა-
ხავს, დობენჭუ – გალახა (ელიავა, 1997:20);

ბერტყუა – ბერტყვა. გად. მაგრად ცემა (ელიავა, 1997:31);

ბეჟუა – დაბეჟვა. გად. მაგრად ცემა (ელიავა, 1997:31);

გიბუა – მაგრად ცემა (ელიავა, 1997:62);

დგადგუა – ცემა; დგადგუნს – „სცემს“ (ელიავა, 1997:120);

დირგუა (დრიგუა) – ბრეგვა უზოგველად, მაგრად; დირგუნს
„ბრიგავს“, დოდირგუნს „დაბრიგავს“ (ელიავა, 1997:129);

დოჯიკაფა – დაჯიკავება, ხელის კვრა (ელიავა, 1997:142);

ზენჯუა – ზელით მაგრად ცემა (ელიავა, 1997:165);

ზეპ – ზეპუა, ძლიერი დარტყმა (ყიფშიძე, 1995:440);

ზღვინდუა – განკეპლვა, გამოლტვა (ელიავა, 1997:168);

თეთქუა, თეთქვა, უთეთქუნს – „უთათქუნებს“ (ელიავა,
1997:172). შდრ. აჭ. თეთქევას;

თორსაფი – მაგრად ცემა, დარტყმა (ელიავა, 1997:174);

თქაშუა – ძლიერი დარტყმა, თხლეშა (ელიავა, 1997:175).
შდრ. თქეშა, თქაშდამიცა.

ლახუა, გო-ლახუა, бытъ, избить, გილა-ლახუა – избить на
чем-лиნი (ყიფშიძე, 1995:475. შდრ. ელიავა, 1997:204);

მეგამა – „გარტყმა“; მითოგანს „ურტყამს“, ქამიოგანს – გაა-
რტყამს (გ. ელიავა, 1997:208);

ნაგვემი – ნაგვემი (ელიავა, 1997:243);

ნათუა – მაგრად ცემა (ელიავა, 1997:244). შდრ. განათება,
მონათვლა.

ნაჭუა – მაგრად ცემა. მახენჯი დონაჭეს „ქურდი ცემეს“ (ე-
ლიავა, 1997:247);

ნტვერუა – თავში ჩაცხება (ელიავა, 1997:251);

პანღურუა – პანღურის ცემა (ელიავა, 1997:260);

რაბადუა – ბერტყვა, ცემა (ელიავა, 1997:268). რაბადი – ხმა-
ური, ბრაგუნი. ურაბადუანს „უბრაგუნებს“ (იქვე);

რაჟაფი – მძიმე დარტყმა, უროს ცემა (ელიავა, 1997:269);

ტობ – ტობუა бытъ, ударять... (ყიფშიძე, 1995:534);

ტკეც – ტკეცუა, ტკიცუა, გინო-ტკიცუა ударять, разсекат,
разривать... (ყიფშიძე, 1995:533);

ტკარ//ტკერ: ტკარუა, ტყერუა бытъ, ударять... (ყიფშიძე,
1995:533);

ტვეფუა – ударять твердым предметом о что-ибо хрупкое и
пустое... (ყიფშიძე, 1995:532); შდრ. ტკარუა – ტკეცვა, ცემა, გა-
რტყმა (ელიავა, 1997:297);

ტყვაცი – громовой ударь... (ყიფშიძე, 1995:535);

ჟაჟუა (ჟეჟუა) – ჟეჟვა (ელიავა, 1997:265);

ჟვერუა – ცემა მაგრად. ჟვარუნს „ცემს“... (ელიავა, 1997:266).
შდრ. დაჟვერვა, მოჟვერვა, ჟვერვა...

ჟიფუა – მაგრად გარტყმა, სილის განწვნა (ელიავა, 1997:266);

რეჟუა – მაგრად ცემა (ელიავა, 1997:271);

რეფაფი – მაგრად დარტყმა, ხათქუნი (ელიავა, 1997:271);

რუმფუა – მაგრად ცემა; რუმფუნს – ცემს... (ელიავა,
1997:276);

სანგუა – ძლიერი დარტყმა, სანგუნს – „არტყამს“ (ელიავა,
1997:283);

ტვარუა – თავში აგდებით ჩარტყმა (ელიავა, 1997: 296);
ტორცაფი – ძლიერი დარტყმა (ელიავა, 1997:198);
ჩაკუა – ჩარტყმა, ჩაფარება (ელიავა, 1995:344);
ჩანთუა – პანლურის კვრა (ელიავა, 1997:345). შდრ. დაჩანთ-
ვა, მოჩანთვა გალახვის მნიშვნელობით.
ტუნკუა – ჯოხით ცემა (ელიავა, 1997:299). **ტუნკი** – მსხვილი
ჯოხი.
ჩხვლეპუა – ხელუკუდმა გარტყმა სახეში (ელიავა, 1997:351);
ჭიბუა – თხლემა; სახეს ქოვჭიბი „სახეში ვთხლიძე“ (ელიავა,
1997:376);
რაოუა – ბერტყვა (ელიავა, 1997:269);
რეგუა – მაგრად ცემა (ელიავა, 1997:270). შდრ. **მორეგვა**,
დარეგვა, **ჩარეგვა** (მხლის), გად. ცემა (მობრეგვა).
ცხაკუა – უძალო დარტყმა, მოცაცუნება (ელიავა, 1997:357);
ჯვარზუა – მაგრად დარტყმა, მაგრად დაჭედვა (ელიავა,
1997:294);

ლაზური დიალექტი:

ობახუ – ცემა;
ბახუფს – ცემს, გალახავს: „ბეე ბითუმ **ბახუფს** (ბავშვს ყო-
ველთვის ცემს);
დობახუ – ცემა, გალახა: „ბეე კაიხეშა **დობახუ**“ (ბავშვი კა-
რგად ცემა);
ბახასინონ – უნდა გალახოს, უნდა სცემოს: „ლაზიმი ტაში
ნანაქ ბეე **ბახასინონ**“ (როცა საჭიროა, დედამ ბავშვი უნდა გა-
ლახოს);
გეჩამუ – დარტყმა;
გეჩაფს – არტყამს: „ბიგა გეჩაფს“ (ჯოხს არტყამს);
გეჩუ – დაარტყა: „ბიგა ქოგეჩუ გენის“ (ჯოხი დაარტყა ხბოს);
გეჩასინონ – უნდა დაარტყას: „ილა **ბიგაგეჩასინონ**“ (აუცი-
ლებლად ჯოხი უნდა დაარტყას);
გიჭკვიდუ – გაარტყა, შემოულანუნა, შემოარტყა: „ბეეს
ღვას გოჭკვიდუ“ (ბავშვს ლოყაზე გაარტყა, შემოულანუნა);

გოჭკვიდუ – დაახეთქა, დაანარცხა: „კორი ლეტას გოჭკვი-
დუ“ (კაცი მიწაზე დაახეთქა, დაანარცხა)...¹

* * *

ქართველურ ენებში გამოვლინდა „ცემის“ აღმნიშვნელი მრავალფეროვანი ლექსიკა. დროდადრო მასალებს ვკრებ-
დით ლექსიკონებიდან, სხვადახვა - ლიტერატურული თუ
დიალექტოლოგიური ტექსტებიდან, ვკრებდით ველზე, სავე-
ლე-შემკრებლობითი მუშაობის დროს... წლების განმავლო-
ბაში დაგვიგროვდა საკმაო მასალა, რომელიც გარკვეულ წა-
რმოდგენად გვიქმნის „ცემის“ სემანტიკურ ველზე ქართვე-
ლურ ენებში, მაგრამ, მიგვაჩნია, რომ იგი მცირედი ნაწილია იმ
ლექსიკისა, რომელიც ქართველ კაცს შეუქმნია ხაანგრძლივი
ისტორიის მანძილზე. სხვაგვარად, მასალის შეგროვება სამო-
მავლოდაც უნდა გაგრძელდეს. ვიტყვით, რომ „ცემაშიც“ ჩანს
ქართველი კაცის ხასიათი, ბუნება. ამიტომაც მისი შესწავლა,
გარდა ლინგვისტურისა, საინტერესოა სოციოკულტურული
თვალსაზრისითაც. შესაბამისად, არსებული თუ სამომავლოდ
გამოვლენილი მასალა სხვადასხვა ასპექტით უნდა გაანა-
ლიზდეს...

უპირველესად ყურადღებას მივაქცევთ შემდეგს: როგორ
„ცემდნენ“ და „ცემენ“ საქართველოში? ჩვეულებრივ, არ ცემ-
დნენ მიპარვით (ზოგჯერ ასეც იქცეოდნენ, მაგრამ იგი არ ით-
ვლებოდა კარგ ტონად, ვაჟკაცობად), ტრადიციულად, ჩანს,
„დაკვრამდე“ ქართველები ინვევდნენ, „ემუქრებოდნენ“, „აფრ-
თხილებდნენ“... ჩანს, მონინააღმდეგის ერთგვარი დაფასება.
ასევე ყველა ყველას არ სცემდა, აქაც ტოლი ტოლს გამოი-
წვევდა ხოლმე. სხვაგვარად, ჩანს „ცემის“ ეტიკეტი. მტრობას,
მონინააღმდეგის დაძლევას თავისი წესი და რიგი აქვს და მას
უნდა იცავდეს ყველა... ჩანს, „დაკვრამდე“ მოშულარნი „ემუქ-

¹ ლაზური მასალების მონოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ ქ-
ციალა ნარაკიძეს, ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამ-
შრომელს.

რებოდნენ“, „აფრთხილებდნენ“ და შემდეგ გადადიოდნენ შეტევაზე...

საქართველოში ცემდნენ მუშტით, გაშლილი ხელით (სილა), ზოგჯერ იარაღითაც: ნკვებლა, ჯოხი, როზგი, მათრახი, კეტი...

- ცემის ლექსიკაში შევიტანეთ არა მხოლოდ კაცთა მიერ ერთმანეთის ცემის აღმნიშვნელი სიტყვები, არამედ ცემად მივიჩნიეთ მარცვლეულის (ლობიო, სიმინდი) დაფშვნა კეტით, კაკლის ჩამობერტყვა ხალით, ფიზიკური სხეულების შეჯახება და ა.შ.

- ცემის ლექსიკის ნაწილი ხმაბაძვითი სიტყვებია, სხვა კიდეც სხვა წარმოშობას ამჟღავნებს. ამ თვალსაზრისითაც უნდა მოხდეს „ცემის“ ანალიზი.

გამოყენებული ლიტერატურა და შიგომკლესანი:

აბულაძე, 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ.

ალავ. – მიხეილ ალავიძე, ლექსმუხური ლექსიკონი. „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, თბ. 1838.

ანდ. ანატ. – მარტვილობა ანდრიან^Àსი და ანატოლ^Àსი. ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ. 1965.

ანტ. – ზ. ანტონოვი.

ბარ. – ნიგნი ბარუქისი.

ბაზგ. – ბაზგირეთი.

ბეროზაშვილი... 1981 – თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბ.

ბერ. – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტპეტერბურგი, 1912.

ბერიძე, 1984 – გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ.

ბერიძე, 1981 – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ.

ბზ – ბალსზემოური.

ბქვ. – ბალსქვემოური.

გად. – გადატანით.

გამოს. – გამოსვლათა. ბიბლია, ძველი აღქმა.

გელ. ბიბლ. – გელათის ბიბლია.

გოდ. იერემ. – გოდება იერემიასი.

დან. – წინასწარმეტყულებად დანიელისი.

დიდი სჯ. – დიდი სჯულის კანონი.

ეზეკ. – ეზეკიელი. ბიბლია, ძველი აღქმა.

ელიავა – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ. 1997.

ეს. – ესააა. ბიბლია, ძველი აღქმა.

ვისრ. – ვისრამიანი, ქართული მწერლობა, 3, თბ. 1988.

ვტყ. – ვეფხისტყაოსანი.

ზირ. სიბრძნე ისუ ზირაქისი

თუშ. – თუშური

თანდილავა, 2013 – ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ.

თოფურია – ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ. 2000.

ი. – სახარება იოანასი. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბ. 1986.

ი. მოც. – საქმენი და სწავლანი იოვანე მოციქულისა და ღმრთისმეტყუელისანი და პროხორე მონაფისა მისისანი. გამოსცა ციალა ქურციკიძემ, თბ. 1959.

იერემ. – იერემია. ბიბლია, ძველი აღქმა.

იგ. სოლ. იგავნი სოლომონისნი. ბიბლია, ძველი აღქმა.

ისუ ნ. – ისუ ნავესი. იხ. ბიბლია, ძველი აღქმა.

იმნაიშვილი, 2006 – გრიგოლ იმნაიშვილი, გურული კილო, თბ.

კარტოზია, 2005 – გურამ კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ.

Кипшидзе, 1914 - Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. СПб.

ლ. – სახარება ლუკასი.
ლევით. – ლევითელი. ნ. ბიბლია, ძველი აღქმა.
ლაშხ. – ლაშხური
ლენტ. – ლენტეხური.
ლუკა იერუს. – უცნობი ავტორი, ლუკა იერუსალიმელის ცხოვრება. ქართული მწერლობა, V, თბ. 1988.
მ. ცხ. – მამათა ცხოვრება.
მრ. – სახარება მარკოზისი. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბ. 1986.
I მფ. – ნიგნი პირველი მეფეთა.
II მფ. – ნიგნი მეორე მეფეთა.
III მფ. – ნიგნი მესამე მეფეთა
IV მფ. – ნიგნი მეოთხე მეფეთა
მსჯ. – მსაჯულთა. ბიბლია, ძველი აღქმა.
მახინჯ. – მახინჯაური.
მესხ. – მ. მესხიშვილი, მასალები ქართლური დიალექტური ლექსიკონისათვის, იკე, XVII, 1970.
მაისურაძე, 1954 – ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან. ბპი შრ. IV, ბათუმი.
მაის. – ილია მაისურაძე
მარტიროსოვი, 1984 – არ. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ.
მენტ. – სტ. მენტეშაშვილი, ქართლური სალექსიკონო მასალა. იკე, XVII, თბ. 1970.
მესხ. – მესხური
Март, 1910 – Н.Я. Март, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. СПб.
ნოველ. – შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, გამოსცა მ. დვალმა, I, თბ. 1966.
ნიკ. დვალ. – ნიკოლოზ დვალის წამება. ქართული მწერლობა, V, თბ. 1988.
ნიჟარაძე, 1971 – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული

დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი.
ნიჟ. – ბესარიონ ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, ბალსზემოური დიალექტი, თბ. 2007.
ორბელიანი, 1949 – სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ.
ოთხ. სიმფ. – ივანე იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ. 1986.
ორთ. – ორთაბათუმი.
პეტრიწონი – ა. შანიძე, ქართული მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ. 1971.
ჟამთაღმწ. – ჟამთაღმწერელი, ასწლოვანი მატთანე. ქართული მწერლობა, V, თბ. 1989.
ჟღენტი, 1936 – სერგი ჟღენტი, გურული კილო, ტფ.
რიცხ. – რიცხუთა. ბიბლია, ძველი აღქმა.
როსტ. – ნათელა როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ. 1978.
საქ. მოც. – საქმე მოციქულთა. ბიბლია, ძველი აღქმა.
სარჯველაძე, 1995 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ.
სარჯველაძე, 2001 – ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ.
საკ. ნიგ. – საკითხავი ნიგნი.
სნდ. – წამება წმიდისა დედოფლისა სანდუხტისი. ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს. თბ. 1944.
ს. გაბ. დაჯდ. – შესხმისათვალს ყრამათაჲსა და დაჯდომისათვალს უფლისა კაცუსა ზედა შესულასა მის მისსა იერუსალემდ, თქუმული სებერიანოს გაბალონელ ეპისკოპოსისაჲ. სინური მრავალთავი 864 წლისა, თბ. 1964.
სამართ. – სამართალი ვახტანგ მეექვსისა, თბ. 1981.
სახოკია, 1938 – თედო სახოკია, „ვეფხისტყაოსნის“ ფიგურალური სიტყვანი და გამოთქმანი. ენიმკის მოამბე, III, თბ.
სალარ. – თ. სალარიძე, ქართლური ლექსიკიდან. იკე, XVII, 1970.

სალარიძე, 1978 – ლ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბ.

სიმფ. – ვეფხის ტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკ. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე ნინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ.

უთურგაიძე, 1960 – თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ.

ფს. – ფსალმუნნი. ბიბლია, ძველი აღქმა.

ფუტკარაძე, 1973 – შუმანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი.

ფშ. – ფშაური.

ქ. ცხ. I – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955.

ქ. ცხ. II – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ. 1959.

ქ. ცხ. IV – ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 19

ქ. ცხ. სიმფ. – ქართლის ცხოვრების სიმფონია, I, II, თბ. 1986.

ქ. მწ. – ქართული მწერლობა.

ქავთარაძე, 1963 – ივანე ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის. ქესს, III, თბ.

ქავთარაძე, 1985 – ივანე ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ.

ქსპ III – ქართული ხალხური პოეზია, ტ. III, თბ.

ქსპ II – ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, თბ.

ქსპ I – ქართული ხალხური პოეზია, I, თბ.

ქართლ. – ქართლური.

ქეშ., 1969 _ივ. ქეშიკაშვილი, თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, თბ.

ქ.დ. – ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ.

ქობულ. – ქობულეთური.

ქობალია – ალ. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ.

ღლონტი, 1884 – ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო თქმათა სიტყვის კონა, თბ.

ღამბ. – როგნედა ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ. 1988.

შავშ. – შავშური.

შანიძე, I – აკ. შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი. თხზ. ტ. I, თბ. 1984.

შარ. – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ. 1938.

შარაშენიძე, 2008 – ნინო შარაშენიძე, საჩინოური ქართული, თბ.

II შჯ. – ბიბლია, ძველი აღქმა.

შუშ. – წამებზე წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ. იაკობ ცურტაველი, მარტალოზა შუშანიკისი. გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ. 1938.

ჩუბინაშვილი, 1961 – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ.

ჩიქ. – მიხეილ ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი. ა. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, თბ. 1941.

ჩიქობავა, 1936 – არნოლდ ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფ.

ცქიტიშვილი, 2002 – თინათინ ცქიტიშვილი, ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის პრობლემატიკისათვის (გალ-გლ ფუძის მაგალითზე). ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვებითი ცენტრი, კრებული, II, ბათუმი.

ყორ. – ყოროლისთავი.

ძონენიძე, 1973 – ქეთევან ძინენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ.

წერეთელი 1938 – ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი. „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, თბ.

ხევს. – ხევსურული.

ჯანაშ. – მ. ჯანაშვილი, საინგილო. ძვ. საქართველო, ტ. II, განყ. IV, ტფ. 1913.

ჯაჯანიძე, 1961 – აჭარული ლექსიკონის მასალები. ა. ნულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრ. XXIII, ქუთაისი.

ჯორჯანელი, 1993 – კარლო ჯორჯანელი, ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი, თბ.

Mamia Paghava

MATERIALS OF “ცემა“ FOR SEMANTIC FIELDS IN KARTVELIAN LANGUAGES

SUMMARY

The work speaks in a semantic field of “ცემის“ in Georgian languages. A wide variety of materials are being analyzed from ancient literary languages, also from Georgian dialects, Colchian and Svanetian. It seems, that the presented vocabulary is only a small part of what Georgian man has historically created to mark word “ცემის“.

In the author’s opinion the word - “ცემა“ expresses character of Georgian man. Because of it, it is interesting to learn not only from linguistic point of view but also from sociocultural point of view. Accordingly, the existing or future material should be analyzed by different aspects.

იოანე სინელის „სამოთხის კიბის“ („კლემაქსის“) პეტრე გელათელისეული თარგმანის ლექსიკის ზოგიერთი საკითხი

იოანე სინელის (VI-VII სს.) „კლემაქსი“ - „სამოთხის კიბე“ (Κλίμαξ τοῦ παραδείσου, Scala paradisi), ასკეტიკური თხზულება, რომელიც შედგება ოცდაათი თავისაგან. თითოეული თავი სიმბოლურად გამოხატავს ადამიანის სრულყოფის, ღმერთთან მიახლოების „ცად აღმყვანებელი“ კიბის თითო საფეხურს. „კიბეს“ დამატების სახით ახლავს შედარებით პატარა თხზულება - „მწყემსისა მიმართ“, რომელშიც იდეალური მოძღვრის - მწყემსის სახეა დახატული. ორივე თხზულება ბერძნულ და ლათინურ ენებზე გამოქვეყნებულია მინეს პატროლოგიის 88-ე ტომში (Migne, 1868: 631-1164; 1165-1210).

ჩვენამდე მოღწეული ბერძნულიდან ნათარგმნი „კლემაქსის“ პროზაული რედაქციების მთარგმნელები არიან ეფთვიმე ათონელი და პეტრე გელათელი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეორე პროზაული რედაქციის მთარგმნელია არა პეტრე გელათელი, არამედ იოანე პეტრინი (ლოლაშვილი 1965:3; ლოლაშვილი 1968: 65-69; ზეზარაშვილი 1987: 132).

ენის ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო არის კომპოზიცია (თხზვა). ფართოდ იყო იგი გამოყენებული ძველ ქართულშიც. ძველი ქართული ენის ძეგლებში, ორიგინალურსა თუ ნათარგმნში, მრავლად გვხვდება კომპოზიტები, რომელთაგან ბევრი ქართული წარმომავლობისა და შედგენილობისაა, ბევრიც სხვა ენების რთული სიტყვების კალკია.

ამ მხრივ საინტერესოა სწორედ იოანე სინელის „კიბის“ პეტრე გელათელისეული რედაქცია, რომელიც ბერძნული წყაროს ზუსტი, თითქმის სიტყვასიტყვითი თარგმანია, მისი ლექსიკის დიდ ნაწილს კალკური კომპოზიტები წარმოადგენს.

კომპოზიციების შესახებ არსებობს დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა (ვ.თოფურია, ა.შანიძე, თ.ყაუხჩიშვილი, მზ.მრე-ვლიშვილი...) კალკური კომპოზიციები ძველ ქართულში შესწავლილი აქვს კ.დანელიას.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კომპოზიციების ზოგადი პრინციპი ყველა ენაში ერთია. იმის გამო, რომ შესაძლებელია სხვადასხვა სისტემის ენებში კომპოზიტა შედგენილობა სავსებით ერთნაირი ან მსგავსი იყოს, ძნელდება „გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან საკუთრივ ქართული კომპოზიციები და კომპოზიციები, რომლებიც წარმოადგენენ უცხოენოვან ერთეულთა კალკურ ფორმებს (დანელია 1998ა:77).

„კიბის“ ამ ქართულ თარგმანში კალკური კომპოზიციების შედგენილობას განაპირობებს ბერძნული წყარო. ბუნებრივია, ბერძნული ორიგინალის კომპოზიტა ყველა ქართული შესატყვისი შესაძლებელია არ იყოს ბერძნული წარმომავლობის.

ჩვენი მიზანია, წარმოვადგინოთ ქართველი მთარგმნელის დამოკიდებულება ბერძნული წყაროსადმი, კერძოდ, კომპოზიციებისადმი, გაგარკვიოთ, როგორ გადმოაქვს მას ისინი თავის თარგმანში.

„კიბის“ პეტრე გელათელისეული თარგმანის კომპოზიციები მრავალფეროვანია შედგენილობის მიხედვით. ამჯერად განვიხილავთ ნაირფუძიან კომპოზიციებს: რედუბლიკაციურთა რაოდენობა ძალიან ცოტაა, ასეთებია: *მცირედ-მცირედ, დღითი-დღე, ჟამითი-ჟამად, დიდ-დიდი, ფერად-ფერადი...* მაგრამ ისინი ბერძნულის კალკებს არ წარმოადგენენ.

სხვადასხვაფუძიანებში გამოიყოფა მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიციები, რომელთა ერთი წევრი, უმეტესად პირველი, ზედსართავი, რიცხვითი ან ნაცვალსახელია (ჭარბობს ზედსართავი სახელი). საზღვრულად ხშირია არსებითი, საწყისი, მიმლეობა.

კეთილ-სიტყუებნი 96r – ეუ-ლოγია 884A¹; კეთილ-სასოება

1 კომპოზიციებს ვუთითებთ კონტექსტში დაცული ფორმით. ქართული თარგმანის მაგალითებს ვიმოწმებთ ხელნაერთა ეროვნული ცენტრის A39 ნუსხის მიხედვით, ბერძნულ შესატყვისებს - მინეს პატროლოგის 88-ე ტომში გამოქვეყნებული ტექსტიდან: 631- 1210, პარიზი, 1868.

153r – ეუ-ეპისტოლია 1033A; კეთილ-ს ულობისაგან 172r – ეუ-თსუმია 1096D; კეთილ-ნათესაობა 140r – ეუ-ვენეია 1001C.

„კეთილი“ ხშირია კომპონენტად. სხვა ზედსართავთაგან გვხვდება **ბოროტი, ჰავი (κακος), სწორი (ισο), მახვლი (οξιας), უმჯნო (deilaios), მთავარი (arcaio)**»:

ბოროტ-ნებებით 157v – κακο-θελος 1060C; ჰავ-მორნმუნეობა 157v – κακο-πιστοις 1060D; სწორ-ანგელოზი 197v – ισο-αγγελον 1072C; მახვლ-კუთხე 76v – οξυ-γανος 829A; უმჯნო-კაცოესა 76v – δειλ-ανδρου 829B.

პირველი კომპონენტი მსაზღვრელისაგან მომდინარე რიცხვითი სახელია:

სამ-სართული და სამ-სუეტი 12r – τρι-δομος και τρι-στυλος 636D; სამ-სირასა ჯაჭუსა 132v – τρι-σειρος αλυσις 989D; ოცდაათ-ნლეულად 202r – τριακοντα-ετης 1161A; ორ-ქორნინებისაგან 26r – δια-γαμιας 1189A; ას-კეცი 108v – εκατοντα-πλασιον 928C; მრავალ-წორცთა 167r – πολυ-σαρκα 1085B; მრავალ-მს უმელობა 111 – πολυ-ποσια 937D; ერთ-სულის 112v – ὀμο-ψυχου 937D. ერთ' ამ კომპოზიტში არ აღნიშნავს რაოდენობას. ქართველმა მთარგმნელმა ამ რიცხვითი სახელით გადმოსცა ბერძნული ὀμο-ს მნიშვნელობა: **ერთი და იგივე, ერთნაირი, მსგავსი.**

კომპოზიტის პირველი წევრი ნაცვალსახელია (ასეთ კომპოზიტთა რაოდენობა ბევრი არაა):

სხუა-ენა და სხუა-ენათშორის 20v – αλλο-γλωσσος και ετερο-γλωσσος 665C; თვთ-მფლობელობა 159r – αυτε-ξουσιν 1061C; თვთ-დასჯილი და თვთ-მზრუნველი 53v – αυτοματο-κρινος και αυτο-μεριμνος 764B; ყოველთ-მეფესა 184v – Παμ-βασιλει 1132A.

მსაზღვრელ-საზღვრულისაგან უნდა მომდინარეობდეს ის კომპოზიციები, რომელთა პირველი ნაწილია ფუძით ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელი და სახელზმნა.

პირველი კომპონენტი სახელის ფუძეა: *ნავ-დანთქმულე-ბა 25v – ναυ-αγιον 680D; ნივთ-ბორგნეულად 33v – υλο-μανου 693B; მუცელ-ბორგნეულისამან 51v – κοιλιο-μανιαν 725B; შვილ-მსხმელობა 109r – τεκνο-γονια 929B; ჯელ-მოქმედებისა 145r*

- *χειρ-οιργησαντα 1020C; ტყუილ-წმასნილისა 44v - ψευδε-
πιπλαστον 713A; კნინ-სიტყუაობისა 132r - μικρο-λογιας 980C;
ფერვ-მყვანებელი 180v - ποδ-ηγων 1112B.*

სახელის ფუძე ამ კომპოზიტებში მნიშვნელობით უტოლდე-
ბა ნათესაობითი ბრუნვის ფორმას.

ნათესაობით ბრუნვაშია პირველ კომპონენტად სახელი და
სახელზმნა შემდეგ თხზულ სახელებში:

*ქველის-მოქმედება 158v - ευ-εργετειν 1061B; ქუეყანის-მოქმე-
დი 113v - γεαργοις 941A; ჯელის-ამპყრობელი 84v - χειρ-αγαιος
822B; გზის-მავალობა 24v - οδοι-πορια 680A; სიტყვ-დადება-
ნი 51v, 59v - λογο-θεςια 724D, 773A; ღმრთის-სათნოთა 28v - θε-
αρεστοις 680C; საკვრველთ-მოქმედი 52v - θασματο-ποιος 725C;
მუჭლთ-მოღრეკასა 35r - γονυ-κλισιαν 689B; ალიზთ-მოქმედებისა
63r - πλινθ-οιργιαν 780C; წუნთ-მოქმედისა 29r - οψο-ποιου 680C;
სულთა-მხრწნელმან 125v - ψυχο-φθορος 976C; გულთ-მეცნიერი
125v - καρδιο-γναςτες 976D; ტკივილთ-მომღებნი 151r - φερε-
პონიς 1029B; სიცილით-მოქმედება 93v - γελατο-ποιια 869D.*

კომპოზიტში ზმნა ძირითადად ადგილობით ზმნისწინებთან
ერთად გვხვდება. იშვიათია თვით კომპოზიტთაგან ნაწარმოე-
ბი ზმნები.

*ვისაკვრველ-მოქმედეთ 75v - τεθασματ-οιργηκαμεν 819D;
ვიღმრთის-მეტყუელეთ 75v - τεθεολογηκαμεν 819D; დატევ-
ნის-მოყუარებენ 101v, 173r - φιλο-χαρουσιν 893A, 1097C; სი-
ტყუა-მოყუარულობს 130v - φιλο-λογει 988B; ღრმა-სიტყუაობს
130v - βαπτο-λογει 988B; იმრავალ-გამომწულიველნეს 133v -
πολυ-πραγμοιησει 992C; ისასწაულთ-იმოქმედეს 207r - εθασματ-
οιργησαι 1188B; ნუჰქედ-მალლო 123r - μη σψ-αυχεναι 968C.*

თხზული სიტყვების ერთ-ერთი კომპონენტი ბერძნული
ადგილობითი ზმნისწინების (**επι/σπερ, συν/პარა, პრო, εν, εκ/ εξ,
σπο...**) ქართული შესატყვისებია (**ზედა/ზედ, თანა/თან, წინა//
წინ, შინა, გარე, ქუე**)... დაერთვიან ისინი ზმნებს, სახელზმნებს.

სპეციალურ ლიტერატურაში შესწავლილია ადგილობითი
ზმნისწინების შემცველი ფორმები ძველ ქართულში (ი.ვეშაპი-

ძე, კ.დანელია). აღნიშნულია, რომ „ადგილობითი ზმნისწინები
ქართულისათვის ორგანული არ არის, მეორეულია (დანელია
1998ბ:57). კ.დანელია იმონმებს ამ აზრის შესაბამის მასალას
სათანადო კონტექსტში.

„კიბის“ გელათელისეული თარგმანი ზუსტად მისდევს ამ
მხრივ წყაროს. ბევრია **ზედა, თანა, წინა**, დანარჩენთა რაოდე-
ნობა შედარებით მცირეა.

კონტექსტის გარეშე დავიმონმებთ რამდენიმე ასეთ კომპო-
ზიტს ბერძნული შესატყვისებითურთ:

*ზედა-დანესებანი 40r - επι-ταγματα 716C; ზედა-დამინესე-
ბიეს 50r - επι-εταστον 721C; ზედ-გამოწინა 205r - επι-εφανε
1184A; ზესთ-წარხილვად 68r - σπερ-οραν 804C; ზესთ-დადე-
ბა 90v - σπερ-θესιμους 865C; თან-შეეზაოს 197v - συν-ακραθη
1157A; თანა-მზრახვალობა 29r - συλ-λαλια 685B; წინა-მდგო-
მელსა 33v - პრო-ετατος 693C; წინა-რბიოდა 63r - პრო-εδραμε
780D; წინ-მიღებათა 94r - პრო-ληψις 712A; ქუე-მდებარესა 54r
- σπο-κειμενη 764D.*

ჩვენი შრომის მიზანს სცილდება ისეთი ფორმების ანალიზი,
რომლებშიც ეს ზმნისწინები ზედმეტია ქართულ თარგმანში,
„მიმატებულია ბერძნული წყაროსადმი ზედმეტი ერთგულე-
ბით“ (დანელია 1998ბ:50). ასეთია, მაგალითად, „კიბის“ თარგ-
მანში: *ზედ-წარწერილისა ძალი 131r - επι-γრაφης 968C; თა-
ნ-დაიძინენ შენ თანა 100r - συγ-κοιμηθητω σοι 889D.*

ზოგიერთი ეს ზმნისწინი დერივაციული ფუნქციითაც
გვხვდება სახელებთან:

*თანა-ცრემლოანად 99v - συν-δακρυες 889A; თან-მეულლე
87r - συ-ζυγος 860A; თან-მოსახელე 29r - συν-ασυμος 981D; წი-
ნ-გზათა 86r - პრო-οδος 852D.*

„კიბის“ ბერძნული და ქართული ტექსტების კომპოზიტები
ძირითადად ორფუძიანებია. გვხვდება სამკომპონენტიათა:
*წინა-გზა-მოყველი 178r - პრო-οδο-ποιουσται 1109D; წინა-პა-
ტივ-ვსცეთ 54r - პრო-τιμη-σαστην 764C; ზედ-განხილვის-მოყუა-
რე 11r - φιლ-επι-σκοπον 636B.*

პეტრე გელათელი უმეტეს შემთხვევაში იცავს თხზულ სიტყვათა კომპონენტების წყაროსეულ რიგს (ეს ჩანს ზემოთ დამონმბებულ მასალაშიც), თუმცა იშვიათი არაა ამ რიგის შეცვლის შემთხვევებიც.

ბერძნულ წყაროში მოყუარე, მოყუარება ყოველთვის პირველ ადგილზეა. ქართულ თარგმანში შეცვლილია ამ ტიპის თხზული სახელების კომპონენტთა რიგი:

დიდების-მოყუარისა 157r – *φιλο-δοξου* 1060A; ძღვევის-მოყუარე 10v – *φιλο-νικων* 633B; მონაგებთ-მოყუარე 108r – *φιλο-κτημα* 928C; კასაბთ-მოყუარე 11v – *φιλο-μακελλον* 633B; უკაცთ-მოყუარე 87r – *αφιλ-ανθρωπου* 860A; გემოთ-მოყუარე 19v – *φιληδονον* 664D; სოფლის-მოყუარეთა 19v – *φιλο-κοσμικοις* 664C; სიტყვის-მოყუარე 109v – *φιλο-λογος* 933B; სინმიდის-მოყუარე 100v – *φιλ-αγνον* 1201D; ძმათ-მოყუარება 40v, 52r – *φιλ-αδελφια* 705A, 725C; უცხოთ-მოყუარება 52r – *φιλο-ξενια* 725C; დატევნის-მოყუარება 126v – *φιλο-χαρειν* 977C; დატევნის-მოყუარეობენ 173r – *φιλ-χαρουσιν* 1097C; სიტყვს-მოყუარება 109v – *φιλο-λογειν* 933B; მთავრობის-მოყუარება 165r – *φιλ-αριας* 1072B.

გამონაკლისია ბერძნულში **θεο-φιλης** (ღმრთის-მოყუარე). საინტერესოა, რომ ქართულ თარგმანშიც დასტურდება ღმრთის-მოყუარე 10r, რომლის კომპონენტთა რიგი ემთხვევა ბერძნულს: *θεο-φιλης* 633B, ღმრთის-მოყუარისა - *θεο-φιλους* 805D. აქ საინტერესოა ალბათ ისიცაა, რომ ბერძნულ წყაროსა და ქართულ თარგმანში არის ღმერთ კომპონენტის სახელები, რომელთა წევრების რიგი ერთნაირია - ღმერთი პირველ ადგილზეა:

ღმრთის-მოსავთა 69v – *θεο-σεβαν* 805D; ღმრთის-მეტყუელმან 110r – *θεο-λογος* 949A; ღმრთივ-წერილთა 125v – *θεο-γραφοუს* 988C; ღმრთის-მბრძოლობით 161v – *θεο-μαχια* 1068A.

კ.დანელია აღნიშნავს, რომ „მოყუარე კომპონენტის კომპოზიციები ქართულ თარგმანში მისადაგებულია ბერძნული **φιλος** შემცველ რთულ სახელებს, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კომპონენტთა რიგით ქართული და სომხური ერთად დგა-

ნან ბერძნულის საპირისპიროდ“ (დანელია 1998ა:85).

კომპონენტთა რიგი ბერძნულთან შედარებით ბევრ სხვა თხზულ სიტყვაშია შეცვლილი:

ძვრის-წსენება 80r – *μνεσι-κακια* 836A; *ზრუნვის-მქონენი* 84r – *εχε-φρασ* 848D; *ბოროტის-დედისა* 109r – *μετρο-κακου* 929B; *ნაველ-ფიცხელობის* 51v – *οξυ-χολια* 725B; *ქედ-მაღალი* 121v – *μεγαλ-αυχουστας* 965C; *გულ-მაღალი* 122r – *θψηλο-καρδια* 965D.

ყოველთვის შეცვლილია შინა' (εν) კომპონენტის სახელების შემადგენელ ნაწილთა რიგი - შინა' ქართულ თარგმანში ბერძნულის საპირისპიროდ, მომდევნოა:

ვნების-შინანი, *ვნების-შინათა* 205r – *ემ-παθεις* 1181C; *არს ვნების-შინავენების-შინათა* უვნების-შინაესი 106r – *εστιν ეμ-παθης ეμ-παθους ეμ-παθεστεροι* 901C; *ძილის-შინა* 23r – *εν-υπνιον* 669B; *ძილის-შინასა* 23v – *εν-υπνιου* 672A.

იცვლება კომპონენტთა რიგი ზედა'-ს შემცველ სახელშიც: *ღუანლის-ზედა* 214v – *ემ-παθλον* 1201D; *ქუეყანის-ზედა* 14r – *ეπι-γειου* 640A.

ქართულ თარგმანში კომპოზიციებად არის შეერთებული ბერძნულ ტექსტში ცალ-ცალკე ერთეულებად წარმოდგენილი სიტყვები:

ქართ-მობერვისათა 141v – *ανεμαν πνοην* 1013B; *სულთ-ბოროტისა* 134v – *πνευματων πονηρια* 993C; *მრავალ-დაყოვნებისა* 62v – *πολλα τα χρονα* 777D; *პირველ-მოსრულნი* 50r – *πρωην ελθοτας* 721C; *გულის-საგრძობელ* 167r – *την της καρδιας αισθησιν* 1073D; *მამათ-სათნობათა* 168v – *των πατερων αρετας* 1085D; *სიმდაბლის-სიმრავლისა* 17v – *πληθος δε ταπεινωσεως* 1092C; *სტადიონის-შინაჲსამი* 25v – *εν τα σταδια* 680D; *ემმაკით-სიბოროტისა* 161v – *δαιμονων κακια* 1065D; *ცოდვის-მოქმედებად* 157r – *την αμαρτια ημας κατεργαζεσθαι* 1060D.

ზოგჯერ კომპოზიციით თარგმნილია ბერძნული ტექსტის მარტივი სიტყვა, რაც შეიძლება აიხსნას გადმოსაცემი შინაარსის დაზუსტების საჭიროებით. ასე, მაგალითად:

ქართულ რედაქციაში არის ასეთი წინადადება: *ნათელღებულნიცა და მავასებელნი და ნავითმავალნი და მთესვარნი განმდიდრებად ვსასოებთ 150r*. ხაზგასმულ სიტყვას ბერძნულში შეესაბამება **πλεοντες** (1028A). **πλεω** (ვცურავ) ზმნის მიმღეობა (მცურავი, მოცურავე), მთარგმნელმა დაამატა **ნავით** და სათქმელი დააზუსტა.

ბერძნული წყაროს **στεναγμοι** 804B - კვნესა, ოხვრა გადმოცემულია ძველი ქართულის შესატყვისით - კომპოზიციით **სულთქუმანი** 67v; ასევე **στεναζα** (კვნესი, ვოხრავ) მარტივი ზმნის მიმღეობა **στεναζαν** 808D გადმოცემულია ძველი ქართულის კომპოზიციით - **სულთმთქუმელი** 71r.

ბერძნული ტექსტის მარტივი სიტყვა **τραπεζιτη** 724D - ზარაფი, მეკერმე, თარგმნილია კომპოზიციით - **ტრაპეზის-მჯდომარე** 51r.

იმ სიტყვათა ნაწილებს, რომლებსაც პეტრე გელათელი კომპოზიტებად მიიჩნევს, აერთებს რკალით. ამით მიაწინებს მკითხველს მათს შედგენილობაზე. ასეთებია: *მრჩობლკეცითა 191r, მრავალსასურველისა 190v, მრავალსავანედ 195 r, უხრწნელმყოფელო 192v, კეთილცნობანი 196v, მიზეზდგმა 195r, ანმყოფ არს 200 r, უმოქენოქმნილი 200v, ნაცვალნანერთავან 200v, ჯმაუყოფს 27v, ღირსსაკვრველნი 28r, სწორრიცხვ 53v, უმკუთეთლოქმნილი 185r, ამრავალგუარებ 212v...*

ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი პირველი კომპონენტი (ორივე რიცხვში) მავრცობი ხმოვნის გარეშეა ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით. ამ ხმოვნის დაკლებას მთარგმნელი აპოსტროფით მიაწინებს:

უფლის'ანგელოზისა 185r, სულის'წარმადგინებელი 192v, სიყვარულის'ძლით 196r, ღმრთის'სიყუარულისათჳს 196r, უბინოების'ძლითისა 213v, სჯულის'მდებელისა 213v, სინმიდის'მოყუარისა 213v, ფერვთ'შესასხმელი 214v, საიდუმლოთ'მყვანისა 214v, მჭევთ'მოსანყუედელისა 214v...

ზედა, თანა, წინა, ზესთა მომდევნო კომპონენტთან რკალითაა შეერთებული: *ზედადადებად 25r, ზედამანუევდენ 98r,*

ზედაგანცემად 98r, ზედააღმდგომი 116r, თანაშემოსლვასა 212v, თანამსრბოლი 216v, თანაღმობილად 98v, თანამლოცველადად 185r, წინააღმირჩევიეს 107r, წინადადება 171v, წინააღმირჩეველი 102r, წინაუსწრობს 117v, ზესთააღმონებასა 153v.

ხმოვანმოკვეცილი ვარიანტები მომდევნო კომპონენტს რკალითა და აპოსტროფით უერთდება:

ზედ'საღელვო 196r, ზედ'შემტკიცებული 195v, ზედ'ძიებასა 206r, ზედ'მონვენული 205r, თან'შეუღლეთა 196v, თან'შებჭობასა 206v, თან'მოქმედებასა 205r, თან'შემკრველი 195v, ზესთ'აღჭჭდე 185v, ზესთ'მჩენობა 194r, ზესთ'ალსრულმან 195r.

ჭარბობს ხმოვანმოკვეცილი ფორმები.

ასევე ორი ვარიანტით არის კომპოზიტი უარყოფითი ნაწილაკი - **არა/არ**. ამ შემთხვევაშიც დანერილობის იგივე პრინციპია გამოყენებული: **არა** რკალით უერთდება მომდევნო კომპონენტს, **არ** - რკალითა და აპოსტროფით:

არავანფრთხოა 141v, არამცირე 144r, არამესრულმან 195r, არამცნობელი 198r, მაგრამ: არ'უღელვოობად 209r, არ'ესოდენ 911r, არ'ესრეთ 181v, არ'განშორებად 186r...

შევნიშნავთ, რომ ადგილობითი ზმნისწინებისა და უარყოფითი ნაწილაკის სრულ და ხმოვანმოკვეცილ ვარიანტთა გამოყენებაში არ ჩანს რაიმე კანონზომიერება - რატომ ანიჭებს მთარგმნელი ამა თუ იმ ვარიანტს უპირატესობას.

ამ სიტყვათა გვერდით მიუღებელი ჩანს ქართულ თარგმანში კომპოზიტებად გადმოღებული სიტყვები: *სადაჰმწყსი? 198v – που ποιμαινεις; 1160B; მგონიესსადმე 210v – ουμαι που 1205C; არ'უსწავიეს 208v – ου μιηαθηκεν 1192B; არ'ემიშვის 187v – μη φοιειται 1133D; არ'ემოქენო 185r – ου δεηθηθη 1132A; არცაოდესცა 185r – ουδεπα 1132A.*

შეიძლება დავასკვნათ: „კიბის“ ქართული რედაქციის თხზული სახელების ანალიზით კარგად ჩანს პეტრე გელათელის მთარგმნელობითი მუშაობის მეთოდი - მიჰყევს ბერძნულ წყაროს. ზოგიერთი გადახვევა გამონვეულია გადმოსაცემი შინაარსის დაზუსტების საჭიროებით.

ცალკე კვლევის საგნად გვესახება ბერძნული ადგილობითი ზმნისწინებისა და უარყოფითი ნაწილაკის ვარიანტების (**ზედა/ზედ, თანა/თან, წინა/წინ, ზესთა/ზესთ, არა/არ**) კომპოზიტთა ნაწილებად გამოყენებისა და დიაკრიტიკული გრაფიკული ნიშნების ხმარების საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბეზარაშვილი 1987:** ბეზარაშვილი ქ., იოანე სინელის „კლემასის“ ახლადგამოვლენილი ვერსია, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1987.
2. **დანელია 1998ა:** დანელია კ., კალკური კომპოზიტები ძველ ქართულში, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბ., 1998.
3. **დანელია 1998ბ:** კ.დანელია, ბერძნულ ადგილობითი ზმნისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბ., 1998.
4. **ლოლაშვილი 1965:** ლოლაშვილი ი., იოანე პეტრინის ერთი „დაკარგული“ თარგმანისათვის, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, №1.
5. **ლოლაშვილი 1968:** ლოლაშვილი ი., იოანე პეტრინი, სათნოებათა კიბე, თბ., 1968.
6. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
7. И. Х. Дворецкий Древнегреческо-русский словарь, Москва, 1958.
8. E. A. Sophocles, Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods, New York, 1900.
9. Migne, Patrologia Graeca, Paris, 1868.

SOME LEXICAL ISSUES OF PETER THE HERMIT'S OF GALATIA TRANSLATION OF "THE LADDER OF DIVINE ASCENT" BY JOHN CLIMACUS OF SINAI

SUMMARY

The abstract looks upon the lexical issue of calque composites, in regards to Peter the Hermit's of Galatia translation of "The Ladder of Divine Ascent" (Κλίμαξ τοῦ παραδείσου, Scala paradisi) by St John Climacus (6-7th centuries).

Various groups of calque composites have been used.

The first word- member of the defining-definable composite clause is usually represented by an adjective, a numeral or a pronoun. Frequent are the adjectives: *კეთილი, ბოროტი, ჰავი, სწორი, მახვლი, უმჯნო...*

The abstract studies the composite words, one of the components of which are the Georgian equivalents (*ზედა/ზედ, თანა/თან, წინა/წინ, შინა, გარე, ქუე*)... of the Greek location prefixes (*ΕΠΙ/ΣΥΝ, ΣΥΝ/ΠΑΡΑ, ΠΡΟ, ΕΝ, ΕΚ/ ΕΞ, ΑΠΟ...*), enclosed to verbs and adverbs: *ზედა-დანესებანი - ΕΠΙ-ΤΑΥΜΑΤΑ; თან-შეეზაოს - ΣΥΝ-ΑΚΡΑΘΗ; ქუე-მდებარესა - ΑΠΟ-ΚΕΙΜΕΝΗ.*

The component order of calque composites is being focused.

In the majority of cases, Peter the Hermit follows the original order of composite components; on the other hand, the exceptions to this rule are not rare: *ძკრის-წსენებაჲ - ΜΕΣΙ-ΚΑΚΙΑΝ; ბოროტის-დედისა - ΜΕΤΡΟ-ΚΑΚΟΥ; ნავლელ-ფიცხელობის - ΟΞΥ-ΧΟΛΙΑΝ; ქედ-მაღალი - ΜΕΓΑΛ-ΑΥΧΟΥΣΤΑΣ; ძილის-შინაჲ - ΕΥ-ΥΠΝΙΟΝ; ქუე-ყანის-ზედაჲ - ΕΠΙ-ΥΕΙΟΥ.*

The abstract highlights the essence of translative method of Peter of Galatia, which implies following the original Greek source, with the possible deviations being caused by the necessity to clarify the existing content.

პუბლიცისტური ტექსტის სათაურთა სტრუქტურა თანამედროვე პერიოდის ქართულენოვან პრესაში

ტექსტის სათაური ისეთი საკითხია, რომელიც დღემდე სრულყოფილად არ არის შესწავლილი და რომლის მეცნიერული კვლევა აქტუალურობას არ კარგავს. ამაზე მეტყველებს სათაურის განმარტების სხვადასხვა და განსხვავებული ვერსიები: კრუჟიანოვსკის აზრით, „სათაური ავტორის სტილისა და მხატვრული აზროვნების მაჩვენებელია. ის ისე უნდა იყოს ორგანულად დაკავშირებული ტექსტთან, როგორც ტექსტში შემავალი თითოეული სიტყვა მათი საშუალებით გადმოცემულ ამბავთან“ (კრუჟიანოვსკი, 1931: 19). „სრულყოფილ ტექსტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, რომლის შინაარსი და დასრულებულობაც შეესაბამება მის სათაურს, იგი კონსტრუირებული და ორგანიზებული უნდა იყოს განსაზღვრული წესების მიხედვით და ატარებდეს კომუნიკაციის კოგნიტურ, ინფორმაციულ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დატვირთვას“ (გალპერინი, 1981: 27). „სათაურსა და მისით სახელდებულ ტექსტს შორის წარმოიქმნება რთული აზრობრივი გამა, რომელიც წარმოშობს ახალ შეტყობინებას, ანუ ქვეტექსტს“ (ლოტმანი, 1992: 129-132). ერთი კი მნიშვნელოვანია, რომ სათაური მოკლე, სხარტი და ტესტთან ბმული უნდა იყოს. ჩვენი კვლევის მიზანია წარმოვადგინოთ სათაურთა სტრუქტურა თანამედროვე მედიატექსტებში.

თანამედროვე მედია სათაურთა მრავალფეროვნებითა და, ცოტა არ იყოს, უცნაური სტრუქტურით გამოირჩევა. გვხვდება შემდეგი შედგენილობისა და აგებულების სათაურები. კერძოდ: თვალში საცემია დაუსრულებელი და მრავალწერტილიანი სათაურები, რომლებშიც რამდენიმე მიმართულება გამოიკვეთა. ერთ შემთხვევაში მრავალწერტილი ემოციის წარმოსა-

ჩენად გამოიყენება, ხოლო მეორე შემთხვევაში - მკითხველის დაინტერესების მიზნით. სტატიის ავტორი არ ასრულებს წინადადებას იმის გამო, რომ მკითხველის ყურადღება მიიქცეოს და თავისი სტატია წააკითხოს. მრავალწერტილს იყენებენ დაუსრულებელი აზრის დროსაც, მაგრამ ამ კუთხით ახალი ტენდენცია გამოიკვეთა. რესპოდენტის ინტერვიუდან იღებენ დაუსრულებელ წინადადებებს, ან ფრაზის ნაწილს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია, რადგან ტექსტიდან ამონარიდია, და აზრის დასასრულებლად სვამენ მრავალწერტილს, ან იქვე დამსათაურებელი აკეთებს კომენტარს, შეფასებას ან სვამს ისეთ კითხვას, რომელიც ეხმიანება მთქმელის დაუსრულებელ აზრს. მაგ.:

„მამა 5 წლის ასაკში გარდაეცვალა და...“ - რას წერს „დეილი მილი“ ქართველ ადვოკატ, მარიამ კუბლაშვილზე? (გაზ., „კვირის პალიტრა“, #02, 7-13 იანვარი, 2019); „ბავშვი შემოვიდა წყალი მთხოვა... ხსნარიანი ჭურჭელი აიღო და...“ - რას ამბობს ძიძა, რომელიც ბათუმის საბავშვო ბაღში სადებიზინფექციო სამუშაოებს ატარებდა? (გაზ., „ალია“, #01, 14-20 იანვარი, 2019 წ.); „ხაზარაძე ფრთხილად იყოს...“ - პოლიტიკური სანქცია თუ საეჭვო ტრანზაქცია?; „20 წუთით ადრე მომწერა... იმ დღეს ეს ამბავი არ მითხრეს“ - რას ამბობს დილომში აფეთქებისას გარდაცვლილი ლევან დავლაძის ცოლი?; „მიშა რომ შემჩნეულია გამოქანება-გაქანებებში მოგეხსენებათ...“ - როგორ ეხმაურება ზაქარია ქუცნაშვილი კახი კალაძის განცხადებას? (გაზ., „კვირის პალიტრა“, №04, 21-27 იანვარი, 2019 წ.)...

სათაურში მრავალწერტილს ზოგჯერ სიტყვათა გამეორებასთან ერთად, აკისრია ემოციის, ექსპრესიის გამოხატვის ფუნქციაც მაგ.: *„ერთი წლის წინ, 31 დეკემბერს, გაზის გამონაბოლქვით ვკვდებოდი...“ (გაზ., „ალია“, #03, 28 იანვარი- 3 თებერვალი, 2019 წ.); „არ ვიცი, ვინ დაგვწყევლა ასე - ორი შვილის სიკვდილის მერე, ახლა შევიღიშვილიც...“; „მათ ოჯახებში რა ტრიალებს ენა ვერ აღწერს... ყველა ერთმანეთის ნათესავი იყო, ერთადაც ნავიდნენ ამ ქვეყნიდან“ (გაზ., „ალია“, #03, 28*

იანვარი - 3 თებერვალი, 2019 წ.); „დაზაფრული ბოლო მერხზე ჩუმად დავჯექი...არც კი ავმდგარვარ. არ მინდა, კლასელებმა დამინახონ... არ მინდა, დამცინონ...“; „ალარ ვიცი რა ვთქვა... ალარ ვიცი რა ვთქვა... ალარ ვიცი რა ვთქვა...“ (გაზ., „ალია“, #2, 21-27 იანვარი, 2019 წ.)...

მრავალწერტილი უმეტესად მაპირისპირებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადებებით გადმოცემულ სათაურებსა და რთული ჰოპოტაქსური კონსტრუქციის შემცველ სათაურებში გვხვდება და აღნიშნული სასვენი ნიშნის ფუნქციაც გასაგებია, საპირისპირო აზრის გადმოცემა. მაგ.: „ბავშვების ტრავმამ რა თქმა უნდა დეფიციტი არ გამოიწვია, მაგრამ...“; „ივანიშვილს რამდენჯერმე შესთავაზეს პრემიერად დაბრუნება, მაგრამ...“ (გაზ., „კვირის პალიტრა“, #5, 29 იანვარი-3 თებერვალი, 2019 წ.); „ბომბი არ ვარ, მაგრამ...“ (გაზ., „კვირის პალიტრა“, #3, 14-20 იანვარი, 2019 წ.)...

„იმედი მქონდა, რომ ამ 7 წლის განმავლობაში გიგა ბოკერიამ ან რაიმე ისწავლა ან რალაცნაირად გაიზარდა, თუმცა...“ (გაზ., „კვირის პალიტრა“, #2, 7-13 იანვარი, 2019 წ.); „მთავრობა, მიხედვით ამას... რატომ იზრდება ფასები, მომკითხავი არავინაა?“; „მესმის, რომ ქალისთვის განსაკუთრებით მძიმეა ამის ატანა, მაგრამ...“ (გაზ., „ალია“, #03, 28 იანვარი-3 თებერვალი)...

თანამედროვე პრესაში გავრცელებულია განსხვავებული, უცნაური სათაურებიც, რესპოდენტის მიერ წარმოთქმული დასრულებული წინადადება და იქვე მიყოლებულია სტატიის ავტორის შენიშვნა სხვადასხვა მოდალობის წინადადების სახით: „როდის შევძლებ საქართველოში დაბრუნებას?“ - კითხვა, რომელსაც მოკლული ემიგრანტი მხატვარი თურმე ყველაზე ხშირად უსვამდა საკუთარ თავს; „ეტყობა, თქვენ მე კარგად არ მიცნობთ“ - რას ამბობს ეკა ბესელია ფარულ ჩანანერებზე (გაზ., „კვირის პალიტრა“, #05, 28 იანვარი-3 თებერვალი, 2019 წ.); „თორნიკეს დედ-მამა არ ჰყავდა, პატარა ძმაზე და მოხუც ბებია-ბაბუაზე ზრუნავდა“ - ვინ არიან საზარელ ავარიას შეწირული ახალგაზრდები?; „სამი დღის შემდეგ პაატა მოკლეს.

მკვლევებს ვეძებდით...“ - რას ჰყვება პაატა ჩლაიძის მკვლელობაზე მისი მეგობარი (გაზ., „კვირის პალიტრა“, #5, 28 იანვარი - 3 თებერვალი, 2019 წ.)...

სამწუხაროდ, გახშირდა ბილნი სიტყვის შემცველი სათაურებიც, რაც ცენზურის დაუცველობაზე მიგვანიშნებს. დავინტერესდით და გადავხედეთ გასული საუკუნის პრესას, გავეცანით იმ პერიოდის პუბლიცისტური ტექსტების სათაურებს და მსგავსი ვერც ერთი შემთხვევა ვერ დავაფიქსირეთ. იმ დროისათვის გამოცემულ არც ერთ ჟურნალ-გაზეთში არ შეგვხვედრია უხამსი სათაური. ისმება კითხვა: რა იყო ამის მიზეზი? ვფიქრობთ, ეს უნდა აიხსნას იმით, რომ იმ პერიოდისათვის მკაცრად მოქმედებდა ცენზურა.

თანამედროვე პუბლიცისტიკაში კი საქმე გაიოლებულია. არავინ აკონტროლებს, წერენ რაც უნდათ და როგორც უნდათ. უფრო მეტიც, ავტორები იმარტივებენ საქმეს და ყოველგვარი ოსტატობის, ფიქრისა და თავის შენუხების გარეშე სათაურად გამოაქვთ რესპოდენტის ნათქვამიდან ამონარიდი სიტყვასიტყვით, რომელშიც ცენზურა არაა დაცული. ალბათ, ფიქრობენ, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს გამოიწვევენ ამით და წაკითხვადსაც გახდიან თავიანთ სტატიას.

წარმოგიდგინთ სკაბრეზული სათაურების განსხვავებულ ვერსიებს: ერთი, როდესაც სრული სახით, ყოველგვარი მორიდების გარეშეა წარმოდგენილი სკაბრეზული სიტყვები; მეორე, როცა ავტორი თითქოს არ ასრულებს სიტყვას და ე.წ. „ფიფქებს“ იყენებს, რომელშიც ნათლად ჩანს სიტყვის მნიშვნელობა; მესამე შემთხვევაშიც არ არის დასრულებული სიტყვა, მაგრამ „ფიფქის“ ნაცვლად იყენებს „ძალღუკას/@“, თუმცა ეს ნიშნები ვერაფერს ცვლის და ვერც ამსუბუქებს სათქმელს, კერძოდ:

1. სათაურები, რომლებშიც სრული სახითაა წარმოდგენილი სკაბრეზული სიტყვები:

„ამ ბრიყვს ჭიდაობა და ხულიგნობა ერთი ჰგონია“ (გაზ., „ალია“, #02, 21-27 იანვარი, 2019 წ.); „ზოგადად ორტრაკიანობას, კობახიძისნაირი ლუსტრირებული ჩათლახობა ჯობი-

ა“(გაზ., „ალია“, #04, 4-10 თებერვალი, 2019წ.); „*ვასილ მალლა-ფერიძე, გამოდი „ტელე-ტელეტიდან!*“(გაზ., „ასავალ-დასავალი“, #26, 25 ივნისი- 1 ივლისი, 2018წ.); „*ცისფერტრანსლუბი*“(გაზ., „ასავალ-დასავალი“, #04, 22-28 იანვარი, 2018 წ.); „*შენ, „მოგიხნავ“ კეთილებს, იცოდე!*“(გაზ., „ასავალ-დასავალი“, #01, 25 დეკემბერი- 7 იანვარი, 2017 წ.); „*აქეთ მოიხედე, გახრწნილო!*“(გაზ., „ასავალ-დასავალი“, #37, 11-17 სექტემბერი, 2017 წ.); „*აი, სიფათი ტარასი-გარენრის, ვიგინდარასი!*“(გაზ., „ასავალ-დასავალი“, # 31, 31 ივლისი-6 აგვისტო, 2017 წ.) ...

თუ დავაკვირდებით, ასეთი უცენზურო სათაურები გადმოცემულია დახილისნიშნის ან კითხვით-დახილისნიშნის მარტივი, იშვიათად რთული თანწყობილი და ქვენწყობილი წინადადებებით.

2. „ფიფქით / ** “ „დაფარული“ ცენზურული სიტყვის შემცველი სათაურები:

„*ეს მახინჯი ნაბ**არი რომ ცემით მოვკლა ახლა, გაუფრთხილებლობით უნდა გამასამართლონ?!“; ან კიდევ ასე: „მე ბოზ* არ ვარ, ლამაზი ვარ და ყველა მანდილოსანს ჩემი შურს. ამიტომაც აღარ იციან... თამო ვაშალომიძის სკანდალური განცხადება“...*

3. „ძალუკათი/@“ „დაფარული“ ცენზურული სიტყვის შემცველი სათაურები:

„*მივხვდი, რომ გავიშიფრე და ვიყვირე - ვერ დამიჭერთ, ბო@ებო!!!*“ (ემოციის გასაძლიერებლად დახილის ნიშნებიცაა დამატებული); „*ამ მთავრობას მო@@@ დილეთანტი დედები - გიორგი ყიფშიძე „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ*“(გაზ., „ალია“ # 01, 14-20 იანვარი, 2019 წ.); „*თქვენ იღებდით, თქვენ უყურებდით, ალბათ ან@რევდით კიდევ!!! მაგრამ ჩუმად, თქვენთვის, უხმაუროდ*“(გაზ., „ალია“, #03, 20 იანვარი-3 თებერვალი, 2019 წ.); „*პოლიტიკოსები და პოლიტრიკოსები*“(გაზ., „ასავალ-დასავალი“, #23, 25 4-10 ივნისი, 2018წ.)...

ერთი რამ უნდა ითქვას, რომ უცენზურო სათაურების მომრავლებას ხელი შეუწყო საზოგადოებამ, კრიტიკა ნაკლებად

ისმის, თავისუფალი მედია სხვაგვარად იქნა გაგებული და ვხედავთ, რა შედეგამდეც მივედით.

მართალია, ჩვენ სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგი არ ვართ, პირიქით..., მაგრამ უხამსობა ნამდვილად უნდა გაკონტროლდეს, რადგან პრესა და ზოგადად მედია ნიმუშის, მაგალითის მიმცემი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

ხშირია ისეთი დახილისნიშნის მარტივი წინადადებებით გადმოცემული სათაურები, რომლებშიც ექსპრესიის, მეტი ემოციის გამოხატვისა და გადმოცემის მიზნით, იგივე წინადადება მსგავსად ან მცირე ცვლილებით მეორდება, ასეთებია:

„*არ შეცდეთ! არ მიხვიდე! არ დარეკოთ!*“(გაზ., „ასავალ-დასავალი“, 9, 26 თებერვალი- მარტი, 2018წ.); „*აღარ მოათრიოთ! აღარ მოაშავოთ! აღარ მოაბნელოთ!*“ გაზ., „(ასავალ-დასავალი“, #48, 26 ნოემბერი-2 დეკემბერი, 2018წ.); „*ნათრიეს! ნააშავეს! ნააბნელეს!*“(გაზ., „ასავალ-დასავალი“, #8, 19-25 თებერვალი, 2018წ.); *არ გაეკაროთ!!! არ გაიკაროთ!!!* (გაზ., „ასავალ-დასავალი“, #43, 22-28 ოქტომბერი, 2018წ.); „*სულს ამოგხდით! დაგყრით ღორებივით!*“(გაზ., „ასავალ-დასავალი“, #46, 12-18 ნოემბერი, 2018 წ.)...

ხშირია დახილისნიშნის, ემოციური მოდალობის მარტივი სათაურები: *ყოჩაღ, პრემიერო!* (გაზ., „ასავალ-დასავალი“, #40, 4-11 ოქტომბერი, 2018 წ.); *გახარია არ გაახარა!* (გაზ., „ასავალ-დასავალი“, #32, 6-12 აგვისტო, 2018 წ.); „*შოთა გორგოძე დუმილს არღვევს!*“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, #31, 30 ივლისი-5 აგვისტო, 2018 წ.); „*სისტემა უნდა დაინგრეს!*“ (გაზ., „ასავალ-დასავალ“, #38, 18-24 სექტემბერი, 2017 წ.); „*დიდ ომს ველოდები!*“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, # 32, 7-13 აგვისტო, 2017 წ.)...

ძალიან საინტერესოა ალუზიური სათაურებიც, რომლებშიც ცნობილი ფრაზის, იდიომის, მოთხრობისა თუ რომანის სახელწოდებებია ინტერპრეტირებული: კონსტანტინე გამსახურდიას რომანს „დიდოსტატის მარჯვენა“ ეხმიანება შემდეგი სათაური „*რატომ კარგი დავიგია!*“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“,

#36, 3-9 სექტემბერი, 2018წ.); ვაჟა-ფშაველას მოთხრობას „ამოდის ნათდება“- „ამოდის ნაცდება!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, #40, 4-11 ოქტომბერი, 2018წ.); ამ სათაურში კი ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ შეცვლილია შემდეგნაირად: „ლომი და მშვიდობა!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, #32, 6-12 აგვისტო, 2018წ.); იესო ქრისტეს 30 ვერცხლად გაყიდვას ეხმიანება შემდეგი მეტაფორული სათაური - „ვინ ვაჭრობს რუსეთის ვიზებით, ანუ რუსეთის ინტერესები 30 ვერცხლად!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, #31, 30 ივლისი-5 აგვისტო, 2018 წ.); ო, ჰენრის ნოველას „მოგვების ძღვენი“ შეცვლილია ასე- „ხაზარაძის ძღვენი“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, #22, 28 მაისი-3 ივნისი, 2018 წ.); ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“- „გლეხის ნაამბობი“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, #04, 22-28 იანვარი, 2018 წ.); ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქობი“- „ბიძია თემოს ქობი“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, #51, 18-24 დეკემბერი, 2017 წ.); ქართულ ენაში გვაქვს ასეთი ფრთიანი ფრაზა „ბუზსაც ვერ აუფრენ“, რაც გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს, რომ ვერაფერს ვერ დაუშავებ. ამის გათამაშებაა შემდეგ სათაურში: „მეუფე პეტრეს ბუზიც კი ვერ აუფრინეს!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, #42, 16-22 ოქტომბერი, 2017 წ.) აქ კი შექსპირის პიესების მთავარი პერსონაჟების სახელები, რომლებიც კონცეპტუალურ სახელებად იქცნენ, ფიგურირებს: „იაგოების, დეზდემონებისა და ოტელოების გასაგონად!“ (გაზ., „ასავალ-დასავალი“, #28, 10-16 ივლისი, 2017 წ.)...

ამრიგად, თანამედროვე მედია მრავალფეროვანი და უცნაური სტრუქტურის სათაურებით გამოირჩევა. გვხვდება: დაუსრულებელი და მრავალწერტილიანი; რესპოდენტის ინტერვიუდან ამოღებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შემცველი; ავტორის კომენტარებით გაჯერებული; ემოციურ-ექსპრესიული და რთული სინტაქსური კონსტრუქციის შემცველი; სკაბრეზული და ალუზიური სათაურები, რომლებიც უცხოა გასული საუკუნის პუბლიცისტური ტექსტებისთვის და თანამედროვე პრესაში მათი დამკვიდრების მიზეზი არის ის, რომ

სტატიის ავტორებს არ სურთ ზედმეტად თავის შეწუხება, ფიქრი, ოსტატობა და, ალბათ, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ნაკითხვადი რომ გახადონ თავიანთი სტატია. ამას რამდენად აღწევენ, ეს უკვე სხვა საკითხია.

ბამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. გალპერინი 1981 – Гальперин И. (1981). Текст как объект лингвистического исследования. Москва: «Наука».
2. ლოტმანი 1992 – Лотман Ю. М. (1992). Семиотика культуры и понятие текста. В кн.: Лотман Ю. М. Избранные статьи. Т. 1. Таллинн. сс. 129-132. <http://www.durov.com/literature1/lotman-92b.htm>
3. კრჟიჟანოვსკი 1931 – Кржижановский С. Д. (1931). Поэтика заглавий. // Никитинские Субботники. Москва. http://az.lib.ru/k/krzhizhanowskij_s_d/text_0292.shtml
4. გაზ., „პრესა“, [www. http://presa.ge/new/?m=politics&AID=53261](http://presa.ge/new/?m=politics&AID=53261)
5. გაზ., „პრაიმტაიმი“, [www. http://primetime.ge/archives/](http://primetime.ge/archives/)
6. გაზ., „ალია“, [www. http://alia.ge/?page=4](http://alia.ge/?page=4)
7. გაზ., „კვირის პალიტრა“, [www. https://www.kvirispalitra.ge/gazethi-kviris-palitra.html](https://www.kvirispalitra.ge/gazethi-kviris-palitra.html)
8. გაზ., „ასავალი“, [www. http://www.asavali.ge/](http://www.asavali.ge/)

THE TITLE STRUCTURE OF THE PUBLICATION
TEXT IN THE MODERN GEORGIAN PRESS

SUMMARY

The modern media is distinguished by diverse and strange structures headings.

There are: incomplete and multi-dimensional; Containing different interpretations taken out from respondent's interview, full with the author's comments, Emotional-expressive and complex syntactic construction, scabrous and Allusion titles, which are unfamiliar to the publicist texts of the last century and the reason for their establishment in modern press is that the authors of the article do not want to worry too much, think, professionalism, and maybe make a large part of the public read their article. How they achieve, this is another issue.

ზმნის პირისა და რიცხვის ნიშანთა გამოხატვის
თავისებურებანი მარადიდულ კლარჯულში

მარადიდული კლარჯული მეტყველება ძალიან საინტერესო ლინგვისტურ სურათს იძლევა მრავალი ასპექტით, თუმცა ჩვენ ამჟამად მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშანთა გამოხატვის თავისებურებებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რადგან დიალექტური და საერთო ენობრივი პროცესების წარმოჩენის თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანია პირის ნიშანთა კომბინაციები. საანალიზო მასალად ვიყენებთ 2017-2018 წლებში ჩვენ მიერ ჩანერილ ტექსტებს ზემო და ქვემო მარადიდში.

მარადიდულ მეტყველებაში პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ- დაკარგულია ბაგისმიერი უ' ხმოვნის წინ უფრო მეტად ზმნისწინიან ფორმებში: ჩვენ ქათმებ სიმინდი დუყური; ჩალილერში ჩუუკიდე და დავნვი; აქიდამა ნე-მეთქი, გუუში..., თუმცა უზმნისწინო ფორმებშიც გვხვდება ვ-ინის გაუჩინარების შემთხვევები, მაგრამ მსგავსი შემთხვევები არ არის უცხო ზეპირმეტყველებისთვის (ბაგისმიერი ხმოვნების წინ არ ისმის კბილბაგისმიერი ვ' თანხმოვანი): მე ვარი უთხარი მეგერ წასლაზე; ამა ღელე უძახით ჩვენ... იშვიათია ვ-ინის გაუჩინარება სხვა შემთხვევებში: ამსოჲ კაცებ დევაკავებდით, ასკერ ჩაბარებდით... ასევე იშვიათად გვხვდება ვ-მ პირის ნიშანთა მონაცვლეობა: ისე ნათქვამი არ მამიწყდება...

სუბიექტური მესამე პირი ანმყოში გამოხატულია არა -ს' სუფიქსით, არამედ -ა' ფორმანტით, რომელიც -ან სუფიქსიდან უნდა მომდინარეობდეს. მაგალითად: თუ კაცს ბედი აქვა, იმ გზაზე წასლიხან ფეხი წამოიკრავს; ყველი მაქინა მაქვა; მათა მაქვა შრატისა... „ჩვენებურების ქართულში“ გვხვდება მყავა' ფორმაც: ჰიჩ ვინმე არ მყავა; დუქანში ვინმე არ მყავა... (ჩვენებ. 258).

მათ გვერდით გვხვდება აგრეთვე უსუფიქსო ფორმებიც, რომლებშიც ზოგჯერ სუფიქსთან ერთად იკარგება ფუძისეული ვ' თანხმოვანიც, ეს ძირითადად ეხება ქონა-ყოლის გამომხატველ ზმნებს. ნენედან მახსოვს, დანახული არ **მაქ**; ახლა იმფერი ფიქრი ჰა **მაქ**; სიცოცხლეში ერთი'ნა გადმოვდე, ჰამა ქეფი არ **მაქ**; ძროხა გვყავს, ბახჩა **გვაქ**, სიმინდი **გვაქ**; ახლა იჭკვა არ **მაქ**, დავბერდი და; ბახჩა **გვაქ**, სიმინდი **გვაქ**... ასევე სხვა ფუძეშიც: მოპარვა ახლაც **არი**; ეს ჩემი შილი **არი**; ჩოქელელიც **არი**, ჩლეჩილი ფენირიც **არი**, კურუთი აკეთავენ...; სიმინდობა **არი** ახლა... უკუთქმით კონსტრუქციებში არი(ს) ზმნა დისიმილირდება უარყოფითი ნაწილაკის თანხმოვნის გავლენით და გვაძლევს **არი(ს) > ალი(ს)** ფორმას: აქ ისე არ **ალი**; მისი სულისთინ უკითხებენ, ღვინო-მინო არ **ალი**...

მაქვს' და მყავს' ზმნები გამორჩეულია პირის ნიშანთა წარმოების მრავალფეროვნებით. კერძოდ, აღნიშნული ფუძე დაერთავს **-ან** სუფიქსს განურჩევლად წყობისა, პირთა კომბინაციისა და რიცხვისა. მაგალითად: სხვა ენა არ **აქვან**; ძალი ის ემე **აქვან** და მორეკებენ; ახლა გელინებს საქმე არ **აქვან**; მეტი კაე თურქჩე არ **აქვან**; ყველაფერი **მაქვან** მე...; რა **მაქვან** იმფერი?; სიმინდი მოვთხრი, ჩაე გვაქ, თხილი **მაქვან**; ქალაქშიც სახლი **მაქვან**, ბორჩხაში; პური არ **მაქვან** ჩვენ; თამარაე გაგონილი **გაქვან**?; ჩვენ სახში ძროხა **მყავან**; მე იქ ტადაშვილები **მყავან**; აქიდან რძალი **მყავან** ჩვენ; ბევრი ჭანი გელინები **მყავან**; ჭანებთან მიცემული გოგვები **მყავან**; საქონელი არ **მყავან**... აღნიშნული სუფიქსი მაშინაც გვხვდება, როცა არა მარტო სუბიექტი, არამედ ობიექტიც კი არ დგას მრავლობითში: მე მაქინა **მაქვან**; ბაბოე არ **მყავან**; მე სიძე **მყავან**...

აღნიშნული ფორმები რეალური სუბიექტის მრავლობითობას ორმაგი სუფიქსაციითაც აწარმოებს: მინა ბევრი **მაქვანან**; ლამაზი სოფელი **მაქვანან**; ყანები ბევრი **მაქვანან**; გასაყიდელი რამე **გაქვანან**?... ორმაგი სუფიქსაცია გვხვდება **უნდა**' ზმნაშიც: ძე **უნდანან**, მანონი **უნდანან**, ძროხა არ **უნდანან**; რაცხა **უნდანან** ის ეღლებენ; თქვენი ნავალი დანახვა **მინდანან**... „უნდა

ზმნის რეალური სუბიექტის მრავლობითობის ორმაგი სუფიქსაცია ახასიათებს ზემოაქარულსაც“ (ნოლაიდელი, 1972:56).

საერთოდ, **აქვს**' ზმნა ერთ-ერთი უძველესია, რომელსაც ბევრი თავისებურება შემოუნახავს ყველა ენაში და ამიტომაცაა მასთან დაკავშირებული ფორმათა წარმოების ნაირგვარობა აღნიშნულ დიალექტშიც: **აქვს** → **აქ//აქვა//აქვან//აქვანან**.

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მრავლობითი რიცხვისა -**ან** სუფიქსი ყველაზე ხშირად ინვერსიულ ზმნებში, ობიექტური წყობის პირველი თურმეობითის მესამე პირის მრავლობითის ფორმებში გვხვდება **-თ'** სუფიქსის ნაცვლად: იმსოე მარანქოზობა **უქნიან**; უსტობაზე დე'სი **მუუცემიან**; ძველი ინსნები ჩვენზე წმინდა საქმე **უკეთებიან**; **უთქმიან**, აქიდან საცხა დააბეს და იქ ისე **წუუღიანო**; აქ რაცხა სახელებია იქაც **დუურქმიან**; სალდათებ **უთქმიან**, ამიდან ხოჯა არ იქნებაო, წესულან; უსტობაზე დე'სი **მუუცემიან**; ჯამეში მივეე, წალდი, ცული **დუუკიდიან**; გზა მკეთებლებმა **უთქმიან**; ისე **გუუკეთებიან** გზა..., თუმცა არა მხოლოდ პირველ თურმეობითში დასტურდება მსგავსი მონაცვლეობა, არამედ მყოფადის ფორმებშიც: ჩიტებ **გუუხარდებიან**, მოვლენ...; კაე ლამაზი სახლები **გექნებიან**, ჩვენი არ **მოგწონდებიან**!; ამნებს არ **ახსოვან**; ილაჯი **გეცოდნებიან** ყველამფერი; ჩემტოლი არ **ეცოდინებიან**...

მართალია, პროფ. შუშანა ფუტკარაძე იმერხეულის მაგალითზე დაკვირვებით ასკვნის: „ობიექტური მეორე და მესამე პირების მრავლობითობის აღსანიშნავად **-თ'** ბოლოსართის გამოყენების ერთეული მაგალითებიც არ შეგვხვედრია იმერხეველთა მეტყველებაში“ (ფუტკარაძე, 2010: 115), არც მარადიდელთა მეტყველებაში დადასტურებულა მსგავსი ფორმები, თუმცა „კლარჯეთის ზოგიერთი სოფლის მეტყველებაში რამდენიმე შემთხვევა გვხვდება, როცა ერთმანეთის გვერდი-გვერდ დასტურდება როგორც **-ან**' სუფიქსიანი, ისე **-თ'** სუფიქსიანი ფორმები: უკრაინელი როცა ქი მეზერში **წუუყვანიან**, მაშინ **უტირიათ** (კრ. VI, 240); აქ არ **ცოდნიან**// არხველებს ბევრი რაცხაები **ცოდნიათ** (კრ. VI, 239)...“ (ფარტენაძე, 2014: 40-44).

მარადიდულ კლარჯულში შეიმჩნევა მყოფადის **-ენ** და **-ან** მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა მონაცვლეობაც: ებბედი ერთი საათი არ შენახვენ აქ, **ჩაფლიან**; ერთი ძროხა შვიდი ვინცხას შეეტოლები და **დაკლიან...** და პირუკუ შემთხვევაც - **-ან** სუფიქსს ენაცვლება -ენ. მეფას ეღებენ, მარკეტში **გაყიდავენ**; იქ ყველამფერი **დეწავლებენ**; მობილაების გაღებვა **დეწავლებენ...** თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ აღნიშნულ სუფიქსთა მონაცვლეობა ფუძეში მომხდარმა ცვლილებებმაც (თემის ნიშნის დაკარგვა (ჩა-ფლ-ავ-ენ > ჩა-ფლ-ი-ან...) და გაჩენა (და-ი-სწავლ-ი-ან > დე-ან-ავლ-ებ-ენ...)) განაპირობა, თუმცა დასავლურ (გურული, იმერული, ლეჩხუმური და ქვემოთაჭული) დიალექტებში „მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის -ან სუფიქსი ყოველთვის შეცვლილია -ენ სუფიქსით: არიენ, ჩამოსულენ, შევლიენ, იციენ, გაქცეულარიენ, მიძახიენ...“ (მიქიაშვილი, 1986: 57-58).

ზოგადად, ქართული ენის დიალექტებში **-ან** და **-ენ** სუფიქსთა ფუნქციის საკითხი ძალზე საინტერესო და ამასთანავე უსისტემოა, რადგან მათი გამოყენების არე მეტად ფართოა. პროფ. მამია ფალავა აღნიშნავს, რომ „კლარჯულში **-ან**, **-ენ** სუფიქსები იმდენად სხვადასხვა პირის კომბინაციებში იხმარება რიცხვის განურჩევლად, რომ შეუძლებელია რაიმე კანონზომიერების დადგენა. -ან, -ენ სუფიქსთა ფუნქცია უნდა განვსაზღვროთ კონტექსტის მიხედვით“ (კლარჯ., 2016: 550). მსგავსი მოვლენების შესახებ ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ „დიალექტში შეიძლება მოხდეს ფორმანტა ფუნქციური გადაზრება“ (ჯორბენაძე, 1989: 428).

-ენ' - სუბიექტის მრავლობითის სუფიქსი, შეიძლება ითქვას, ყველაზე აქტიური და მრავალფუნქციური აფიქსია მარადიდულ კლარჯულში, რაზეც მეტყველებს შემდეგი გარემოებანი. კერძოდ, ის გვხვდება **დ'**, **-ოდ'** სავრცობიან ფორმებში, განურჩევლად სუბიექტისა და ობიექტის რიცხვის მნიშვნელობისა: იმის გოგო ძლათ **მყავდენ**; წუხელი ქორწილი **მქონდენ**; ინჟინერი იყო ჩემი ბიჭი. ხულოში არხები **გაყავდენ**; ძველათ

ებბედი ფეხზე რამე არ **მქონდენ**, **მცივოდენ**, ფუხრობა იყო. ნენეს ფეშტემალი **მქონდენ**; ღელქენჯებს არ **ყავდენ** ნავი; აქავრელებს **ყავდენ...**; დედამთილმა ადექითო **მეტყოდენ**, იმან არ **იტყოდენ**; ჰაივანი **მყავდენ**, ახლა არ კადრულობენ; ერთმანები **უყვარდენ** და მიეყვანა, ასეა ახლა...; კაცმა **დეენიკებოდენ** მას; დიდმა იცის და პანა ბიჭმა ვერ **ლაპარიკობენ**; გოგოს და ბიჭს ერთმანები **მონონდებოდენ** და იქნებოდა ქორწილი; არ **მონონდებოდენ** და რამე არა... **-ენ** სუფიქსი გვხვდება აგრეთვე წყვეტილის მრავლობითის პირველი, მეორე და მესამე პირის ფორმებში: **დამაბინყენ** ყველამფერი ჩვენ დეჯალმა; ხუთმეტი წლისა ვიყავი, ბეჭედი რომ **მიმიტანენ**; დილას **გეძინენ** თქვენ? რატუმ ისე **ქნენ** ა' ვიცი; ერთსხვაე წევდა, რომ არაბაე **აართვენ**, სახლიც **აართვენ** და დარჩენ ორთაში, გითთი; ახლა იმის მამამისმა ძალიან დიდი პატივი **მეცენ**; **მეყვენ** იმტე, მეყოფიან; ახლა თუ **დამჭირდენ** სახლის მონყობა?...

წყვეტილში, უწყვეტელსა და ძირითადად ხოლმეობითში გამოიყენება **-ენ'** სუფიქსი ნაცვლად **-ნენ'** სუფიქსისა: კვამლი დიდხან ყოფილიყო და **წევდენ...** რუსებმა ქილისე **ექებდენ**; ...**ტიროდენ**, **ლაპარიკობდენ**, **დეენიკებოდენ...** დიდვანებმა სელი ვეტყვით, **დათესევდენ**, გეზდებოდა, **მოჭრიდენ**, **დაჩეჩვიდენ**, ძაფი **გამოაღებდენ**, ქალებმა **დაართავდენ** და ქილიმი **გაკეთებდენ**; სირელით შუაესკენ **მიანვებოდენ**; ჩვენი დიდვანებმა რუსებისთვინ გონჯი არ **იტყოდენ**; ჩამოვლამ, ისე დოლჯი **მოყავდენ**, ბათუმამდე **ჩევდოდენ...**, თუმცა უნდა ითქვას, რომ ისტორიულად ეს ფორმები მართებული იყო და სწორედ ამ დიალექტებმა შემოგვინახა.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი **-ნენ'** ← **-ენ'** ← **-ეს'**. შ. ფუტკარაძე კი იმერხეულში ადასტურებს როგორც **-ეს'** ნიშანს, ისე **-ნენ'**-საც, რის გამოც მიიჩნევს, რომ ეს კილო „გარკვეულად ემიჯნება დასავლურ ქართულ ხალხურ მეტყველებას და უფრო მეტ მსგავსებას ამყლავნებს როგორც ძველ ქართულთან, ისე აღმოსავლეთ საქართველოს კილოებთან“ (ფუტკარაძე, 2010: 111-112).

მაჭახლეელი მუჰაჯირების მეტყველებაში -ენ ნიშნიან ფორმათა გვერდით დადასტურებულ -ეს სუფიქსს პროფ. მამია ფალავა უჩვეულოდ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ: „-ენ ნიშნიან ფორმათა გვერდით უჩვეულო ჩანს **შეეშინეს** (=შეეშინათ) მათ გვერდით მოსალოდნელი იყო **შეეშინენ**’ ფორმა“ (ფალავა, 2017:230).

-ეს’ სუფიქსი ახალ ქართულში მხოლოდ მოთხრობითბრუნვიანი სუბიექტის მქონე ზმნის წყვეტილში გვხვდება (დანერეს მათ, თქვეს მათ...), სხვა შემთხვევაში ჩაენაცვლა **-ნენ**’ (მოვიდნენ, დაემალნენ...). მარადიდულ კლარჯულში, და ზოგადად სამხრულ დიალექტებში, -ეს სუფიქსი წყვეტილში საერთოდ აღარ გვხვდება, მათ ყველგან ჩაენაცვლა **-ენ**’ სუფიქსი: **ოქრო დამალენ**... ჰა **დამალენ** არ ვიცო; ქილისე მალლა **გააკეთენ**, ჯამიეც მალლა **გააკეთენ**; ჩვენ დიდვანებმა **გამათხოვენ**; აქა რომელმა **გითხრენ?**; რუსებმა ბევრი შაჭმელი **მიცენ**; [მთვრალი] **ამნიენ**, გახიდული ჩამომიყვანენ; გზაში კეკებშინიკმა დეენია, ჩვენებმა **დაასწრენ**; სამი დღე **შეანახენ**, მისი სულისთვინ **დალიენ**; ქუნჩალი **დაანთენ** ოჯახში, კვამლი დიდხან ყოფილიყო და **წევდენ**...

ეს მოვლენა მეტ-ნაკლებად ახასიათებს დასავლურ კილოებსაც. ფართოდაა გავრცელებული ქვემოიმერულშიც (ფანჩვიძე, 1945: 846).

საინტერესოა -ენ (> -ნენ) სუფიქსთა გვერდით **-ონ** სუფიქსიანი ფორმების არსებობა მარადიდელთა მეტყველებაში: **იყონ** და, მოსაფირი არიან, **დაჟდონ**...

-ავ, -ევ და -ამ თემისნიშნიან ზმნებს პირველ თურმეობითში ყველგან აქვს -ია დაბოლოება, თემისნიშნიანი ფორმა არსად დასტურდება: ამის ხისიმს გაღმა სახლი ქონია, ყორე გამუუჭრია, ალთუნი **დუუმალაია**; აქ ბეგაა რომ მოვდოდა, მაშინეზე დედესთვინ **უთქმია**; ორი კოჭობი წითელი **წუურთმია**; მე არ **დომინახია**, ჩემი კაცი ჩემი ბიცოლას კუთხეა, ჩემი ბაბას ნენესი...

რაც შეეხება ობიექტური პირის ნიშანთა სისტემას, ამ კუთხითაც საინტერესოა მონაცვლეობა დასტურდება მარადი-

დულ კლარჯულში. კერძოდ: პირველი ობიექტური პირის სიმრავლის გამოსახატავად გვ-პრეფიქსის ნაცვლად ყველა შემთხვევაში დასტურდება მ-პრეფიქსი: დიდნენემა ასე **მეტყოდა** ჩვენ; ორი-სამი წელიწადი ერთმანები **მიყვარდენ** და ნავყევი; ბიცოლა-ბიძას **მიძახდენ** ჩვენ და იმათ დედიკოს...; **დამაბინყენ** ყველამფერი ჩვენ დეჯალმა; ჩვენ არ **დამალაპარიკებდენ** ძმებმა...

როგორც მ. ცინცაძე აღნიშნავს, „კირნათ-მარადიდულ თქმაში გვ-სუფიქსს ცვლის მ-ან, მ-ენ, მ-ეს (კავშირებითში -მ-ნ) ცირკუმფიქსი: **მიყვარან, მიყვარდენ, გემეთენებიეს**...“, რომელიც სისტემის ზემოქმედებითაა ახსნილი (ცინცაძე, 1954: 67). ჩვენ მიერ ჩანერილ მასალებში დადასტურდა **მ-ონ** კონფიქსიანი ფორმებიც: რატონ მოხველი და ახლა შიმიყვარდენ და არ’ნა **დამავენყონ**; (დედას) ხუთი ღარჭი ყავდა, რომელი’და **დამაძინონ**; ბეჭედი მე’ნა **მაჩუქონ**...

მეორე სერიაში მეორე პირის მრავლობითობა გამოხატულია **-ნ** სუფიქსით: ღმერთმა კაა ფული **მოგაგებიონ**, ღარჭებს კაა **გაჭმევიონ**, კაა **გამყოფონ**; ლამაზი ქალი ხარ, თვალი არ გაცემო. **გაცოცხლონ, გახარონ**, შენც და შენც; მანქანაში ძიხართ, ჰადმე ყეზა არ გექნენ, კა[რ]გობით **წიგიყვანონ**, კა[რ]გობით ყველა ღერი **განერიონ**; ღმერთმა კარქობა **მოქცონ**, მუბაარექმა...

მეორე ობიექტური პირის გ-პრეფიქსი მკვეთრების წინ ყრუვდება და ისმის კ’ ან ქ’: კიდევ კაა, ზექერიავ, გოგო არ **კყავს**; **მოქწონდენ** აქავრობა?...

მესამე ირიბი ობიექტური პირის პრეფიქსის ხმარების შემთხვევებს მნიშვნელოვნად სჭარბობს მისი დაკარგვის შემთხვევები. მარადიდულ კლარჯულში O₃ პირის პრეფიქსი ძირითადად იკარგება ყრუ თანხმოვნების წინ: ნავს **ქონდა** ერთი ორმოზდაათი მეტრო თოკვი; დედე თუჯარი იყო, მალაზა **ქონდა**; ბალანას გონჯი ავადევლობა **ქონდა**; ამას კოკოლეთხევი **ქვია**; სალდათმა ფიშელი **მიცა**; მოზობელმა თუთხმეტი კვადრატი სახლი **მიცა** საჩუქრათ; თავრობამა არ **მიცემდა**; პურმა

თავი მიცემს, იმა შიან პარკები მიცემს...

O₃ პირის პრეფიქსი იკარგება ყრუ მკვეთრი თანხმონების წინა: ამ კაც ქალი ყავდა და მუუკდა; იმა რა ჭირს?...; ნენეს ხუთი ბალანა ყავდა; ქალი დამალული ყოლია...

ამრიგად, მარადიდული კლარჯული მეტყველება ზმნის პირისა და რიცხვის ნიშანთა გამოსატვის თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვან სურათს იძლევა. იშვიათია პირის ნიშანთა გაუჩინარება (ეს ეხება მხოლოდ პირველი სუბიექტური პირის ვ-პრეფიქსს, ბაგისმიერი უ' ხმოვნის წინ და მესამე ირიბი ობიექტური პირის პრეფიქსების დაკარგვის შემთხვევებს ყრუ თანხმონების წინ), მაგრამ საკმაოდ ხშირია პირის ნიშანთა მონაცვლეობანი. ფუნქციურად ყველაზე მეტად დატვირთულია -ენ და -ან მრავლობითის მესამე სუბიექტური პირის ნიშნები და სხვა აფიქსთა ნაცვლად მათი გამოყენების სიხშირეც ამაზე მეტყველებს. ის არ არჩევს წყობას, პირთა კომბინაციასა და რიცხვს.

გვ' პრეფიქსს ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად ცვლის მ - ან; მ - ენ, მ-ეს, მ-ონ კონფიქსები. -თ სუფიქსი კი, ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად, თითქმის არ დასტურდება მარადიდულ მეტყველებაში.

-ან, -ენ სუფიქსთა მონაცვლეობა მხოლოდ მარადიდული მეტყველებისთვის და ზოგადად კლარჯულისთვის არაა დამახასიათებელი, ის შეიძლება საერთო ქართველურ მოვლენად გავიგოთ, რადგან მეტ-ნაკლებად გვხვდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც, თუმცა ასეთი სიხშირით მათი გამოყენება სწორედ სამხრული დიალექტების და კერძოდ, მარადიდული კლარჯულისთვის ნიშანდობლივ მოვლენად შეიძლება ჩავთვალოთ, რომელიც მართალია, უსისტემოა, რთულია რაიმე კანონზომიერების დადგენა და ასეთ უსისტემო მონაცვლეობას, ვფიქრობთ, ზოგ შემთხვევაში უნდა ინვევდეს ზმნის ფუძეში მომხდარი ცვლილებები, რომლებსაც ენის უცოდინარობა და ფორმათა ანალოგია უნდა ინვევდეს.

შემაკლავათა განმარტებანი:

1. კლარჯ.: - მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მამია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი..., კლარჯეთი, ბათუმი 2016.

2. კრ. VI: მამია ფალავა, მერი ცინცაძე, კლარჯული მასალები, ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შრომების კრებული, ტ.VI, ბათუმი, 2009.

3. ჩვენებ.: შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიქიაშვილი, 1986: ოთარ მიქიაშვილი, ქართული ენის დიალექტების ურთიერთმერევისა და ინტერფერენციის საკითხები, თბ., 1986.

2. ნოლაიდელი, 1960: ჯემალ ნოლაიდელი, „აჭარული კილოს თავისებურებანი“ ბათუმი, 1960.

3. სურმავა, 1990: ნარგიზ სურმავა, კირნათ-მარადიდის მეტყველების ერთი თავისებურების შესახებ, იკე XXIX. თბ., 1990.

4. ფანჩიძე, 1945: ვლადიმერ ფანჩიძე, მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, №10, 1945.

5. ფარტენაძე, 2014: ნათელა ფარტენაძე, პირის ნიშნები და პირთა კომბინაციები კლარჯულში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, VIII, ბათუმი, 2014.

6. ფალავა, 2017: მამია ფალავა, მაჭახლელი მუჰაჯირები, ბათუმი, 2017.

7. ფუტკარაძე, 2010: შუშანა ფუტკარაძე, ზმნური ფორმების წარმოებასთან დაკავშირებული თავისებურებანი იმერხე-

ულში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულება, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, XI. ბათუმი, 2010.

8. ცინცაძე, 1954: მერი ცინცაძე, „კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი“, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები. I. ბათუმი 1954.

9. ჯორბენაძე, 1989: ბესარიონ ჯორბენაძე, დიალექტოლოგია I. თბ., 1989.

10. ჯორბენაძე, 1995: ბესარიონ ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.

Natela Phartenadze

PECULIARITIES OF THE EXPRESSION OF THE PERSON AND THE NUMBER OF VERBS IN THE MARADIDI KLARJULI

RESUME

In terms of the expression of the person and the number categories of verb, the speech of the Maradidi Klarjuli is of great interest for research. The affixes of the verb person category rarely disappear, however, there can be found the frequent cases of substitution. The affixes of the third subjective person of the plural **-ენ (-en)** and **-ან (-an)** are much more functionally loaded and more often used instead of other affixes.

To express the plural number of the object the prefix **გვ(-gv)** is replaced by the konfixes **მ - ან (m - an)**; **მ - ენ (m - en)**, **მ-ეს (m - es)**, **მ-ონ (m - on)**. The suffix **-თ**, pointing to the multiplicity, is not found in the Maradidi speech.

ზოგიერთი მოსაზრება შტოგვარის პრობლემის შესახებ (ზემო აჭარის მაგალითზე)

ანთროპონიმის კვლევის ერთ-ერთი საინტერესო მიმართულებაა *შტოგვარების* სოციოლინგვისტური და ლინგვოკულტურული ანალიზი, რაც სოციუმის (ეთნოსის, სუბეთნოსის), განსაკუთრებით კი საერთო გვარის ქვეშ გაერთიანებულ ადამიანთა ერთობის რეალური წარსულის, ისტორიის და გენეტიკური ერთიანობის აღქმის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას იძლევა.

ქართულ ენათმეცნიერებაში შტოგვარს *გვარის დანაყოფის არაოფიციალურ სახელს*, აგრეთვე „*ქვეგვარს*“, „*მეტგვარს*“ უწოდებენ, რომელსაც ალ. ლლონტი ასე ხსნის: ეს არის საერთო *გვარის მეტსახელური განტოტება*, გამონაყოფი. „გვარი ერთია, გამონაყოფი - რამდენიმე. განტოტებები, უპირველეს ყოვლისა, მრავალრიცხოვან გვარებს შემორჩათ“ (ლლონტი, 1988: 199). მაშასადამე, ამ შემთხვევაში ეს ტერმინები სინონიმებია. განტოტებას გვარის (ოჯახის) უფროსის სახელი ან მეტსახელი უძვეეს საფუძვლად, რაც საერთო ქართველური მოვლენაა (ლლონტი, 1988: 200). ანალოგიურია პ. ცხადაიას მოსაზრებაც: „შტოგვარი არის *გვარის დანაყოფის* ზედწოდება, რომელიც ჩვეულებრივ მომდინარეობს ეპონიმის სახელისაგან (პირი, რომლის სახელისაგან წარმოდგება ხალხის, ადგილის და მისთანათა სახელწოდება) ან მეტსახელისგან“ (ცხადაია, 1988: 129). რაც შეეხება მათ სტრუქტურას, ქართველ ენათმეცნიერთა დაკვირვებით, შტოგვარის სახელთა წარმოება ორ ძირითად ტიპს ქმნის **1. -ნ, -(თა); 2. -ენ, -ეთ. ყველა**. დანარჩენი სახეობა ამ ორი სისტემის მოდიფიკაციით არის წარმოებული“

(ჯორბენაძე, 1993: 57). უნდა ითქვას ისიც, რომ შტოგვარები შეიძლება დროთა განმავლობაში დამოუკიდებელ გვარებადაც იქცნენ, ასე მაგალითად, „ბერიძეების გვარი გამრავლებულა და როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხდებოდა - მას შტო-გვარები გამოეყო, რომლებიც შემდეგ დამოუკიდებელ გვარებად გადაქცეულან; ეს გვარებია - *გორგოძე და კობახიძე*“ (ბერიათობა, 2017).

შტოგვარები დაფიქსირებულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით, მთაში (კობიაშვილი, 1995). მათ სახელწოდებათა არსისა და სტრუქტურის შესახებ კახეთში, კერძოდ, სოფელ ქვემო მაღაროში გავრცელებული შტოგვარების ანალიზისას თ. ნატროშვილი და მ. მჭედლიშვილი აღნიშნავენ, რომ შტოგვარებს აქ **საუბნო გვარებს** უწოდებენ (მჭედლიშვილი, 1998: 254). მათ მიერ დაფიქსირებული შტოგვარების ძირითადი მოდელები ასეთია: **უსენაშვილები** ორ გაშტოვებად იყოფიან, *ზემო უსენაანები* და *ქვემო უსენაანები*. *ზემო უსენაანებში* გამოიყოფა შტოგვარები: *გლონიტაანი, გუნიაანი, გორგაანი და სხვა*. ქვემო უსენაანების განშტოებაა *ქიტაანი*, რომელშიც შედიან: *ბოლოაანი, ბულაანი, თაფლიჭამიაანი, კევიდეჭიაანი* და სხვები. როგორც ვხედავთ, ამ მოდელების მიხედვით, გვარი იყოფა შტოგვარებად, თუმცა ეს დაყოფა გრძელდება: შტოგვარები, თავის მხრივ, იყოფიან ახალ შტოგვარებად, რომლებსაც ასევე უჩნდებათ განტოტებები და ა. შ. (ნატროშვილი, 2004: 307-308). ამ მოდელებში რეალიზებულია როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური მიმართებები:



კახური შტოგვარის საინტერესო თავისებურებააა მიჩნეული ის, რომ აქ ის **არაქართველებსაც შეუთვისებიათ**, ასე მაგალითად, *აივაზოვების* ერთ-ერთი შტოგვარია *კარაპეტაანი, პოპოვებისა - ცონგრიანი* და სხვა. საინტერესოა აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ აღნიშნული სოფლის მაგალითზე შტოგვარი შეიძლება მოიცავდეს ყველაზე ხშირად ოთხ, აგრეთვე სამ ან ხუთ თაობასაც (მჭედლიშვილი, 1998: 254).

გვარის დანაყოფააა მიჩნეული **შტოგვარი სამეგრელოშიც**, სადაც მას ეწოდება „თური“ (*მოგვარე; ტომის, მოდემის წარმომადგენელი*), „გიმნარყი“ (*გამონაყოფი, განაყოფი*), „გიმნაჭყანი“ (*შთამომავალი, შთამომავლობა*), „ნარყი“ (*გამონაყოფი; გამონაყარი; შთამომავალი*), „ნოცო“ (*ნაყარი; განშტოება*), „დინო“ (*დიდი პაპის შთამომავლობა ერთ გვარში, ახლობლობა, სისხლით ნათესაობა*), „საჯიმალო“ (*საძმო*), „საჯიმაკოჩო“ (*საძმაკაცო, საძმო*), „საბიძისქუალო“ (*საბიძაშვილო, საახლობლო*) (კეკელია, სურმავა, 2013).

ცხადია, შტოგვარის **არსებობა ეჭვს არ იწვევს აჭარაშიც**, თუმცა ამ სოციოლინგვისტური მოვლენის არსი, წარმოშობის საფუძვლები და ფუნქციური დატვირთვა აქ ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვაც კი ნათლად ცხადყოფს, რომ ზოგადად ქართულ ენათმეცნიერებაში აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, რაც ანთროპოცენტრისტული მიმართულების ლინგვისტური კვლევების გააქტიურების შედეგია. უშუალოდ აჭარაში კი საბჭოთა პერიოდში ეს საკითხი, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ იგნორირებული იყო. ასე მაგალითად, შ. ნიჭარაძე აჭარული დიალექტის თემატური ჯგუფების ანალიზისას სახელებს, გვარებს და შტოგვარებს საერთოდ არ ეხება, აფიქსირებს მხოლოდ მეტსახელების ჯგუფს: *დარღალაი, დარბაზანაი, კელემენჯუხაი, კენკრეშაი, ჩარხიტარიაი, დოლენაი, დღლაფაზანაი, ჭარჭყალაი, ჟვავირეკიაი ...* (ნიჭარაძე, 1971: 31-72). აჭარული შტოგვარი ყურადღების ცენტრში მეტნაკლებად მოექცა მხო-

ლოდ მას შემდეგ, რაც ფართოდ გაიშალა საზღვრისგაღმელო ჩვენებურების ენის, ყოფისა და კულტურის კვლევითი საქმიანობა. ერთ-ერთმა პირველმა მას ყურადღება მიაქცია მ. ფალავამ, რომელიც კლარჯეთში გავრცელებული გვარ-სახელების ანალიზისას წერს: „ამავე სოფლებში ჩაგვანერინეს ძეგლები// მეტსახელები, რომლებიც „გვარის“ ფუნქციასაც ასრულებენ: ქვაბი იბრაიმი, კაკაბერაი ომერაი, ლენგერაი ჰასანაი და სხვა. (ფალავა, 2017: 205). ამკარაა, რომ ამ შემთხვევაში ტერმინი მეტგვარი ტერმინ შტოგვარის სინონიმად ვერ განიხილება, რადგან ეს მეტგვარები შტოგვარის ფუნქციას კი არ ასრულებენ, არამედ მეტსახელის მსგავსად მხოლოდ „ზედნოდებია, რომლებიც გამოყენებულია პიროვნების ორწევრა აღნიშვნისთვის (სახელი + ზედნოდება)“ (ფალავა, 2017: 205). შტოგვარის ფუნქცია თავს იჩენს მაშინ, როცა აუცილებელი ხდება გვარის ქვეშ გაერთიანებული სხვადასხვა განშტოების ერთმანეთისგან გარჩევა: „მოლოლოლი, ჩილოლოლი (შლაპოლოლებ ეტყვიან) ... ყარაბოლოლი, ჭუხა (ქვაბითაველებს ეძახიან)“ (ფალავა, 2017: 205). ეს ფუნქცია კიდევ უფრო ნათლად იკვეთება მკვლევრის მიერ ქვემო აჭარაში დაფიქსირებულ შტოგვარებში: *ჯასიმბე-გაშვილები, ომერალიშვილები, ხუსეინბეგიშვილები, შვექეთ-ბეგიშვილები, მიქათაბეგიშვილები* და სხვა (ფალავა, 2017(ბ): 17).

როგორც ჩვენი კვლევა აჩვენებს, ამგვარი შტოგვარები მრავლად არის შემორჩენილი ზემო აჭარაშიც, რასაც მყარი ეთნო- და სოციოკულტურული საფუძვლები აქვს. როგორც ცნობილია აქაურმა ანთროპონიმამ (ისევე როგორც მთლიანად მეტყველებამ) არაერთგზის განიცადა შექმნილი ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული სიტუაციის ზეგავლენა. ჯერ იყო და განხორციელდა ქართული (უფრო სწორად კალენდარული) სახელების და ქართული გვარების **ჩანაცვლება მუსლიმური სახელებით და თურქული გვარებით (ოღლებით)**. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან კი იწყება ადგილობრივი მოსახლეობისთვის **ქართული გვარების დაბ-**

რუნების პროცესი, რომელიც მისი კოლექტიური მესხიერების საფუძველზე მიმდინარეობდა. ვისაც ახსოვდა, დაიბრუნა თავისი ადრინდელი ქართული გვარი. ბევრმა კი აბსოლუტურად მექანიკურად შეარჩია ახალი გვარი, რის გამოც ამა თუ იმ კონკრეტულ ქართულ გვარში რამდენიმე **თურქული ოღლი აღმოჩნდა გაერთიანებული. ამკარაა, რომ დროთა განმავლობაში სწორედ მათ იკისრეს შტოგვარების ფუნქცია**, ვინაიდან მათი დანიშნულება დღემდე ძირითადად არის ერთი ქართული გვარის ქვეშ გაერთიანებული სხვადასხვა შტოს ერთმანეთისგან განსხვავება. პირად საუბარში კიდევ ერთ მოდელს აფიქსირებს შუშანა ფუტკარაძე: „მე-19 საუკუნის შუა ხანებში ფუტკარაძეების ოჯახის უხუცესი დიდედა - ქალბატონი დუდია - ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა ბავშვებს სოფლის მეჩეთში სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. მის პატივსაცემად **ფუტკარაძეების გვარიდან შტოგვარი „დუდიასანი“**. შტოგვარის გამოყოფა, ჩვეულებრივ, მამაკაცის სახელთან იყო დაკავშირებული, მაგრამ დიდედა დუდია იმდენად გამორჩეული განათლების მქონე პიროვნება იყო, რომ ახალ შტოგვარს მისი სახელი დაედო საფუძვლად¹. ანალოგიურია, მაგალითად, ქედაში დაფიქსირებული ტერმინი **ქომოსანი (ქვედა უბნელები)**, თუმცა ის მხოლოდ ერთი გვარის განშტოებას კი არა, ქვედა უბანში მცხოვრებთა ერთობას აღნიშნავს. განსხვავებული მოდელისაა მ. ფალავას მიერ დაფიქსირებული ზემოთ აღნიშნული შტოგვარები (*ჯასიმბე-გაშვილები და სხვა*), ანალოგიურია აგრეთვე ფუტკარაძეთა გვარის ერთ-ერთი განშტოება **უსტალიშვილები**. ასე რომ ზემო აჭარაში გავრცელებული შტოგვარების სტრუქტურული თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვებიდან ჩანს, ძირითადად მაინც თურქული ოღლის დართვით ნაწარმოები

1 ეს ფაქტი შ. ფუტკარაძეს ავტობიოგრაფიაში აქვს დაფიქსირებული. აღნიშნული პრობლემის კვლევისადმი მიძღვნილი ნაშრომი მას გამოქვეყნებული არ აქვს.

შტოგვარებია პროდუქტიული. ასე მაგალითად, შუახვევლ **ფუტკარაძეთა გვარი** აერთიანებს *მუსტაფოღლებს, გორი-ოღლებს, მაზანოღლებს, ბობოლოღლებს, შირინანოღლებს, ონბაშოღლებს, ქურჩალოღლებს, ქურთასანოღლებს, მემე-დაღიშვილებს* და სხვებს. გადმოცემის თანახმად პირველი სამი - ძმების სახელებისგან წარმოქმნილი გვარებია და შესაბამისად, ისინი ერთი სიხლ-ხორცისანი არიან. ბობოლოღები კი ადრე *ზოიძეები* ყოფილან და შემდგომში *ფუტკარაძე* მექანიკურად შეურქმევიათ. ანალოგიურად აჭარელ **დავითაძეებში** ერთმანეთისგან განასხვავებენ *ველიოღლებს, ყარაბდოღლებს, დელიმიშოღლებს, სელიმბაირა-ხტაროღლებს, მათრაჯოღლებს, უზეიროღლებს* და სხვა შტოებს; **ბოლქვაძეებში** - *ყადიოღლებს, ომაროღლებს, ჯალაბოღლებს, ხათიბოღლებს, მოლაქესუმოღლებს, ჩახალოღლებს, სალოღლებს, საბძელოღლებს, ფარფაროღლებს* და სხვა განშტოებებს. ხულოში მცხოვრები **აბა-შიძეების** გვარი აერთიანებს: *ჭრელოღლებს, ესედოღლებს, ისმეილოღლებს, ალიბაბაოღლებს* და სხვებს; **აბულაძეების** გვარი: *ოსმანოღლებს, ჯინოღლებს* და სხვებს; **ბერიძეების გვარი**: *ქოროღლებს, ბეჩიროღლებს, სილორიოღლებს, ყაზანჯოღლებს, ყარამემედოღლებს, ფეიზოღლებს, ყურნოღლებს, ჰაჯიოღლებს, სელიმოღლებს, დემირჩოღლებს, ხაბაზოღლებს, აბუქეთელოღლებს, ჩახალოღლებს, თელიქოღლებს* და სხვებს.

როგორც საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეში, აჭარაშიც შტოგვარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სისხლით ნათესაობის გარკვევა იყო. ეს საჭირო ხდებოდა, პირველ რიგში, იმისთვის, რომ საერთო ქართული გვარის წარმომადგენელი ქალ-ვაჟები ოჯახების შექმნის შემთხვევაში მყარად ყოფილიყვნენ დარწმუნებულნი მათ შორის სისხლით ახლო ნათესაობის არარსებობაში. ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებენ საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული შტოგვარების მკვლევრებიც: „კახეთში შტოგვარებს ხშირ

შემთხვევაში თავ-თავისი ზედაშეები აქვთ, თავისივე გვარის სხვა შტოგვარებთან ნათესაობა უკვე გამქრალია და **მათ შორის ქორწინებაც დასაშვებია**“ (მჭედლიშვილი, 1998: 255). წარსულში აჭარაში, ისევე როგორც დღევანდელ მუსლიმურ სამყაროში, ამ საკითხს დიდი ყურადღება არ ექცეოდა, დროთა განმავლობაში კი სისხლით ახლო ნათესავეებს შორის ქორწინება წარსულს ჩაბარდა, ამიტომ საერთო გვარის მატარებელი საქმრო-საცოლეები (განსაკუთრებით მათი მშობლები და ბებია-ბაბუები) წინასწარ გულდასმით არკვევენ, იყვნენ (არიან) თუ არა ისინი გვარის სხვადასხვა განშტოების წარმომადგენელი. უფროს თაობაში მსგავს შემთხვევებს ვხვდებით ისეთ მრავალრიცხოვანი გვარში, როგორც არიან, მაგალითად ბერიძეები. ზოგიერთ ოჯახში ცოლიც ბერიძეა და ქმარიც. როგორც ჩვენი გამოკითხვებიდან ჩანს, იგივე შეიძლება ითქვას *ფუტკარაძეებზე, ზოიძეებზე* და სხვებზე. ოღონდ ისინი სხვადასხვა განშტოების (ოღლის), შესაბამისად, განსხვავებული გენეტიკური წარმომავლობის არიან. მეორე მხრივ, ქედის რაიონის სოფელ დანდალოში არის სოფელი ბალაძეები, სადაც ასევე მხოლოდ ბალაძეები ცხოვრობენ, რომელთა ასევე სხვადასხვა „ძველი გვარები“ აქვთ: *კატაროღლები, კუდოღლები, საცეროღლები, ჩხაკოღლები, ლელვოღლები, კირკიტოღლები (თუ კერკეტოღლები)*. ამავე დროს, აქ ერთ ოჯახსაც კი ვერ ნახავთ, სადაც ორივე მეუღლე ბალაძე იქნება, ეს არის მცირერიცხოვანი, კომპაქტურად ერთ სოფელში მცხოვრები გვარი, რომლის წარმომადგენელთა კოლექტიურ მემსიერებაში მყარად არის შემორჩენილი მათი სისხლით ახლო ნათესაობის აღქმა. პირიქით: სოფელ დანდალოში ცხოვრობენ *ჯორთმენაძეები, ბოლქვაძეები* და მახუნცეთში *კურცხალიძეები*, რომლებიც სისხლით ნათესავეები არიან. მათ ერთი თურქული გვარი ჰქონდათ - *გურჯიოღლი*. რომელიც ქართული გვარების მიღების დროს ამ სამ შტოდ გაიყო. რა იყო მანამდე, დღესდღეობით ძნელი დასადგენია. იგივე შეიძლება ითქვას აქაურ *მგელაძეებსა და განდელიძეებზე*, რომლებიც დღეს სხვადას-

სხვა გვარისანი კი არიან, მაგრამ ერთი შტოს - *ყასუმოღლები*ს განაყოფები არიან.

იმის დასტურად, თუ რამდენად შემოინახა ზემო აჭარაში მცხოვრებთა კოლექტიურმა მეხსიერებამ გვარების სახელწოდებათა დინამიკა და როგორ წარიმართა გვარისა და შტოგვარების მიმართებათა (ვერტიკალური, ჰორიზონტალური) ფორმირების პროცესი, მოვიყვანთ ფრაგმენტს ჩვენს მიერ ერთი კონკრეტული სოფლის (ქედა. ს. მახუნცეთი) მცხოვრებთა გამოკითხვის შედეგებს (ბარამიძე, ავალიანი, 2017: 390-398):

დღევანდელი გვარი	ოსმალოსდროინდელი გვარი მცხოვრებთა ისტორიული მეხსიერების მონაცემების მიხედვით
ბასილაძეები	1. „ძველი გვარია <i>სელიმალაშვილი</i> . წინაპარი იმერეთიდან ჩამოსახლებულა“.
ბოლქვაძეები	1. „ჩემი წინაპრები სვანეთიდან, სოფელ ბოლქვიდან ჩამოსახლებულან. ძველი გვარი იყო ბოლქვაძე, გვარი დანანევრდა ოჯახის უფროსის სახელების მიხედვით <i>შირინოლი, ფიფინოლი, ყადიოლი და ჩილალოლი</i> , დაუბრუნდით ძველ გვარს, <i>მაგრამ სხვა შტოებმაც დაინერა ბოლქვაძე</i> “.
ბედინაძეები	1. „უჩხითიდან ჩამოსულან წინაპრები, მაგრამ უჩხითში საიდან მოვიდნენ არ ვიცი. სოფელში დღეს მცხოვრები ბედინაძეები ყოფილი <i>ყირათოღლები, კუბულაშვილები</i> და <i>თამთოღლები</i> ვართ.“
ბერიძეები	1. „ძველი გვარი <i>ხაბაძოლი</i> “. 2. „ძველი გვარი <i>ქოროლი</i> . წინაპარი ზენდიდიდან ჩამოსახლებულა. სამ შტოდ დაიყო - <i>ჰაიდაროლი, ქოროლი და ოგოროლი</i> “.
გვარიშვილები	1. „ძველი გვარია <i>გვარელოლი</i> . ოღობამდე დადიშქელიანები ვიყავით, როცა ჩვენი წინაპარი სვანეთიდან ჩამოსახლდა ჰკითხეს ვინ ხართო, კითხვაზე უპასუხიათ, კაი გვარის შვილები ვართო და გვარიშვილებიც აქედან მომდინარეობს“...

გოგიტიძეები	1. „ძველი გვარია <i>ფხიკიოლი</i> . წინაპარი შავშეთიდან მოსულა, ჩვენი პირველი გვარი გოგიტიძეა“. 2. „ძველი გვარია <i>ფხიკიოლი</i> . შავშეთიდან, სოფელ ფხიკივრეთიდან ჩამოსახლებულა წინაპარი, ფხიკიოლიც ამიტომ შეგვარქვეს“. 3. „ძველი გვარი <i>ჩაფუშოლი</i> . მამაჩემის დიდ ბაბუას ჩაფუშში უბრძოლია, ასმეთაური ყოფილა, რაც ოღლის შერქმევის მიზეზი გამხდარა. ქობულეთიდან ვართ მოსულები“.
გოჩაძეები	1. „ჩემი წინაპრები სამეგრელოდან ჩამოსახლებულან, ძველი გვარი იყო <i>ჟორდანია</i> , ყველა <i>მოლაისმაილოღლად დაინერა</i> , სოფელში სამი ქედია, ერთს გოჩას ქედი ჰქვია, გვარი - გოჩაძეებიც აქედან დაინერეთ“.
დავითაძეები	1. „ძველი გვარია <i>მელექოლი</i> წინაპარი წონიარისიდან ჩამოსახლებულა, ჩვენი გვარი სხვა ოღლებად არ დანაწევრებულა, თუმცა სხვა ოღლებმაც [<i>ხაჯიოლი, დაუთოლი</i>] დავითაძე დაინერენ“.
დევაძეები	1. „ძველი გვარია <i>კვერნიოლი</i> . წინაპრები მონადირეები ყოფილან, კვერნებს კლავდნენ თურმე. შტოს ნაწილი <i>დევრიშოღლად</i> , ნაწილი <i>კვერნიოღლად</i> დაინერა“.
ვართმანიძეები, ვარდმანიძეები	1. „ძველი გვარია <i>ჩიჩიოლი</i> . ჩვენი შტო ყველა ჩიჩიოღლად დაინერა, შემდეგ კი ყველა ჩიჩიოლი ვართმანიძედ“.
ვარშანიძეები	1. „ძველი გვარია <i>ხუსეინოლი</i> . წინაპარი მაჭახელას ხეობიდან მოსულა“. 2. „ძველი გვარი <i>მურადაღიშვილია</i> . ოღობის შემდეგ პერიოდში სოფელში მცხოვრები <i>ბეჩიროღლებიც</i> ვარშანიძედ დაინერენ“. 3. „ძველი გვარია <i>დელიმემდოლი</i> . თურქობამდე პერიოდში ვარშანიძეები ვიყავით“. 4. „ძველი გვარი <i>აბდულოლი</i> . შემდეგ <i>ხალილოღლებიც</i> ვარშანიძეებად იწერებიან“.

ვერძაძეები	<p>1. „ძველი გვარია ბაბუჩოლი. ოღობამდე სავარაუდოდ ბათალაშვილები ვიყავით, ბაბუას მამას ბათალა ერქვა, წინაპრებიდან დღეს ბათალაშვილებად არავინ იწერება, დღეს ყველა ვერძაძედ იწერება“...</p> <p>2. „ძველი გვარია ბაბუჩაშვილები (სხვათა შორის, ანალოგიურ ცნობას იძლევა ზ. ჭიჭინაშვილი: ავტორები). ადგილობრივები ვართ, ოღლები არ ვყოფილვართ, ბაბუჩაშვილები ვიყავით, რადგანაც სოფელში ვერძაძეები იყვნენ სავარაუდოდ ამიტომ დაწინაურებულ ვერძაძეებად, ჩვენი წინაპრების გარდა ჩაფურაშვილებმა და ყილიჩოლებმაც დაწინაურებულ ვერძაძეებად“ ...</p> <p>3. „ძველი გვარი ყილიჩოლი. როდესაც ქართულ გვარებს ოღლებად ცვლიდნენ იქ ჩვენი უზნიდან არავინ მისულა, იკითხეს რატომ არავინ მოდისო, რა დროსაც გამოჩენილა ჩემი წინაპარი, თურქს რომ შეუხედავს უთქვამს ნამდვილი „ყილიჩიანი“, ოღობამდე ვერძაძეები ვყოფილვართ, ჩვენი შტო დაიყო შტოებად: ღერძიოლი, ბეჭიროლი, ბაბუჩოლი, ყველა ეს ოღლი ახლა ვერძაძედ იწერება“...</p> <p>4. „ძველი გვარია ბეჭიროლი. წინაპარი ბეჭირის სახელიდან გამომდინარე დაურქმევიათ“</p> <p>5. „ძველი გვარი ყარამმედოლი. დიდ ბაბუას ყარალა ერქვა“.</p>
თავდგირიძეები	<p>„ძველი გვარია მოლამმედოლი. ოღობამდე თავდგირიძეები ვიყავით, წინაპარი მოლლა ყოფილა“ ... „ძველი გვარია ჭურმუზოლი. ოჯახის დიასახლისს ჭურმუზი ერქვა. წინაპარი იმერეთიდან დასახლებულა აქ“.</p>
ირემაძეები	<p>1. „ძველი გვარი იდრისოლი. წინაპარი ხულოდან, სოფელ ღორჯომიდან ჩამოსახლებულა“.</p> <p>2. „ძველი გვარი იდრისოლი. წინაპარს იდრისი რქმევია, რის მიზეზითაც იდრისოლებად მოვიხსენიებით. იმერეთიდან, სოფელ გეგუთიდან ჩამოსახლებულა წინაპარი“.</p>
კოჩაძეები	<p>1. „ძველი გვარია მოლალოლი. „თურქობამდე კოჩაძეები ვიყავით, ოღობის შემდეგ შტოს ნაწილი კოჩაძედ, ნაწილი ლორთქიფანიძედ დაწინაურდა“.</p>

კობალაძეები	<p>„წინაპრების ერთი შტო ყადიოლიდა, სხვები კი სხვა ოღლად დაწინაურდა, შემდეგ კი შტოს სხვადასხვა ოღლი კობალაძედ იწერება ... ყოფილი ყადიოლები, რომლებიც ახლა ბოლქვაძეებად იწერებიან, სხვა შტოს წარმომადგენლები არიან“.</p>
კურცხალიძეები	<p>„ძველი გვარი გურჯიოლი ... გურჯიოლების ნაწილი კურცხალიძედ, ნაწილი კი ქართველიშვილებად დაწინაურდა“... „ჩვენი შტო ორ ოღლად დაიყო - გურჯიოლი და ბაირახტაროლი“.</p>
კახიძეები და კახაძეები	<p>1. „ძველი გვარი მარაგოლია. წინაპარი სამტრედიიდან ხელვაჩაურში, სოფელ კაპნისთავში დასახლებულა, იქედან კი მახუნცეთში. თავდაპირველი გვარი კახიძეა“.</p> <p>2. „ძველი გვარია მარაგოლი. მარაგაიანი ხალხი ვართ, სოფელში მცხოვრები უსტიოლებიც კახიძეებად იწერებიან“.</p>
მადაძეები	<p>1. „ძველი გვარი ყურიამედოლი. თავდაპირველი გვარი ლლაძეა, მკვლევლობის გამო წინაპარს საცხოვრებელი ადგილისა და გვარის გამოცვლა მოუხდა“.</p>
მაღაყმაძეები	<p>„ძველი გვარი ყასუმოლი“.</p>
მახარაძეები	<p>1. „ძველი გვარი მუსოლი. სოფელ პირველმაისიდან ჩამოსულა წინაპარი“.</p>
მორთულაძეები	<p>1. „ძველი გვარი ალიოლი - „არ ვიცი, თურქობამდე რა გვარის იყვნენ წინაპრები, შემდეგ კი გვარის შერჩევა მექანიკურად მოხდა“ ... „ძველი გვარი ყარაბეჭიროლი - „ბაბუა შავგრემანი იყო და ამიტომ დაარქვეს, ჩვენი წინაპარი სამეგრელოდან ჩამოსულა“</p>
ნაკაშიძეები	<p>1. „ძველი გვარი მიმინოლი. ოღობის შემდეგ პერიოდში შტოს ნაწილი ნაკაშიძედ, ნაწილი ნაკაიძედ დაწინაურდა“</p>
წინიძეები	<p>„ძველი გვარი აბდიალიშვილი. გურიიდან ჩამოსულან წინაპრები, თურქობამდე რა გვარისა ვიყავით და თურქობის შემდეგ რატომ დაწინაურებულა არ ვიცი“... „იმერეთიდან ვართ ჩამოსულები, წინაპარს აბდიალა ერქვა და ამიტომ დაგვარქვეს აბდიალიშვილები“.</p>

ყოფაძეები	„არ ვიცი საიდან ვართ წამოსულები, არც ჩვენი ძველი გვარი ვიცი, თურქობის პერიოდში ყარაუჩოღლებად ვინოდებოდით, სოფელში მცხოვრები ყოფაძეების ნაწილი სულეიმანოღლები, ასანოღლები და შიშმანოღლები იყვნენ“.
საფარიძეები	1. „ძველი გვარი ბაირახტაროღლი , თავდაპირველი გვარი კვიტაშვილია . შტოს სხვა ნაწილები მოლახალილოღლად, ყურიაშვილოღლად და ბაირახტაროღლად დაიწერა“.
სურმანიძეები	1. „ძველი გვარია მუსტაფოღლი . მუჰაჯირობის დროს ჩემი წინაპარი სოფელ ორცვიდან თურქეთში გადასულა საცხოვრებლად, სადაც მუსტაფოღლის იწერებოდნენ, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ქართულ გვარს დაუბრუნდნენ“.
ფარტენაძეები	1. „ძველი გვარი ბუქალოღლი “.
ფევაძეები	2. „ძველი გვარი ფელეგანოღლი . თურქობამდე ჩვენი ძველი ქართული გვარი იყო ქადიძე “.
ლოლობერიძეები	1. „ძველი გვარია ბორანოღლი . იმერეთიდან არის წინაპრები ჩამოსული, წინაპარს მდინარე აჭარისწყალზე ბორანით მგზავრები გადაჰყავდა, ამიტომაც დაგვარქვეს ბორანოღლები, თუმცა რა გვარები ვიყავით მანამდე არ ვიცი“... 2. „ძველი გვარი ალიშვილი . გურიიდან ჩამოსულა ჩვენი წინაპარი“ ... „ძველი გვარი ეგლიაშვილი. ოღლები არ ეყოფილვართ . გვარში ერთ კაცი ძალიან ჰუმანური და კეთილი ადამიანი იყო, ეგლიას ეძახდნენ. ჩვენი წინაპრები იმერეთიდან ჩამოსახლებულან“. 3. „ძველი გვარი მემიალიშვილი . ოჯახის უხუცეს წევრს მემედი ერქვა, ამიტომაც მემიალიშვილები უწოდეს, ჩვენი შტოს მეორე ნაწილს ჰყავდა ხოჯა, ისინი ხოჯისანებად მოიხსენებიან, მესამე შტოს გვარი ოჯახის წევრის აბდულიდან გამომდინარე აბდულოღლები “.

შოთაძეები	1. „ძველი გვარია ხუსეინოღლი . სოფელში მცხოვრები შოთაძეებიდან სამი ოჯახი ვართ ხუსეინოღლები. შოთაძეები სხვადასხვა ოღლები არიან. ქართულ გვარზე დაბრუნება მქენიკურად მოხდა “. 2. „ძველი გვარი ოსმანოღლი . „გვარში გამოჩენილ ადამიანს ოსმანი რქმევია“.
ჯაფარიძეები	3. „ძველი გვარი მოლახალილოღლი . შტო სხვა ოღლებად არ დანაწილებულა“.
ჯინჭარაძეები	1. „ძველი გვარი ელიბაირახტაროღლი . გვარის ყველა წარმომადგენელი ელიბაირახტაროღლი იყო, შემდეგ ყველა ჯინჭარაძედ დაიწერა“ 2. „ძველი გვარი მუსოღლი “.

ამრიგად, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, შტო-გვარი გავრცელებულია ზემო აჭარაშიც. მათი ფუნქციური დატვირთვა გარკვეულწილად ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა წარმოშობის, მათ ქვეშ გაერთიანებულ ადამიანთა ერთობის რეალური წარსულის, ისტორიის და გენეტიკური ერთიანობის აღქმის თვალსაზრისით ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კერძოდ, ძირითადად ამ ფუნქციის მატარებელია მოსახლეობის მეხსიერებაში შემორჩენილი **თურქული გვარები (ოღლები)**, თუმცა გვხვდება **უსტალიშვილების, დუდიასანის, სელიმალიშვილის** მოდელის შტოგვარები.

**ზოგიერთი მოსაზრება შტოგვარის
პრობლემის შესახებ (ზემო აჭარის მაგალითზე)**

რეზიუმე

შტოგვარი (მეტგვარი) გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მთაში. ზემო აჭარაში გავრცელებული გვარები ძირითადად მოსახლეობის მესხიერებაში შემორჩენილი თურქული -ოლის დამატებით მიღებულ განშტოებებად იყოფა, რითაც ისინი სხვა რეგიონებში გავრცელებული შტოგვარებისგან მნიშვნელოვნად გამოირჩევა, თუმცა ამით მათი ფუნქციური დატვირთვა არ იცვლება. გვხვდება სხვა მოდელის შტოგვარებიც. საკითხი განხილულია ავტორთა მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მოძიებული რამდენიმე გვარის წარმომადგენელთა კოლექტიურ მესხიერებაში დაფიქსირებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარამიძე, ავალიანი, 2017 - ბარამიძე ე., ავალიანი თ. ანთროპონიმია სამყაროს ენობრივ სურათში და მისი დინამიკა (ერთი სასოფლო თემის მაგალითზე). აჭარის არ მთავრობის საქვეუნყებო დანებსებულება - საარქივო სამმართველო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია). VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ. „უნივერსალი“. 2017. გვ. 385-399;
2. ბეირათობა -2017 - „ბერიეთობა“ - დღესასწაული, რომელსაც ბაღდათში, ნასოფლარზე აღნიშნავენ <http://topnews.com.ge/index.php?newsid=12036>

3. კობიაშვილი 1995 - კობიაშვილი მ. შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელები ქართული ენის მთის დიალექტებში. თბ. 1995. კანდ. დის.
4. კეკელია ი. და სხვა, 2013 - კეკელია ი, სურმავა, ა. კოლხური გვარებისა და შტოგვარების ეთნოისტორიისათვის. 2013. <https://www.facebook.com/notes/მარგალური-ნინა-მეგრული-ენა-megrelian-language/კოლხური-გვარებისა-და-შტოგვარების-ეთნოისტორიისათვის/726150890745940>.
5. მელიქიძე 1987 - მელიქიძე ს. მეტგვარი და მისი წარმოება ბორჯომის ხეობის ქართულურში. კრებულში ონომასტიკა, I, 1987. Gv. 291 -299
6. მჭედლიშვილი, 1998 - მჭედლიშვილი მ. შტოგვარები სოფელ ზემო მალაროში. ქართველური ონომასტიკა. I. თბ. 1998. გვ. 253-257.
7. ნატროშვილი, 1987 - ნატროშვილი თამარ. გვარები და შტოგვარები სოფელ ქვემო მალაროში. ქართველური ონომასტიკა. II. თბ.2004.
8. ნიჭარაძე, 1971 - ნიჭარაძე შოთა. ქართული ენის აჭარული დიალექტი. ბათუმი. 1971.
9. ფალავა, 2017 - ფალავა მ. კლარჯული ჩანაწერები. თბ., „უნივერსალი“, 2017.
10. ფალავა, 2017(ბ) - ფალავა მ. მეტსახელი ქოროხის ხეობიდან. ბსუ. ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი. ფილოლოგიური მაცნე. თბილისი. 2017.
11. ლლონტი, 1988 - ლლონტი ალ. ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები. თბ. „განათლება“. 1988.
12. ცხადაია, 1988 - ცხადაია პაატა. ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებული ლექსიკონი. თბ. 1988.
13. ჯორბენაძე, 1993 - ჯორბენაძე ბ. ონომასტიკური გულანი. თბ. 1993

**SOME OPINIONS ABOUT THE PROBLEM
OF BRANCH-SURNAME (ACCORDING TO THE EXAMPLES
OF HIGH MOUNTAINOUS (“ZEMO”) ADJARA)**

SUMMARY

Branch-surname is spread almost in all the regions of Georgia, especially in mountains. The surnames which are spread in Zemo Adjara are mainly divided into the branches which are derivate by the addition of the Turkish word “-oghl” and it is existed in the memory of population, so why they are different from other branch-surnames spread in another regions but their functional load is not changing by this. We come across another kind of branch-surnames too. In a work the question is discussed according to the base of information analyses fixed in the collective memory of some representatives of surnames and resulted of survey conducted by the authors.

**მოდლობის შესწავლა-თანამედროვე ეპოქის
სოციოლინგვისტური დირექტივა**

დროთა დინებასთან ერთად იცვლება მეცნიერული პარადიგმები (შედარებით-ისტორიული, სტრუქტურალიზმი, ანთროპოცენტრიზმი).

21-ე საუკუნის ერთ-ერთ გამონვევად დისკურსის ხელოვნება და ფრეგეს სემიოტიკური სამკუთხედის ანთროპოცენტრული ალტერნატივა შეიძლება დავასახელოთ, მკვეთრად გამოხატული ასპექტებით:

1. ინტენციის მიზნები ;
2. კომუნიკაციის კონკრეტული პირობები;
3. კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულება.

დაიწყო ადამიანის ენაში და ენის ადამიანში განხილვა. სემანტიკიდან გადავდივართ პრაგმატიკაზე, აქტიურად ჩნდება ტერმინები: სამეტყველო აქტები, დისკურსი, ფუნქციურ-სემანტიკური ველი, კონცეპტი.

გლობალიზაციის ეპოქაში ვერტიკალური კომუნიკაციის არსი პერმანენტულად იცვლება იმპლიციტური მოდლობის ირიბი სამეტყველო აქტებით, რაც თანამედროვე ლინგვისტიკაში დისკურსის საკითხის შესწავლის აუცილებლობასა და მოდლობის კატეგორიის აქტუალურობას განაპირობებს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ყურადღება სწორედ ფუნქციურ-სემანტიკურ ენობრივ უნივერსალიაზე - მოდლობაზე - შევაჩერებთ, რომელიც გამოხატავს, როგორც სინამდვილისადმი მოუბრის სხვადასხვა დამოკიდებულებას, ისე თქმულის - სუბიექტურ აღქმას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე კვლევის მეთოდები იძლევა საკითხის სიღრმისეული შესწავლის საშუალებას (კლასიკური-შედარებით-ისტორიული მეთოდი, ფუნქციურ-სემანტიკური-შედარებით-ისტორიული მეთოდი, ფუნქციურ-სემანტიკური-შედარებით-ისტორიული მეთოდი).

ნტიკური ველის ანალიზი, მედია-მონიტორინგი).

თანამედროვე ენათმეცნიერებაში კომუნიკაციური ლინგვისტიკის დომინანტობა ენობრივ ნიშანში ნომინაციური და კომუნიკაციური ფუნქციების გამიჯვნასა და კომუნიკაციური ფუნქციის ლინგვისტური აზროვნების ფოკუსში მოქცევას გულისხმობს. ჩასახვის პირველ ეტაპზე თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა მეტყველი სუბიექტის ფაქტორით დაინტერესდა. თუმცა, ლინგვისტური აზროვნების განვითარების შედეგად, დღეს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო მეტყველ სუბიექტს, არამედ, მსმენელ სუბიექტსაც, როგორც დისკურსის პროდუცირების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს. კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში ვითარდება არა ერთი ლინგვისტური მიმდინარეობა. ესენია: გამონათქვამის თეორიები, დისკურსის ანალიზი, პრაგმატიკა, არგუმენტაციის თეორიები. მათ საერთო აქვთ ის, რომ ნებისმიერი მათგანი ენობრივ წარმონაქმნს მისი კომუნიკაციური ფუნქციის გათვალისწინებით შეისწავლის. თუმცა, თითოეული მათგანი დისკურსს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კუთხით იკვლევს: გამონათქვამის თეორიებმა საფუძველი ჩაუყარა სუბიექტურობისა და ინტერსუბიექტურობის შემოსვლას ლინგვისტურ აზროვნებაში, დისკურსის ანალიზი, ძირითადად, დისკურსის პროდუცირების სოციალურ კონტექსტს ითვალისწინებს, არგუმენტაციის თეორიები დისკურსს მისი დამარწმუნებელი ეფექტის გათვალისწინებით შეისწავლის.

ენობრივი კონცეპტუალიზაცია, როგორც ლექსიკურ ერთეულთა შინაარსობრივი პლანის სემანტიკური წარმოდგენის საშუალებათა ერთობლიობა, როგორც ჩანს, სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია.

მეტყველებამდე ენა არსებობს როგორც სისტემა, ხოლო მეტყველების პროცესში ენა კომუნიკაციაში მონაწილე სუბიექტთა საკუთრება ხდება, რაც მის საარსებო სივრცის შეცვლას იწვევს და იგი ინტერსუბიექტურ სივრცეში გადადის. შესაბამისად, პრაგმატიკა მოდალური ფორმირების არსებით

კომპონენტად იქცა, პრაგმატიკულ კატეგორიათა ქვესისტემა და მისი როლი კი წარმატებული კომუნიკაციის განმსაზღვრელ მქედებლად. რომელიც, ოსტინის თეორიის მიხედვით, სამ ქვეაქტად - ლოკუციად, ილოკუციად და პერლოკუციად გადაიწილდა და მოდალობის ერთიან სისტემად წარმოგვიდგა.

„თავად მოდალობის კვლევა ძალიან ჰგავს ხალხით გადაჭედილ ოთახში გადაადგილებას, როცა ძალიან ძნელია ისე იმოძრაო, რომ ფეხი არავის დააჭირო“.

ტერმინი **მოდალობა** მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამოიყენება: ენათმეცნიერებაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, ფილოსოფიაში, ლოგიკაში, მედიცინაში, საინფორმაციო ტექნოლოგიაში და ა. შ.

საგულისხმოა ისიც, რომ საკუთრივ ენათმეცნიერების ფარგლებში მისი გაგება საკმაოდ არაერთგვაროვანია: გვხვდება მასთან დაკავშირებული არა მარტო ერთმანეთისაგან განსხვავებული, არამედ ურთიერთგამომრიცხავი მიდგომებიც.

ლინგვისტიკაში მიღებულია ძირითადად **ეპისტემური** (შესაძლებლობა, დედუქცია) და **დეონტური** (აუცილებლობა, ვალდებულება). იმის მიხედვით, თუ რაა შეფასების ობიექტი მოცემულ შემთხვევაში, არაენობრივი სინამდვილე თუ თვით გამონათქვამი, შესაბამისად გაირჩევა ორი ტიპის მოდალობა: **სუბიექტური** და **ობიექტური**.

თანამედროვე ეპოქაში 21-ე საუკუნის გამონვევებმა, ტექნიკურმა ინოვაციებმა თუ გლობალიზაციის დაჩქარებულმა ტემპმა, მოდალობის სიღრმისეულად შესწავლა კიდევ ერთხელ გახადა აქტუალური და ლინგვისტიკის უმთავრეს ამოცანად დასახა.

აქვე ვიტყვით, რომ ანთროპოცენტრიზმი, როგორც ერთ-ერთი გაბატონებული პარადიგმა, კომუნიკაციის ცენტრში აყენებს კომუნიკანტს ე.წ. „მომხმარებლის“ სტატუსით, რაც თავისთავად სამეტყველო აქტების პრაგმატიკულ ქრილში განხილვის პირდაპირპროპორციულია.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ვლელულობთ

სურათს - ვერტიკალური კომუნიკაციის არსი პერმანენტულად იცვლება იმპლიციტური მოდალობის ირიბი სამეტიყველო აქტებით, რაც თანამედროვე ლინგვისტიკაში დისკურსის საკითხის შესწავლის აუცილებლობას განაპირობებს.

შესაბამისად, ინტენციის სწორად ამოკითხვის სირთულემ განაპირობა წარმატებული კომუნიკაციის განმსასზღვრელ-გასათვალისწინებელი ფაქტორების ჩამოყალიბება. კერძოდ, სამეტიყველო აქტების ფსიქო-ემოციური, ეთნო-კულტურული თუ კონცეპტუალური ანალიზი.

მოდალობის, როგორც კატეგორიის, უნივერსალურობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ლინგვისტური ჩარჩოებით. გარდა იმისა, რომ მოდალობა თითქმის ყველა ენაში ფუნქციურ-სემანტიკური ველის სხვადასხვა შრეზე (მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ, ა.შ.) გამოიხატება, მისი უნივერსალურობა სხვა კუთხითაც ვლინდება, მხედველობაში გვაქვს მოდალობის ეპისტემური ბუნება, რომელიც არაერთი დისციპლინისა თუ სფეროს ინტერესის საგანია.

თარგმანთმცოდნეობა - (კონცეპტი) ენათა უმრავლესობა წარმოადგენს სინამდვილის სულიერი ათვისების განსხვავებულ გზებსა და საშუალებებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს ადამიანის აზროვნების ერთნაირი პრინციპები, რომლებსაც მივყავართ რეალური სამყაროს ადეკვატურ აღქმამდე, რაც უცილობლად ხაზს უსვამს აზროვნების დომინირებულ როლს ენის ევოლუციის პროცესებთან ერთად. ენის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ნიშანია მისი შემოქმედებითი ბუნება. ენობრივი ნიშნებით სახელდება ექვემდებარება ასახვის მიზნებს. ენობრივი ნიშნები არა მხოლოდ მეორადი პოზიციის უბრალო აღმნიშვნელებია, არამედ უფრო მეტად სინამდვილის განზოგადოებული ასახვის მატარებლები. ენობრივი მნიშვნელობების ფორმირების პროცესში მონაწილეობს და ასახვას ჰპოვებს სამი ერთმანეთთან დაკავშირებული გნოსეოლოგიური სიტუაციის ელემენტი: ადამიანი (შემმეცნებელი სუბიექტი), რეალური სინამდვილე (შესაცნობი ობიექტი) და ენა (ენობრივი

ნიშანი). სიტყვა აღნიშნავს რეალობას და ხდება თავისუფლად არჩეული ნიშანი, რომელიც ყალიბდება მოცემული კონკრეტული საზოგადოების საერთო შეთანხმების შედეგად. რა თქმა უნდა არ არის აუცილებელი, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა ფორმალური თანხმობა გამოხატოს ამა თუ იმ ენობრივი ნიშნის გამოყენებაზე. მისი მონაწილეობა კომუნიკაციურ აქტში ნიშნავს კიდევ შესაბამის კოდის მიღებაზე თანხმობას. ენა გარე სამყაროს შემეცნების, აზრების ფორმირებისა და გადაცემის საშუალებაა. გადასცემს საზოგადოებრივ-ისტორიულ გამოცდილებას, რომელიც ასახულია ენობრივი ნიშნების ნომინაციებსა და მნიშვნელობებში“.

მოდალობის კატეგორია მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ნინაპირობაა თარგმანთმცოდნების დარგში. ის გვაძლევს საშუალებას, თავიდან ავირიდოთ ენობრივი უზუსტობისგან გამოწვეული უხერხულობა, რომელიც თან ახლავს სხვადასხვა ენათა კონცეპტუალურ ანალიზს.

მარკეტინგი - (პრაგმატიკა) პრაგმატიკულ კატეგორიათა ქვესისტემა, რომელიც ასახავს ადრესატს, მის პოზიციას და გავლენას გამონათქვამზე, შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

- **ინფორმაციულობის კატეგორია** - გამონათქვამი „უნდა შეიცავდეს ადრესატისთვის ახალს და ეს ახალი უნდა ემყარებოდეს იმას, რაც ცნობილია“ (ლებანიძე, 2004: 269).

- **ექსპრესიულობის კატეგორია** - გულისხმობს აქცენტის გადატანას ადრესანტიდან ადრესატზე. ექსპრესიულობის კატეგორიის ძირითადი ფუნქციური დატვირთვა გულისხმობს, ამ შემთხვევაში იმას, რომ ექსპრესიულობის მიზანია ადრესატზე შემოქმედება... ამ შემთხვევაში ექსპრესიულობა განიხილება, როგორც ისეთი სისტემა, რომელიც თავის თავში შეიცავს სამ წევრს: მე, ის (ვის ან რის მიმართაც გამოვხატავ ექსპრესიულობას) და ის (ვისთვისაც გამოვხატავ ექსპრესიულობას). ძირითადი წევრი სწორედ მესამეა (ლებანიძე, 2004:271).

- **გამჭირვალობის კატეგორია** - „გამონათქვამის გამჭირვა-

ლობა გულისხმობს იმას, რომ ჩვენი ნათქვამი გასაგებია ადრესატისათვის“ (ლუბანიძე, 2004:267). გამჭვირვალობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: გამონათქვამში ასახული რეფერენტული და საკომუნიკაციო სიტუაცია უნდა იყოს იდენტური ორივე მონაწილისათვის. ამასთან ერთად, კომუნიკანტთა თეზაურუსებს შორის არ უნდა იყოს პრინციპული სხვაობა. პრაგმატიკულ კატეგორიათა მესამე ქვესისტემა ასახავს ადრესანტსა და ადრესატს შორის ურთიერთმიმართებას, რომელიც შეისწავლა კერბრატ ორეკიონიმ. მან შემუშავა კომუნიკაციის ინტერაქციული სქემა, სადაც ვერტიკალურ ღერძზე განთავსებულია ბლოკები, რომლებშიც ორივე კომუნიკანტის, როგორც მეტყველის, ასევე მსმენელის, საერთო მახასიათებლებია დაჯგუფებული. ესენია: ლინგვისტური და პარალინგვისტური კომპეტენცია, იდეოლოგიურ-კულტურული კომპეტენცია, ფსიქოლოგიური მხარე, დისკურსის ნორმები.

წარმატებული მარკეტინგის ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს ხარისხიანი რეკლამა წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, დამკვეთსა და მომხმარებელს შორის წარმატებული კომუნიკაციის პირდაპირპროპორციულია.

ლიტერატურათმცოდნეობა - (დისკურსი) მხატვრულ ტექსტში შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია მრავალნახნაგოვანი და მრავალფეროვანია. ქვეტექსტი, ყოველთვის ახალია წარმოსახვაში უშუალოდ მოცემულთან შედარებით.

შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაციის საფუძველია ინდივიდუალური აზრობრივი კონტექსტი, რომელიც ურთიერთგადაბმული აზრობრივი ერთეულების სისტემას წარმოადგენს. აზრობრივი ერთეულები კი იქმნება ორი ტიპის მახასიათებლებისაგან: საერთო და ინდივიდუალური. კონტექსტი განისაზღვრება როგორც ფორმალურად ფიქსირებული პირობების ერთობლიობა, რომლის დროსაც ერთმნიშვნელოვნად ვლინდება ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის მნიშვნელობა (კალმანსკი, 1959:47).

გადმოსაცემი ინფორმაციის სირთულე პირადპირპრო-

პორციულადაა დამოკიდებული მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურის სირთულეზე. ამ თვალსაზრისით, ქვეტექსტი იგივე დამოკიდებულებაშია ტექსტთან მიმართებაში, როგორც რემა თემასთან, თუკი წინადადების აქტუალური დანაწევრების ტერმინს გამოვიყენებთ. ამავე დროს ქვეტექსტი ერთგვარი “დიალოგია” ინფორმაციის შინაარსობრივ-ფაქტობრივ და შინაარსობრივ-კონცეპტუალურ მხარეებს შორის. ინფორმაციის ეს ორი ნაკადი პარალელურად მიედინება. ერთი გამოსატულია ენობრივი საშუალებებით, მეორე კი წარმოიქმნება ამ ნიშნების პოლიფონიით, ზოგ წერტილებში ისინი ერთმანეთს უახლოვდებიან კიდევ, ზოგან კი ერთმანეთს უპირისპირდებიან. მათ შესაყარზე ჩნდება შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია....(გალპერინი, 1981:48). ქვეტექსტის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია მისი გაუფორმებელი და განუსაზღვრელი ბუნება, რაც თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა (გალპერინი, 1981:43).


მოდალობა დაგვეხმარება ტექსტის სიღრმისეული შრეების გააზრებასა და იმპლიციტური ინფორმაციის სწორ ამოკითხვაში.

მასმედია - (სტილისტიკა) პრესის ენაში საკუთრივ კითხვით წინადადებებს ამკარად სჭარბობს


რიტორიკული წინადადებები. (!?) ეს კი იმას ნიშნავს, რომ პუბლიცისტურ სტილს კითხვითი მოდალობის პირველადი ფუნქცია ნაკლებად აინტერესებს; წინადადების აღნიშნული საკომუნიკაციო ტიპი ხშირად მეორეულ ანუ ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს და ემოციურად დატვირთული მეტყველების სტილისტიკური საშუალება უფროა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მოდალობის, როგორც კატეგორიის უნივერსალობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ლინგვისტური ჩარჩოებით, ჩვენი მსჯელობის არგუმენტად კი ქართულ დისკურსში კითხვითი მოდალობის სქემატურად გამოსატულ ზოგად ანალიზს დავიმოწმებთ, რომელიც, კომენტარების გარეშე, ნათლად ასახავს მოდალობის მრავალფეროვან და მრავალნახნაგოვან ფენომენს.

კითხვითი წინადადება



ირიბი სამეტყველო აქტები



ქართულ დისკურსში კითხვითი მოდალობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ირიბ სამეტყველო აქტებში დაფიქსირებულ კითხვათა ტიპოლოგიური ჯგუფი:

1. კითხვა – მტკიცება – “ვის არ უყვარს ლამაზი ქალი?!”
2. კითხვა – ვარაუდი – “ნეტა დღეს ინვიმებს?”
3. კითხვა – უარყოფა – “მართალია არა?”
4. კითხვა – ბრძანება – “არ წავედით, კაცო?”
5. კითხვა – შეპირება – “ხვალ კინოში წავიდეთ?”
6. კითხვა - სასწავლო – “ეს ფანჯარაა?”
7. კითხვა - ეტიკეტი - “როგორ ხარ?”
8. კითხვა - ემოცია - “დაიფიცე, მართლა?”
9. კითხვა - თხოვნა - “შეგიძლია გაალო ფანჯარა?”

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ლინგვისტურ ძრის მოდალობის ანალიზი რეალობის ობიექტური ასახვის უნივერსალური გამოვლინება და კომუნიკატა მთვარი მიზნის, წარმატებული კომუნიკაციის მექანიზმია.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. **გამყრელიძე** ,სხვ., 2003 _ თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
2. **კვაჭაძე**, 1986 _ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: განათლება, 1986.
3. **ლებანიძე**, 2004 - გ. ლებანიძე, „ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა“ თბილისი: ენა და კულტურა, 2004.
4. **ლომაია**, 2012 - ნ. ლომაია, „ემოციური დისკურსის პრაგმაკომუნიკაციური ასპექტები იტალიურ და ქართულ ენებში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012.
5. **ჭილაშვილი**, 2002 _ ნ. ჭილაშვილი, მოდალობის გამოხატვის ზოგიერთი საშუალების შესახებ ავტობიოგრაფიულ ჟანრში // საენათმეცნიერო ძიებანი, XII. თბილისი: ქართული ენა, 2002.
6. **Балли Ш.** Общая лингвистика и вопросы французского языка. Москва: URSS, 2001.
7. **Бенвенист, Э.** Общая лингвистика, пер. с. франц., М., 1974.
8. **Виноградов В. В.** О категории модальности и модальных словах в русском языке. Исследования по русской грамматике. Москва: Наука, 1975.
9. **Гальперин, И.Р.** 1981 Текст как объект лингвистического исследования. Москва: Наука. 1981.
10. **Остин, Дж.Л.** 1987. Чужое сознание. Москва:Прогресс. 1987
11. **Jakobson, R.** 1966. Saggi di linguistica generale.Milano: Feltrinelli.
12. **Harris, Z.** 1995. Linguaggio e informazione. Milano: Adelphi. 1995.
13. **Palmer, F.** 2001 Mood and Modality. 2nd edn. Cambridge: Cambridge University Press, 2001.
14. <https://semioticsjournal.wordpress.com>
15. <http://www.spekali.tsu.ge>

THE STUDY OF MODALITY - SOCIOLINGUISTICS DIRECTIVES OF THE MODERN ERA

Nino Tsiklauri

SUMMARY

As time flows, the essence of vertical communication is constantly being replaced by implicit indirect speech acts; This fact necessitates the topicality of modality category in modern linguistics as well as the increased need of its study.

The given paper discusses the sociolinguistic directives that address the above-mentioned issues, which, on their own, are the key factors for achieving the main goal of communicators - creating a successful communication mechanism.

ხიხადირის ეკლესიის სამშენებლო წარწერა

ხიხადირი ერთ-ერთი უძველესი ქართული სოფელია. მისი სახელწოდება ტოპონიმ „ხიხანს“ (ხიხა-ნ-ი, ხიხა-თა) უკავშირდება და აღნიშნავს ამ სახელწოდების ციხესიმაგრის ძირში მდებარე სოფელს – ხიხასძირი / ხიხათძირი > ხიხადირი. ხიხანი პირველად „ქართლის ცხოვრებაში“ იხსენიება XI საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით, როგორც ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეთა საგვარეულო ციხესიმაგრე. გარდა ამისა, ხიხათა ციხესიმაგრისა და ეკლესიის მშენებლობაზე მოგვითხრობს ტბელ აბუსერისძის ხელნაწერის (A-85, 1233 წ.) ანდერძი (**ხალვაში 2006: 24-41**).

ტოპონიმი ხიხადირი პირველად ოსმალურ წყაროებში გვხვდება: „სოფელ ხიხადირის ციხის რაბათი, მეორე სახელი ბარათაული, ცარიელია მოსახლეობისაგან“ – ნათქვამია „აჭარის ლივის ვრცელ დავთარში“, რომელიც 1574 წელსაა შედგენილი (**შაშიკაძე 2011: 67**). ამ დროს აჭარა უკვე ოსმალებს აქვთ დაპყრობილი და სოფელი მოსახლეობისაგან დაცლილია, რადგან ქრისტიანები განერიდნენ მაჰმადიან დამპყრობლებს და საქართველოს სხვა რეგიონებში გადასახლდნენ. სავარაუდოდ, ამ პერიოდში ხიხადირიდანაა განსახლებული ხიხაძეთა გვარი, რომელიც თავის წარმომავლობას სწორედ სოფელ ხიხადირს უკავშირებს.

„აჭარის ლივის ვრცელ დავთარში“ იხსენიება ხიხადირის თემის კიდევ ერთი უბანი „ოშქანა“ (თანამედროვე „ოშანახევი“), რომლის მდებარეობაც ასეა განმარტებული: „სოფელი ოშქანა ახლოსაა ვარდიდაბასთან“ (**შაშიკაძე 2011: 64**). ოშანახევი, მართლაც, ესაზღვრება ისტორიულ „ვარდიდაბას“, რომელსაც ამჟამად „ნადაბური“ ეწოდება. ფაქტია, რომ „ვარდიდაბა“ „ნადაბურად“ სწორედ ოსმალთა ბატონობის დროს გადაიქცა.

თანამედროვე ხიხადირი რამდენიმე უბნად იყოფა, რომელთა სახელწოდებებია: ნადაბური, ერდო, კვახური, სართამაული, ბლარჯაული (განთიადი), სამარილე, ბარდნალი, ლემსავრა, ძალამერე (ახალმენი) და შიგანა. გარდა ამისა, არსებობს ლოკალური ტოპონიმებიც: ნისქვილიგზები, ვარდციხე, ციხიყელი, კოკოლასერი, ობოლქვა, ხიდითავი, პაპუნაყანა (სოფლის სასაფლაო), გოგიანთხიდი, ძინარანყარო და ა. შ.

ნადაბურის ქვემოთ ისტორიული ციხესიმაგრე ვარდციხეა, საიდანაც მომდინარეობს ნადაბურის ისტორიული სახელწოდება – ვარდიდაბა. ვარდციხის ზემოთ, მდინარე სხალთისწყლის მარცხენა ნაპირზე გაშენებულია ხიხადირის უძველესი უბანი – ერდო, საიდანაც გასულ საუკუნეში განაშენიანდა სოფლის სხვა დასახლებები. ამ უბანშია ხიხადირის ყველა ძირძველი გვარის ფუძესახლი. ამ ფუძესახლებში დღესაც ცხოვრობენ: გაბაიძეები, გორგაძეები, ჯაიანები, ხალვაშები, იშხნელიძეები და სხვა. ერდოს შუაგულში დგას ასწლოვანი ხის მეჩეთი, რომელსაც უფროსი თაობა დღესაც „ქილისას“ ეძახის. რამდენიმე წლის წინ, თურქი მუსლიმების დაფინანსებით, ხის მეჩეთს მედრესე მიუშენეს. თვით ხის მეჩეთი კი დგას თლილი ქვებისგან აგებულ საფუძველზე. ცხადია, რომ ეს თლილი ქვები ყოფილი „ქილისეს“ ნანგრევებია და მუსლიმ ხიხადირელებს მე-19 საუკუნეში მეჩეთის მშენებლობის დროს გამოუყენებიათ. ამას ცხადად ადასტურებს მეჩეთის ძველი სახელწოდება – „ქილისა“, რომელიც თურქიზმია და „ეკლესიას“ ნიშნავს. 1892 წელს ხიხადირში ნაეკლესიარის არსებობას ადასტურებს ზ. ჭიჭინაძე: „ხიხადირი. 10 კომლი. აქ არის ნაეკლესიარი. ამას წინათ ორი ქვის ჯვარი იპოვნეს“ (**ჭიჭინაძე 1913: 176**).

ხიხადირის ისტორიულ ცენტრში მდებარე ეკლესიის ტრაგიკულ ბედზე სხვა ნაშთებიც მეტყველებენ. თლილი ქვების ნაწილი მუსლიმებს სახლების საფუძველებში დაუდიათ და ნაწილი ბუხრების ასაგებად გამოუყენებიათ. ერთადერთი წარწერიანი ქვა კი, რომელსაც ჩვენი წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება, ხიხადირის საშუალო სკოლის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახე-

ბა. სავარაუდოდ. ქვა მუზეუმში 1977 წლის შემდეგ მიიტანეს, როცა სკოლა ახალ სამსართულიან კაპიტალურ შენობაში გადავიდა. სკოლაში მუზეუმი სწორედ ამ დროიდან მოქმედებს.



ხიხაძირის ეკლესიის წარწერიანი ქვა მცირე ზომისაა – 35 სმ x 35 სმ. მასზე ამოკვეთილი ორსტრიქონიანი ლაპიდარული წარწერა ასომთავრულითაა შესრულებული:

ⴕⴑⴓⴓⴑⴓ
ⴒⴓ

ქარაგმების გახსნით წარწერა ასე იკითხება:

ქ(რისტ)ე, შ(ეინყალ)ე გ(ა)ბ(რი)ელ. | ა(მე)ნ.

ასომთავრული წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, X საუკუნისაა, რასაც ადასტურებს გრაფემების მოხაზულობა:

- 1) „გ“, „ე“ და „ლ“ გრაფემების დამატებითი ხაზები;
- 2) მრგლოვანი ასოების, განსაკუთრებით, „ნ“ გრაფემის ხაზგასმული კუთხოვანი მოხაზულობა;
- 3) დეკორატიული ელემენტების უქონლობა.

ძნელია, დანამდვილებით ითქვას, ვინ იყო სავადრებელ წარწერაში მოხსენიებული გაბრიელი. იგი ტიტულის გარეშეა დასახელებული. სავარაუდოდ, წარწერით უკვდავყოფილია მისი ღვანლი ხიხაძირის ეკლესიის მშენებლობაში, ამიტომ,

პირობითად, შესაძლებელია, გაბრიელი ეკლესიის მშენებლად მივიჩნიოთ.

საგულისხმოა, რომ ქრისტიანულ ხიხაძირში გაბრიელი პოპულარული სახელი ყოფილა. ამ სახელიდანაა ნაწარმოები ძირძველი ხიხაძირულ გვარი „გაბაიძე“. მას საფუძვლად უდევს გაბრიელის კნინობითი ფორმა „გაბა“. გაბაიძეობა ხიხაძირელობის ერთგვარი მარკერიცაა, რადგან ამ გვარის უკლებლივ ყველა შტო ხიხაძირული წარმომავლობისაა. გამომდინარე აქედან, არ არის გამორიცხული, გაბაიძეთა გვარის ეტიმოლოგია ხიხაძირის ეკლესიის მშენებლის სახელს უკავშირდებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შაშიკაძე 2011: შაშიკაძე ზ., აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, თბილისი

2. ჭიჭინაძე 1913: ჭიჭინაძე ზ., მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თფილისი

3. ხალვაში 2006: ხალვაში რ., ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და შემოქმედება (დისერტაცია), თსუ

მეტაფორა და სიმბოლო დავით გურამიშვილის პოემაში „წიგნი ესე მხიარული ზაფხული“

ვისაც ოდესმე გურამიშვილი უკვლევია, ყველას შეუნიშნავს მისი მხატვრულ სახეთა განსხვავებულობა, ძირითადი კვლევები ეხება იმ სახეებს, რომლებიც ნასაზრდოებია ბიბლიის წიგნთა მხატვრული სისტემით.

მეტაფორებს პოემაში „წიგნი ესე მხიარული ზაფხული“ ცალკე თავს უძღვნის მკვლევარი მერაბ ლაღანიძე ცნობილ წიგნში „სინამდვილე და წარმოსახვა დავით გურამიშვილის „მხიარული ზაფხულში“ („დრო და მეტაფორა“ – I თავი). წარსული კვლევების შეფასების საფუძველზე იგი შენიშნავს, რომ „გავრცელებული აზრით, „მეტაფორებს პოეტი შედარებით ნაკლებად მიმართავს, მეტაფორიულობა [ასეა! - მ.ლ.] არაა გურამიშვილის პოეზიის სტილური ნიშანი“ (ბარამიძე 1940, გვ. 341); „რუსთაველის ამაღლებული, მეტაფორული პოეტური აზროვნება გურამიშვილისათვის უცხოა... მეტაფორის ასე გამოკვეთაც არ ეხერხება“ (ჩიქოვანი 1967, გვ. 65).“ (ლაღანიძე, 2007).

შესაბამისად, იმთავითვე შენიშნეს, რომ რუსთაველის მეტაფორა განსხვავდება გურამიშვილის მეტაფორისაგან. ვფიქრობთ, ეს განსხვავება უნდა აიხსნას კლასიკური სტილის მეტაფორისა და გროტესკული მეტაფორის არსობრივი თავისებურებებით.

როგორი იყო მეტაფორა რუსთაველთან? „ამაღ ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა“, „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“, - ეს სასკოლო ჭეშმარიტებები მოვიხმეთ, რათა ვცადოთ ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ კლასიკური რენესანსის ხანის მეტაფორული მეტყველება და გროტესკული ლიტერატურის მახასიათებელი მეტაფორული სახეები. გროტესკის ძირითადი მახასიათებელი გახლავთ მკვეთრი კონტრასტები, რომლებიც ემსახურება საგნის თვისებების

გაზვიადებასა და შესაბამისად, რეალობისა და ფანტასტიკურის, ტრაგიკულისა და კომიკურის შეხამებას. რუსთაველის მეტაფორების მიზანი ჰიპერბოლიზირებაა, საგნის განდიდებაა. გურამიშვილის მეტაფორების მიზანი გროტესკული შეპირისპირებაა, კარიკატურული გაზვიადების მიღწევის მცდელობაა, კონტრასტებზე აგებული სინამდვილის ჩვენებაა.

შესაბამისად, „რუსთაველის ამაღლებული, მეტაფორული პოეტური აზროვნება გურამიშვილისათვის უცხოა“, რადგან მისი მახასიათებელია გროტესკული, ქართული ლიტერატურისათვის ამ ეპოქაში უცხო, მეტაფორები.

„ვინვი, ვიდაგვი მწარედ საწყალი;

არავინა მყავს დამასხას წყალი.“ (გურამიშვილი, 2013:281)

პოემის პირველივე სტრიქონებში ასეთი მეტაფორული აზროვნებით ყალიბდება ახალი პოეტური სამყარო. მიჯნურის განცდები ნაცნობია რენესანსული ხანისათვის, „ვინვი, ვიდაგვი მწარედ“ - შეიძლება ითქვას ტარიელზე, მაგრამ „საწყალი, არავინა მყავს დამასხას წყალი“ - ვინ შეჰკადრებს ამას რაინდებს?!

ვეცდებით პოემიდან ისეთი სტრიქონები წარმოვადგინოთ, რომლებიც ყველაზე ნათლად წარმოაჩენს გროტესკული ხანის მეტაფორათა არსს.

„იჯდა ზამთარი ბროლის ტახტზედა;

ხელი ზედ ედვა ფარ-ხმალ-ლახტზედა,

მზად ყვანდა ლაშქარი -

თოვლ-ყინვა მას, ქარი -

მოსწონდა თავი!“ (გურამიშვილი, 2013:281)

ასე იწყება პოემის სიუჟეტური ხაზი. ეს სტროფი არქიტექტურული თვალსაზრისით ზუსტად ის საძირკვლის ქვაა, რომელზეც უნდა აშენდეს. „იყო არაბეთს როსტეფან...“ - „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტროფის ზუსტი ეკვივალენტია. გაპიროვნების ხერხით გადმოცემული ეს მეტაფორული საწყისი იმთავითვე გროტესკია, რადგან მალე გამოჩნდება ზაფხული, რომელიც დაამარცხებს ასეთი სიდიადით შექმნილ პირველ პერსონაჟს. ამიტომაც ჭირს გურამიშვილის გროტესკის ამოკი-

თხვა კლასიკური აღზრდის, კლასიკური ლიტერატურის თეორიის განათლებამიღებულთათვის. იქ, რენესანსსა თუ თუნდაც კლასიკურ ზღაპრებში, არასოდეს მარცხდებოდნენ ტექსტში პირველად შემოსული გმირები: როსტევიანი, ასფურცელა თუ ზიფურიდი. აქ კი მალე ამ ტახტს დატოვებს შერცხვენილი ზამთარი, რომლის მდგომარეობაც ერთ-ერთი მხატვრული სახით ასე გადმოიცემა: „უკაცროდ ვარ, შარდს ველარ ვიჭერ“.

ეს თავი დასრულდება სტროფით:

**„არ ჩამოეხსნა კეკია ქარი,
სანამ არ ჩაძვრა ქვესკნელს ზამთარი.
აილო ალაფი,
გარდასხა თავს ლაფი
და გამობრუნდა!“**

ესაა ნიმუში გროტესკული ლიტერატურის მეტაფორისა. „კეკია ქარმა“ დაამარცხა ზამთარი, მოიალაფა, თავს ლაფიც დაასხა და თავი ანება. „კეკიამ“ გაიმარჯვა! დამარცხდა პირველივე ბრძოლაში ქვაკუთხედი პოემისა - ზამთარი. მიწა - ქვესკნელი, დამარცხება-გამარჯვება, ზამთარ-ზაფხული - მსგავსი ამბივალენტურ სახეებს ხშირად მიმართავს პოემაში ავტორი, რათა მეტაფორებს მეტი სიციხადე, მეტი პაროდირება და მეტი გროტესკი შემატოს.

მეტაფორებს იყენებს პოემაში თავების სახელდებისას ავტორი. „ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ბრძოლა“, „ზამთრის დამარცხება და ზაფხულის გამარჯვება და წყემსთ პირობის დება“ - ეს სათაურებიც მეტაფორული სახეებია, რომლებშიც „და“ კავშირის ხშირი გამეორება ძველი ქართული ენის მახასიათებელია (სარჯველაძე, 1997:178) და შინაარსთან კონტრასტით ერთგვარი გროტესკული სახის შექმნას ემსახურება. მეორე თავს იწყებს სტროფით:

**„ზამთარს ნაუხდა ან ჭირნახული;
ზურმუხტის ტახტზედ დაჯდა ზაფხული.
შემოკრბენ ყოველნი
მუნ სულნი ცხოველნი
და მიულოცეს.“** (გურამიშვილი, 2013:285)

მეცხრამეტე საუკუნის სახალხო-საგანმანათლებლო საქმიანობით დაკავებული არაერთი პოეტის ლექსში ჩანს მსგავსი მეტაფორული სახეები - ეს ერთი დიდი და დადებითი მხარეა გურამიშვილის მეტაფორული აზროვნებისა. მეორე - ეს სტრიქონები იწყებს დიდ ქართულ ლირიკას (ილიას, აკაკის, ვაჟას). მესამე - ამ სტიქონებმა გადაარჩინა ქართული მეტაფორა ფსევდორუსთველურ მდარე აზროვნებას. და მეოთხე - ეს მეტაფორა დიდი გროტესკის ნაწილია, რადგან მალე ეს ზაფხულიც რომ დამარცხდება, ეს ხომ მარადიული წრებრუნვის მარტივი ჭეშმარიტებაა. დამარცხდება, რათა ისევ გაიმარჯვოს. გაიმარჯვებს და იცი, რომ მარცხი გარდაუვალია. ეს ცხოვრებაა, ცხოვრების „მორევია“, „გზა ვერ ცნეს მაღლთა ფონისა“ - ეს კაცობრიობის ტკივილია და მწერლის ვალია ამ ტკივილიდან გამოსვლის გზა გაჩვენოს. ვერ შეძლებ და მარადიულ მორევში გადაშვებული სამყაროს ამბივალენტურობით დატკბები და დაიტანჯები, დაისვენებ და დაილღები, შვებითა და ვნებით, სიხარულით და ტკივილით იცხოვრებ, სიცოცხლით დატკბები და სიკვდილით შეშფოთდები...

ამიტომაც ის თავი, რომელიც ზაფხულს აღწერს, ხალისიანია, აჭიკჭიკებულ-აყვავილებული. მეტაფორებიც შესაბამისია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორს ზაფხულის ხანის აღწერისას არც ქვემძრომთა გაღვიძება ავიწყდება.

**„სხვანი მფრინველნი ამბობენ ბანსა;
ქვემძრომთ ხმა ესმისთ, სახლს ხდიან ბანსა;
ჩაყრილნი ხაროდა
ზე გასახაროდა
ამოძვრნენ ველად.“** (გურამიშვილი, 2013:286)

არავის ეგონოს, რომ ზაფხული მხოლოდ ყვავილი და ტოროლაა. ზაფხული გველებიცაა. ასე ერთმანეთის გვერდიგვერდ მეტაფორული სახეების კვალდაკვალ ჩნდება უფრო ბევრის მთქმელი სახე-სიმბოლოები. მეტაფორა ერთჯერადია, სიმბოლო - მრავალჯერ გამოყენებული, გამაერთიანებელი სახეა ან-მყოსი და წარსულისა. ტახტზე მჯდომი ზამთარი თუ ზაფხული

მეტაფორებია, ხოლო თავად ზამთარი და ზაფხული სიმბოლური სახეებია ხელოვნებისათვის. ჩვენ გვინდა იმთავითვე დავაშოროთ ეს ორი მხატვრული სახე ერთმანეთს, რადგან პირველი მათგანი უმთავრესად ენობრივი მახასიათებელია, მაშინ როცა მეორე, სიმბოლო, აზრობრივ მხარეს ეხმიანება. გროტესკული ლიტერატურული ძეგლების მეტაფორული აზროვნების განსხვავებულ სამყაროში ხშირად გვხვდება კლასიკური ხანისთვის ნაცნობი სიმბოლოები. „მონვენულ იყო ზაფხული“ - იმედია, სიხარულია. გველი ქაჯეთია. სიმბოლური აზროვნების მსგავსი სახეები გროტესკულ ლიტერატურაში თითქოს უფრო ცოცხლდება, მოქმედებს, ხელშესახები ხდება. მეტაფორები ეხმარება გურამიშვილს უკეთ დავინახოთ კლასიკური სახესიმბოლოები. თბილი სიოსა და ფრინველების ხმაზე ხალისით ეფინებიან გველები ველებს. გველი ხომ ასე საშიში სიმბოლური სახეა კაცობრიობისათვის.

„ყოველ პერიოდს აქვს მისთვის დამახასიათებელი ტიპის მეტაფორიზმი“ (უელეკი, უორენი, 2010:287). თეორეტიკოსები ოთხი განსხვავებული კონცეფციის მეტაფორას გამოყოფენ, როცა მხატვრული ლიტერატურის შესაძლებლობებს განსაზღვრავენ. „...ანალოგია, ორმაგი ხედვა, გრძნობადი სახე, რასაც ძალუძს ნიაღვრულა შეუცნობელში, და მეოთხე - ანიმისტური პროექცია. ეს ოთხი ელემენტი თანაბრად არასოდეს არ არის წარმოდგენილი, და დამოკიდებულება იცვლება ყოველი ერისა და ესთეტიკური სიტუაციის შესაბამისად“ (უელეკი, უორენი, 2010:287). პირველი მახასიათებელი ყველა ხარისხის ლიტერატურულ მეტაფორაში შეიმჩნევა. მხოლოდ ანალოგიაზე არასოდეს ჩერდება რენესანსული ხანის მეტაფორა. „ვეფხისტყაოსნის“ მეტაფორებში ორმაგი ხედვა გრძნობად სახეებს ქმნის. ტროპის არც ერთი სახე იქ მხოლოდ ანალოგიით არ შემოიფარგლება. „ქვე წვა ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებულნი“, - არის „ორმაგი ხედვა, გრძნობადი სახე, რასაც ძალუძს ნიაღვრულა შეუცნობელში“.

მაგრამ რას გულისხმობს მეტაფორაში „ანიმისტური პრო-

ექცია“? ანიმიზმი ცნობილი მოძღვრებაა სამყაროს განსაკუთრებული მგრძნობელობით აღქმის შესახებ, იგი უსულო საგნის სულიერებას უშვებს და მხატვრულ ლიტერატურაში ასეთი ხედვა ულამაზეს სამყაროს ქმნის. სამყაროს ანიმისტურმა ხედვამ ხელოვანს მისცა სხვა შესაძლებლობები. მისცა შანსი საკუთარი სურვილები პროექტორის დიდ ეკრანზე გადაეტანა, მხოლოდ ადამიანური ხედვის ჩარჩოებში არ მოქცეულიყო და გადასულიყო მთაში, ცხოველში, ჩიტსა და ქვემძრომში. პროექცია ლათინური სიტყვაა და „გარეთ გადატანას“ ნიშნავს. სპეციალურ ლიტერატურაში მას განმარტავენ, როგორც ფსიქოლოგიურ პროცესს, ადამიანის თავდაცვით მექანიზმს, რომელიც გულისხმობს საკუთარი აზრების, ემოციების, მოთხოვნის, მდგომარეობის გადატანას, ანუ მიკუთვნებულობას სხვა ადამიანზე ან საგანზე.

რენესანსმა არ იცოდა ანიმისტური პროექცია, რადგან მისი ხედვით სამყარო ეტეოდა ადამიანში. შესაბამისად, მისი მეტაფორები მხოლოდ ადამიანის შესაძლებლობათა ჰიპერბოლიზირებას ემსახურება. გროტესკული ლიტერატურაში ადამიანი დაცემულია. სამყარო მორევის წრებრუნვას ემორჩილება, სამყაროს ყველა დეტალში ეძებს ადამიანი ხელჩასაჭიდს, რათა ცოტათი მაინც შეისვენოს. აქ ხარობს ზაფხული, იბრძვიან ქარები, სუნთქავს ბალახი, ბანს ამბობენ ჩიტები და ქვემძრომნი ერთად.

ვფიქრობთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მხიარული ზაფხულის“ პირველი პოემაა, რომელშიც ქართულ სინამდვილეში პირველად გამოჩნდა ანიმისტური ხედვით დაწერილი მეტაფორები, რომლებიც თავიანთი ორმაგი ბუნებითა და პაროდირებული ხასიათით გროტესკული ლიტერატურის მახასიათებელი მხატვრული სახეებია.

ამასთანავე, პოემაში ვხვდებით იმ ტიპის მეტაფორებს, რომლებსაც მხატვრული ენის სამკაულებს ვუნოდებთ: „მე ვარდი შემქმენ, იყავ შენ ია“ (51სტრ.); „სევდით გონება მაქვს დაკარგული, ჭირში ვარ, ლხინსა არ მაძლევს გული“ (235სტრ.);

**METAPHOR AND SYMBOL
IN GURAMISHVILI'S POEM "MERRY SUMMER"**

RESUME

Fictional image system of Guramishvili's poem "Merry summer" is immanent representation of grotesque realism. Main characteristic of grotesque is creating sharp contrast, which acts as exaggeration of object's features and therefore combining reality and fantasy, tragic and comic. The metaphors are also relevant. Here we come across characters subject to parody, who are different from classical world, who may be embarrassed and defeated; the author through metaphorical thinking creates parody.

Fictional image system of the Guramishvili's poem to be researched represents genesis of new Georgian literature. Herewith, in diverse world of metaphorical thinking of grotesque literary works, symbols characteristic to classical era are often found. Images similar to symbolic thinking come to life, action and become tangible in grotesque literature. The metaphors help Guramishvili to let us see classical image-symbols better. "Merry summer" is the first poem, in which animistic metaphors first appeared in Georgian reality, being representation of grotesque literature with their equivocal nature and parodied feature.

გვხვდება მეტაფორები ბიბლიური სახეებით ნასაზრდოები: „ვამე, თუ, სულო, ..., ცოდვამ დასძლიოს, სახმილს მიგაძლიოს, დაუშრეტელსა“ (295სტრ.). „ვამე თუ ხორციც შეჭამოს მგელმან“ (299სტრ.); ამ მეტაფორებს პოემის იმ ნაწილებში ვხვდებით, რომლებშიც პერსონაჟთა შინაგანი სამყარო და მათი პიროვნული ტკივილი გამოჩნდა. ამასთანავე თითოეული მათგანი ემსახურება პერსონაჟის შინაგანი ბუნების გადმოცემას. ამდენად, მეტაფორები სულიერების განცდით ხშირად ეკუთვნის მწყემს ქაცვიას, ხორციელი გრძნობების გამომხატველი - მწყემს გოგონას.

მაშ ასე, გურამიშვილი „მხიარული ზაფხულის“ მეტაფორები, კლასიკური თუ არაკლასიკური, ძალაა, შესაძლებლობაა ახალი მითის უკეთ გადმოსაცემად, ხოლო ტრადიციული სიმბოლური სახეები ცხადყოფს მწერლის მიზანდასახულობას - შექმნას ახალი მითი თანამედროვე სამყაროს თანამედროვე ახალგაზრდებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გურამიშვილი დავითი, დავითიანი, გამომცემლობა Carpe diem, თბ. 2013.
2. სარჯველაძე ზურაბ, ძველი ქართული ენა, თბ. 1997
3. უელეკი რენე, უორენი ოსტინ, ლიტერატურის თეორია, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
4. ლალანიძე მერაბ, (2007), სინამდვილე და წარმოსახვა დავით გურამიშვილის „მხიარულ ზაფხულში“, თბ. : ლომისი, 2002 (მოძიებულია 24 თებერვალი, 2019), <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d>

**ერთი გროტესკული სახე გურამიშვილის
„დავითიანისა“**

თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ კონკრეტულ გროტესკულ სახეზე გურამიშვილის შემოქმედებიდან. საუბარი გვაქვს „დავითიანის“ შვილად გამოცხადების ცნობილ ფაქტზე.

**„მე რაც ვშობე შვილად ვჯერვარ,
ეს თუ მზრდელმან გამიზარდა,
ვზრდი მომღერლად,
მე თუ ჩემი სიმღერა არ გამზარდა“.**
(გურამიშვილი, 2013: 209)

ამ და არაერთ სხვა ეპიზოდში დავით გურამიშვილი „დავითიანს“ შვილად მოიხსენიებს, წერს, რათა „მომხსენებელი“ გაიჩინოს მკითხველის სახით, მემკვიდრეს ტოვებს.

შეუძლებელია, ამ ხედვამ ასოციაციით გროტესკული რეალიზმის „მუცელქმნილი ბერდედები“ არ მოგვაგონოს. ბახტინი ნიგნში „ფრანსუა რაბლეს შემოქმედება და შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხალხური კულტურა“ გროტესკული ხელოვნების ხილულ სახედ ქერის ტერაკოტებს ასახელებს. ორსული მოხუცი ქალბატონების მცირე ქანდაკებანი დღეს ერმიტაჟის კუთვნილებაა. აღმოჩნდა, რომ მსგავსი ფიგურები არაერთ სხვა ადგილასაა ნაპოვნი. რისი თქმა უნდოდათ ხელოვანებს, რომლებიც ორსულ მოხუცებს აქანდაკებდნენ, რთულია. ბახტინისათვის კი ეს არის ხილული მხატვრული სახე არაიდეალური გროტესკული ფორმებისა, ამბივალენტური სახეა მოხუცისა და ჩვილის, სიკვდილს მიახლოებულისა და სიცოცხლის დამწყების ერთ სხეულში წარმოჩენით.

ვფიქრობთ, „დავითიანის“ შვილობაც მსგავს მხატვრულ სახედ უნდა აღვიქვათ.

წერილის დასაწყისშივე გვინდა შემოგთავაზოთ ვრცელი მსჯელობა ბახტინისა, რათა სწორად გავერკვეთ ორსული მოხუცების ამბივალენტური სახის არსში: „ცნობილ ქერჩის ტერაკოტებს შორის, ერმიტაჟში რომ ინახება, არის მუცელქმნილი ბერდედების თავისებური ფიგურები, რომელ ბერდედათა საზიზღარი სიბერე და ფეხმძიმობა ხაზგასმულია გროტესკულად. მიდგომილი ბერდედები ამასთანავე იცინიან. ეს მეტად დამახასიათებელი და გამომსახველი გროტესკია. იგი ამბივალენტურია: ეს ორსული სიკვდილია, რომელიც სიკვდილსა შობს. მიდგომილი დედაბრის სხეულში არაფერია დასრულებული, მყარად მშვიდი, მასში ერთმანეთს შერწყმია ბებრულად ხრწნადი, უკვე დეფორმირებული სხეული და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, ჩანასახი სხეული ახალი სიცოცხლისა. აქ ცხოვრება წარმოჩენილია თავის ამბივალენტურ, შინაგანად წინააღმდეგობრივ პროცესში, აქ არაფერია მზა; ეს თვით დაუსრულებლობაა, და სწორედ ასეთია სხეულის გროტესკული კონცეფცია.“(ბახტინი, 2017)

„სხეულის გროტესკული სახის ერთ-ერთი ძირითადი ტენდენცია ის არის, რომ ერთ სხეულში ორი სხეული წარმოაჩინოს: ერთი, რომელიც ბადებს და კვდომის პირას არის მისული, მეორე, რომელიც ისახება, მუცელში, უნდა დაიბადოს. ეს მიწყევ მუცელქმნილი და მშობიარე სხეულია“ (ბახტინი, 2017), - ხაზგასმა ფრაზაზე მიწყევ მუცელქმნილი ჩვენია. ვფიქრობთ, რომ ეს შესიტყვება ყველაზე ზუსტი განმარტებაა გროტესკული სახისა. გროტესკული ლიტერატურული სახე, ამ თვალსაზრისით, არაა სრულყოფილი (განსხვავებით შუასაუკუნეების სახეებისაგან), მაგრამ იქმნება იმისთვის, რომ ახალი სამყარო შვას. მიუხედავად ცოდვის მოჭარბებისა, სამყარო არ წყვეტს განვითარებას. შესაბამისად, ხელოვნებასაც აღარა აქვს პრეტენზია უნივერსალურის გამოხატვისა. გრძნობენ შემოქმედნი, რომ მთავარია არ შეწყდეს ქმნადობა. ამდენად, მათი ხელოვნება, გლობალური თუ ლოკალური ფორმებით, ერთიანი სახით თუ დეტალებით იქცა „მიწყევ მუცელქმნილობად“. აქე-

დან გამომდინარე, როცა ბახტინი გროტესკული ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად შობადობისათვის მის მუდმივ მზადყოფნას ასახელებს, ლიტერატურის ძალას, მის შესაძლებლობებს, მის გავლენას მოიაზრებს. გროტესკული სახე იქმნება იმისთვის, რომ შვას ახალი, ძლიერი. შესაძლოა არასრულყოფილი, მაგრამ განახლებული.

ამდენად, შეიძლება ვისაუბროთ გროტესკული ლიტერატურის ორ ძირითად მახასიათებელზე:

I - ის აღარ ესწრაფვის გამოხატოს „უნივერსალურ მთლიანობა“, რადგან სამყარო მოშორდა ამ უკანასკნელს;

II - ის მზადაა შექმნას ახალი სამყარო, იაზრებს ერთდროულად საკუთარ არასრულყოფილებასა და ძალას და ქმნის არასრულყოფილსა და ძლიერს - გროტესკულ სახეს, რომელიც „მინცივ მუცელქმნილია“.

ეს კონცეფცია დამაფიქრებელია დავით გურამიშვილის შემოქმედებაზე მსჯელობის დროს. თავად ცოდვილი ადამიანი, ტყვე, უთვისტომო, ღარიბი და უძლური შობს საკუთარ პირმშოს, არა „ვეფხისტყაოსანივით“ სრულყოფილს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ლიტერატურაში რუსთაველის შემდეგ არა მხოლოდ გურამიშვილზე დიდი პოეტი არ გვყოლია, არ გვყოლია უფრო დიდი ეპიკოსიც. ამ ნიჭიერმა ადამიანმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ევროპულ კულტურულ სივრცეში გაატარა და პირველმა შემოიტანა ქართულ ენაზე შექმნილ ლიტერატურაში ის, რასაც ბახტინი თავის ზემოთ ხსენებულ შრომაში განიხილავს, როგორც გროტესკულ რეალიზმსა და მათ მახასიათებლებს.

„მაგრამ მიმროთიც კეკლუცნი ტურფად მოიკაზმენ პირსა; ოდეს მაშვრალს მოსწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსა, დრო მოვა და გატკბილდების, ხილად სშჭამენ პანტის ჩირსა“.

(გურამიშვილი, 2013:89)

სჯეროდა, რომ რუსთაველის ქვეყანაში მის წიგნსაც მკითხველი არ მოაკლდებოდა, რადგან „მშობიარე ბერდედებივით“ არასრულყოფილი სამყაროს შვილი, თავად არასრულ-

ყოფილი, საკუთარ „ობოლს“ ქვეყანას უტოვებდა, რომელსაც ლხინის დროს ღვინო („ვეფხისტყაოსანი“) უნდა ესვა, ხოლო მწყურვალეს, მაშვრალს - წყალი („დავითიანი“). „ანდერძის“ მიხედვით ისიც „ბერდედებივით“ გამოიყურება:

საწუთრომ „გული მიშავა, ვითა ნახშირი,

გამაყრევინა თავზე თმა ხშირი.

პირი დამიჭკნო, ვითარცა ჩირი,

დამაშვებინა დაღმა ჩიჩვირი“ (გურამიშვილი, 2013:372)

სწორედ ასეთ გურამიშვილს უნდა დაენერა თავისი წიგნის ბოლო გვერდები, „დავითიანი“ ამ ფონზე ქართული გროტესკული ხელოვნების პირმშოა. „ჩიჩვირდაშვებული“ ხელოვანი კრებს „ცრუის საწუთროს ყბედობას“, არ მალავს საკუთარ რეალობას, უფრო მეტიც, საწუთროს მარადიული პრობლემების ფონზე საკუთარ უბედობასაც განიხილავს, სარკაზმითა და ირონიით ქმნის ავტობიოგრაფიულ ნაწილებს ტექსტისა. გურამიშვილი პირველი ყველაზე თამამი ხელოვანია ქართული ლიტერატურისა, რომელიც პატივითა და დიდებით გამოეთხოვა კლასიკური ხანის მწერლობას და დასაბამი დაუდო ქართულ ლიტერატურაში იმ მიმართულებას, რომელსაც ბახტინი გროტესკული რეალიზმის სახელით განიხილავს.

საგულისხმოა ამ თვალსაზრისით სათაური წიგნისა. „სათაური „დავითიანი“ აღნიშნავს ან იმას, რომ წიგნში მოთხრობილია დავითის ამბავი (ისევე, როგორც სათაური „ვისრამიანი“ აღნიშნავს ვისისა და რამინის თავგადასავალს, „როსტომიანი“ - როსტომისას, „ვარდბულბულიანი“ მოგვითხრობს ვარდისა და ბულბულის ტრფობის ამბავს და ასე შემდეგ), ან იმას, რომ წიგნში შეკრებილია დავითის ნაწარმოებები“ (ნათაძე, 2013:5). მთავარი პერსონაჟის სათაურში მოხსენება ნიშანდობლივია შუასაკუნეების ხანის კლასიკური მწერლობისათვის. „ვეფხისტყაოსანიც“ ხომ ასე მიღებული სათაურია, მცირედი სხვაობით სართში. ნიშანდობლივია წიგნის სათაურად ავტორის დასახელება. არაერთი მკვლევარი წიგნის სათაურში, „დავითიანი“, ფსალმუნთა კრებულის ქართული სახელის, „დავითნის“, ანალოგს ხედავს.

თითოეული ეს შემთხვევა მებრძოლი, საამაყო მთავარი პერსონაჟისა თუ ავტორის სახეს წარმოადგენს. „დავითიანის“ შემთხვევაში პოემის ავტორიც, ნარატოლოგიცა და პერსონაჟიც დავითია. არის რაღაც გროტესკული ასეთ გადანწყვეტილებაში, რადგან ქართულ რეალობაში არ არსებობდა ასეთი ლიტერატურული ტრადიცია. თუ გავითვალისწინებთ, რომ „დავითიანის“ ძირითადი ხაზი ქრისტიანული სწავლებაა, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტი ანალოგი დავინახოთ სიტყვასთან „ადამიანი“. ადამის სულის მატარებელსა და მის მემკვიდრეს ქართველი ადამიანს უწოდებს, დავითის სულის მატარებელსა და მემკვიდრეს „დავითიანი“ ჰქვია. შესაბამისად, ცოდვილი ადამის მოდგმის კრებითი სახელი ადამიანია, ხოლო ცოდვილი დავითის „მოდგმისა“ - „დავითიანი“. აქვე შევნიშნავთ, რომ ასეთი სახელდება ახასიათებს „დავითიანს“. ისტორიული პირების გარდა, წიგნში ერთდართ პერსონაჟს შეარქვა სახელი ავტორმა. ეს ქაცვიაა, რომლის სახელიც ასევე წარსულ ცოდვასთან ასოცირდება. შესაბამისად, „დავითიანი“ ის მემკვიდრეა, რომელიც იცნობს მამის, დავითის, ცოდვებს და ცდილობს გაექცეს მათ. ასეთია მოწოდება ყველა ადამის შვილისა (ადამიანისა) და ასეთია მოწოდება თავად ქაცვიასი (მამის ცოდვისგან თავდახსნას ცდილობს).

ამ სიტყვის გროტესკულ-სიმბოლური სახე კიდევ უფრო ნათლად წარმოჩნდება, თუ გურამიშვილის ცნობილ ნახატს გავიხსენებთ, რომელსაც „ავტოპორტრეტის“ სახელით ვიცნობთ. რუსი ჯარისკაცის უნიფორმაში გურამიშვილის დახატვა არც ერთ მხატვარს არ „უკადრია“. თავად რატომ გამოსახა საყვარელი, ერთადერთი მემკვიდრის ყდაზე მლოცველი რუსი ჯარისკაცი, რომელიც მაღლა მყოფი თავის სხეულზე გაცილებით უფრო დიდი ზომის ხატის წინაშე მლოცველის პოზაში დგას? ვფიქრობ, მოცემული ნახატი ნათელი სახეა შუასაუკუნეების კლასიკისა და გროტესკული ხელოვნების ერთ სიბრტყეზე გამოსახვისა. ნახატის ზედა ნაწილი ღვთისმშობელი ყრმითა და ჯვარცმია. მის წინაშე თავდახრილი იდგნენ შუასაუკუნეების ხელოვნების მებრძოლი რაინდები, პიროვნებები, ბრძოლის ველზე მათ გამოჩენას არაერთგზის გადაუწყვეტია ბრძოლის ბედიც. რუსი ჯა-

რისკაცის ეს ფიგურა კი წარსულ მებრძოლთა პაროდიაა. ეს არც მუხლმოდრეკილი მლოცველის სახეა და არც უბადლო მეომრის აღნაგობა. ეს არც რომელიმე ტაძრის ფრესკაა. გურამიშვილის „ავტოპორტრეტი“ ხილული გროტესკია საკუთარი ბედის გამოხატვისა. მლოცველი დაღეული ჯარისკაცი საკუთარ „პირმშოს“ სიამაყითა და იმედით მოიხსენიებს: „მე რაც ვშობე, შვილად ვჯერ-ვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა“, „მიდგომილი ბერდედების“ ნაყოფივით იმედისმომცემია სამყაროსათვის ცხოვრებით ნატანჯი ადამიანების ნაანდერძალი პირმშოები.

ამდენად, პოეტის პიროვნულმა ტემპერამენტმა იგრძნო ახალი ეპოქის სუნთქვა, უარი თქვა ათას ფსევდოქმნადობაზე (ფსევდორუსთაველობაზე, ფსევდოჰიმნოგრაფობასა თუ ფსევდოჰაფიზელობაზე), არ შეუშინდა ინოვაციებს და შექმნა საუცხოო წიგნი, რომელშიც ერთმანეთის გვერდით მშვიდად თანაარსებობენ შუასაუკუნეები და ახალი ეპოქა, კლასიკური და გროტესკული სახეები.

ამბივალენტურ სახეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავია „დავითიანის“ შვილად გამოცხადება. არაფერი იკარგება. კვდება ერთი და ტოვებს საკუთარ არსს. სანუთრომ „ბერნოვნება მოახვედრა“, თავად იმარჯვა, „რაც დანერა, ის იშვილა“. ეს წრებრუნვა მახასიათებელია სწორედ გროტესკული ხელოვნებისა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ბახტინი მიხეილ, (ივლისი 2017), „ფრანსუა რაბლეს შემოქმედება და შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხალხური კულტურა“, მოძიებულია 24 თებერვალი, 2019, <https://ru.scribd.com/document/353483714>

2. გურამიშვილი დავითი, დავითიანი, გამომცემლობა Carpe diem, თბ. 2013.

3. ნათაძე ნოდარ, „დავითიანის“ შინაარსი, აღნაგობა და ძირითადი მოტივები“, გურამიშვილი დავითი, დავითიანი, გამომცემლობა Carpe diem, თბ. 2013.

A GROTESQUE IMAGE OF GURAMISHVILI'S "DAVITIANI"

RESUME

Guramishvili regards "Davitiani" as his child. The analogue of this fictional image, might be seen in terracotta figurines of "senile pregnant hags", which Bakhtin defines as vivid image of grotesque realism, as he sees ambivalent controversy of inception and end, life and death, beauty and ugliness in them. Likewise, "Davitiani" is heir of elderly Davit, simultaneously bearing his knowledge and his sin, it is not nearly as quintessential as "The night in the panther's skin" (as the author himself argues), however being capable of becoming a parent to the new generation. Such kind of controversies are characteristic to grotesque art, therefore; this fictional image is the child of Georgian grotesque realism.

„...ტირილი იყო გამოღმა და ტიროდნენ გაღმაც“

მხატვრული ლიტერატურა ეპოქის კვალს მრავალი კომპონენტით აღბეჭდავს. მათ შორის ნარატივით, განწყობითა და ემოციით, მხატვრულ სახეებით და ა. შ. სხვადასხვა ეპოქის ტექსტებზე დაკვირვება გვაძლევს წარსულთან მიმართების რაგვარობაზე მსჯელობის შესაძლებლობას, მეხსიერებაში შენახული ფაქტებისა თუ მოვლენებისათვის ისტორიული, იდეოლოგიური თუ მორალურ-ზნეობრივი პრიორიტეტების განსაზღვრას.

სახელმწიფო საზღვრით გაყოფილი სოფლების მიმართ მწერლების ინტერესი ბუნებრივია და არც ისაა გასაკვირი, რომ მრავალმა შემოქმედმა სცადა ამ კუთხით თავისი სიტყვის თქმა.

მე-20 საუკუნის 10-იანი წლების მიწურულის და 20-იანი წლების დასაწყისის პოლიტიკურმა რეალობამ, ბოლშევიკური რუსეთის და ქემალისტური თურქეთის ურთიერთობის ახალმა ეტაპმა, ამ ორი სახელმწიფოს მოლაპარაკებათა პოლიტიკურმა შედეგებმა, საქართველოსა და თურქეთს შორის ჩამოაყალიბა ახალი სასაზღვრო სივრცე. საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში მოექცა. ქართველებით დასახლებულ სხვა ტერიტორიებთან ერთად სახელმწიფო საზღვარმა შუაზე გაყო ორი კონკრეტული სოფელი - მარადიდი და სარფი. შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეული თანასოფლელების, ნათესავების, მეზობლების - ერთგვაროვანი კულტურისა და ცნობიერების ადამიანების - ცხოვრება ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გზით წარიმართა. 20-იანი წლებიდან საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო, ხოლო საბჭოთა კავშირ-თურქეთის სასაზღვრო მონაკვეთი დიდი ხნის

განმავლობაში განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმით გამოირჩეოდა. შესაბამისად, ასეთ პირობებში, დასახლებული სოფლების მოსახლეობა მრავალი წლის განმავლობაში მოკლებული იყო ელემენტარული კომუნიკაციის შესაძლებლობასაც კი.

ბუნებრივია, რომ არსებული, დიახაც არაორდინალური, ვითარება აისახა მხატვრულ ლიტერატურაშიც, რომელიც, როგორც წესი ეპოქის კვალს მრავალი კომპონენტით აღბეჭდავს ხოლმე, მათ შორის, განწყობითა და ემოციით... ისიც ნათელია, რომ სხვადასხვა ეპოქის ტექსტებზე დაკვირვება გვაძლევს წარსულთან მიმართების რაგვარობაზე მსჯელობის შესაძლებლობას.

ნაშრომში სწორედ სასაზღვრო მოტივს ვეხებით, უფრო ზუსტად, გაყოფილი სოფლების თემას, რომელიც რომელიც მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო, თუმცა ჩვენი ინტერესის საგანი ამჯერად მხოლოდ ადამიანურ ემოციებია, რომელსაც ვერ შლის მკაცრად დაგმანული სახელმწიფო საზღვრებიც კი. ამასთან, ძირითადად, განვიხილავთ მკაცრი სასაზღვრო რეჟიმის ეპოქის მხატვრულ ტექსტებს, მათ შორის, ხსენებული დასახლებებიდან გამოსულ ავტორთა შემოქმედებას, ოღონდ ამჯერად პოლიტიკური და იდეოლოგიური დისკურსის გარეშე. ნაშრომში წარმოდგენილია როგორც საქართველოში, ასევე თურქეთში შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია. (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტექსტშივე მივუთითებთ ავტორის მოქალაქეობრივ კუთვნილებას).

საზღვრით გაყოფილი სოფლები ერთმანეთისგან ოცდაათი-ოდე კილომეტრით არიან დაშორებული. სარფი ზღვისპირზეა, მარადიდი - სიღრმეში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაყოფილი სოფლების გეოგრაფიის სპეციფიკა გარკვეული საკითხების გათვალისწინებას საჭიროებს: სარფი ერთი პატარა მდინარის ხეობაშია. სწორედ ამ მდინარეზე გადის საზღვრის ერთი მონაკვეთი. მარცხენა ფერდობი თურქეთისაა, მარჯვენა - საქართველოს. ფერდობები ერთმანეთის პირისპირაა და ხელისგულივით ჩანს ყველაფერი.

მარადიდი მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზეა. გამყოფი საზღვარი ქედია. მთის ერთ მხარეს ქვედა მარადიდი (საქართველოში), მეორე მხარეს - ზედა მარადიდი (თურქეთში). შესაბამისად, ზედა და ქვედა მარადიდის მოსახლეობას ვიზუალური კონტაქტი არ აქვს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზედა მარადიდის მოპირდაპირე მხარეს, მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, საქართველოს ნაწილში, არის სოფელი კირნათი. ამდენად, კირნათსა და ზედა მარადიდს შორის დაახლოებით იგივე მდგომარეობაა, რაც სარფის ორ ნაწილს შორის. შესაბამისად, პოეტური ემოცია ხშირად კირნათსაც ნვდება... მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ჭოროხი დიდი მდინარეა და ტიბაში - სოფლის პატარა ღელე, შესაბამისად, ჭოროხის აუზი ვრცელ ტერიტორიას მოიცავს, ამასთან, ჭოროხთან საზღვარი მხოლოდ მცირე მონაკვეთზე გასდევს მდინარეს, და იქვე გადაჰკვეთს მას: ზემონელი თურქეთში რჩება, ქვემონელი - საქართველოში.

სოფელ სარფში, როგორც აღვნიშნეთ, სასაზღვრო ზოლი, მდინარე ტიბაშს (იგივე „სინორიშლალი“ - საზღვრისღელე) მიჰყვება. ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი გაყოფილი სოფლის ერთ-ერთ ტკივილიან სიმბოლოდ იქცა. ტრაგიკული განცდა გულწრფელი ემოციით გამოიხატა ხასან ჰელიმიშის ლექსშიც („სინორიშლალი“), რომელიც სწორედ საზღვრად დადებულ პატარა მდინარეს ეძღვნება:

„საზღვრის ღელეო, საზღვარი არ ხარ
შენ ორ ძმას შორის ცრემლი ხარ ცხარე,
...ძმათა გაყოფა ვინ დაგასწავლა? -

მიმართავს პოეტი საზღვრის ღელეს და მაშინვე საკუთარ ბედისწერაზე მიუთითებს:

...შენც ხომ ჩემსავით გულდამწვარი ხარ,
ასე უგულოდ ზღვას ჩამდინარე“ (ჰელიმიში, 2005:50).

ერთ დროს ჩვეულებრივი სოფლის მდინარის დიახაც არასასიამოვნო ფუნქციას, რომელიც მე-20 საუკუნეში გაჩნდა, არაერთგზის ახსენებენ სხვა სარფელი პოეტებიც. ამჯერად მხედ-

ველობაში გვაქვს მამია ჯევაიშის ლექსი „ტიბაშის ჩივილი“:

„...მე ორი სამყაროს შუა გამყოფი ვარ,
სევდით შემოსილი პატარა ტიბაში.
გგონიათ რომ ტბა ვარ, მდორე და მძინარე,
თუმცე პატარა მაქვს სიღრმე და ფართობი,
ჩემდა უნებლიედ ჩემს გულზე აღმართეს
ბოძი მნუხარების და არა გართობის...“ (იხ. გულაძე, 1981:4).

მარადიდთან პოეტური მეტყველების მხატვრულ-სახეობრივ სისტემაში უკვე ქოროხი ჩნდება. როგორც აღვნიშნეთ, ამ მონაკვეთზე საზღვრის სტრუქტურა განსხვავებულია, მაგრამ სოფლები ზედა მარადიდი (თურქეთი) და კირნათი (საქართველო) გაღმა-გამოღმა რჩებიან, ერთმანეთის მოპირდაპირედ. შემთხვევაშიც, მდინარე წარმოდგენილია, როგორც სიმბოლო, როგორც უტყუი მონწილე მრავალი თაობის ტკივილისა საუკუნეების განმავლობაში:

“მოდის და ამბობს ქოროხი
როგორ გაჩნდა და ინვალა,
მოაქვს შლამი და გოროხი
ესეც ხომ ჩვენი მინაა” (ხალვაში, 1947:71).

სასაზღვრო ურთიერთობის სპეციფიკური თემაა გაღმა-გამოღმა დარჩენილი მოსახლეობის კომუნიკაციის შესაძლებლობა. საზღვრის დემარკაციის შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სოფლებს არ ეკრძალებოდათ ურთიერთობა და ნებადართული იყო მიმოსვლა. მაგრამ თანდათან, მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი და თურქეთი მტრულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ, სასაზღვრო რეჟიმი გამკაცრდა და არათუ მიმოსვლა, არამედ გახედვაც კი სასტიკად იკრძალებოდა...

მაშინ ჯერ კიდევ ჭირდა იმის გაცნობიერება, რომ ძალიან დიდი ხნით შეწყდებოდა ყოველგვარი კავშირი, დაშორდებოდნენ ერთმანეთს ოჯახის წევრები, ნათესავები, ორ სახელმწიფოში მოქცეული სოფლების ორ ნაწილს შორის რკინის ფარდა დაეშვებოდა და მიმოსვლა კი არა, თითის გაშვებაც

სახიფათო გახდებოდა... მრავალი წელი გაივლიდა, სანამ ნათესავების ახალი თაობა, საბჭოთა კავშირის დაშლის და მიმოსვლის განახლების შემდეგ, ხელახლა აღმოაჩენდა ერთმანეთს, თავიდან გაიცნობდა, დაკარგული წლებით შობილ გაუცხოების ხარისხს მისხალ-მისხალ აწონიდა.

იმ დროში კი, „გაღმა გახედვა“ თუ „გამოღმა გამოხედვა“ ცოდვად ითვლებოდა ორივე სახელმწიფოში და ისჯებოდა კიდევ. მესაზღვრეები და უშიშროების სამსახურები მკაცრად აკონტროლებდნენ ვითარებას და ჩანასახშივე სპობდნენ კომუნიკაციის ყოველგვარ შესაძლებლობას. ამ რეალობას ხატოვნად წარმოადგენს პოეტი:

„დაგიღებოთ თითი, თუ გაღმა
გაიშვერ და ეს იხილა ხალხმა.
მას შემდეგ ბევრი ვენახი გახმა,
ვაიმ ვერ უშველა და ველარც ახმა“. (თანდილავა, 1990:33).

შენწყვეტილი კომუნიკაციის გამო ტკივილი გამოსჭვივის სიმონ ჩიქოვანის მარადიდთან დაკავშირებულ პოეტურ სტრიქონებშიც (1950 წ.):

„მინდა დარდი აგარიდო
მღერით გავჭრა ღამე გიშრის,
გაღმა მდგარო მარადიდო,
ჩემკენ მზერას ვინ დაგიშლის...“ (იხ. ნიკოლეიშვილი, 2015: 225)

გაყოფილი სოფლის ზემოხსენებული პრობლემის გამოძახილი საგრძნობია თურქეთის სარფში მცხოვრები პოეტის შერაფეთთინ ოზმაჰინის პოეზიაშიც. იგი შთაბეჭდილების გაძლიერებას სუბიექტური ლირიკული განცდების წარმოჩენითაც ცდილობს:

„ახლა მარტო ვარ; მარტო ცხოვრება ძნელია,
დარდით და წუხილით სავსე...
შერეფ, ნულარ იყურები ფანჯრიდან,
დარდს ნულარ იმატებ!
არ იდარდო, დახურე ფანჯარა და კარი...
ფანჯარა, ყოველგვარი ინტერპრეტაციების გარეშეც,

არის ერთი ტრაგიკული თემა, განსაკუთრებით სარფული ყოფისთვის: ფანჯრიდან სოფლის მეორე ნაწილი ჩანს, ფანჯრების დაგმანვა („ნუ იყურები ფანჯრიდან“) ორივე ქვეყნის სასაზღვრო რეჟიმის მეტისმეტად მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენცია იყო. მით უმეტეს, რომ იქვე თითქოს კიდევ ერთი მკრთალი მინიშნებაც გამოიკვეთება:

მოსალამოვდა და სინყნარე დარდს ჩამოყრის იმამის ადგილებში, მყუდროებას ჩქამიც არ არღვევს, მხოლოდ ღელის ხმა მოდის სახლამდე...“ (Özşahşin, 2012: 79).

ისლა დაგვრჩენია, დავამატოთ, რომ ეს სწორედ ის ღელეა, საზღვრად რომ ჩამოდის და ორ სახელმწიფოდ ჰყოფს პატარა სოფელს.

მატერიალიზებული შედეგი კი ხსენებული ვითარებისა კი ის იყო, რომ ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთმა სარფელმა, რომელიც საზღვართან ახლოს ცხოვრობდა, გაღმა სარფის მხარეს არსებული ფანჯრები საერთოდ ამოქოლა თურმე... ამ ქმედებაზე საუბრისას მაინცდამაინც შიშის ფაქტორზე კი არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება, არამედ, მკაცრი სასაზღვრო რეჟიმის პირობებში, მუდმივად თანამდევნი და მომაბეზრებელი ეჭვისგან თავის დაღწევის მცდელობაზე (სარფი, 2015: 223).

ეს თემა მითუმეტეს აქტუალურად უნდა მივიჩნიოთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ, გაღმა თუ გამოღმა სარფს ერთი მხრივ და ზედა მარადიდსა და კირნათს შორის, მეორე მხრივ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ადგილი ჰქონდა მკაცრი სასაზღვრო რეჟიმებისთვის დამახასიათებელი კომუნიკაციის სპეციფიკურ სახეს, ე.წ. სიმღერით გადაძახილს. მაგალითად, თუ ვინმე გარდაიცვლებოდა, ან დაიბადებოდა, თანაც საზღვრის ახლო-მახლო უბნებში, ხმამაღალი მოთქმა-ტირილით აგებინებდნენ გარდაცვლილის ვინაობას. საზღვრისგან მოშორებით ასეთი კომუნიკაცია მოუხერხებელი იყო, მაგრამ ისევ სარფელები გადასძახებდნენ ხოლმე ერთი სახლიდან მეორეში და ეს გადაძახილი გაღმაც ესმოდათ.

ფოლკლორმა ე.წ. სასაზღვრო ურთიერთობის არაერთი

შემთხვევა შემოინახა. ერთი ნარატივი, მაგალითად, მე-20 საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს ეხება. ჩვენი ერთ-ერთი მთხრობელის (ასიე ჯევაიში, 2015 წ., საქართველოს სარფი) დედის ახლო ნათესავი ქალი თურქეთის სარფში იყო გათხოვილი, დიდხანს არ ჰყავდა შვილი და ამის გამო გამოღმელი ნათესავებიც წუხდნენ. როცა ბიჭი შეეძინა, სიმღერით მიაწვდინეს ხმა საზღვარს მიღმელ ახლობლებს:

„დღეს ესმესთან ნადია,
მის ყანას ვთოხნით,
იმას ბიჭი შეეძინა
თვრამეტი წლის შემდეგ“.

დაგმანული საზღვრების პირობებში მსგავსი ისტორიები ლამის საზღაპრო სიუჟეტებად აღიქმებოდა. ამ „ზღაპრებმა“ საოცრად რეალისტური სახე შეიძინა საზღვრის გახსნის შემდეგ: 50-იანი წლების ბოლოს დაბადებული ის ნატრული ვაჟი მე-20 საუკუნის მიწურულიდან საკმაოდ ხშირად სტუმრობს თავის ნათესავებს საქართველოს სარფში და თავის ოჯახშიც ღებულობს ხოლმე აქაურებს.

მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში არაერთი შემთხვევა დასტურდება კომუნიკაციის ხალხური ფორმებისა. მკვლევარი ზურაბ თანდილავა თავის „ლაზურ ხალხურ პოეზიაში“ როგორც თვითმხილველი, აღწერს, თუ როგორ გამოხატეს სამძიმარი გაღმასარფელებმა ნადურით (თანდილავა, 1972:37).

კომუნიკაციის ეს ფორმა, სახელმწიფოთა შესაბამისი ორგანოების აქტიური ჩარევით, თანდათან შეიზღუდა და მერე სრულიად მოიხპო. ეგ კი არა, ზოგჯერ სარფელები (ორივე ქვეყანაში) თუ კირნათ-მარადიდელები იმასაც ამბობდნენ, ხმამაღლა მოთქმა-ტირილი გვეკრძალებოდაო. სახელმწიფო სისტემამ სოფლები ნელ-ნელა დაუმორჩილა მკაცრ სასაზღვრო რეჟიმს.

ამ სპეციფიკური ვითარების გამოძახილია სწორედ დავით თედორაძის ლექსი („ტირილი იყო სარფში“), რომელშიც თვალსაჩინოა თანადგომა-თანაგრძნობის ან უკვე ამბად დარჩენილი მოტივი:

„ხანდახან საქმე არ წაუვა
კაცს ხოლმე წალმა,
ტირილი იყო გამოლმა და
ტიროდნენ გაღმაც“ (თედორაძე, 1999: 52).
ამავე თემას ეხმიანება შოთა ზოიძის სტრიქონები:
„იქ, მარადიდში შენი ცრემლი ისევ ცხელია,
და სარფის ცრემლი ისევ ისე თუთქავს ნამწამებს...“ (ზოიძე, 2013: 87).

საზღვარს მიღმა „გადახედვისთვის“ შემოქმედებით ფანტაზიას ხშირად სიყვარულის მოტივიც კვებავს. ფრიდონ ხალვაშის ლექსში „ორი და ჭოროხგაღმელი“ გადმოცემულია კირნათში გაჩენილი სიყვარულის ემოცია. როგორც ვთქვით, კირნათს მდინარე ჭოროხი ჩამოუდის, გაღმა კი თურქეთია - ზედა მარადიდი. ახლო ურთიერთობის შესაძლებლობას მოკლებული ქალ-ვაჟისთვის შორით მზერაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა სიყვარულის გრძნობა გაჩენილიყო. ამ გრძნობამ კიდევ უფრო მკაფიოდ დაანახა მათ სასაზღვრო რეალობა:

„თითქოს რაღაცას ორივე ვმაღავდით
ყოველ მოხედვით მთხოვდა - „ამოდი“
მაგრამ ჩვენს შუა, როგორც ღალატი,
იდგა საზღვარი რკინის პალოთი.“

ამდენად, მდგომარეობის ტრაგიზმს ამჯერადაც ამძაფრებს ის, რომ გაღმა-გამოღმა გაჩენილი სიყვარულის ბედნიერი დასასრული შეუძლებელია. მართლაც, ერთხელაც ვაჟი გამოლმიდან იხილავს ქალის ქორწილს, მაგრამ მოკლებულია ყოველგვარ შესაძლებლობას, თავისი სიყვარულისთვის იბრძოლოს:

„ტკივილმა დიდხანს არ გამიარა,
ხელში ეყარა მზე დამსხვრეული
და მე მეგონა, მინა კი არა,
გადაეკვეთათ ჩემი სხეული“ (ხალვაში 1976:26).

სასაზღვრო ემოციის ნაწილია ფაჭრეთთინ ჩილოღლუს (თურქეთის რესპუბლიკა) პატარა მოთხრობა „გადაღმა მცხოვრები გოგონა“. მოთხრობის მთავარი პერსონაჟის, ჯემალის,

წინაპრები სახელმწიფო საზღვრის გავლების შემდეგ თურქეთში აღმოჩნდნენ. ამიტომ გასაგებია საზღვართან დაკავშირებული ემოცია: „ომის შემდეგ სოფლის შუაში გამდინარე ღელე საზღვრად გამოაცხადეს. ამ ახალი საზღვრის გამოისობით ძმა ძმას, დედა შვილს, დანიშნული დანიშნულს მოსწყდა. სოფელეებს ადრე არ სჯეროდათ, რომ ღელე საზღვრად იქცეოდა და მასზე აგებულ ხიდს დაანგრევდნენ მაგრამ ეს დღეც დამდგარიყო და სამხედროებს ხიდი დაენგრიათ...“ (ჩილოღლუ, 2006: 121).

ჯემალი ჯარისკაცია, მესაზღვრე. იგი თურქეთის საზღვარს იცავს, ოღონდ არა თავისი წინაპრების სოფელთან. გაღმა ამ მონაკვეთშიც საქართველოა, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაწილია. იქ პატარა დასახლება ჩანს. მესაზღვრის საგუშაგოდან ჯემალი ჭოგრიტით ზვერავს სოფელს და მისი მხედველობის არეში ხშირად ხდება ღამაზი გოგო, რომელსაც „გრძელი, თითქმის წელამდე ცამოშვებული თმა ჰქონდა. კანი სიზმარში ნანახი ყვავილებივით თეთრი ჰქონდა. თეთრკოპლებიანი მწვანე ტანსაცმელი ეცვა. თმა წითელში გადაუდიოდა. სახეს თხელი ჭოროფლი უფარავდა“ (ჩილოღლუ, 2006: 121).

ჯემალმა ეს გოგო მიამსგავსა დედას, რომელიც ბავშვობაში დაკარგა. ბევრი არ უფიქრია, ერთ ღამეს მავთულხლართების ქვეშ გაძვრა და გოგონასთან მივიდა. ცხადია, იგი მაშინვე დააპატიმრეს საბჭოთა ჯარისკაცებმა, მაგრამ მისი სიტყვებიც, რომლის თქმაც (მამაპაპათა ენაზე, ანუ ქართულად) მოასწრო გოგოსთვის, სასაზღვრო ემოციის ნაწილია: „შენს გამო მოვედი. ცოტაც დედაჩემისთვის“ (ჩილოღლუ, 2006: 121)...

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ბუნების ასახვას, რაც, ასევე, სასაზღვრო ემოციის ნაწილია. ცოცხალი შთაბეჭდილებით არის დახატული სოფლის სურათი ლექსში „სარფის გზა“ (ფრიდონ ხალვაში):

„ქედებზე სარფის ოდებო,
მიყვარდით, რამდენს გნახავდი,
ჩამრჩით ხსოვნათა ჩარჩოში,
ვით ჰელიმიძის ნახატი“ (ხალვაში, 1985:186).

შთაბეჭდილებათა ფრაგმენტია დავით თედორაძისეული იმპრესიონისტული სურათიც:

„აფრინდა შაშვი ძირგამომპალ

ხურმის ტოტიდან,

ხბო გაჯიუტდა ვანილიშის

ჩამტყდარ ბოგირთან“ („ტირილი იყო სარფში“).

ნიშანდობლივია, რომ მწერლობაში ასახვა ჰპოვა სარფის ჰავამაც - ზღვისპირეთისთვის დამახასიათებელმა თქორმა თუ შხაპუნა წვიმამ. ამ მხრივ, განსაკუთრებით დამახასიათებელია ფრაგმენტი ნოდარ დუმბაძის რომანიდან „ნუ გემინია დედა“: „ერთი კვირაა წვიმს, უსაშველოდ წვიმს, ისე, როგორც იცის ზღვის პირას, გაბნეულად, გადაუღებლად, გამოუდარებლად ცრის და ცრის. დალპა ხეც, ნიადაგიც, სასაზღვრო ღობეც, ჩექმაც, ქურქიც. წვიმამ გაატანა ყველაფერში, რეზინის ლაბადებსა და რეზინის ჩექმებშიც. ნესტმა დაბერა სარკმლის რაფები, ჩარჩოები, საბუთები, ასანთი, სიგარეტი, ყველაფერი...“ (დუმბაძე 2009: 185)

ბუნებრივია, მრავალი ლირიკული სტრიქონი მიექდვნა ზღვის პეიზაჟებს. გავიხსენოთ თუნდაც მამია ვარშანიძის „სარფი, გონიო“:

„ზღვა მოვარდნილა აქ სამიჯნუროდ,

ლოკავს ზურმუხტებს, ლოკავს სამოთხეს,

პატარა ღელე სად მიჩურჩულებს,

რად სურს, რომ სული ზღვაში ამოხდეს?“ (ვარშანიძე, 1950:68)

სარფის მარინისტულ სურათებს მარადიდში მთების პანორამა ენაცვლება:

„მთები თითქოსდა ცასა სწვდებიან,

რა ლამაზია სოფელი ჩემი,

მთებს და მთებს შორის მომწყვდეულია...“ (დიდმანიძე... 2006:264)

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მსგავს თემატიკას მუდამ ახლავს ხოლმე ტკივილი - ერთი მხრივ კერძო - ოჯახის ან სო-

ფლის ფარგლებში ჩატეული, მეორე მხრივ, ტკივილი საზოგადო, საქვეყნო. ხასან ჰელიმიშის ერთსტროფიანი ლექსის ამონაკენესი სწორედ ამ ტკივილს ეხმიანება და სასაზღვრო მოტივის მთელ სპეციფიკას გამოხატავს:

„სად მტკივა და სად მიბერავ სულს,

შენც, ექიმი, ვერ მიპოვი გულს... (ჰელიმიში, 2005:50)

ხშირად მხატვრული ლიტერატურა ასახავს ისეთ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ კარგავენ აქტუალობას და კონკრეტული ტექსტები, მხატვრული სახეები და მოტივები ზეგავლენას ახდენს მრავალი თაობის ლიტერატურულ პროდუქციაზე - მაშინაც, როცა პრობლემის მიმართ დამოკიდებულება ამა თუ იმ თაობაში იდენტიურია და მაშინაც, როცა პრობლემების მიმართ თაობათა დამოკიდებულება ანტიგონისტურია.

მხატვრულ ლიტერატურაში სასაზღვრო მოტივის სპეციფიკას განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული რეალობა. სახელმწიფო საზღვრით გაყოფილი სოფლებისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ პროდუქციაში, მკაფიოდ გამოკვეთილ პატრიოტულ მოტივთან ერთად, ჩანს ტკივილი მსოფლიო პოლიტიკის ტალღებში მოყოლილი უბრალო ადამიანების ბედის გამო. გულისტკივილი და დარდი გაღმა დარჩენილ ბიძებზე, ბიძაშვილებზე, მშობლების საფლავებზე და ძვლებზე... ეს ყველაზე სუბიექტური განცდაა, სოფლების გაყოფის შემდეგ მუდმივად თანამდევს, ყველა თაობაში თავისებურად, განსხვავებულად რომ გამოვლინდება ხოლმე - ეპოქის შესაბამისად და შესაფერად.

1. გულაძე, 1981: გულაძე ქ., „სულზეც უტკბილესია, გულზეც უტკბილესია“, გაზ. „ოქტომბრის გზით“, # 121, 13 ოქტომბერი, 1981 წ.
2. დიდმანიძე... 2006: დიდმანიძე ო., გოგიტიძე ს., სოფელი მარადიდი, გამომცემლობა ბათუმის უნივერსიტეტი, ბათუმი.
3. დუმბაძე 2009: დუმბაძე ნ., „ნუ გეშინია დედა“, თბილისი.
4. ვარშანიძე, 1950: ვარშანიძე მ., „ჩემო სამშობლოვ“, ბათუმი.
5. ზოიძე, 2013: ზოიძე შ., აჭარა, კრებულში „ზე-კართან“ ბათუმი.
6. თანდილავა, 1990: თანდილავა ი., „სულის ხვეულებიდან“, ბათუმი.
7. თანდილავა, 1972: თანდილავა ზ., „ლაზური ხალხური პოეზია“, თბილისი
8. თედორაძე, 1999: თედორაძე დ., ერთტომეული, ბათუმი.
9. ნიკოლეიშვილი, 2015: ნიკოლეიშვილი ა., ლაზეთის თემამე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაში. კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი“, ტ. VIII, გამომც. უნივერსალი, თბილისი.
10. სარფი, 2015: სარფი, მონოგრაფია, ავტორები: მ. ჩოხარაძე, ლ. თანდილავა, მ. ფალავა, ო. მემიშიძე, მ. ბარამიძე, ვ. ვარშალომიძე, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, თ. შიოშვილი, მ.თავდგირიძე, ც. ნარაკიძე, ჯ. მიქელაძე, ბათუმი;
11. ჩილოღლუ, 2006: ჩილოღლუ, ფ., სასაზღვრო ფიქრები, გამომც. არტანუჯი, თბილისი)
12. ხალვაში, 1947: ხალვაში ფ., „ჭოროხის ხვაშიადი“, ჟურ. ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი;
13. ხალვაში 1976: ხალვაში ფ., ერთტომეული, გამომც, საბჭოთა საქართველო, თბილისი.)
14. ხალვაში, 1985: ხალვაში ფ., „ჩემი სანატრელი“, თბილისი.
15. ჰელიმიში, 2005: ხასან ჰელიმიში, „ლექსები“, ბათუმი.
16. Özşahşin, 2012: Özşahşin Ş., „Pris“ - II, Sarp.

კონცეპტი „საქართველო“ ჯონ სტაინბეკის „რუსულ დღიურში“

„მივხვდით, რატომ გვეუბნებოდნენ რუსები: „ვიდრე საქართველო არ გინახავთ, ჩათვალიეთ, არაფერი გინახავთო.“

ჯონ სტაინბეკი

1947 წლის 1 აგვისტოს ამერიკელი მწერალი ჯონ სტაინბეკი (ის 1962 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა) და ცნობილი ფოტოგრაფი რობერტ კაპა საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ, როგორც კორესპონდენტები. მოინახულეს: მოსკოვი, სტალინგრადი, კიევი, უკრაინის რამდენიმე სოფელი და საქართველოს ქალაქები. მათ სურდათ ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე ეჩვენებინათ „რკინის ფარდის“ მიღმა არსებული სინამდვილე, „ცივი ომის“ პერიოდში ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანების (რომელთაც ისინი - განურჩევლად ყველას, რუსებს ეძახდნენ) ცხოვრება. ამ მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები აისახა სწორედ სტაინბეკის „რუსულ დღიურში“: „ერთ რამეზე შევთანხმდით - თავი შარში არ გაგვეყო და არც საქებარი უნდა გვენერა რამე და არც სალანძღავი. გულწრფელი უნდა ვყოფილიყავით რეპორტაჟის მომზადებისას, იმას გადმოვცემდით, რასაც მოვისმენდით ან ჩვენი თვალთ ვნახავდით, შეფასების გარეშე, დასკვნების გამოტანის გარეშე“ (სტაინბეკი, 2015:5), /შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს/.

სტაინბეკიც, შეძლებისდაგვარად, ცდილობს ობიექტურ-ნეიტრალურად გადმოგვცეს, რასაც ხედავს და განიცდის. ბუნებრივია, ბევრი რამ მისთვის უცხო და გაუგებარია, თუმცა ის

ზუსტად გრძნობს და აღწერს იმ „შემოქმედებით თავისუფლებას“, რომელიც სოციალისტური რეალიზმის მარნუხებში მოქცეული ხელოვანების ხვედრად ქცეულა. დაწყებული თარჯიმან სვეტლანა ლიტვინოვათი, „ტკბილი ლანათი“, როგორც მას სტაინბეკმა შეარქვა, დამთავრებული ქართველი მწერლებით, უფროსი თაობის წარმომადგენლებს თუ ახალგაზრდებს, ახასიათებთ „ღრმა საბჭოური სერიოზულობა“ და ერთნაირი კონსერვატორული დამოკიდებულება ხელოვნებისადმი. მწერალი ზუსტად შენიშნავს: „მხატვარს თუ უნდა საჯარო გალერეებში გამოფინონ მისი ნამუშევრები, აქ კი მხოლოდ ასეთი გალერეებია, მაშინ ფოტოგრაფიული მხატვრობით უნდა დაკავდეს. ის, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ მაინც, ფერებისა და კონტურების მოხაზულობაში ექსპერიმენტებს არ გააკეთებს, არც ახალ ტექნიკას შეიმუშავებს და არანაირ სუბიექტურ მიდგომას არ გამოავლენს თავისი ხელობისადმი“ (48).

სტაინბეკი ასევე იხსენებს სტალინის სიტყვებს, რომ „მწერალი სულის არქიტექტორიაო“ და იქვე დასძენს: ამერიკაში მწერალი არაფრის არქიტექტორად არ მიიჩნევაო. მას აოცებს საბჭოთა მწერლების დამოკიდებულება სისტემის მიმართ, სწორედ ამაში ხედავს ძირითად განსხვავებას ამერიკელებსა და საბჭოელებს შორის: „საბჭოთა კავშირელი მწერლის საქმეა მათი სისტემის ქება-დიდება, ნაქეზება. მაშინ, როცა ამერიკასა და ინგლისში კარგი მწერალი საზოგადოების დარაჯი ძაღლია. მისი საქმე საზოგადოების სისულელის სატირიზება, უსამართლობის გაკიცხვა და დანაშაულისთვის დაღის დასმაა. სწორედ ამიტომაც ამერიკაში მწერლები დიდად არც საზოგადოებას უყვარს და არც მთავრობას...“ (226).

სტაინბეკმა უამრავი მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ისიც შენიშნა, თუ როგორ ჭრიდნენ და კერავდნენ საკუთარ ქარგაზე საბჭოთა „მეცნიერები“ ისტორიას, სტაინბეკის მიგნება ზუსტია: „ეს ისეთი ისტორიაა, როგორსაც ვისურვებდით, რომ ყოფილიყო და არა ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო“ (53).

ასევე უტყუარია ამერიკელი მწერლის დაკვირვება იმის

თაობაზე, რომ „საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი დიდი მრეწველობა სტალინის დახატვა, გამოქანდაკება, გამოჭედვა და ამოქარგვაა. ის არის ყველგან, ის ხედავს ყველაფერს“ (74) და რომ „ამერიკელებს ეშინიათ და ეზიზღებათ ერთი კაცის ძალაუფლების, და ამ ძალაუფლების გამარადიულების, ეს საშიში და საძაგელი რამაა“ (75). სამწუხაროდ, ამერიკელი შემოქმედი ვერ ან არ მიხვდა, რომ სწორედ ამ „საშიში და საძაგელი რამის“ მსხვერპლნი იყვნენ საბჭოეთში მცხოვრები მწერლები. არც რეჟიმის სამსახური იყო მათი არჩევანი და არც - სისტემის ქება-დიდება თუ „გაუცინარის“ ნიღბის მორგება, ეს თავის გადაარჩენის ერთადერთი გზა და საშუალება იყო. რა თქმა უნდა, ამის გაგება-გაანალიზება რამდენიმე დღიანი შეხვედრების დროს ამერიკელებისთვის იოლი არ იყო. ასევე, ისინი არ იცნობდნენ რუსეთის წითელ იმპერიაში შემავალი ხალხების ლიტერატურას, ამიტომაც ერთი ხელის მოსმით გადაუსვეს ხაზი მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების მწერლობას (თუნდაც, ამ დროის ქართველი მწერლების შედეგებს!): „ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „სულის არქიტექტორთა სკოლას“ დიდებული ლიტერატურული ნიმუში ჯერჯერობით არ შეუქმნია“ (226).

რა თქმა უნდა, სტაინბეკის წიგნში კიდევ უამრავ საინტერესო დაკვირვებას შეხვდებით არა მარტო საბჭოთა მწერლების, არამედ მშრომელი ხალხის ყოველდღიური ყოფისა თუ ომის შემდგომი, ნანგრევებად ქცეული ქვეყნის ცხოვრების შესახებ, მაგრამ ჩვენი საკვლევი ობიექტია სტაინბეკის ტექსტის მიხედვით კონცეპტი „საქართველო“. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სწორედ ეს კონცეპტი გამოიკვეთა „რუსულ დღიურში“.

დ.ს. ლიხაჩოვის აზრით, კონცეპტი გამოირჩევა იმით, რომ ის მიგვანიშნებს სიტყვის შესაძლებელ მნიშვნელობაზე, კონცეპტი „ამ მნიშვნელობის ალგებრული გამოსახულებაა“, ამასთან ერთად, ის არა მარტო ცვლის სიტყვის მნიშვნელობას, არამედ აფართოებს მას, ტოვებს რა შესაძლებლობას თანამემოქმედებისა და სიტყვის ემოციური აურისთვის. რა თქმა უნდა, კონცეპტის სწორად გაგებისათვის მნიშვნელოვანია მისი აღქმე-

ლის/მომხმარებლის ინდივიდუალური კულტურული გამოცდილება, გარკვეული ცოდნის მარაგი (ლიხაჩოვი, 1993:4). ამ განმარტების მიხედვით, კონცეპტ „საქართველოს“, მართლაც, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სტაინბეკის ტექსტში. ის სანიმუშო, სამაგალითო, იდეალურისა და სასურველის მნიშვნელობებითაა გაჯერებული. საინტერესოა, რომ, სტაინბეკის დაკვირვებით, სსრკ-ს ყველა სხვა ხალხები ასე აღიქვამენ ამ კონცეპტს, ასეთ შინაარსს დებენ მასში. სწორედ მათგან ეს-მით ამერიკელებს საქართველოს გამორჩეულობის შესახებ: „სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, მოსკოვში, უკრაინასა თუ სტალინგრადში, ყველგან, გამუდმებით საქართველოს ჯადოსნური სახელი ჩაგვესმოდა. ისინიც კი, ვინც არასოდეს ყოფილან იქ, და ვერც ვერასდროს ჩაველენ ალბათ, საქართველოზე მონუსხულები აღტაცებით ლაპარაკობდნენ. ისინი ქართველებზე ისე ყვებოდნენ, როგორც სუპერმენებზე, დიდებული მსმელები არიან, დიდებული მოცეკვავეები, დიდებული მომღერლები, დიდებული მშრომელები და საყვარლებიო. თან ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს ეს კავკასიის მთებსა და შავ ზღვას შორის მოქცეული ქვეყანა მეორე სამოთხე იყოს. ეგ კი არა, ისიც გვგონია, რომ ბევრ რუსს სჯერა, წესიერად, პატიოსნად თუ იცხოვრებს, სიკვდილის შემდეგ სამოთხეში კი არა, საქართველოში მოხვდება. ამ ქვეყანაში კარგი კლიმატია, ნაყოფიერი მიწა და ზღვის პირასაა. საბჭოთა კავშირის კეთილდღეობაში დიდი ღვანლის შეტანისთვის ადამიანი საქართველოში მოგზაურობით ჯილდოვდება“ (205).

კონცეპტის ცნების საინტერესო ანალიზს გვთავაზობს კიდევ ერთი რუსი მკვლევარი ი.ს. სტეპანოვი. მას მიაჩნია, რომ კონცეპტის მეშვეობით, ერთი მხრივ, კულტურა შედის პიროვნების მენტალურ სამყაროში და, მეორე მხრივ, თავად ადამიანი ხდება კულტურის განუყოფელი ნაწილი, ამიტომ კონცეპტის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო კოლექტიური შეხედულებანი, არამედ ის ჰიპოთეზებიც, რომელთაც ცალკეული გამორჩეული პიროვნებანი (მწერლები, მოაზროვნეები)

ქმნიან არსებული რეალობის შესახებ (სტეპანოვი, 1997: 127). სწორედ ამის გათვალისწინებით ვნახოთ, როგორი კონოტაციები გააჩნია კონცეპტ „საქართველოს“ სტაინბეკის ტექსტში.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ სტაინბეკს საქართველოს ბუნება, განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლი, ლურჯი ზღვითა და თეთრი პლაჟებით, კალიფორნიას აგონებს. მომხიბლავი ბუნება, არაჩვეულებრივი კლიმატი მისი შემადგენელი ნაწილია.

არანაკლებ მიმზიდველნი არიან ამ ბუნებაში მცხოვრები ადამიანები. ქართველები, უძველესი შუმერების შთამომავლები, ძალიან მომხიბვლელი არიან (სტაინბეკის აზრით, განსაკუთრებით - მამაკაცები): შავგვრემანები, შავი მოციმციმე თვალებით, ტალღოვანი თმებით, ელვარე კბილებითა და გრძელი, ლამაზი ცხვირით. ხასიათითაც გამორჩეულნი არიან, დიდებული (ამ სიტყვას, ქართველებთან მიმართებით, ლამის ყველა წინადადებაში იყენებს სტაინბეკი): ფიცხი, ამაყი, მხიარული, ძლიერი, ენერგიული და მოხერხებული, ამასთან, ბრწყინვალე კავალრები და შეუპოვარი მებრძოლები: „ქართველი კაცები რუს ქალებს შორის დიდი მოწონებით სარგებლობენ. პოეტი ხალხია, კარგი მოცეკვავეები და მომღერლები არიან, და როგორც ამბობენ, დიდებული საყვარლებიც. ასეც იქნება, ისეთ ბუნებაში ცხოვრობენ და ამ ორი ათასი წლის მანძილზე იმდენი ომი გადახდათ თავს“ (208).

კონცეპტ „საქართველოს“ განუყოფელი ნაწილია მისი მომხიბვლელი (როგორც სტაინბეკი აღნიშნავს) დედაქალაქი თბილისი - „პირველი სუფთა აღმოსავლური ქალაქი... რელიგიური ტოლერანტობის ქალაქი“ (214), რომლის ფერად ქუჩებშიც მხიარულება სუფევდა. მწერალი ხაზს უსვამს, რომ „თბილისელებს უკეთ (უფრო გემოვნებითაც) ეცვათ, უკეთესადაც გამოიყურებოდნენ და უფრო ამაღლებული განწყობაც ჰქონდათ, ვიდრე სხვა რუს ხალხებს“ (210).

სტაინბეკის ტექსტის მიხედვით, კონცეპტ „საქართველოს“ ორგანული შემადგენელი ნაწილია მისი მდიდარი ისტორია,

ლეგენდარული თამარ მეფე და ქრისტიანული რელიგია, წარმოუდგენლად ლამაზი ქართული პოლიფონიური სიმღერა და ხალხური ცეკვა, თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურა: „ქართველებისთვის პოეზიის სიყვარული ტრადიციას და ამ სიყვარულის ნაკლებობა ლამის დანაშაულად მიიჩნევა... პოეტებს მეფეების გვერდით კრძალავენ, და ხშირად პოეტი ახსოვთ, როცა მეფე დავინყებულნი ჰყავთ. მათი ძველი პოეტი, რუსთაველი, რომელმაც ეპიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა, ისევე დაფასებული, როგორც საქართველოს ეროვნული გმირი“ (223-227). ამასთან, სტაინბეკის აზრით, „ქართველი მწერლები ძალიან მკაცრები და თავდადებულები არიან“ (225).

კონცეპტ „საქართველოს“ ერთ-ერთი კონოტაცია გადაჭარბებულ სტუმართმოყვარეობას, ზედმეტ თავაზსა და გრძელ-გრძელი, უგემრიელესი კერძებითა და ხორაგით გადატვირთული სუფრების გადაფენაცაა, რა თქმა უნდა, თამაღობის ინსტიტუტის „თამაღობით“: „თანდათან მივხვდით, რომ რუსების საიდუმლო იარაღი, ყოველ შემთხვევაში სტუმრისთვის განკუთვნილი, საჭმელია... თუ არ ვჭამდით, გვაძალებდნენ, ჭამეთო და თუ შევჭამდით, მაშინვე საჭმლით გვივსებდნენ თეფშებს ... რაც იქ ვიყავით, ჭამის გარდა თითქმის არაფერი გვიკეთებია“ (256-264).

საქართველოს ყველაზე ლამაზი, მდიდარი და მომხიბვლელი მხარე კი, სტაინბეკის აზრით, აჭარაა, თავისი კოხტა, მყუდრო, ქათქათა ბათუმ-ქალაქით, თავისი მშვენიერი პარკებითა და ხეებით დაჩრდილული ქუჩებით, სსრკ-ს მასშტაბით საუკეთესო სასტუმრო „ინტურისტი“, მშვენიერი თეატრით, სადაც „ოიდიპოს მეფის“ სანახავად ჭამა-სმისაგან გადაღლილები და შეწუხებულ-დამძიმებულნი მიიყვანეს, შესაბამისად, ერთადერთი რაც შენიშნეს ის იყო, რომ დარბაზი უფრო ამერიკელ სტუმრებს უყურებდა, ვიდრე - სცენას, „თითქოს მარსელები ვიყავითო“ და კიდევ ის, რომ მთავარი როლის შემსრულებელი (იუსუფ კობალაძე) „ძალიან მიმზიდველი იყო“ (263).

გასაკვირიც აღარაა, რომ საქართველოში ჩამოსვლის აღწერას სტაინბეკი იწყებს სუფრით და ამთავრებს მთანმინდაზე,

(რომლის ქვემოთ ბრილიანტივით აბრჭყვიალებული მომაჯადოებელი ქალაქი იყო გადაშლილი), გამართული გრანდიოზული ქეიფით, რომელსაც ამერიკელები შიმ-კანკალით ელოდნენ, მაგრამ, ეტყობა, ქართველებმა თავის თავსაც გადააჭარბეს და ფანტასტიკური წვეულება გაუმართეს. მათ ათქმევინეს ბევრისმნახველ კორესპონდენტს: „ეს საოცარი ქართველები ყველაფერში გვჯობდნენ, ჭამაც ჩვენზე მეტი შეეძლოთ, სმაც, ცეკვაც, სიმღერაც. ისინი იტალიელებივით მხიარულები იყვნენ და ბურგუნდიელებივით ძლიერები. ყველაფერი გამოსდიოდათ, რასაც ხელს მოკიდებდნენ. ბევრად განსხვავდებოდნენ სხვა რუსი ხალხებისაგან ... ვერაფერი მათ სულს ვერ დასცემს და მათ თვითმყოფადობას ვერ დაუკარგავს“ (263).

სტაინბეკის „რუსული დღიურის“ მიხედვით, კიდევ ერთი განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კონცეპტს „საქართველო“: ის შეიცავს სსრკ-ში შემავალი ხალხების ბელადის - სტალინის - სამშობლოს კონოტაციას: „გორი ...ნაციონალურ ტაძრად არის ქცეული... სტალინის დაბადების ადგილი უკვე პილიგრიმოზის ადგილად არის ქცეული...“

ვერაინ გავიხსენეთ მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, ვინც ასეთი დაფასებული იყო თავის ცხოვრებაში ... ამ ხალხისათვის სიმართლე ისაა, რასაც სტალინი ამბობს, თუნდაც ეს ბუნების წესს ეწინააღმდეგებოდეს“ (234-241).

საბოლოოდ „საქართველოს“ კონცეპტმა სტაინბეკის ტექსტში ასეთი ფორმულირება შეიძინა: „საქართველო ჯადოსნური მხარეა და სიზმრისეულ ზმანებას ემსგავსება იქიდან წამოსვლის შემდეგ. ქართველებიც ზღაპრული ხალხია. მართალია, რომ ამბობენ, ერთ-ერთი უმდიდრესი და უმშვენიერესი ქვეყანაა მსოფლიოში. მივხვდით, რატომ გვეუბნებოდნენ რუსები: „ვიდრე საქართველო არ გინახავთ, ჩათვალეთ, არაფერი გინახავთო“ (271).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლიხაჩოვი, 1993: ლიხაჩოვი დ. ს., „რუსული ენის კონცეპტოსფერო“, მოსკოვი.
2. Лихачев, 1993: Лихачев Д. С., Концептосфера русского языка, Москва.
3. სტაინბეკი, 2015: ჯონ სტაინბეკი, „რუსული დღიური“, თბილისი.
4. სტეპანოვი, 1997: სტეპანოვი ი.ს., „კონსტანტები. რუსული კულტურის ლექსიკონი. კვლევის ცდა“, მოსკოვი.
5. Степанов, 1997: Степанов Ю. С. Константи. Словарь русской культуры. Опыт исследования. Москва.

Shorena Makhachadze

THE CONCEPT “GEORGIA” IN JOHN STEINBECK’S “RUSSIAN DIARIES”

SUMMARY

On August 1, 1947, American writer John Steinbeck (who became the Nobel Prize laureate in 1962) and the famous photographer Robert Capa arrived in the Soviet Union as correspondents. They visited: Moscow, Stalingrad, Kiev, some villages of the Ukraine and Georgian cities. They wanted to show, without any politics, the lives of ordinary Soviet people (they called all of them Russians). The impressions of this trip were reflected in J.Steinbeck’s “Russian Diaries”.

The object of our research is the concept “Georgia” according to Steinbeck’s text. No matter how surprising it is, this concept was revealed in the “Russian Diaries”. This concept, indeed, has a special importance. It is saturated with exemplary, ideal and desirable

meanings. It is interesting that all the other people of the USSR perceived this conception in the same way and put the same contents in it.

The concept “Georgia” has the following connotations: fascinating nature and extraordinary climate are part of it. People, who live there – Georgians - are just as attractive as their nature. They are descendants of the ancient Sumerians – passionate, proud, cheerful, strong, energetic and skillful, brilliant knights and fierce fighters, poet people, good dancers and singers.

The inseparable part of the concept “Georgia” is its charming capital Tbilisi, colorful corners, its rich history, legendary King Tamar and Christian religion, incredibly beautiful Georgian polyphonic song and folk dance, the fifteen-century-old Georgian literature, besides all these – excessive hospitality and the Istitute of toast-mastering (Tamada). Another special importance of this concept: it contains the connotations of Stalin’s (the leader of the peoples of the USSR) homeland.

ქართველ მუჰაჯირთა ანდაზები

ქართველ მუჰაჯირთა პირველი თაობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მშობელი ქვეყნიდან მონყვევით გამონყვეული უკიდევანო სევდა-წუხილის აკუმულირება იმითაც შეძლეს, რომ შთამომავლობას უძვირფასეს ნობათად დაუტოვეს მათი იდენტობის ერთ-ერთი უტყუარი გამოხატულება – მშობელი ხალხის მიერ საუკუნეთა ტევრში გამოტარებული და ცხოვრების მკაცრი გაკვეთილებით დახვეწილ-ჩამოქანდაკებული ზეპირსიტყვიერება მისი მრვალრიცხოვანი ჟანრებით; ახალიც შექმნეს, ბუნებრივია, ახალი საცხოვრისის სოციალურ გარემოსაც მოერგნენ ბუნებით კაცთმოყვარე და ძმობა-მეგობრობისათვის მუდმივად შემართული ჩვენებურები და ცხოვრობენ, გააქვთ თავიანთი წილი წუთისოფელი... ერთმანეთშიც საუბრობენ მშობლიურ ენაზე და იმაზეც გულწრფელად წუხან, რომ ახალი თაობა ამას მათებურად ველარ ახერხებს ძალიან ბევრი მიზეზის გამო...

მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორული შემოქმედება, რომელიც 2012-2018 წლებში ჩაინერა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედმა კომპლექსურმა ექსპედიციამ, მდიდარი და მრავალფეროვანია და, როგორც გოგლა ლეონიძე იტყოდა, „მშობელ მინაში უდგას ფესვები“.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერი საუნჯის ერთ-ერთ გამორჩეულ ჟანრია ანდაზა, რომელსაც პროფესორმა ზურაბ კიკნაძემ მართებულად უწოდა სიბრძნის პოეზია (კიკნაძე, 2008: 324).

ანდაზა სრულიად ბუნებრივად და ლაღად არის ჩანწულ-ჩა-

გრეხილი ენის ნიაღში, მისი შემოქმედი ხალხის ცხოვრების თანამედროვეც არის, მომავლის წინამძღოლი და წარსულის მემატინანეც, „ჭირსა შიგან გამაგრების“ ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია და ყოველთვის, ყველა ეპოქაში ერთგული დამრიგებლისა და მოძღვრის ფუნქციას ასრულებს. ამ ერთგული სულიერი მოძღვრისეული სენტენციები ქართველ მუჰაჯირთა ახლანდელ თაობას წინაპართაგან ღირსსახსოვარ ანდერძად ებოძა და, რასაკვირველია, მამა-პაპათა მსგავსად, ყურს უგდებენ მისეულ სიბრძნეს.

მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ ანდაზათა უმრავლესობას პარალელები ეძებნება საქართველოს ახვადასხვა კუთხეთა, განსაკუთრებით კი – აჭარის ზეპირსიტყვიერებაში. სიბრძნის პოეზიის მათეული ნიმუშები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გავრცელებული ანდაზების მსგავსად, ქადაგებენ ჰუმანურ იდეებს – ძმობა-მეგობრობას, კუთხე-მეზობლობას, ურთიერთგატანას, რადგანაც ქვეყნის განაპირა კუთხეში მცხოვრებთა კოლექტიურმა მეხსიერებამ კარგად შეისისხლხორცა ერთობის ძალის ფასი. ამის დასტურია ანდაზა – „ერთი ხელი რამე არაა, ორი ხელით ხმა იქნება“.

ჩვენმა წინაპრებმა ძველთაგანვე გაითავისეს ბიბლიიდან გადმოცემული სიბრძნე: „ბრძნად მეტყველება ვერცხლია, ხოლო დუმილი ოქროა რჩეული“; აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების საანდაზო მეტყველებაში ეს თეზა ამგვარად გამოითქმის: „სიტყვა გუმიშია (ვერცხლი), უხმიობა – ალთუნი (ოქრო)“.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ანდაზებში, ანუ სიბრძნის პოეზიაში, გულისტკივილიანი გამოძახილი ჰპოვა იმ დიდმა სანუხარმა, რაც მშობლიურ ფესვებს მონყვევითა მუდმივი თანამგზავრია; სამშობლოსა და თვისტომთა მონატრებაა ჩაქსოვილი ჩვენებურთა ანდაზაში „ქართველი იყოს და ტალახიანი იყოსო“ („ჩვენებური იყოს და ტალახიანი იყოსო“).

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ანდაზის – „როცა გშია, ზაქარია, ცივი ჭადიც შაქარია“ – სიბრძნე ქა-

რთველ მუჰაჯირებში ამგვარად ჟღერს: „შენ არ გშია, ზექერია, რომ შეგემშეს, ჰელვა გიგიხდება ცივი ჭადი“.

სიკეთისადმი სწრაფვას ზოგადქართულის („გაიარე, ქვაზე დადე, გამოიარე, წინ დაგხვდება“) მსგავსი ანდაზით გადმოსცემენ ჩვენებურები: „გავლაჲ ქვაზე დადეო, გამოვლაჲ დიგიხდებაო“.

ქართველ მუჰაჯირთა სიბრძნის პოეზიაში ძალზე პოპულარულია და მრავალ ვარიანტად დავაფიქსირეთ ქართული ხალხური ანდაზა „ავიფურთხე – ულვაშს მოხვდა, დავიფურთხე – წვერებსაო“; „ევფურტნე – ბუღლას მოხვდა, დევფურტნე – წვერსაო“ („ზეით ავფურტნე, ულვაშზე მომხვდაო, ქვეით დევფურტნე, წვერზე მომხვდაო“; „ზეით ევფურტნე, ბუღლა, ქვეით დევფურტნე, წვერიაო“). ეს ანდაზა იდენტური ლექსიკით გვხვდება აჭარის ზეპირსიტყვიერებაში.

წინდახედულებას, თავშეკავებულობას და წარმოსათქმელი სიტყვისადმი ფხიზელ დამოკიდებულებას ქადაგებენ ჩვენებურთა ანდაზები: „იფიშმანო, იფიშმანო და ისენ'და თქვა“, „ათჯერ'ნა დაზომო, ერთჯერ'ნა დაჭრა“, „ატეხვას თავის გატეხვა აქ“ და სხვა.

შრომა, შრომის სიკეთე და საქმის კეთების სურვილი ადამიანის უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ ჩვენებურებს. მათი საანდაზო მეტყველებისათვის დამახასიათებელია ხოტბა-დიდების შესხმა მშრომელი, დაუზარელი ადამიანებისათვის; საქმისადმი სერიოზული, დროული დამოკიდებულება გამოსჭვივის ანდაზებში: „აგორვებულ ქვას ღონსული არ ექნება“ („გაგორვებული ქვა ხავს არ დეიკავებს“); „ადრელაჲ ადგები, საქმეს მალე დალევაო“; „ერთი დღის საქმე წინ'ნა მეიგდოვაო“; „სალამოს საქმეს დილის საქმე სჯობსო“.

შრომა-გარჯისადმი სწრაფვასა და სიყვარულზე მიუთითებს ჩვენებურთა ანდაზა: „დედაბერ საქმე დალევა, შალვარი უუნგრია, შუუკერია“. ამგვარ სენტენციათა გვირგვინად შეიძლება ჩავთვალოთ ანდაზა: „რვა დღის ომრითვინ ცხრა დღე'ნა ისაქმო“.

შრომისმოყვარეობასთან ერთად, ქართველ მუჰაჯირთა საანდაზო სიბრძნე სწორად დაგეგმილ, მიზანმიმართულ გარჯაზეც საუბრობს: „ლეღი ქენერში სიმინდ დათესაჲ ღვართვი-ნაო“.

ქართველ მუჰაჯირთა სიბრძნის პოეზია, ზოგადქართულის მსგავსად, გმობს სიხარბეს, სხვათა ქონებისაკენ თვალის დაჭერას: „სხვის ვირზე რომ შეჯდები, მალე ჩამოხვალო“; „სხვის ცხენზე რომ შეჟდები, სოფლის შუაში ჩამოხვალო“; „ღორი ყანაში რო შევა, გაძლომამდე ჭამსო“; „რაცხამდონი საბანი გაქ, იმდონე განვადე ფეხებო“.

ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმის გამომხატველია ჩვენებურთა პარემია: „ღმერთის გაჩენილი არ მეიკლებაო“.

ჩვენებურთა საანდაზო სიბრძნეს არც კაცობრიობის ოდინდელი წუხილი გამორჩენია სიკვდილ-სიცოცხლის თემაზე; სიკვდილის გარდუვალობა ასეა გადმოცემული: „შავი მორგვი სუნყველას კუჩხეში მიგორდება“; „რომ დღე დეგველევა, მოვკვდეთ უნდა“.

მუყაითი მშრომელისათვის ნაამაგარის მოფრთხილება, ყაირათიანობა, თანდაყოლილი თვისებაა; კარგმა მეურნემ იცის, თუ რა დროს რა დასჭირდება. ამაზე მიუთითებს ანდაზა: „შეინახე ბზე, მუა მისი დრო“.

ტრადიციული ქართული ანდაზა „მულო, შენ გეუბნები და რძალო, შენ გაიგონეო“, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში, აჭარელ მუჰაჯირთა შორის ამგვარად შემონახულა: „გოგო, შენ გებნევი, გელინო, შენ გეიგონე!“

უძველესი ქართული ხალხური საანდაზო სიბრძნე ტკბილმოუბრობის ყოვლისშემძლეობაზე, რომელიც შოთა რუსთაველის გენიალურ „ვეფხისტყაოსანში“ დიდებულად გაჟღერდა („გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“) ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში ამგვარად ჟღერს: „ლამაზი ენა გველს გამეიყვანს აერიდანო“.

ქართული ხალხური საანდაზო სიბრძნე ყოველთვის გმობს

მკვეხარობასა და ცრუპენტელობას, გულზვიადობას, ამხელს არაფრისმაქნის ადამიანს. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული ანდაზა მკვეხარა ყორანზე, რომელიც თეთრი კვერცხის დადებაზე ოცნებობს, მუჭაჯირთა შთამომავლებშიც დავადასტურეთ: „ყორან უთქმია, აქზე შავ კვერცხ ვდეფო, გაღმაზე გავალო, თეთრ დავდეფო. გასულა და იქაც შავი დუუდვია“. ანდა: „ყორანსა უთხრობიაო, აქზე შავ კვერცხ ვდეფო, იქზე გავალ, თეთრ დავდეფო. ვერ უქნიაო“. ამ სიბრძნის შეჯამება კი ამგვარად გამოიხატა: „გონჯი ინსანი კაე არ გახდება“. თავმდაბლობას ქადაგებს ჩვენებურთა ანდაზაც – „ჭიაყელაე გველზე დაზმანებია, მიენიო'ნაო, განინულა, ნელიდან გადანყვეტილა“ – რომელსაც პარალელები ზოგადქართულ ფოლკლორშიც ეძებნება.

უფროსი თაობის, განსაკუთრებით კი მშობლების, პატივისცემა ქართულ ხალხურ ანდაზათა აქტუალური და საპატიო თემაა. ჩვენებურთა სიბრძნის პოეზიაც გმობს ამპარტავან, ყოყლოჩინა, უმადურ შვილებს: „ნაბლი ბუჯგიდან გამოვდაო, ბუჯგს აღარ კადრულობსო“; ანდა: „ნაბლი ბუჯგიდან გამოვდა, ბურჯგელა არ მოენონაო“; ან კიდევ: „ნაბლი რომ გამოსულა, იმტე ბუჯგიდან, აღარ უკადრია“. ეს საანდაზო სიბრძნე მცირეოდენი ვარიაციული ფორმით ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კი – აჭარაში.

უფროსების დაფასებას, მათი შესაძლებლობების რწმენას ქადაგებს, აგრეთვე, აჭარელ მუჭაჯირთა შორის გავრცელებული ანდაზა „ბერი ხარის რქამან მოხნისო“ („ბერი ხარის ქაც ხნისო“), რაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერებაშია გავრცელებული და ასე ჟღერს: „ბებერი ხარისა რქანიც ხნავენო“, ანდა: „ბებერი ხარის რქანიც ენევიანო“. უფროსისადმი მოკრძალება ჩვენებურთა ანდაზებში შემდეგნაირად არის წარმოჩენილი: „დიდი ილაპარიკებს, პანაე უყურებს“.

ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცე-

ლებული ანდაზა – „ავი ძალი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს“ – ჩვენებურებთან ამგვარად ჟღერს: „ძალმა არც მან შეჭამა, არც სხვას აჭამა“.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ძალზე პოპულარული ანდაზა – „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“ – ჩვენებურების ზეპირმეტყველებამ ამგვარი ვარიანტებით შემოგვინახა: „დედას უნდა შეხედო, ციცაე ითხოვო“; „ბასმას შეხედე, ძაფი ნახე, ნენეს შეხედე, ფაციაე ითხოვეო“; „ნენეს'ნა შეხედო, გოგო ისე ითხოო“.

„კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“, – გვასწავლის ქართული ხალხური ანდაზა. აჭარელ მუჭაჯირთა შთამომავლებში ეს სიბრძნე ამგვარად გამოითქმის: „კარგი შვილი ნენესი გულია“.

კუთხე-მეზობლობა ძველთაგანვე დიდად ფასობს საქართველოში. აჭარიდან თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ჩასახლებულ მუჭაჯირთა შთამომავლებს წინაპრებმა, სხვა მრავალ ჰუმანურ წეს-ჩვეულებებთან ერთად, მეზობლის სიყვარული და პატივისცემაც უანდერძეს, რაც დიდებულად გამოიხატა საანდაზო სიბრძნეშიც: „შორ ბაბა-ნენესა ახლოს დუშმანი მეზობელი სჯობსო“; „მეზობელ რო ფუში ატკივდება, შენც ხელი'ნა მისვავო“. ეს უკანასკნელი პარემია განზოგადოებულადაც გვხვდება, რაც ჩვენებურთა კიდევ უფრო ამაღლებულ კაცთმოყვარეობაზე მიანიშნებს: „სხვას მუცელი ატკივდება, შენც ხელი'ნა მისვავო“.

ჩვენს ბრძენ წინაპრებს კარგად ესმოდათ ძირეული კავშირი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის; იცოდნენ, რომ ყველას და ყველაფერს თავისი წინაპირობა აქვს. ამ პრობლემასთან დაკავშირებული საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებული ანდაზა – „ჭინჭრის ადგილზე ჭინჭარი ამუა“ – მუჭაჯირთა შთამომავლებშიც დავაფიქსირეთ: „ჭინჭარი ძირიდან ჭინჭარი ამოვავო“, „ჯინჭართან ჯინჭარი ამუა“ და სხვა. არსებითად ამავე სენტენციისაა ანდაზა: „ცხემლის გადანაჭარზე ცხემლა ამუაო, აბა, ფთხმელა ხომ არ ამუაო!“

აჭარის ფოლკლორში გავრცელებული ანდაზა „ყველაჲ მისი ჭლიკით დეიკიდებაო“ თითქმის იდენტურად არის შემონახული აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში: „ყველა მის ფეხიდან დეიკიდება“. ეს უდიდესი საკაცობრიო სიბრძნე ერთგვარი გაფრთხილებაჲც არის იმისა, რომ ადამიანმა მუდმივად სიკეთე თესოს, რადგან ყველა დაფარული ბოლოს დღის სინათლეზე გამოდის.

ქართველი კაცი ოდითგანვე მიელტვის ცოდნის შეძენას. სწავლა, წიგნი, სიბრძნე ქართული ხალხური საანდაზო მეტყველების განუყოფელი თემებია. აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებმა თავიანთი დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ გამოხატეს ანდაზით: „კაცმა, რომელმაც კითხვა არ იცის, ძროხასავეთაა“.

ზოგადქართული ზეპირსიტყვიერების დარად, ქართველ მუჰაჯირთა ფოლკლორში ხშირად ანდაზები ამა თუ იმ ჟანრის ლექსთა შემადგენელ ნაწილად (ძირითადად პარალელიზმისათვის) გამოიყენება. ამის დასტურია საქარიას (ადაბაზარი) პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეში მცხოვრებ აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლს – 53 წლის ქალბატონის – გულიზარ ქოლათისაგან 2018 წლის 10 ივლისს ჩანერილი სატრფიალო ლექსი:

გავლაჲ ქვა ქვაზე დადე,
გამოვლაჲ დიგხდება;
შენი ლამაზი თვალზე
მაგ წარბები გიხდება!

ამგვარი საანდაზო ლექსები მრავლად გვაქვს საქართველოს ყველა კუთხეში. ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში შემონახული ანდაზები ერთის მხრივ წინაპართა მიერ ნაანდერძევი სიბრძნეა, რომელიც ჩვენებურების ზნეობრივ-ეთიკური დონის მაჩვენებელია, მეორეს მხრივ კი ერთგვარი სულიერი საგზალია თურქულ გარემოცვაში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლების „გურჯობის“ განსამტკიცებლად და შესანარჩუნებლად.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. კიკნაძე, 2008 – ზურაბ კიკნაძე, „ქართული ფოლკლორი“, თბილისი;
2. შიოშვილი, მახარაშვილი, 2014 – თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, „კლარჯული სიბრძნის პოეზია“ – ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. მე-8, ბათუმი;
3. ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორულ არქივში დაცული ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან ჩანერილი მასალა.

Tina Shioshvili, Maia Japaridze

GEORGIAN MUHAJIR'S PROVERBS

SUMMARY

Proverbs reflect different, wisdom and morality of each nation.

Proverbs that are wide-spread among Georgian Muhajirs, living in different provinces Turkey (Ordu, Samsun, Amasia, Inegol, Giresun, Tokat and so on) are part and parcel of Georgian Folklore and they show the wisdom of Georgian gained through centuries.

It demonstrates the fact that Georgian Muhajirs have saved their folklore, that retains its originality and is part and parcel of Georgian Folklore.

გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო პოეზიის ხალხური საწყისები

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას ისეთივე ნიადაგი და სათავე აქვს, როგორც მის წინამორბედს – ალექსანდრე ჭავჭავაძისას. იგი გვევლინება, ქართული რომანტიკული საწყისების ერთგვარ გამგრძელებლად და განმავითარებლად. ერთის მხრივ, მისი პოეზია ცხადყოფს, რომ იგი რომანტიზმის ძირითად ასპექტებს იზიარებს. მეორე მხრივ, კი შეუძლებელია, შეუმჩნეველი დაგვრჩეს ხალხური საწყისები, ეს იქნება ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ქალაქური სიმღერები თუ ყარაჩოლურ-აშულური პოეზია.

„ეშხით“ თრობა აქვს ასახული პოეტს ლექსში „მუხამბაზი“:
ზოგჯერ მღიმარე გიმზერ, ოდეს ეშხით აღვსილი,
მრწამს, რომ ღანვთ ზედა გარდაგკვრია ნუშის ყვავილი!
მაშინ, მას ზედა დაკონების მკლავს მე სურვილი.
მაშინ გინდ მომკლა, გეტყვი, თმენის არღა მაქვს ძალი,
ისმინე, ვდნები, ცნობა არ მაქვს, ვგიჟდები ეშხით...
(ორბელიანი, 2013: 7)

ამ ლექსში გრიგოლ ორბელიანი აგრძელებს ბესიკის, საიათნოვასა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკის ხაზს. შემოქმედების პირველი პერიოდის „მუხამბაზებში“ ასახული ლხინის მოტივით მგოსანი აგრძელებს მათ ტრადიციას, ხოლო მეორე პერიოდიდან – „მუხამბაზი“ („არავისთვის მე დღეს არა მცალიან...“), „სავათნავას მიბაძვა“, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, „მუხამბაზი“ („სულით ერთნო“...), 1860-1861 წწ. დაწერილი „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“ და „მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს“) – აღრმავებენ აღნიშნულ თემას. მოცემულ ლექსებში მგოსანი ხოტბით ამკობს ყარაჩოლურ ნადიმსა და ფიზიკურ ტრფობას. სევდისა და მარტოობის ჟამს იგი აცოცხლებს ნაც-

ნობი თბილისელი მოქალაქეების კოლორიტულ სახეებს, მათი ფსიქოლოგიისა და ყოფის სურათებს. გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზებიც უხვად საზრდოობს ქართული ხალხური პოეზიის უშრეტი წყაროთი; სახალხო მთქმელიც, მსგავსად რომანტიკოსი პოეტისა, სიყვარულის ეშხით არის „დამწვარი“ ლექსში „ქალო, შენმა სიყვარულმა...“, რომელიც მიხეილ ჩიქოვანს ჩაუწერია დუშეთის რაიონის ს. ბაზალეთში დურგლიშვილისგან:

ქალო, შენმა სიყვარულმა
მე დამწვა და დამანელა,
შამიშალა ჭკუა-ცნება,
სწრაფად დამიდუმა ენა.
რაც გაგიცანი, მის შემდეგ
ალარ მქონდა მოსვენება,
ქალო, ქალო, შემეყვარე
და მალირსე აღმაფრენა!
თუმცა სიცოცხლეს მიბოძებ
ნაცვლად გიძღვნი ჩემსა გულსა,
სიყვარულის აღმოდებულს,
შენგნით დამწვარ დადაგულსა.
(ქ. ხ. პ., 1978: 116)

გრიგოლ ორბელიანი ლექსში „ანტონს“, ურჩევს ახალგაზრდებს, რომ სიჭაბუკის დღენი სიხარულით, ტკბობით და ლხინით გავლონ, რადგანაც, ჟამთა სვლა ულმოობელია, ჩქარა გადის სიჭაბუკის დრო და თან მიაქვს სიყვარული და ბედნიერება:

...ულმობელ დროს მიაქვს იგი,
მასთან ყოვლი სიხარული,
სიტკბოება სიცოცხლისა,
არცლა გვრჩების სიყვარული,
ფრიად მსწრაფლად გვესტუმრების,
ახ, სიბერე შეჭუმხვნილი...
(ორბელიანი, 2013: 3)

წუთისოფლის დაუნდობლობა, რაც ხალხმა მისსავე სახელდებაში ჩააქსოვა, მრავალი ხალხური ლექსის ლაიტმოტივია; სახალხო მთქმელი უკმაყოფილოა წუთისოფლის წარმავლო-

ბით და დაუფარავად საყვედურობს; ლექსში „ტიალი ნუთისოფელი“, რომელიც სიმონ კობაიძისგან ჩაუნერია ალექსანდრე ნყარუაშვილს, დაგმობილია მაცდური სანუთრო:

ტიალი ნუთისოფელი
ხილვას არ გვაცლის მზისასა!
უდროვოდ გადაგაქცევს-კე
მგზავსა შავეთის გზისასა.
ბევრს ჩააჭკნობს-კე კაი ყმას,
ბევრს ქალს – ვარსკვლავსა ცისასა,
როგორც მზე მოჭრილს უდროოდ
ნორჩსა აყრილსა ხისასა.
(ქ. ხ. პ., 1979: 37)

რომანტიკოს პოეტს რომ ჭეშმარიტი ბედნიერება სიყვარულის გარეშე ვერ წარმოუდგენია, ნათლად ჩანს ლექსიდან „გნამდეთ, ვის გული“, რომელითაც გრიგოლ ორბელიანი გვიმტკიცებს, რომ „ამა სოფლით“ ვერ დატკბება ადამიანი, თუ მას ეს გამორჩეული გრძნობა არ გააჩნია:

გნამდეთ, ვის გული არ უძგერს ტრფობით,
ვითა სიზმარი მის დღენი განჭქრეს,
ვერცა სიამით, ბედნიერებით
ამა სოფლისა ვერა რით დატკბეს.
(ორბელიანი, 2013: 26)

სახალხო მთქმელისთვისაც, ლექსში „შენი ჭირიმე“, რომელიც თედო რაზიკაშვილს ჩაუნერია, რომანტიკოსი პოეტის მსგავსად, სატრფოს გარეშე ყოფნა ან მისი ავადმყოფობა ყოვლად მიუღებელია და პირდაპირ გვეუბნება, რომ მიჯნურის გარეშე სიცოცხლეს აზრი არ აქვს; მის გარეშე დარჩენილი სიკვდილისათვისაც კი არის მზად:

შენი ჭირიმე, ლამაზო,
ნუ გამიხდები ავადა!
თუ შენ გამიხდი ავადა,
თავს მე მოვიკლავ თავადა...
(ქ. ხ. პ., 1979: 46)

გრიგოლ ორბელიანი რომ ხარკს უხდის ბესიკისა, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ძველი ქართული პოეზიის სხვა ლირიკოსთა შემოქმედებას, ხაზგასმით აღნიშნავს მკვლევარი მიხეილ ზანდუკელი; მისი აზრით, „გრიგოლ ორბელიანი... ხარკს აძლევს, აგრეთვე, და განსაკუთრებითაც ეგრეთნოდებულ ყარაჩოლურ-აშულურ პოეზიას... ეს ყარაჩოლელი, მიუხედავად ჟამთა და პირობათა ცვლილებისა, თითქმის დღემდე ტიპიურ მატარებლად დარჩა ძველი თბილისის თავისებური ცხოვრებისა, მისი სპეციფიკური განცდებითა და კოლორიტით... ამ ყარაჩოლელის გული გრიგოლ ორბელიანმა დიდი ოსტატობით, გაგებითა და შეთვისებით, ამასთან ერთად არაჩვეულებრივი სიმპათიითა და თანაგრძნობით გადახსნა მკითხველის წინ მშვენიერ ლექსთა მთელ რიგში...“ (ზანდუკელი, 1972: 245).

გრიგოლ ორბელიანი მისთვის დამახასიათებელი ყარაჩოლური სტილით მიმართავს სატრფოს:

ნუ მასმევ ღვინოს, — უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით, —
თვარა მიმუხთლებს და წარმოჰსთქვამს ენა ყოველსა,
ესდენ ხან კრძალვით დაფარულსა ღრმად ჩემსა გულსა...
(ორბელიანი, 2013: 7)

როგორც ვიცით, ყარაჩოლლებისთვის დამახასიათებელია გრძნობების უშუალო, პირდაპირი გამოხატვა ისევე, როგორც – სახალხო მთქმელისათვის; პირუთვნელობითა და მიუყერძობლობით ისინი ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან. გრიგოლ ორბელიანიც სწორედ ამგვარი უშუალობით უმხელს სატრფოს თავის გრძნობებს ლექსში „მუხამბაზი“:

ყმასავითა მე ერთგული შენი ვარ,
გინდა მკლავდე, არას გეტყვი — შენი ვარ.
სადაც ნახვალ, მე მაშინვე იქა ვარ,
გინდ ვერ მნახო, იცოდე, რომ იქა ვარ,
რას განუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ!
ჩემთვის ჩუმი ვამბობ: „რა ლამაზი ხარ!“
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!..
(ორბელიანი, 2013: 57)

სახალხო მთქმელიც, რომანტიკოსი პოეტის მსგავსად, ერთ-გულია და, ამავე დროს, სასონარკვეთილია სატრფოს სიყვარულისგან; ეს გრძნობა კარგად ჩანს ხალხურ სატრფიალო ლექსში „შენს კარსა ვზივარ...“, რომელიც კ. ნესტორაშვილს ჩაუნერია ჯავახეთში, სოფელ ხიზაბავრაში, ს. პაპაშვილისგან:

შენს კარსა ვზივარ,
ვსტირი ერთთავად,
ცრემლი ჩამომდის
ზღვის შესართავად.
რა გსურს მოგართვა?
ღმერთი იწამე,
გამოდი გარეთ,
დანდობილი ვარ,
გთხოვ, ამიყვანო,
როცა წახვიდე,
თან წამიყვანო!
უღმერთოდ ნუ მკლავ,
შენ გენაცვალე,
ღმერთი იწამე,
გამოდი გარეთ!
(ქ. ხ. პ., 1978: 116)

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო ლირიკისთვის მახლობელია ყარაჩოლური სტილი; ამის დასტურია ისიც, რომ პოეტის ლექსები (განსაკუთრებით მუხამბაზები) დიდი პოპულარულობით სარგებლობდა როგორც ყარაჩოლელთა შორის ისე – ხალხში, რითაც იგი უფრო უახლოვდებოდა ხალხურ სანყისებს და ზოგი მათგანი ხალხშიც გადავიდა ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების სახით.

ლექსში „მუხამბაზი“ („ნუ მასმევ ღვინოს...“) პოეტი ასე მიმართავს გულცივ სატრფოს:

გულის ურჩისა დასამშვიდად მცირედ გონება
შემრჩომია-ლა და მისიცა გსურს დაბნელება!
მის დასამონად იცი, კმარა შენი შვენება,

ერთი მოხედვა ტრფიალებით, მცირე ყურადღება!

.....
მაშ გინდა მომკლა, გეტყვი, თმენის არღა მაქვს ძალი,
ისმინე, ვდნები, ცნობა არ მაქვს, ვგიჟდები ეშხით.
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით!
(ორბელიანი, 2013: 7)

„ყარაჩოლელი უშუალო ბუნების პატრონია, – აღნიშნავს მკვლევარი მიხეილ ზანდუკელი, – ის ვერც სიყვარულს და ვერც სიძულვილს ვერ მალავს. მას სიხარულისა და მწუხარების შეკავება, გულში ჩამარხვა, გამოუთქმელობა არ ეხერხება. თუ ის ბედნიერებას განიცდის, მას უნდა, ის ყველამ იცოდეს, ყველამ გაიზიაროს...“ (ზანდუკელი, 1972: 247). გრიგოლ ორბელიანიც ყარაჩოლური გულახდილობით გადმოგვცემს თავისი სიხარულის მიზეზს ლექსში „მუხამბაზი“:

არავისთვის მე დღეს არა მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან!
ამას ვამბობ მე, ბეჟანა მკერვალი,
ქალებისა ღვინო და თაიგული.
შვენებითა საცა ვინ არს ქებული,
მისი კარი ჩემთვის არს გაღებული;
საცა მივალ, თან მიმაქვს სიხარული.
მარამა დღეს არავისთვის მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან!..
(ორბელიანი, 2013: 33)

სიყვარული მამოძრავებელი ძალაა ყარაჩოლელთათვის და ამ გრძნობის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაშიც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეს გრძნობა. პოეტი ძირითადად გარეგნულ, ხორციელ სილამაზეს უმღერის და ამის არაერთი მაგალითი მოგვეპოვება მის პოეზიაში:

რტო ალვისა, შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,
ეგ თვალები — ცაში ელვა მგონია.

ვარდის სუნთქვა — შენი სუნთქვა მგონია.
როს მეღირსოს, ვჰსთქვა: "გეთაყვა, ჩემი ხარ!"
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!
ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!
მინდა რამ ვჰსთქვა — შენი სახელი მოდის!
ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?
ერთხელ მაინც მკითხე: "აგრე რათა ხარ?"
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!
(ორბელიანი, 2013: 57)

ლექსის პათოსი, აღმოსავლურ-მუხამბაზურთან ერთად, ნა-საზრდოებია ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის სიმბოლიკებით:

ქალო, გევხარ ალვის ხესა,
ბაღჩაშია დანერგილსა,
ტანი მიგიგავს ლერწამსა
ზღვის პირასა ამოსულსა...
(ქ. ხ. პ., 1978: 47)

ამგვარია, აგრეთვე, ხალხური ლექსი „ქალო, შენ გაქებს ყოველგან“, რომელიც გიორგი ლომთათიძეს გურიაში ჩაუწერია ახმეტ მენაღრიშვილისგან:

ქალო, შენ გაქებს ყოველგან
ადამიანთა ენები,
ზიხარ გაზრდილი გონივრათ,
ადვილად არ იხსენები.
თვალ-წარბზე ია ჩამოგდევეს,
ლოყაზე – ვარდის ფერები.
ღვთის მადლმა, გულით მიყვარხარ,
პირში არ მოგეფერები!
(ქ. ხ. პ., 1978: 47)

ყარაჩოღელთათვის დამახასიათებელი ემხით, გულწრფე-

ლობითა და გრძნობით არის დაწერილი გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზი“, რომლითაც, სახალხო მგოსნის დარად, პოეტი თავს იწონებს სატრფოს წინაშე და სურს, დაანახოს მისი ლირსებები:
ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა, მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ! —
მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: "ძვირფასი ხარ!"
(ორბელიანი, 2013: 58)

გრიგოლ ორბელიანისთვის ყარაჩოღური ბუნება რომ საინტერესო, მიმზიდველი და მახლობელია, განხილული ლექსების გარდა, მიუთითებს 1875 წლის 13 იანვარს ტასო აგლოზიოსთან მიწერილი წერილი, რომელშიც დიდი სიამოვნებით გადმოსცემს ძველი თბილისის განუყოფელი ნაწილის – ყარაჩოღელთა ამბავს: „ამას წინათ... შევიყარენით სულ ყმანვილი კაცები... ამ ყმანვილ კაცებში ყველაზე უფრო ყმანვილი 60 წლისა მაინც იყო. ნავედით საღამოზე ორთაჭალას... ამ დროს სად იყო, სად არ იყო, წამოვიდა ერთი ნავი დასტითა და სწორედ ჩვენს პირდაპირ, შუა მტკვარზე, დადგა. მოთავემ დაიძახა: „წმინდა სანთლები აანთეთ!“ და აენტო ნავის გარშემო სანთლები ჩირაღდნებად. დაიძახა: „გაშალეთ სუფრა!“... გაიშალა სუფრა... ჩვენი საზანდრის სიმღერაზე ისინი ძალიან იხრაკებოდნენ და ხშირად იძახოდნენ: „ერთი კიდევ, გეთაყვა, ჯანუმი!“ (ზანდუკელი, 1972: 252-253).

ამრიგად, ქართველ რომანტიკოს პოეტთა შემოქმედების ყველა ეტაპზე დიდია ყარაჩოღელთა რეპერტუარის (რომელიც ხალხურის ერთ-ერთ განშტოებად მოიაზრება) გავლენა, რაც გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას ბოლომდე გაჰყვა; ამ ფაქტზე, მის ლექსებთან ერთად, კერძო მიმონერაც მიუთითებს.

ქართველ რომანტიკოსთა ერთ-ერთ უმთავრეს მასაზრდოებელია პატრიოტიზმი, რაც, ბუნებრივია, მშობლიურ გარემოსთან, ანუ ხალხთან სიახლოვესაც გულისხმობს და ამას, რა თქმა უნდა, ვერც გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო ლირიკა

ასცდებოდა. სწორედ ამიტომ, ყარაჩოლელთადმი სიმპათიებისა და მათი გავლენების გვერდით, ჩვენი რომანტიკოსები ძალუმად ინოვდნენ ქართული ხალხური პოეზიის ლალიან-ბარაქიან ნაჟურს, რასაც თავდაპირველად აღმოსავლეთიდან მძლავრ ნაკადად შემოჭრილმა აშულურმა პოეზიამ ფართოდ გაულო კარი და ბევრად განაპირობა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების ზიარება მშობლიურ ზეპირსიტყვიერებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ორბელიანი, 2013 – გრიგოლ ორბელიანი, სერია „ჩემი ხუთეული“, ტ. 96, თბ.;
2. ქ. ხ. პ., 1978 – „ქართული ხალხური პოეზია“, სატრფიალო ლექსები, ტ. VI, თბ.;
3. ქ. ხ. პ., 1979 – „ქართული ხალხური პოეზია“, საყოფაცხოვრებო ლექსები, ტ. VII, თბ.;
4. ზანდუკელი, 1972 – მიხეილ ზანდუკელი, „თხზულებანი“, ტ. I, თბ.

Pati Abashidze

**THE FOLKLORIC ORIGINS
OF GRIGOL ORBELIANI'S ROMANTIC LYRICS**

Summary

Grigol Orbeliani is believed to be a descendent and a developer of Georgian romantic origins. The origins of Georgian romantic lyrics are prevalent in his poetry. His romantic lyrics originated from the urban songs and Karachogh-Ashughian poetry of his time.

Karachoghian style is very close to the romantic lyrics of the poet which is seen as a branch of a folk poetry. The specific symbolics of his romantic lyrics as well as other expressional features are born among their creators – centuries-long experienced Georgian people.

**ავტობიოგრაფიული პასაჟები გურამ
რჩეულიშვილის მოთხრობებში**

დიდ მწერლად ჩამოყალიბებას შინაგან და გარეგან ძალთა არსებობა, ხშირად მათი ურთიერთჭიდილი სჭირდება. მხოლოდ პირადი გამოცდილების ღრმა წვდომით მიიღწევა სასურველი შედეგი. ნანახი და განცდილი კარგ მასალად შეიძლება იქცეს თხზულებისთვის. ავტობიოგრაფიული პასაჟებით გაჯერებული ნაწარმოები ყოველთვის ექცევა მკითხველის ინტერესთა სფეროში. ალბათ, ესეც განაპირობებს გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებისადმი თაობათა ლტოლვას. მისი, როგორც მწერლის, უპირველესი ღირსება სწორედ ის არის, რომ იგი მხოლოდ იმას წერდა, რაც საკუთარი გამოცდილების სიღრმიდან მოედინებოდა, რაც არც ყურმოკრული იყო და არც მოგონილი. იქნებ, ამიტომ იგრძნობა მის პროზაულ ქმნილებებში არსებობასთან უშუალო განცდით დაკავშირებული კაცის პოზიცია.

ცხოვრებისა და მასში ნიაღვარივით შემოჭრილი შემოქმედების მუდმივი ურთიერთდამოკიდებულების შეგრძნება განაპირობებს გურამ რჩეულიშვილის ხუთწლიანი შემოქმედებითი პროცესის მხატრულ თავისებურებას. იგი თამამად იყენებდა თემად უკვე გადახდენილსა და განცდილს, ამიტომ მათ მკითხველამდე ასე ბუნებრივად, რეალისტურად მიტანილი მისი მოთხრობების პერსონაჟთა ტკივილი და სანუხარი. მეტიც, გურამ რჩეულიშვილი თვითონაა პერსონაჟი თავისი არაერთი მოთხრობისა (დღიურიდან: „მე გამოვდივარ გარეთ, რომ ჩემი მოთხრობების გმირთა ცხოვრებით ვიცხოვრო“). გურამის მეგობარი, ნუგზარ წერეთელი, იხსენებს: „შემოქმედებითი მუშაობა მართლაც თავდაუზოგავად იცოდა, ზოგჯერ მთელი კვირაობით ჩაიკეტებოდა ხოლმე, არავის ხვდებოდა. ეს სიცოცხლის, მეგობრების, ბუნების, ყველაფერი ადამიანურის

მოყვარული ვაჟკაცი, მხოლოდ ნაფიქრისა და განცდილის ქალღმერთად გადატანით იყო გართული“ (წერეთელი, 1984: 40).

გურამ რჩეულიშვილი შინაგანად გრძობდა აღწერილი მოვლენის სიმძაფრეს. იგი განცდილსა და ნანახს საინტერესო მხატვრულ ფორმაში აქცევდა და ასე იოკებდა წერის მოჭარბებულ სურვილს. ამითაც გვანან გურამის პერსონაჟები თავად ავტორს: „ვფიქრობ, ვინც ვწერას, არ შემიძლია ამდენი ვნახო და არაფერი დავწერო. ფურცლებს ვუზიარებ ჩემს განცდას“ („უსახელო უფლისციხელი“, 2011:230); „ძალიან მოუხდა სანერკალამი. საძილე ტომარაში სიცივისა და წერის ჟინისაგან ტრიალი დაიწყო“ („ასვლა“, 2011: 182); „ვაჟა ფიქრებში წავიდა: არც ერთი ძველი ჩანაფიქრი აღარ მოეწონა... ისევ მოუხდა წერა. იდეა იყო, მშვენიერი იდეა... უნდოდა წერა, მაგრამ შინ არ წავიდა. როცა უფრო მომიხდებოდა, მაშინ წავალ, ჯერ ჩაჯდეს თავში კარგად, დიალოგებიც დაიხვეწება...“ („ნადირობა“, 2011: 10).

გურამ რჩეულიშვილმა პირველ მოთხრობაშივე გაგვანდო თავისი ადამიანური იდეალი - ზღვის უღმობელ სტიქიონთან შერკინებული ძლიერი და სულმრთელი მამაკაცი, რომელიც სხვის გადასარჩენად სწირავს საკუთარ სიცოცხლეს. იგი ხშირად აღწერდა ხოლმე სიკვდილს, წყალში დახრჩობის სცენებს. მაგალითად, ჯერ კიდევ 1956 წელს დაწერილ ნოველაში „ნელი ტანგო“ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინა მამამ 12 წლის ვაჟი ზღვაში დახრჩობას და მერე ძალაგამოლეულს ზღვის ნაპირთან როგორ გაუსკდა გული. მოთხრობის დაწერიდან ოთხი წლის შემდეგ, 1960 წელს, გაგრამი, „ნელი ტანგოს“ ავტორიც დაიღუპა: მან ღელვისას ერთ-ერთი დამსვენებელი გადაარჩინა, თვითონ კი ნაპირზე გამოსვლა ვეღარ შეძლო. ავტორისა და პერსონაჟის ბედის ასეთი მსგავსება უნიკალურია ქართულ ლიტერატურაში.

გურამს მოახლოებული სიკვდილის წინათგრძობა არ ასვენებდა. ასეთ დროსაც კი მშობლებსა და ახლობლებზე ფიქრობდა, ამიტომაც საკუთარ ბიძას ანდობდა თავის განცდებს: „ისე-

თი წინათგრძობა დამეუფლა, რომ მალე დავიღუპები. ვაი, თუ ამ ქვეყნიდან ჩემმა წასვლამ ჩემი ოჯახის წევრებს სამუდამო დალი დაასვას; ძია სერგო, ახლა მთავარი ჩემი საფიქრებელი ესაა: იქნებ შეიძლებოდეს, რომ ამ აზრს თუ უაზრობას მამა თქვენ შეაჩვიოთ, თქვენ შეაგუოთ“ (დურმიშიძე, 1985:287).

მწერლის ნოველაშიც „ზღვა არც თუ ისე ღელავდა“ ამგვარ სტრიქონებს ვაწყდებით: „როგორ ვთქვა შინ, ან რომ ვთქვა, რას ვუშველი, ჯობია არ ვთქვა, სანამ მკვდარს არ ნახავენ, მანამდე იმედი ექნებათ, რომ ცოცხალია, ცოლოა მაგის დედ-მამაც, ჯობია დაკარგული ეგონოთ, ვიდრე მკვდარი“ (2011: 267).

სიკვდილის სიახლოვე მის სხვა მოთხრობებშიც იკითხება. გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი: „ახლა კარგად ვგრძობდი: სიკვდილს მე თვითონ მივუახლოვდი ერთი საფეხურით... თან მრცხვენოდა, უზომოდ ეგოისტი, უსინდისო მეჩვენებოდა თავი, რომ ჩემი სიკვდილი მადარდებდა...“ „აუჩქარებლად მივედი მდინარესთან და წყალში ნელა შევედი. როცა ყელამდე მიწია წყალმა, მესიამოვნა, მერე წამილო. ერთი-ორჯერ ხელი გავიქნიე და გრძობა დავკარგე“ („ახლა მე ოცდახუთი წლის ვარ“, 2011:305); „ჩემს გვერდით დაიხრჩო, ნეტავი მეც დამხრჩვალიყავი, მაგრამ არ დავიხრჩე“ („ზღვა არცთუ ისე ღელავდა“, 2011:266).

„დღიურში წერდა, გული მიგრძობს, ოცდაათ წლამდე ვერ მივიტანო. კარგი იქნებოდა ოცდაათისთვის გადამებიჯები-ნა, ძალიან ბევრს გავაკეთებდი... თუმცაღა, მაშინ ხომ წინათგრძობაც აღარ მექნებოდაო“ (ხურცილავა, 2014: 341). სიცოცხლის დაუოკებელი სურვილი მის ნაწარმოებებშიც იგრძნობა. „ჯერ ჩემი სიკვდილი შორს იყო, სიცოცხლე მინდოდა“ - წერდა 1959 წელს ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობაში „ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ“ (2011: 305).

გურამ რჩეულიშვილს უჩვეულო გულახდილობით შეეძლო საკუთარ თავზე საუბარი, რაც არა მხოლოდ მის თხზულებებში, არამედ ჩანაწერებშიც ნათლად ჩანს: „მთებში დავდივარ, ალპინისტი არა ვარ, უნივერსიტეტში ვსწავლობ, როგორც

დედა იტყვის, „სტუდენტის სახე“ არა მაქვს, ღვინოსა ვსვამ, ლოთი არა ვარ, ცხენზე ჯირითი მიყვარს - მხედარი არა ვარ, ვჩხუბობ - დიდი გამრტყმელი არა ვარ, გულუხვი ვარ - ფული არა მაქვს - ცარიელა გული ვის რად უნდა? შეყვარებული ვარ - საყვარელი არა მყავს“ (2012: 22).

გურამის პერსონაჟების ყოველ მოძრაობაში, ერთგვაროვან ჩაცმულობაში, სულიერ თუ ფიზიკურ ნიუანსებშიც კი, თავად ავტორს ვხედავთ. ამის ნათელი დასტურია არაერთი მონაკვეთი მოთხრობებიდან: „ირინა“, „ახლა მე ოცდახუთი წლის ვარ“, „დილა უნივერსიტეტის ქუჩაზე“, „დღიური“, „სადღაც წუოდა კოლო“, „შპილკა“. მათში დახატული გმირები მოძრაობითაც კი გვანან ავტორს: „ძველი ჯუბა მოიცვა და გარეთ გამოვიდა. წვიმდა. ქვაფენილზე წყალი მრგვალ წუმპეებად იდგა, გურამი მძიმე მაღალყელიანებს განგებ ტყაპუნით ადგამდა გუბებში, წვეთები გვერდზე ხტებოდნენ, გუბე ცარიელდებოდა და ისევ ივსებოდა ნაწური წყლით...“ („ირინა“, 1977:40); „მასსოვს: პირველ კურსზე შავი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ვინრო, შავი შარვალი და ჯიბეებიანი თეთრი ხალათი მეცვა, ნაბდის ქუდი მეხურა და ამით ძალიან მომქონდა თავი“ („ახლა მე ოცდახუთი წლის ვარ“, 1977: 116); „მაღალყელიანი ფეხსამელებით შეტოპა წყალში, შარვლის ტოტებს შლამი აეკრა... უცებ ვიგრძენი, რომ ავწერვიულდი და მთელი ძალით ვკარი ბათინკა კათხას, რომელიც დახლს მიასკდა და გატყდა“ („შპილკა“, 1977: 169).

ავტობიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს მოთხრობა „სიკვდილი მთებში“. „მოგზაურობის მოყვარული გურამ რჩეულიშვილი კარგად იცნობდა და მეგობრობდა გერმანელ მწერალ ალფრედ კურელასთან, რომელიც მეუღლესთან და პატარა ვაჟიშვილთან ერთად წლების განმავლობაში სტუმრობდა ხევსურეთს, ხოლო შემდეგ საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალებს აქვეყნებდნენ გერმანულ ჟურნალებში“ (ვართაგავა, 1971:198).

გურამი მოწმე იყო იმ საშინელი ტრაგედიისა, რაც ელპიდე კურელას შეემთხვა ხევსურეთში. მოგზაური ქალი დამფრთხალმა ცხენმა გადმოაგდო ძირს და გარდაიცვალა. ტრაგი-

კულ ამბავს მეუღლე აუღელვებლად შეხვდა. ცხედართან ისხდნენ მამა-შვილი და სრულებით არაფერს ამბობდნენ. ალფრედმა სურათი გადაუღო მეუღლეს, ბოლოს ჩვეულებრივ წარმოთქვა: „ამას ვთვლი მე ერთ-ერთ ბედნიერ სიკვდილად, თუ შეიძლება ასე დაერქვას სიკვდილს“ („სიკვდილი მთებში“, 2011: 246). ალფრედი სამახსოვრო და გამოსამშვიდობებელ სურათებს იღებდა. გურამს უკვირდა, თუ როგორ ახერხებდა დარდისა და საქმის ასე შეთავსებას. თუმცა, ალფრედის გულში ჩუმად დულდა ტკივილი. სასტუმროში მისულმა თვალი შეავლო თუ არა მეუღლის კაბას, „დაეცა და სანოლზე ატრიალდა. ის ტიროდა, ხმამალა ქვითინებდა და ზორბა მხრები უძაგდაგებდა“ („სიკვდილი მთებში“, 2012: 262).

„სიკვდილი მთებში“ სავესეა მძაფრი ტრაგიკული სცენებით, სადაც არ იგრძნობა არავითარი ხელოვნურობა და სიყალბე. მართალია, მასში რეალური ადამიანები მოქმედებენ და თემა ეხება სინამდვილეში მომხდარ ფაქტს, მაინც აღნიშნული ნაწარმოები სრულებით არ ტოვებს დოკუმენტური მოთხრობის შთაბეჭდილებას.

ავტობიოგრაფიული დეტალებითაა გაჯერებული მოთხრობა „ასვლა“. მასში მთავარი პერსონაჟის, უშიშარი მთამსვლელის - ვაჟა ჯანდიერის, პროტოტიპი თავად ავტორია. გურამ რჩეულიშვილი ცნობილი ალპინისტი იყო და არაერთი რთული ტრავერსი ჰქონდა განხორციელებული ძნელად მიუვალ მწვერვლებზე. ამიტომ ამ მოთხრობის ნაკითხვისას ვაჟა ჯანდიერში ჩვენ ვხედავთ გურამს, რომელსაც ეს-ესაა მწვერვალამდე მიუღწევია, ყინულის კედელზე პალოებს ასობს და სიცოცხლის საზრისზე ფიქრობს.

გურამს ერთი პატარა ნოველა აქვს, 1957 წელს დაწერილი, „მთაში“. მართალია, ეს თხზულება მხოლოდ ერთგვერდიანია, მაგრამ მწერალი მაინც ახეხებს ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენას, დასამახსოვრებელი ხასიათის შექმნას: „მინდია ინვა გულალმა და ყრუდ გმინავდა. მოფხრენილი ბეჭებიდან შავი სისხლი ჩამოსდიოდა. სამფეხაზე დასტაქარი იჯდა. დიდი პრი-

ალა დანით ჭრიდა ჭრილობას. მინდია გმინავდა სულ ყრუდ, მერე დასტაქარმა მარილი დააყარა.

დათოს ბუსუსები დაასხა. გაიფიქრა, რა ვაჟკაცია მინდია“, გაიფიქრა, „მე ერთხელ გაკანრულზე მომხვდა მლაშე და ცრემლები გადმომაყრევინა“.

შიშით განაგრძო ოპერაციის ყურება.

მინდია აღარ გმინავდა. ახლა მხოლოდ კბილების ღჭრიალი ისმოდა.

დასტაქარი იჯდა სამფეხაზე და ჭრილობას უკერავდა“(1977:238).

დიალოგებიდან ირკვევა, რომ მინდია ნადირობისას ნადირს დაუჭრია.

ნუგზარ ნერეთლის მოგონებით, მსგავსი ამტანიანობა გამოუჩენია თავად გურამ რჩეულიშვილს ხევსურეთის ჭიუხების დალაშქვრისას: „გაუვალ ბილიკებზე ვეებერთელა ზურგნით მიმავალს სიპი ლოდი მოუცურდა და დაბლა გადამხტარს მუხლის ქვემოთ დაეძგერა. მართალია, ფეხი არ მოუტეხავს, მაგრამ წვივის ძვალზე ჰქონდა გადაგლეჯილი და ძვალის გაბზარული. ფერდობზე იჯდა, ნახევრად მიწოლილი, ფეხიდან სისხლი მოსდიოდა, ჩვენ თავზე ვადექით. ამასობაში სპირტი, იოდი და ბამბა მოიტანეს, გატეხილი ადგილი ფრთხილად მოუნმინდეს, იოდი წაუსვეს და ფხვნილიც დააყარეს. მართალია, ეს მარილი არ იყო, მაგრამ საკმაოდ აუტანელი ტკივილის მიუხედავად, ერთიც არ დაუკვნესია“ (ნერეთელი, 1984:101-102).

გურამ რჩეულიშვილი ცხოვრებასა და შემოქმედებაში სანუკვარ საგანს - ექსტრემს უტრიალებდა, ფიზიკურად და სულიერად ძლიერი, მაძიებელი ახალგაზრდა იყო. თამაზ ჭილაძეც აღნიშნავს: „ის იმ მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებიც პირველნი ჩადიან ვულკანის კრატერში, პირველნი ჭრიან მავთულხლართებს, პირველნი აღებენ კარს, პირველნი ადიან მწვერვალზე და ასევე პირველნი ეგებიან უსინდისობისა თუ ღალატის შუბზე. პირველობის ეს გრძნობა მათ ინსტინქტივით აქვთ თანდაყოლილი და თუმცა ეს ტკივილის

მეტს არაფერს ანიჭებთ, მაინც ბედნიერები არიან“ (ჭილაძე, 1970:191). ის თითქოს გამძაფრებული დაეძებდა რალაცას, რის გარეშე მისი ძლიერი და მთრთოლვარე სხეული შეიძლება გამხმარიყო, გამოფიტულიყო... მასში ნამდვილად ბევრი რამ იყო ახალი, უჩვეულო და ეს ზოგიერთებს გარეგნულ პოზად მიაჩნდათ... (ასათიანი, 1983:245-246).

გურამ რჩეულიშვილის ყოველ მოთხრობაში იგრძნობა ავტორის ძლიერი ხასიათი. „მისი ნაწარმოებების გაცნობა გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა მწერალი სულით ხორცამდე დიდ შემოქმედად იყო დაბადებული. მას, უპირველ ყოვლისა, ქართველი კაცი აინტერესებს მთელი თავისი ფიქრით, შემოქმედებით, ეგზოტიკით, იდილიითა და ტკივილით. რჩეულიშვილის ყოველი გმირის სულში თვითონ გურამი ზის და ამის გამო მათი ძარღვები მუდამ სისხლსავსეა“ (ვართაგავა, 1971:196).

1959 წელს გამოქვეყნდა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ალავერდობა“ და, როგორც მკვლევარი გურამ კანკავა აღნიშნავს, „შეიძლება ითქვას, მისი შემწეობით თანამედროვე ქართულ პროზაში საბოლოოდ გამოიკვეთა თანამედროვე გმირის არსებითი პიროვნული თვისობრიობა, განსაკუთრებით მისი ქალაქური იერი და კულტურული სახე“ (კანკავა, 1981:185).

მოთხრობის შესავალ ნაწილში მწერალი გვამცნობს, თუ რისთვის მიუწევდა გული გურამს, ნაწარმოების მთავარ გმირს, ძველი დღესასწაულის, ალავერდობის სანახავად. აღტაცებული აღწერს კახეთის თვალწარმტაც ბუნებას, ეშხს, სილამაზეს. აქვე გვაცნობს ციტატას გაზეთიდან: „წინანდელმა რელიგიურმა დღესასწაულებმა დაკარგეს თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობა და ახლა იქცნენ ლოთების, უსაქმურების, ხანმოკლე შფოთისა და დროსტარების ადგილებად“ („ალავერდობა“, 2012:282). სწორედ ეს ანუხებს გურამს. ხოლო, როცა მის თვალწინ იშლება ამაზრზენი სურათი, გაუთავებელი ღრეობა, ატორტმანებული ბრბო, უთავბოლო ცეკვა, უსაგნო აურზაური, საჩხუბრად განევ-გამონევა, გურამი შეძლებს მოალავერდელები

ამ ბურანიდან დროებით მაინც გამოიყვანოს, იგი თუშის ცხენს მოიტაცებს და გიჟური ჭენებით დააფრთხობს მოქეიფებს.

ალავერდობა იმართება ალავერდის მონასტრის დამაარსებლის იოსებ ალავერდელის სახელზე (ალავერდი ნიშნავს: „ღმერთმა მომცა (მოგვცა)“. ზეიმი იწყება 28 სექტემბერს და გრძელდება სამ კვირას. გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“ სწორედ მაშინაა დაწერილი, თელავში, თანაც ერთი ღამის განმავლობაში და ავტორის თავგადასავალს ასახავს. მწერლის დის, მარინე რჩეულიშვილის, მოგონებით 1956 წლის სექტემბერში გურამი მამას წაყოლია ალავერდობაზე კახეთში. მართლაც ისე, როგორც მოთხრობაშია აღწერილი, „გურამმა დღეობაზე აუშვა ვიღაცა თუშის ცხენი... ახლომახლო პატრონი არავინ ჩანდა. გურამი მოახტა უბელოს და მინდოში გაუჩინარდა. ცოტა ხანში პატრონიც გამოჩნდა, დაიწყო ღელვა, წრიალი. ქისტს სულ ხანჯლისკენ მიჰქონდა ხელი და განუწყვეტლივ იმუქრებოდაო, - თქვა აჩიკომ. გურამი თურმე გახვითქული ცხენით კარგა ხნის შემდეგ მოვარდა. ქისტი ხანჯლით იწვედა გურამზე, ძლივს აკავებდნენ. ჩემი ძმა, როგორც თქვეს, ღიმილით უყურებდა მას, როგორც იცოდა ხოლმე ამკარა საფრთხის წინ პირისპირ დგომისას. მალე ყველაფერი ჩაწყნარდა, შერიგდნენ. მერე გურამი ისევ დაიკარგა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და უცებ ვიღაცამ დაიძახა: აგერ, გურამიო! აიხედეს და ხედავენ: გურამი დგას ალავერდის გუმბათზე, ცალი გაშლილი ხელი ზევითა აქვს აწეული, თითქოს დაძახებას ან მისალმებას აპირებსო. ცოტა ხანში ჩამოვიდა გუმბათიდან... 1959 წლის 28 სექტემბერს, განთიადისას, გურამმა დაწერა „ალავერდობა“ (რჩეულიშვილი, 2011: 351).

ცხენებისადმი მწერლის სიყვარული ფართოდ იყო ცნობილი. პატარა ბიჭი იყო, როცა ვირს დააჭენებდა. მოთხრობაში „ახლა მე ოცდახუთი წლის ვარ“ გურამი მისთვის დამახასიათებელი იუმორით წერს: „იქვე შევისწავლე ვირზე ჯირითი. მაშინდელი ჩემი ოცნება ყოფილა, მყოლოდა საკუთარი სახედარი“ (2011: 294).

მეგობრების მონათხრობით, გურამი თითქოს ცხენზე იყო შეზრდილი, ცხენის ყოველ მოძრაობას გრძნობდა. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა ჯიშის ცხენი იყო. საოცრად გაბედულს უფრო ფიცხი და გაუხედნავი, თანაც უბელო ცხენები მოსწონდა. უშიშარი მხედრის დაუოკებელი ყინი კარაგად მოჩანს მის მოთხრობებშიც. „მე ბავშვობიდან ჯირითის ტრფიალი ვარ, ცხენზე ჯდომა და ჭენება გაგიჟებით მიყვარს...“ („ალავერდობა“, 2012: 282).

გურამ რჩეულიშვილის ლირიკული გმირი „მადიებელი, ცნობისნადილით სავსე ადამიანია, ცხოვრების დაუღალავი შემსწავლელია, რომელიც სიმართლის ნამსხვრევებს კრებს; მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ცხოვრობს მძაფრად და სისხლსავსედ...“ (ვასაძე, 2016:6).

გურამ რჩეულიშვილის არაერთ მოთხრობაში მოსჩანს დედის სიყვარულით გამთბარი სახე. ყოველთვის თან ახლდა დედაზე ფიქრი - მთაში თუ დიდ ქალაქში, ალავერდში თუ სანერ მაგიდასთან. შინაგანი სულიერი ჭიდილის ნუთებში ხშირად დედა ჰყავდა იმედად: „მარტო დედა დარჩებოდა სახლში და იფიქრებდა ჩემზე, წარმოიდგენდა ჩემს მდგომარეობას, წამოუვიდოდა ცრემლები, იტირებდა. ნათლად წარმოვიდგინე მისი საყვარელი სახე, ჭალარა თმები და დიდი, ახალგაზრდული თვალები, ცრემლებით სავსე“ (რჩეულიშვილი, „მოხუცი და მე“, 2011: 225).

ნამდვილი სამკვდრო-სასიცოცხლო გამოცდის ჟამს, როდესაც გურამი მარადთოვლიანი მწვერვალის გაუვალ კედელზე იყო დარჩენილი, დედა აგონდებოდა, მისი სიტბო და ნუგეში სურდა, ქვეშეცნეულად შველასაც კი შესთხოვდა: „მერე რატომღაც გაახსენდა, რომ, როცა კბილი სტკიოდა პატარაობისას, დედა ლოყას ლოყაზე დაადებდა ხოლმე და ურჩენდა“ (რჩეულიშვილი, 2011: 192).

რჩეულიშვილის გმირების ახალგაზრდულ სიფიცხეს ორგანულად ერწყმის დიდი ადამიანური სიღბო. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია უფროსი თაობის ადამიანებისადმი გამოვლენილ

მოკრძალებასა და ყურადღებაში, რაც მისი მეგობრების მოგონებებითაც ხდება ნათელი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ერთი ეპიზოდი გურამის ცხოვრებიდან: ბაკურიანში დასასვენებლად წასული ნაქირავები ბინის მოხუც მეპატრონეს ეხმარებოდა, შეშას უჩეხავდა, ვედროებით წყალს ეზიდებოდა, სალამობით დაინვალიდებულ მოხუცებს წიგნებს უკითხავდა. ეს ცხოვრებისეული ეპიზოდი ეხმიანება მონაკვეთს პატარა ნოველიდან „მზიანი დღე“: „გურამი გარეთ გამოვიდა და ბაკურიანს გადახედა... კიბეებზე დადებულ მშრალ თოვლზე ქრაჭუნით ჩავიდა. აქ თოვლი გამოქეჩა, ცულის ტარს ხელი წაავლო, ცუდი თოვლიდან ამოათრია... როცა საკმაოდ დააპო, ზევით აიტანა, დაბერტყა და ღუმელთან დააწყო. შემდეგ ვედროებს ხელი დაავლო და წყლისკენ დაეშვა“ („მზიანი დღე“, 1965:83).

როგორც განხილული მასალა ცხადყოფს, გურამ რჩეულიშვილის გმირების ცხოვრება საოცრად წააგავს თავად ავტორისას - სიმართლით, სიღრმით, სისავსითა და ლაკონურობით. პირად გამოცდილებაზე ორიენტირება, პერსონაჟის რელისტიურ-რომანტიკული ნატურისადმი ერთულება, ავტობიოგრაფიულ დეტალთა სიჭარბე, ლაპიდარული, დოკუმენტურთან დაახლოებული სტილი და ტევადი, დაწერილი დიალოგები ქმნის ამ უალრესად საინტერესო მწერლის შემოქმედებით ხელწერას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი 1983: ასათიანი გ., გურამ რჩეულიშვილი, თანამდევნი სულები, გამომც. „მერანი“, თბ.
2. დურმიშიძე 1985: დურმიშიძე ს., ახალგაზრდა პროზაიკოსი, „ზოგი რამ წარსულიდან“, გამომც. „მეცნიერება“, თბ.
3. ვართაგავა 1971: ვართაგავა ი., გურამ რჩეულიშვილი, თანამედროვე ქართველი მწერლები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ.
4. ვასაძე 2016: ვასაძე თ., გურამ რჩეულიშვილი, ქართული

ალტერნატიული პროზა, ქარჩხაძის გამომცემლობა, თბ.

5. კანკავა 1981: კანკავა გ., გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“, თბ.
6. რჩეულიშვილი 2011-2012: რჩეულიშვილი გ., მოთხრობები ნ-ტომად, გამომც. „პალიტრა“, თბ.
7. რჩეულიშვილი 2011: რჩეულიშვილი მ., გურამ რჩეულიშვილი, გამომც. „პალიტრა L“, თბ.
8. წერეთელი 1984: წერეთელი ნ., „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“, გამომც. „ნაკადული“, თბ.
9. ჭილაძე 1970: ჭილაძე ო., „გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას“, ჟურნალ „მნათობი“, თბ.
10. ხურცილავა 2014: ხურცილავა ჯ., გურამ რჩეულიშვილი, ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები, თბ.

Lela Kukuladze

AUTOBIOGRAPHICAL PASSAGES IN GURAM RCHEULISHVILI'S STORIES

SUMMARY

The feeling of the constant interdependence of his life and invaded creative artwork, orientation on the personal experience, loyalty to the characters' realistic-romantic nature, and predominance of autobiographical details create artistic peculiarity of Guram Rcheulishvili's five-year creative process. The primary virtue of him as the writer is that he only wrote what comes from the depths of his experience, which is neither overheard nor fabulous. It was only experienced, seen, and felt that he transformed into an interesting fiction shape; that's why he felt the severity of the events described so organically. Guram Rcheulishvili is often a prototype of the characters of his stories. In every movement of his characters, in homogenous dressings, in spiritual or physical details, even in the upcoming death, we see the author himself.

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანები

„ვეფხისტყაოსანი“ ხუთჯერ ითარგმნა ინგლისურ ენაზე.

1. მარჯორი უორდროპის პროზაული თარგმანი. გამოიცა 1912 წელს, მთარგმნელის გარდაცვალების შემდეგ. მკვლევართა შეფასებით, ეს თარგმანი ერთ-ერთი საუკეთესოა შინაარსობრივად დედანთან სიახლოვის მხრივ.

მთარგმნელმა თავის ძმასთან, ოლივერ უორდროპთან ერთად რამდენიმე წელი დაჰყო საქართველოში, შეისწავლა ქართული ენა, გაეცნო ამ ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, დაუახლოვდა 19-ე საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეებს და გაუჩნდა სურვილი, რომ მშობლიურ ენაზე ეთარგმნა რუსთაველის უკვდავი პოემა, თუმცა თავად ვერ მოესწრო პოემის ბეჭდურად გამოქვეყნებას. თარგმანი შესრულებულია პროზით.

„ეს იყო მცდელობა, რომ სიტყვასიტყვით მეთარგმნა წიგნი, რომელიც არის სარკე, ამ უდიდესი წარსულის მქონე ხალხის კულტურის სულისა“ – წერს მთარგმნელი.

მ. უორდროპის აზრით, ქართველებს მაღალგანვითარებული ენა ჰქონდათ. მისი ლექსიკა ისეთი მდიდარია და დიდებული, რომ ურთულესია მისი თარგმნა არა მხოლოდ სიტყვასიტყვით, არამედ მარცვალ-მარცვალ. რუსთაველის ენა იყო სრულყოფილი ხელოვნება. თითოეული ტაეპის დაბოლოება ცხადად იდენტურია და საკმაოდ დიდი ცოდნაა საჭირო იმის გაგებისთვის, თუ რა აზრია ჩადებული თითოეულ მათგანში.

პოემის ინგლისური თარგმანი გამოხატავს ავტორის იდეებს, გრძნობებს ისეთი სიზუსტით და ერთგულებით, როგორც ის იკითხება ორიგინალში.

თარგმანის მ. უორდროპის ვერსია ნამდვილად ფასდაუდებელია, რადგანაც თარგმანმა დიდი დახმარება გაუწია შემდგომში სხვა მთარგმნელებსაც ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებაში.

2. ვენერა ურუშაძის პოეტური თარგმანი. 1968 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ვ. ურუშაძისეული თარგმანი. მკვლევართა აზრით, მთარგმნელი დიდ თავისუფლებას იჩენს პოემის მთელი რიგი პასაჟების მიმართ, რაც განპირობებულია მისი ამოცანით, ინგლისურ ენაზე გადაეტანა რუსთაველის ლექსის მუსიკალობა – „მაღალი შაირი“ – საოცარი მუსიკალური მაჟორი და „დაბალი შაირი“ – მუსიკალური მინორი: „მე მსურდა, რომ მკითხველისათვის მიმეწოდებინა პოეტური სილამაზის ორიგინალობა, რათა მკითხველს გაეგო ის მელოდია, რომელსაც ორიგინალში ვხვდებით“ – წერს მთარგმნელი.

რა თქმა უნდა სადავოა, აქვს თუ არა რუსთაველის ლექსთწყობის სტრუქტურას ეკვივალენტი ინგლისურ ენაში.

3. რობერტ სტივენსონისეული პროზაული თარგმანი. ეს თარგმანი 1917 წელს გამოსცა „იუნესკომ“ მსოფლიო კლასიკოსთა თარგმანების სერიით. თარგმანის სტილი აშკარად განსხვავდება მ. უორდროპის სტილისაგან. რ. სტივენსონის მიზანი თანამედროვე მკითხველთათვის გასაგები თარგმანის შექმნა იყო, რისთვისაც მან ტექსტს ვრცელი კომენტარები დაურთო.

4. ქეთრინ ვივიანის პროზაული თარგმანი. ქ. ვივიანი კიდევ უფრო შორს მიდის, რაც თარგმანის ქვესათაურშიც ჩანს: „თავისუფალი თარგმანი პროზად“. მისი ერთ-ერთი ნიშანდობლივი ელემენტია თავისუფალი მიდგომა „ვეფხისტყაოსანის“ პოეტური ენის მიმართ. იგი საჭიროდ არ მიიჩნევს მეტაფორების თარგმნას და ამჯობინებს ესა თუ ის გამოთქმა მოარგოს თანამედროვე ინგლისელისათვის ჩვეულ და გასაგებ ფრაზეოლოგიას. ხშირად ქ. ვივიანი აერთიანებს რამდენიმე სტროფს და ორიგინალის მოკლე შინაარსს გადმოსცემს. თარგმანი 1977 წელს დაიბეჭდა ლონდონში.

5. ლინ კოფინის პოეტური თარგმანი. „ვეფხისტყაოსანზე მუშაობა მთარგმნელმა, პოეტმა და მწერალმა ლინ კოფინმა 2012 წელს დაიწყო. პნკარედები შეასრულა პროფესორმა დოდონა კიზირიამ (პროლოგის პნკარედი გ. ჯოხაძეს ეკუთვნის). თარგმანის ტექსტს საფუძვლად უდევს 1966 წელს „ვეფხისტყაოსნის“

აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული და პროფესორ ნოდარ ნათაძის მიერ კომენტირებული გამოცემა (ე. წ. სასკოლო გამოცემა). თარგმანი გამოიცა 2015 წელს.

ლ. კოფინი წერს: „ვეფხისტყაოსნის“ თარგმან ჩემმა ქართველმა მეგობრებმა მირჩიეს, ისინი ბნკარედს და შენიშვნებს მიგზავნიდნენ, მე დედანს ვუბრუნდებოდი და დიდი გაჭირვებით ვკითხულობდი ყოველ სიტყვას, ვცდილობდი გადმომეცა თითოეული მათგანი და თავად შემეგრძნო მათი ჟღერადობა. ვეცნობოდი ტექსტის პროზაულ ვერსიას, მსურდა შინაარსიც კარგად გამეგო. ვკითხულობდი ადრე გამოცემულ ინგლისურ თარგმანებს, რათა ჩავწვდომოდი როგორ შეიძლებოდა ამის პოეზიად გადაქცევა. თუმცა ადრეულ თარგმანებთან დახმარებისთვის მიბრუნება თითზე ჩამოსათვლელ შემთხვევებში დამჭირდა. ყოველივე ამის შემდეგ უკვე ვცდილობდი 16-მარცვლოვანი შაირის ფორმით მეთარგმნა პოემა და ასე მარცვალ-მარცვალ ვპოულობდი რითმას. იცით, ინგლისურში უფრო მეტი სიტყვაა, ვიდრე ქართულ ენაში, მაგრამ გაცილებით ნაკლებია რითმა. რუსთაველს, ალბათ, ძალიან გაუადვილდებოდა ინგლისური ტექსტის ქართულად გადმოთარგმნა. მოკლედ, ჩემთვის არსებითი სწორედ პოემის მელოდია იყო და მასში არსებული საოცარი მუსიკის შენარჩუნება. ვიდრე შინაარსს გავეცნობოდი, სწორედ მისმა მუსიკამ მიმიზიდა, რომელიც საოცრად ლამაზია, შეგიძლია მასზე იცეკვო, იმდენად მელოდიურია. სიმღერასავითაა, ბრწყინვალეა! ყველაზე რთული მასზე მუშაობის დროს ის იყო, რომ თითოეული სტრიქონი 16 მარცვლიანია. როდესაც რედაქტირებას შევეუდექი, მივხვდი, რომ ინგლისურში გარკვეული უთანხმოებაა იმის თაობაზე, თუ რამდენი მარცვალი აქვს ამა თუ იმ სიტყვას. ერთ შემთხვევაში სიტყვას ვიყენებდი, როგორც ორმარცვლიანს, ხოლო მეორეგან – როგორც სამმარცვლიანს. მოკლედ, თავად უნდა გადამენყვიტა, რამდენ მარცვლიანად ჩავთვლიდი სიტყვას და ასე გამომეყენება თითოეული მათგანი მთელს ტექსტში - ეს საშინლად რთული იყო!“.

საინტერესოა თავად სათაურის თარგმანი თითოეული მთარგმნელის მიერ:

The man in the Panther's Skin – მ. უორდროპი;

The knight in the Panter's skin – ვ. ურუშაძე;

The knight in Panter's skin – ქ. ვივიანი;

The lord of the Panther's skin – რ. სტივენსონი;

The knight in the Panther's skin – ლ. კოფინი.

ყველაზე განსხვავებულად სათაური გადმოცემულია რ, სტივენსონთან, რომელშიც გამოყენებულია სიტყვა ლორდი (the lord) – ინგლისის უმაღლეს თავად-აზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული. ამგვარად, მის თარგმანში სათაური ასე ჟღერს „ვეფხისტყაოსნის შემოსილი ლორდი“.

„ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ნაწილის პირველი სტროფი, რომელშიც არაბეთის მეფეა დახასიათებული, სხვადასხვაგვარად არის გაგებული მთარგმნელების მიერ:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,

მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,

მოსამართლე და მონყალე, მორჭმული, გამგებიანი,

თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი“.

როგორც ვხედავთ, სტროფი თითქმის მთლიანად ეპითეტებითაა აგებული.

ამ სტროფის მარჯორი უორდროპისეული თარგმანი ასე ჟღერს:

„There was in Arabia Rostevan, a king by the grace of a God,
Happy, exalted, generous, modest, Lord of many hosts and Knights,
Just and gracious, powerful, for-seeing, himself a pearless warrior,
More over fluent in speech.“

ვენერა ურუშაძისეული თარგმანი;

“Rostevan ruled in Arabia, a monarch exalted and mighty,
Fortunate, noble, farseeing, wise in council and judgment;
The hosts he commanded were countless, he the invincible warrior;
His speech was fluent and gracious, his bounty and wisdom

boundless.“

რობერტ სტივენსონისეული თარგმანი:
 „In Arabia there once ruled a king,
 Rostevan, who was blessed by God with good fortune.
 Of great majesty was he, liberal of gifts, gentle, lord over many
 warriors and vassals;
 Just, gracious, mighty, farseeing, peerless in battle and eloquent
 of speech.”

ქეტრინ ვივიანისეული თარგმანი;
 „In country of Arabia there reigned, by grace of God,
 a king named Rostevan.
 He was a mighty ruler – generous, just and wise, merciful,
 approachable,
 Fortunate and far-seeng; possessor of many soldiers and vassals
 himself a Peerless warrior, eloquent in discourse.“

ლინ კოფინისეული თარგმანი;
 “Once there ruled in Arabia, Rostevan, a king by God’s grace
 Thriving, majestic, generous-modest though in the highest place.
 So just and merciful, many Vassals did his service embrace.
 Himself a fearless warrior, a peerless speaker, never base.”

არსებითად, ტექსტის შინაარსი ხუთივე თარგმანში ადე-
 კვატურადაა გადმოცემული, თუმცა ამ პრინციპს ყველა მთა-
 რგმნელი ერთნაირად არ იცავს.

გამოყენებული ლიტერატურა;

1. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966
2. The knight in the panther’s skin, 2015
3. ვეფხისტყაოსანი ინგლისურად, ბადრი შარვაძის გამოცე-
 მა, თბ., 2003

„ეთერიანის“ აჭარული ვარიანტები

(ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მასალა)

ზღაპარი, ლეგენდა თუ თქმულება–გადმოცემა ნებისმიერი
 ერის უმთავრესი განძია. ამ არქაულ ეპიკურ ჟანრებში გადმო-
 ცემულია ადამიანის რწმენა–წარმოდგენები, შეხედულებები
 სამყაროზე, სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ბრძოლაზე,
 რომელსაც კეთილი ძალა ამარცხებს. ხშირად ისინი ფანტასტი-
 კური ჟანრის ნაწარმოებების საუკეთესო ნიმუშებია და მათ
 დიდი შემეცნებითი და მხატვრული ღირებულება აქვთ.

ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ მასალათა ფიქსაცი-
 ის ეროვნულ საქმეში განსაკუთრებულია წვლილი აჭარის მო-
 სწავლე–ახალგაზრდობის სასახლის ფოლკლორისტიკისა და
 ეთნოგრაფია–მხარეთმცოდნეობის წრეებისა.

2015 წლიდან აქ ტარდება ინდივიდუალური და საოჯახო
 შემსრულებლების ფოლკლორულ–ეთნოგრაფიული ფესტივა-
 ლი „ტრადიციების კვალდაკვალ“ (ხელმძღვანელი – მაია ჯა-
 ფარიძე). ფესტივალი შედგება ორი ნაწილისაგან: მოსწავლეთა
 თემატური კონფერენცია და ფოლკლორული კონცერტი. გან-
 საკუთრებით აღსანიშნავია მოსწავლე–ახალგაზრდების დიდი
 ინტერესი კონფერენციის მიმართ; ყოველ წელს იზრდება მო-
 წაწილეთა რაოდენობაც და თემატიკაც. აღნიშნული კონფე-
 რენცია ერთგვარი წინაპირობაა რესპუბლიკური კონფერენ-
 ციისა, სადაც მოსწავლეებს ეძლევათ შესაბამისი მითითებები
 სამომავლო მუშაობისათვის.

ქალაქ ბათუმის სკოლა „შპს განათლების“ მე-10 კლასის
 მოსწავლეებმა – დავით ზაქარაძემ და გიორგი სარჯველაძემ
 – წარმოადგინეს ნაშრომი „არასდროს დაიბინდები“; თემის ხე-
 ლმძღვანელი (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლე-
 ბელი რესან ზაქარაძე) თავის მოსწავლეებთან ერთად ყოველ

ზაფხულს ანყოფს ფოლკლორულ ექსპედიციებს, პოულობს და შთამომავლობას უნახავს ზეპირსიტყვიერების მეტად საინტერესო და იშვიათ ნიმუშებს. სწორედ, ასეთ შემთხვევასთან გვქონდა საქმე მე-4 თემატურ კონფერენციაზე: ავტორებმა წარმოადგინეს 2018 წლის საველე მუშაობის დროს დაფიქსირებული „ეთერიანის“ აჭარული ვარიანტები. ისინი ამ საკითხზე უკვე რამდენიმე წელია მუშაობენ. წარმოდგენილი ნაშრომი საუკეთესოთა შორის დასახელდა და მიეცა რეკომენდაცია, წარგზავნილიყო მოსწავლეთა 73-ე სასწავლო-შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციაზე. აქაც წარმატება მოიპოვეს – მათ მიერ წარგდენილი „ეთერიანის“ ორი აჭარული ვარიანტიდან ერთი („გაგონილი ხებერი აბესალონისა და ეთერისა“) გამოქვეყნდა ა(ა) იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მიერ გამოშვებულ „ხალხური სიტყვიერების ნიმუშებში“ (თბილისი, 2019, გვ. 9-12).

წლების განმავლობაში აჭარის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფია-მხარეთმცოდნეობის წრეებს სათანადო კურირებას უწევს ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, რაც დიდად გვეხმარება ამ დარგით მოსწავლეთა დაინტერესებასა და სამომავლო ორიენტირებაში.

მოსწავლეთა მიერ ჩანერილი „ეთერიანის“ ვარიანტებიც ამგვარი თანამშრომლობის შედეგად რეკომენდირებული ნიმუშებია, რომლებიც საინტერესოა როგორც ფოლკლორისტიკისათვის, ასევე აჭარული დიალექტის შესასწავლად.

გაგონილი ხებერი აბესალონისა და ეთერისა

იყო და არა იყო რა, ყოფილა ერთი ძალვან მადლიანი ღარიბი კაცი და ქალი. სოფლის დირეგები იყვნენ. რომ იტყვიან, მადლიანი კაცს დერდი არ გამიელევაო, ამასაც ერთი დერდი აწუხებდა. უმუსლელი ალაგი არ დუუტევიან ამ დუნიაზე და შვილი ვერ ჩეიგორვეს კალთაში. სხვებს რომ ყავდენ და უყურებდენ, ზეზე-

ვრავი დნებოდენ. ჰოდა, მოშორდენ სოფელს და ერთ დაკარქულ მთის ძირში, დიდი პლაკის ქვეშ ნახეს გამოქვაბული. კაცმა მიაჭედა კარი და დეინყეს აქ ცხოვრობა. ასჯელ გულში გეირუნიებდენ: ღმერთმა შვილი გიგვიჩინოს, რა დუუმიმდება, და თუ გინდა, მიორე დღეს აგვართვასო. ღმერთმა გუუგონა. ეყოლენ ბაღანა, ბიჭი, ის ღამე უცოცხლა და დილას მუუკლა. რაფერც შეეხვეწეს, ის უუსრულდენ, ვარესის ვარესი დეემართენ. ქალი მერაყს გადაყვა და დარჩა კაცი მარტო. ერთ დილაი გამოვდა გამოქვაბულიდან და ხედავს, კარებთან ფრთებდაშვებული, ფრთებმოტეხილი არწივი გდია. გადააბრუნა-გადმოაბრუნა კაცმა და გულში თქვა: „მყოლოდა შვილი, გინდა ამფერი ყოფილიყო, მუუვლიდიო“. მუუფრენია მის ურბაზე ეფეიჯა, წყავის ყვერები დუუდებია მოტეხილზე, შუუხვევია ფაჩავრით. თიბილ ნაცარში დუუდვია, არ შეცივდესო და წესულა ტყეში, – რაცხას ვნახავ და შევჭამო. მოიდა და ჰადაა შენი არწივი. ფთის ერთი ღერი მოშენოდა, კაცმა ჩეიდვა ჯიფეში სამახსოვროთ. პანაი ნაცარი გაჩუკნა, ცეცხლი მოვაბჟიროო, ნახა ერთი მოზდილი კვერცხი დუუდვია არწივს. კაცს იმ ცხელ ნაცარში შუუნვავს და შუჭამია. ჰამან ჭამა დუუმთავრებია და კანჭში რაცხამ დეებძღნა. დანვა კაცი და იმ კანჭში ფხანა ვერ შეწყვიტა. გათენდა და ხედავს იგზე პანა ფუფულს. რაცხამდონ იფხანდა, იმდონ იზრდებოდა. მეგემ აქ ბაღანა ჩასახულა. სამი-ოთხი თვე გეესა, ამ ფუფულში რაცხამ გეექანა. კაცმა თქვა გულში, რომ „ეს ყოში სულ იზდება, ველარც გევიარო“, მოაშუნა ძირზე და გუდუუშირშილა ღელეში. კოში ამყრალეებულა. დრო რომ გესულა, იმ არწივს სული ცემია კოშისა, ჩამოფრენილა, მუუგნია, უცნია, უუნევია ნიკარტით, ნუულია და მის ბუდეში ჩუუდვია. დიდვან ფთების ქვეშ გამთბარა კოში და იზდებოდა და იზდებოდა. ამ კოშიდან გოგო დაბადებულა. არწივი ზდიდა ერთ-ორ წელწად; მეიტანდა ნიკარტით ხან რას, ხან რას და აჭმევდა. ემჯამი იმ ბუდეში აღარ ეტეოდა. არწივმა იმ კაცის ეილუგი გეიხსენა, ახლა მან გაზარდოსო, ანია ისოვ ნიკარტით და შამოცინულზე იმ ალიგზე დადვა, აცხან იმ კაცმა რომ ნახა კართან.

ამ დროში კაცი ნახულობს სიზმარს: ვინცხას ხმა ესმის: „გახსენ კარები, იქ შენი შვილია. კოში რომ გეიქნიე, იქიდან დეიბადაო“. კაცი გამოიდა, ნახა გოგო, ჟვერებით დაჩუღვილი. რომ შეხედა, თლათ დილის ამონავალ მზესავით ლამაზი იყო. უყურა, უყურა, დააშპა. მანაც ლამაზი იყო და ამასაც ნახევარი მამის სილამაზე ქონდა აკრეფილი. თეთრი იყო, ზეცის ღრუბელ გავდა. კაცმა ზარდა, მისი დედის სახელი დაარქვა – ეთერი.

ჰამან გახდა ეთერი რვა წლისა და მამა მოკდა. ღმერთ რომ გახარება დომებოდა, ასე არ ააღეზებდა. იმის მემრენ ეთერი ტყე-ტყე დარბოდა, ეძებდა გამზდელს, მამას. მამამისი ხომ ტყიდან ერთ სალამოს არ დაბრუნებულა, კდარი არ დუუნახია. ეთერი რომ იარებოდა, თან მზი სხივი წინ-უკან უნათებდა და დადევდა. ჰალბელი მამის სული იყო. ერთი ხის წვერში ლამეს გაათენებდა. ერთ ლამეს ღმათ მიეძინა ხეზე, გადმუარდა და ხის ძირში დაბნედილი დეეცა.

აგერ, აქ, ერთი მეფე სეირნობდა ცხენით. ღამდებოდა და სახლისკენ წასულა თუ არა, ცისარტყელასავით რაცხა ანათებდა. წაყვა ამ ნათებას და ერთ ხის ძირში დაბნედილი ეთერი ნახა. გაადვიდა. ჰად ეთერი, ჰად აბესალონი! – ერთმანების შერიღეთი არ იყვენ, მარა აბესალომს თვალი დუუხუჭავს, მე არ მაკლია სიმდიდრეო და ეთერი დაყაბულეებულა მის ცოლობას. უთქმია ფიცი, რომ თუ დავარღვიო, პირველი მეხი ღმერთმა მე დიმიშვას და ტვერი გამხადოსო; შამეისვა ცხენზე და წეიყვანა.

აბესალონს სასახლეში ყოლია ვეზირი მურმანი. ეთერი რომ მუყყვანია აბესალონს, მურმანსაც შუყყვარდა და დაბნედილა. აბესალონს გულშიც არ გავლია ეჭვი. ორმოცი დღე ქორწილის თათარაკში იყვენ. ეს ყველამფერი მურმანის ზრუგზე გედეიარა. ისე ჰილლე არ უქნია, მარა ქორწილის წინა ღამეს მურმანი ავათ გამხდარა და წამოსულა. გზაში შეხდენია ეშმაკი და უთქმია:

– რატომ უჰალურად მოდიხარ, საპნის ნალევას დამგვანებულხარო.

იმასაც უთქმია ყველამფერი. ეშმაკ იმათი დაშორვების წა-

მალი იმ წუთში მუყცემია. ამფერები წინდანინ აქვან გაკეთებული. ეს იყო ნაძვის ფისში ჩადუღებული და ჩანებებული ორი გახრეტილი ლობიას კაკალი. ამაზე წყალი'ნა გედეესხა, იმას ნასხამაი წვეთები უკულმა ხელით შეესხა ეთერიზე და იმ წუთში დეესეოდენ ჯინჭველები და ორთავები; ვინმე ვერ მუაშორებდა. აბესალონი გააგდებდა და მან შეირთავდა. ხელ მოდებდა და გაცვინდებოდა.

– მაგიორში დედაშენის სულინა მომყიდო, შენ იცხოვრე რაფერც გინდაო.

ქორწილის ღამეს მისულა მურმანი, ჰამან შეესხანა შხეფები ეთერზე, რომ იმფერი ქარი ამვარდნილა, ორთალოდი გაქანებულა. უცვაი გადასარკულა და რაცხა ფლაშუნი გეისმა. მეგემ ის ფთამოტეხილი არწივი რომ იყო, ის მოფრინავს; მურმანს ჰამანდა შეესხა, მეორეთ, რომ არწივი დააჟდა ეთერს, ფთები გადააბურა და ნახვარი ხალხი გეიქცა. იმისი ფთების ბუქს მურმანი წუუქცევია და მინაზე გაბარცულა. არწივი ნიკარტით მიშპომილა და ორწავეი თვალეები ამუტოტია. ის წამალი ხელში ქონებია და ყველამ მიხდა რაცხა იყო.

თვალედათხრილი მურმანი ეგდო იმ დღიდან სოფლის გზაჯვარედინზე. გამლელ-გამომლელი ერთ ქვას დუუშვებდა ძრუგში. მისი ბლორინი ზეცაში ადიოდა. დედამის გუუგია ეს ყვეამფერი, გამოქცევლა ფეხშიშველი, უნახია ცოცხალ-კდარი და უთქმია:

– დანყველილი ყოფილიყავი ჩემიდანაც! ღმერთზე სიკდილი გათხოვნია და არ მოგკლა, ასე ღეზებით მიგაცემია სული! გველივინ მინაზე გახობვა! იმ დუნიას მეცხრე ჯერნების კარი იყოს შენთვინ ღია! ჩემი სულიც გიგიყიდა, მე გამოსაჩენი პირი არ დიმიტიე ამ დუნიაზე!

ჰამან ეს მუასტრო და სიმწარიმგონე გული გახეთქია.

მურმანი ახლა დაფიშმანდა მის ცოდვებზე, დუუხეთქებია თავი მინაზე და ხაპივინ ოთხათ გახეთქია. არვის არ მუუძებნია და არ ჩუუკითხვან. ამყრალდა ლეში, ხალხმა ამოთხარა ღმა ყუი, ჩააგდეს, ყველამ სირი-სირაი ქვა დააჯოლგა ლეშს და მი-

აგდეს. ერთ ღამეში ეკლებ-ბარდით დეიფარა მისი ლეში ქვების თავზე. დედამისი კი ხალხმა დაასაფლავა.

ეს დუნია შეირგეს ცხოვრებით ეთერმა და აბესალონმა. ყველას ბოლო სიკდილია, მარა ხალხი ნატრობდა ამათნაირ სიკდილს. აბესალონმა ხალხ ვესიეთი დუუტია, ერთ მეზერში ჩაგვფალითო. ჩაფლეს და იმფერი საფლავი გუუკეთეს, რომ ვინმეს არ ქონდა, ღმერთმა მოქარგა იებით და ვარდებით. გუ-ლიშამ ამოიდა ჯენნეთის ვაშლის ხიები. ჭამდენ და არ ილეო-და. ყველღამეი ხალხი ამფერ მოჩვენებას ხედავდა ამათ საფ-ლავზე: მურმანის დედა ჯამში საჭმლით გაჩინდებოდა ეთერის და აბესალონის საფლავთან, ისინიც მოიდოდენ და ერთ ჯამში ჭამდენ. მურმანის საფლავზე კი ყველ ღამეი სისხლი წვიმდა. ტყის ცხოველების ნაჯიჯგნი იყო იქავრობა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარ იქა, ფქვილი აქა.
პლაკის თავზე ხაპი ევტაი,
გადმოსრიალდა გორგებითა.
აქ სიცოცხლით გიმძებნით,
იმ დუნას - მოგონებითა!
ზღვაში გევალ ნავითა,
აგვამსევით მადლითა!
ორბი გაფრინდა ცხრაფთიანი,
ზოგი ტყვილია, ზოგი - მართალი.

მთქმელი - იზმიან მიქელაძე, 93 წლის. დაბადებული ქედის რაიონის სოფელ ბზუბზუში, გამოთხოვილი სოფელ დოლოგ-ნიდან- ჭინკაძეების უბნიდან. თვითგანვითარებით ისწავლა წერა-კითხვა. „მე რომ ხებერ მოგიყვებით, იმ გოგოს სახელი დავარქვი ჩემს პირველ გოგო შვილს“, - გაგავანდო ქალბატონმა იზმიანმა.

ჩაინერეს დავით ზაქარაძე და გიორგი სარჯველაძეებმა. ბათუმის შპს „განათლების“ მე-10 კლასის მოსწავლეებმა; 2018 წელი.

სეთერისა და აბასლაშის ჰეძია

იყო ჩიტი მგალობელი,
ღმერთი ყველას ახლობელი,
თხრობლისთინ და მდინგლებლისთინ
ნამეტარი მარგობელი.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი და ყავდა მისი ემი ქალი. ჰაიდან მოიდენ ესენი, კაციშვილმა არ იცოდა; მარტვაი სახე-ლები იცოდენ მათი: ქალ ქვიოდა გოგლაი, კაცს ქვიოდა ყორა-ლიაი, მარა, რომ იტყვიან, „ჩიტი ჰაცხან დაბადებულა, მისი ბა-ლდადი იქ არიო“; ერთ მივარდნილ ტყის ქენერში ფაცხა ქონდენ აშენებული თხილის ტკერებით, მარა მასში ბოჭოჭვავიცი ვერ შეძრებოდა: მოტყუცილი, მოქარგულივინ, გასისინებული, ჩასისნსლული. რომ შეხედავდი, თვალი ზედ დაგრებოდა; ამფ-რათ ქონდენ კალოზე ახორი, საქათმე. ვერ დათლიდი ძროხებს, ქათმებს, იმდონი ყავდენ. მათი ამდონი თხა-მცხვარი, ქათმები ერთ სოფელს ეყოფოდა. სიმინდი და ათას თული დამყნობი-ლი ვაშლი, სხალი, ატამი, ბია ხომ კიდო თავსაყარათ ქონდენ, გამლელ-გამომლელს პირში აჩრიდენ. „ტიტველ ქვაზე დადვა, იდარეს იქსო“, ასე იყო ამათი საქმე. ნეტაი არცერთი არ ქონო-დენ და ბალანა ყოლოდენ! ეს მერაყი ქონდენ, ენჯამი სიბერეში მიდიოდენ. ყველა ღამეი ჩამეტირებდენ:

- მოვკდებით და მინის მომყრელი და ჩამფლელიც არ გვეყო-ლებაო, ვინმეც არ მოგვიგონებს და ჰელვას არ დიგვინვავსო!

ერთ საღამოს, ლოცვის დრო იყო, მოსაფირი ესტუმრა, გზა-ბნეველი. ერთმანების გასაჭირი თქვეს. ამ ქალმა ამათ ასტავლა უშვილობის წამალი, დედამისი ყოფილა მკითხავი და იქიდან ახსოვდა. უთხრა:

- ადექი შემოცინულზე. ზებელაჰს ვენცერთი ვერ დაასტ-რობს ხიდან ჩამოფრენას. ათვარიელე, რომელი ხის წვერიდან ჩამოფრინდება. მოჭარი ის ხე, იმას ბუდე ექნება და, თანაც, ერთის მეტ კვერცხ არ დებს. მიიტაი სახში ე კვერცხი, ძროხის ძეში მოხარშეთ, ნახვარ-ნახვარი შეჭამეთ. ის ნახარში ძე ორ-

ნავემ წეისვით ტანზე და ცხრა თვეში ბალანას ჩეიგორვებთ კალთაშიო.

წესულა მოსაფირი, კაცმა გერჩექ'და ასე გააკეთა და შეეძინენ შვილი. სახელსაც თუ გოგო იქნება, მე დიგირქმევთ, სეთერი დაარქვითო, – ვესიეთი დუუტია... იმფერი ლამაზი ყოფილა ეს დაბადებული გოგო, რომ ენა არ იტყვის, მარა, რომ იტყვიან, „გამორჩევილი ლამაზი ვინც იქნება, იმას კაი ბალნობა არ ექნებაო“. კვერცხივინ გვალი სახე ქონდა, თეთრ ბამბასავით, პანინალაი ცხვირი, კიბილები სიმინდის ტოლის კაკლებივინ ჩამწკრივებული ქონდა, გადახვართული წარბები გველის კუდივინ, გძელი და ხოშორი წამწამები, გათლილი შუბლი, ნახშირივინ შავი თმები, აცქვიტული ჭაჭაი ყურები, გძელი, თეთრი კისერი, გძელი თითები, გეგონებოდა გამოთლილი. ძალიანაც რომ მოგენდომა, აიბს ვერ უნახევდი. კაცმა საჩქაროთ მოჭრა ნაძვი, გამოთალა, გული ამოჭრა, გვერდები ტკენჩებით შამუაქსვა და მისებური აკვანი გააკეთა; ნერჩზე დაანყო ხავსები, მადლიაო, სუროს ჟვერები, ფეხებიც გამოთალა, რომ ერწევიეს. ჩააფარეს ამელიკაი, ამოჩურკლეს საბანიც. სირა–სირაი არწობდნენ და უნანიებდნენ:

ჩემო გოგო კუკულიო,
ასუქებული პურიო,
ლამაზი ხარ ბამბასავით,
ენათები ლამბასავით!
შეგხედავ და ენათები
გადაპენტილ ბამბასავით.
დავანხმებულო მთვარეო,
ჩემეხუტე (გემეზარდე) მალეო!
ბაბან, ბაბან ბამბებიო,
დაგახურე საბნებიო;
ასათი, მასათი,
ღმერთო, მოე რაჰათი!
ოკვერო და ჩოკვერო,
ჩემო პანა ბოკვერო!

ჩემი სახლის დირეგო,
ჩემი თვალის იშელო!
აკვანზე ჩიტი დაგაჟდა,
პირში ქონდა ხორბალი,
ავი თვალით ვინც შეგხედოს,
თვალში მოხდეს კომბალი.
ელია და მელია
ლექსი შემომელია.
თარანინა, ნინაო,
ნარდანინა ნინაო.

სეთერი ჰამან ორი წლის წამეჩიტა და გოგოლიაი მოკდა. ყოჩალიამ ბევრი იფიშმანა, ბალანას ვერ გაზდიდა და სხვა ქალი ჰაცხაიდან გადმუუგდო ღმერთმა. ჰამან ათი წლისა თუ მეტი, თორმეტი–ცამეტი წლის გახდა სეთერი, მამაც მუუკდა. დედინაცვალმა ეიშვა, ცეცხლში დებდა იეთიმს, სულ შიერ–წყურვალის ყავდა. დარი იყო თუ თოვლი, გამუშუვებდა საქონელს და საძვებლად გაატანდა; თან გაატანდა მატყლს, რომ დაართი და ღაზლის წინდები მოქსვეო საღამომდიო.

იმ ტყეში ერთი ცივი წყარო იყო, იმის თავზე იდგა პანტა ვაშლი, უგამულეველათ ესხა. ერთჯელ სეთერმა დეინახა, რომ პანტა ვაშლზე ეკიდა ჰეგბაი. ჩუუხედა და ხედავს, შიან ერთი დიდი კვერცხია და ჭადი. შეჭამა. ყველდღეი აქ მოდიოდა სეთერი ვაშლი საჭმლათ და ჰეგბაშიც იგივე პური და კვერცხი დახდებოდა. შეჭამდა. მეგემ ამას უზიდევდა ნიკარტით ზებელაჰი, – ის ხომ კვერცხის წამლობით გაჩინდა!

ამ ეტრაფებში ამ ქვეყნის მეფის შვილი, აბასლამიც, ყველდღეი ცხენით იარებოდა და საბედოს ეძებდა. ამ ვაშლის ხესთან'ნა გეევლო. სეთერს ეჭამა და ჩაძინებოდა. წევდა ცხენით. დანარჩენ დღეებშიც იმავე დროში აქ ხედავდა შორიდან ამ გოგოს. ჰამან მივდა ცხენით უსულათ, რომ ცხენმა დეიფრუტუნა და აბასლამი გადმუარდა, დეიბნიდა. ეს დეინახა სეთერმა, პეშვით წყარო შაასხა სახეზე; გამოიღვიძა დაბნედილმა. ერთმანები გეიცნეს და აბასლამმა შეიცოდვა, ცოლობა თხოვა. სეთე-

რმა ქვას უკბინა და არ ქნა:

- ჩვენ არ შევეფებითო ერთმანებ,
გევა დრო და მიმაგდებ.

იმდენნაირი ფიცი უთხრა აბასლამმა სეთერს, რომ დუუჯერა:

- თუ გიღალატო, ღმერთმა მიწა-მტვერი გამხადოსო!

- ციციელმა ჩიმიტანოსო!

- დევძინებ და გაღვიძება არ მეღირსოს!

- თვალეხი დიმიბრმავედეს!

- ჯირეკივით ვეგდო, არც ხელი მქონდეს, არც ფეხი, არც თვალეხი და გამლელ-გამომლელეხი ფეხებით ძრუგზე იარებოდენ!

- ყათრანში ვიხარებოდე!

დუუჯერა სეთერმა და წაყვა. სეთერმა იცოდა, რომ წყევლა ძირში არ ჩავარდებოდა და შვიდ წელნად იგორვებდა.

გედეიხადეს შვიდდღიანი ქორნილი. დუნია გეექანა. აბასლამის დედამ არ იკადრა სეთერი:

- ჩემ შვილის საფერი არ არისო, უპატრონო რათ მინდაო!

ირბინა და ეჭენა ფათრებში, რაცხაფერ წამალი მასტავლონ იმათი დაშორებისო. ერთმა ასტავლა, რომ ქორნილის მეორმოცე ღამეს ლოგინში ეს შელოცვილი წყალი მიმუაქციე-მოლაშტე და მათი სიყვარული წყალ წაყვებო. სეთერს დეესევა ბუზები, ფუტკრები, აბასლამსაც. შენი ხელის გადასმაზე აბასლამს მოშორდებიან, სეთერს ხელი არ მოდვასო!

ასეც გააკეთა. აბასლამს ყოლია ერთი კაი ვეზირი მურვანდი. ამის დედაც ყოფილა ფათერი. მურვანდ შებრალებია აბასლამი, წასულა დედამისთან და იმისი გაკეთებული წამლით სეთერსაც გააცვენია ბუზები.

აბასლამს მისი სემეფოს ნახვარი მურვანდისთვის უჩუქებია. გამბრავლებულან ამათი შვილები; „იეთიმის კვერი ყველთვინ ცომი არ დარჩება, ხანჯელ გამონინკინდებაო“.

„ზოგი დედა დედინაცვალიაო“, რომ იტყვიან, ეს დოღრია. არ იტყვი, რა დეემართა აბასლამის დედას? ერთ საღამოს იმ

სოფელში ჩამუარდა ზეციელი, დეეცა სასახლისკენ მიმავალს და ლელევინი გახადა. არც ვინმეს ჩუუფლია მისი დათხრეპილი ნამსხვანი, არც ტყის ნადირებს უჭამიან.

როიცხა დრო-ზამანი გასულა, ენჯამი აბასლამი და სეთერი მოკდენ, მურვანდიც. ვესიეთი დატია აბასლამმა, რომ ჩვენ სამი განგანზე ერთათ დაგვმარხეთო. დამარხეს.

ამ სამნივეს ფეხების სისნორ წყარომ ამოჩხრიალდა; თავებისკენ კი - ია-ვარდები. ერთი ჯენნეთის ვაშლის ხეც ამოიდა, ულეველ ვაშლ ისხემდა. გამლელ-გამომლელი ჭამდა იმათი სულისთინ და ცივ წყაროსაც შესვემდენ. ყველანაირი ფრინველი ჯდებოდა იმ ხეზე და გალობდენ.

სოფლელეებმა მოზილეს ალიზა, გააფტყელეს და ჩხირით დაანერეს:

„აქაც კარქები იყავით,
იქაც ნათელი გქონოდეო,
ჯენნეთში თქვენი სულეხი
ფილინჯ ქარივინ ქროდესო“.

მთქმელი: მინერ მადაძე, 86 წლის. დაბადებული სოფელ ქედქედში, გამოთხოვილი სოფელ დოლოგანში. განათლება ორი კლასი. ქალბატონმა მინერმა თხრობის ბოლოს დასძინა: „ჩემი ნენეი ას ექვსი წლის იყო რომ მოკდა და ბაღნობაში ამას გვიყვებოდა. ის ხომ წიგინში არ კითხულობდა. აჯაფ კითხვა იცოდა თუ? მას ჰქვიაოდა სულთანაი. იო, რამდონ რამეს გვიყვებოდა, მარა ახლა ჰადაა იმის დახსომება. მეც ჩემ ათნივე ბაღნებ ამა ვუყვებოდი და მიდინგლებდენ“.

„ეთერიანის“ აჭარული ვარიანტები ჩაიწერეს ბათუმის შპს „განათლებლის“ მე-10 კლასის მოსწავლეებმა: დავით ზაქარაძე და გიორგი სარჯველაძემ, 2018 წელს.

ლექსიკონი:

ა

აღეზეზება - განვალება.
აიბი - (არ.ayipllaybi) ნაკლი, ნუნი, დეფექტი.
ალიზა - თიხა.
ამუუტოტია - ამოუკორტინა.

ახორი - (თურქ.ahir) ბოსელი.

ბ

ბოჭოჭვაკი - ბობა.
ბლორინი - ხმამალალი, მოთქმით ტირილი.

გ

გაბარცული - გაშხლართული.
გაჩუკნა - (ზედაპირულად) გათხარა.
გერჩექ // გერჩექტან - (თურქ.gercektan) ნამდვილად, რეალურად.

გუდუშირშილა - გაიქნია, გადააგდო.

დ

დააჯოგლა - ესროლა, გაიქნია.
დავასმმებული - სავსე, შესვებული.
დაფიშმანება - (სპ.) დაფიქრება, მოფიქრება.
დაჩუღვილი - დაფარული, შეხვეული.

დეებძლნა - ტკივილი იგრძნო.

დერდი - (სპ.deri) წვალება, წამედა, დარდი, ნუხილი, ტკივილი.

დირეგი // დირელი - (direk) ბოძი.

დოღრ-ი - (თურქ.doğru) პირდაპირი, სწორი, მართალი.

დუნია - (არაბ.dunya) ქვეყანა, სამყარო.

დროზამანი - (თურქ.zaman - დრო) დროუჟამი.

ე

ეილუგი - (თურქ.iylik) სიკეთე, კეთილმოქმედება; პატივისცემა; მზრუნველობა.

ემჯამ-ი - (სპ.emcam) ბოლოსდაბოლოს, დასასრულში, ფინალში.

ეტრაფი - (არაბ.etruf) მხარე, გარემო, შემოგარენი.

ეფეიჯა - (თურქ.epeyce) საკმაოდ, ბლომად, საფუძვლიანად, ძალიან.

ემ-ი - (თურქ.em) წყვილი, პარტნიორი, წყვილის ცალი (ცოლი ან ქმარი), ტოლი, სწორი.

ვ

ვესიეთი - (არაბ.vasiyet) ანდერძი, დარიგების მიცემა,

დანაბარები.

ზ

ზებელაჰი - დიდი ზომის ფრინველი.

ზეზევრაი - ზეზეულად.

ზეციელი - მეხი.

თ

თათარიკი - თადარიგი, მზადება.

თული - (türülü) ჯიში, სახე, სხვადასხვაობა, განსხვავებული, ნაირ-ნაირი.

ი

იგზე // იქზე - იქ, იქვე.

იდარე - (არაბ.idare) მმართველობა, ხელმძღვანელობა, საარსებო საშუალება, მეოჯახეობა, ცხოვრების წარმართვა.

იეთიმი - (არ.yetim) ობოლი (ფუტკარაძე, 534).

ისოვ - ისევ.

იშელი - შუქი, სინათლე.

კ

კოში - მუნუკი, წამონაზარდი.

კუკული - აქ: ლამაზი (მოსაფერებელი სიტყვა).

ლ

ლეღევინი - (ლეღევინი გახადა) გააცამტვერა.

მ

მდინგნებელი - მსმენელი.
მეგემ - კავშ. თურმე, მგონია.

მეზერ-ი - (არაბ.mezar) საფლავი.

მემრე - შემდეგ, მერმე (ფუტკარაძე, 503).

მერაყი - (თურქ.merak) დარდი, მოუსვენრობა, დაინრეტესება, ცნობისმოყვარეობა.

მიშპომილა - მივარდნილა, სწრაფად მისულა.

მოსაფირი - (არაბ.misafir) სტუმარი.

მოტკუცვილი - მჭიდროდ, მიჯრით მიწყობილი.

მოფრინა - მოხია.
მოშპუნლება - მოძრობა, მოცლა, მოგლეჯა.

ნ

ნამსხმანი - სხეული.
ნერჩ -ი - ჭურჭლის ფსკერი (ძირი).

ნიკარტ -ი - ნისკარდი, ცხვირი.

ო

ორთალული - (თურქ.ortalik) შემოგარენი, ირგვლივ, გარემო.

ორთალოლი - (თურქ.ortalik) ქვეყანა, გარემო, შემოგარენი.

პ

პლაკე - ბტრყელი ქვა.

ჟ

ჟვერ -ი - ფოთოლი.

რ

რაცხა - რალაც.

რაცხამდონ - რამდენჯერაც, რამდენსაც.

რაჰათი - (არაბ.rahat) მოსვენება, დაწყნარება, კომფორტი.

ს

საფერ -ი - შესადარი, ღირსი, შესაბამისი.

სირი-სირა - რიგით, რიგის მიხედვით, რიგრიგობით.

ტ

ტკეჩები - ხის (თხილის) თხელი, დრეკადი მასალა.

ტოლი - ტარო.

უ

უგამულეველათ - გამოულეველად.

უმუსლელი - მოუსვლელი.

ურბა//ურუბა - (თურქ. urba) ტანსაცმელი, კაბა (ფუტკარაძე,580).

უსულ-ი - (დიალ.usul - წყნარი, ფრთხილი) მშვიდი, ჩუმი, წყნარი.

უცფაი - უცბად, უცაბედად.

უჰალურათ - (არაბ.hal -

ძალა, ღონე, შეძლება) უძლურად.

ფ

ფათერი¹ - (არაბ.fötr) ფარფლებიანი ქუდი.

ფათერი² - (არაბ.fatir - შემოქმედი, შემქმნელი) მკითხავი, მისანი.

ფაჩავრა - (თურქ.paçavra) 1. ძველმანი, ძონძი; 2. დაჩაჩანაკებული, მიხრწნილი.

ფილინჯი - ნელი.

ფლაშუნი - აქ: ხმაურიანი მოსვლა.

ფუფულ - ი - მუნუკი, გამონაყარი.

ქ

ქენერ - ი//ქენარ - ი - (არაბ.kenar) კიდე, ნაპირი.

ღ

ღეზება - ტანჯვა, წვალება. ღმა - ღრმა.

ყ

ყათნარი//ყათლანი - (არაბ. Katran) ფისი, კუპრი.

ყუი - ორმო.

ც

ციციელი - მეხი.

ძ

ძალვან - ძალიან.

ძრუგი - ზურგი.

ჭ

ჭატა - ი - 1. მოკლე, პატარა ყური. ადამიანის ყური. 2. მეტსახელი კაცისა.

ხ

ხანჯელ - ზოგჯერ, ხანდახან.

ხაპი - გოგრა, კვახი.

ხარივინ - ხარივით.

ხებერ-ი - (არაბ.haber) ამბავი, ცნობა, შეტყობინება.

ხოშორი - მსხვილი.

ჯ

ჯენნეთ -ი - (არაბ.cennet) სამოთხე.

ჯერნები - ჯოჯოხეთი.

ჯირეკ -ი - ჯირკი, კუნძი.

ჭ

ჭად - კითხ. ზმნს. სად? რა ადგილას?

ჭალბელი - ალბათ.

ჭაცხაიდან - საიდანლაც.

ჭეგბაი - ჩანთა.

ჭელვა//ჭალვა - (არ.helva)

ხალვა (ფუტკარაძე,689).

ჭილე¹ - (არაბ.hile) ეშმაკობა, მატყუარობა, გაიძვერობა, სიყალბე.

ჭილე² - (არაბ.hile) გად. მნ. ტკივილი, შერყეული ჯანმრთელობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მე-4 თემატურ კონფერენციაზე - „ტადიციების კვალდაკვალ“ - დავით ზაქარაძისა და გიორგი სარჯველაძის მიერ წარმოდგენილი „ეთერიანის“ აჭარული ვარიანტები (2018 წელი);
2. „ხალხური სიტყვიერების ნიმუშები“, ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, თბილისი, 2019 წელი;
3. შ. ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული“, ბათუმი, 1993 წელი;
4. შ. ნიჭარაძე, „ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა“, ბათუმი, 1971 წელი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ფილოლოგიური მაცნე
V

გამომცემელი: გამომცემლობა „ივერიონი“.
მისამართი: თბილისი, კოსტავას 6, II სართ.

E-mail: info@iverioni.com.ge